

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი  
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

# კონსტიტუციონალიზმი

ზოგადი შესავალი

წიგნი I

დომიტრი გეგენავას რედაქტორობით

UDC(უაკ)342  
კ-736

კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I  
დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით  
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018

Constitutionalism, General Introduction, Book I  
Edited by Dimitry Gegenava  
Prince David Institute for Law Publishing, Tbilisi, 2018

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი  
Sulkhan-Saba Orbeliani University

© ავტორები, 2018  
© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2018

ISBN 9941-27-742-9 (ყველა წიგნისთვის)  
ISBN 9941-27-743-6 (პირველი წიგნისთვის)

## წინათქმა

კონსტიტუციონალიზმის შესავალში წიგნის გამოცემის იდეა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტში ჯერ კიდევ 2014 წლის ბოლოსკენ გაჩნდა, მას შემდეგ, რაც „საქართველოს სა-კონსტიტუციო სამართალმა“ არნახული წარმატება მოიპოვა. წიგნის გამოცემა 2015 წელს იგეგმებოდა, თუმცა იდეის მასშტაბურობის, ავტორთა გადატვირთული განრიგისა და სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მან დღის სინათლე მხოლოდ 2018 წელს იხილა.

„კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I“ სამტომეულის პირველი წიგნია და იგი ძირითადად კონსტიტუციონალიზმის თეორიის, სახელმწიფოსა და ადამიანის ძირითადი უფლებების, პოლიტიკური რეჟიმების თაობაზე ინფორმაციას მოიცავს. მეორე წიგნი მთლიანად დაეთმობა სახელმწიფოს მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის, ასევე, ძირითად სა-კონსტიტუციო ორგანოთა საკითხებს. მესამე წიგნში წარმოდგენილი იქნება სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან, ფინანსებთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუტებთან დაკავშირებული თემები.

ეს წიგნი სხვადასხვა შეხედულების, გემოვნებისა და მსოფლმხედველობის ადამიანთა ნაშრომების კრებული უფროა, ვიდრე ერთიანი, სისტემური სახელმძღვანელო. თითოეული თავი კონკრეტული ავტორის ინდივიდუალურ სტილშია შესრულებული და ერთიანდება თემატურად დალაგებულ ნაწილებში. აქ მოცემული ინფორმაცია კონსტიტუციონალიზმის მხოლოდ ზოგადი მიმოხილვაა და მიზნად არ ისახავს საკონსტიტუციო სამართლის სფეროთა სიღრმისეულ ანალიზს.

მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო იმ ავტორებს, რომელთა ნაშრომებიც შევიდა პირველ წიგნში. ეს მადლობა არა მხოლოდ მათი განუელი სამუშაოსთვისაა, არამედ იმ მოთმინებისა და შემართებისთვის, რითაც გამოირჩეოდნენ გამოცემის მომზადების მთელ პროცესში. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის იურიდიულ კომპანია „ჯეი ემ ჯი და პარტნიორებს“, რომლის ფინანსური მხარდაჭერის შედეგადაც დაიბეჭდა წარმოდგენილი წიგნი. ასევე, დიდი მადლობა სულხან-საბა ორბელიანის

უნივერსიტეტისა და დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის არაჩვეულებრივ გუნდს, ვინაიდან სწორედ ამ ორი დაწესებულების ერთობლივი პროდუქტია ეს გამოცემა.

ვიმედოვნებ, „კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I“ ძალზე სასარგებლო და საინტერესო იქნება არა მხოლოდ იურისტებისა და იურიდიული პროფესიის დაუფლების მსურველთათვის, არამედ ნებისმიერი პირისთვის, ვისაც კონსტიტუციონალიზმი და ზოგადად პოლიტიკური სამართალი აინტერესებს.

დომიტრი გეგენავა

დავით ბატონიშვილის სამართლის  
ინსტიტუტის დირექტორი, სულხან-საბა ორბელიანის  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018 წლის იანვარი

## შინაარსი

|  |            |
|--|------------|
| <b>ნაწილი I. კონსტიტუციონალიზმი.....</b>                       | <b>1</b>   |
| <b>თავი I. კონსტიტუციონალიზმი და საკონსტიტუციო</b>             |            |
| <b>სამართლის სისტემა.....</b>                                  | <b>1</b>   |
| <i>თამარ პაპაშვილი</i>   |            |
| <b>თავი II. კონსტიტუციონალიზმის განვითარების ისტორია ...</b>   | <b>11</b>  |
| <i>დიმიტრი გეგენავა</i>  |            |
| <b>ნაწილი II. კონსტიტუციონალიზმის პრინციპები .....</b>         | <b>42</b>  |
| <b>თავი III. დემოკრატიული სახელმწიფო და სახალხო</b>            |            |
| <b>სუვერენიტეტი .....</b>                                      | <b>42</b>  |
| <i>თამარ პაპაშვილი</i>   |            |
| <b>თავი IV. სამართლებრივი სახელმწიფო .....</b>                 | <b>45</b>  |
| <i>ვახტანგ ფვანიას</i>   |            |
| <b>თავი V. კალაუფლების გამიჯვნა .....</b>                      | <b>61</b>  |
| <i>დიმიტრი გეგენავა</i>  |            |
| <b>თავი VI. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი.....</b>            | <b>73</b>  |
| <i>ბესიკ ლოლაძე</i>  |            |
| <b>ნაწილი III. კონსტიტუცია და კონსტიტუციის გადასინჯვა.....</b> | <b>90</b>  |
| <b>თავი VII. კონსტიტუცია .....</b>                             | <b>90</b>  |
| <i>ბექა ქანთარია</i>   |            |
| <b>თავი VIII. კონსტიტუციის გადასინჯვა.....</b>                 | <b>122</b> |
| <i>თამარ პაპაშვილი</i>   |            |

|  |            |
|--|------------|
| <b>ნაწილი IV. სახელმწიფო და ადამიანის უფლებები</b> .....     | <b>131</b> |
| <b>თავი IX. სახელმწიფო</b> .....                             | <b>131</b> |
| <i>დავით ჯაიანი</i>  |            |
| <b>თავი X. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა</b> .....             | <b>144</b> |
| <i>სალომე ნურნუშია</i>                                       |            |
| <b>თავი XI. ადამიანის ძირითადი უფლებები</b> .....            | <b>157</b> |
| <i>ანა ფირცხალაშვილი</i>                                     |            |
| <b>თავი XII. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები</b> ..... | <b>187</b> |
| <i>სოფო ნაქაძე</i>   |            |
| <b>თავი XIII. მოქალაქეობა</b> .....                          | <b>205</b> |
| <i>ეკატერინე კოკიჩაიშვილი</i>                                |            |
| <b>ნაწილი V. პოლიტიკური რეჟიმები</b> .....                   | <b>217</b> |
| <b>თავი XIV. დემოკრატია</b> .....                            | <b>217</b> |
| <i>გიორგი გოგიბერიძე</i>                                     |            |
| <b>თავი XV. არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები</b> .....    | <b>229</b> |
| <i>ზურაბ ჯიბლაშვილი</i>                                      |            |
| <b>ნაწილი VI. არჩევნები და პოლიტიკური პარტიები</b> .....     | <b>244</b> |
| <b>თავი XVI. უზუალ დემოკრატია</b> .....                      | <b>244</b> |
| <i>დავით მაკარიძე</i>  |            |
| <b>თავი XVII. პოლიტიკური პარტიები და პარტიული</b>            |            |
| <b>სისტემები</b> .....                                       | <b>277</b> |
| <i>რატი ბრეგაძე</i>  |            |
| <b>ბიბლიოგრაფია</b> .....                                    | <b>289</b> |

## ნაწილი I. კონსტიტუციონალიზმი

### თავი I. კონსტიტუციონალიზმი და საკონსტიტუციო სამართლის სისტემა

#### 1. საკონსტიტუციო სამართლის ცნება და მიზანი

საკონსტიტუციო სამართალი საჯარო სამართლის ნაწილია.<sup>1</sup> მას ხშირად ახასიათებენ, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემის უმნიშვნელოვანეს, ნამყვან დარგს,<sup>2</sup> თუმცა მისი ნამყვანი როლი არ გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სამართალი სამართლის ყველა დარგს მოიცავს. იგი სამართლის სხვა დარგების ძირითად ჩარჩოებს, პრინციპებს აყალიბებს.<sup>3</sup> ეროვნული სამართლის ყველა დარგი საკონსტიტუციოსამართლებრივ პრინციპებს ეყრდნობა, რაც მის ფუძემდებლურ ხასიათს გამოკვეთს.<sup>4</sup>

„საკონსტიტუციო სამართალს“ ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „სახელმწიფო სამართლის“ სინონიმს.<sup>5</sup> სპეციალისტთა ნაწილი ამ ორ ტერმინს შორის სახელმწიფოთა არჩევანს ისტორიულ ტრადიციებს უკავშირებს<sup>6</sup>, მაგრამ, გავრცელებული აზრით, მათ შორის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სხვაობაა.<sup>7</sup> უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო სამართალი“ უფრო ფართო

---

<sup>1</sup> ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ. I, თბილისი, 2004, 16-17.

<sup>2</sup> იხ., მელქაძე ო., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, რეფორმიდან-რეფორმამდე, თბილისი, 2011, 6; Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. А.В. Малько, Москва, 2004, 84; ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ. I, თბილისი, 2004, 17.

<sup>3</sup> Конституционное (Государственное Право) Зарубежных Стран, Под ред. Б.А. Страшуна, Москва, 2000, 24.

<sup>4</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008, 9.

<sup>5</sup> Конституционное (Государственное Право) Зарубежных Стран, Под ред. Б.А. Страшуна, Москва, 2000, 12.

<sup>6</sup> Баглай, М., В., Конституционное Право Российской Федерации, Москва, 2007, 20-21.

<sup>7</sup> გეგენავა დ., ზოგიერთი ცნების მართებულობის საკითხისათვის ქართულ საკონსტიტუციო სამართალში, ნიგნი: ზურაბ ახვლედიანი 80, ზ. ძლიერიშვილისა და ს. ქავთარაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 181-194; მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008, 16-17.

ცნებაა, ვიდრე „საკონსტიტუციო სამართალი“ და სახელმწიფო მმართველობის ძირითად საკითხებთან დაკავშირებულ ნორმათა ერთობლიობას გულისხმობს.<sup>8</sup> საკონსტიტუციო სამართალთან ერთად, „სახელმწიფო სამართლის“ ცნების ქვეშ მოიაზრება სამართლის სხვა დარგები, როგორცაა: ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, საპროცესო სამართალი და ა.შ.,<sup>9</sup> რადგან ისინიც სახელმწიფო ორგანოების მოწყობისა და საქმიანობის საკითხებს ანესრიგებენ.<sup>10</sup> უნდა აღინიშნოს „საკონსტიტუციოსა“ და „კონსტიტუციურს“ შორის არსებითი სხვაობაც: უცხო ენათა უმრავლესობაში ორივე მათგანი ერთი ცნებით აღინიშნება, მაგრამ ქართული ენის თავისებურებები „საკონსტიტუციოსა“ და „კონსტიტუციურის“ სხვადასხვა მნიშვნელობით განმარტების საშუალებას იძლევა. „საკონსტიტუციო“ კონსტიტუციისკენ მიმართულს, „კონსტიტუციური“ კი კონსტიტუციის შესაბამისს აღნიშნავს, აქედან გამომდინარე, „კონსტიტუციური სამართალი“ კონსტიტუციასთან თანხვედრაში მყოფი სამართალია, რაშიც ნებისმიერი სამართლის დარგის მოაზრება შეიძლება, მათ შორის, „საკონსტიტუციო სამართლისაც“<sup>11</sup>.

ტერმინი „საკონსტიტუციო სამართალი“ ძირითადად ორი მნიშვნელობით გამოიყენება: როგორც სამართლის დარგი და სამართლის მეცნიერება. **საკონსტიტუციო სამართალი, როგორც სამართლის დარგი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმათა სისტემაა, რომელიც ანესრიგებს სახელმწიფო წესწყობილებას, სუვერენიტეტს, სახელმწიფო ორგანოთა სისტემას, ფუნქციებსა და ურთიერთდამოკიდებულებას, სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურასა და უფლებამოსილებებს, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს,<sup>12</sup> სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების პრო-**

<sup>8</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, 14-15.

<sup>9</sup> ცნობილადე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ.1, თბილისი, 2004, 13.

<sup>10</sup> იხ., Bradley A., W., Ewing K.D., Constitutional and Administrative Law, 14<sup>th</sup> Ed., London, 2007, 10.

<sup>11</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, 15.

<sup>12</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008, 20-21.

ცესში ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.<sup>13</sup> შესაბამისად, საკონსტიტუციო სამართლის მიზანია, ერთი მხრივ, იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, რომლებიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს საფუძვლებს აყალიბებს და პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებასთან;<sup>14</sup> მეორე მხრივ, პოლიტიკური ხელისუფლების შეზღუდვისა და სახელმწიფო ორგანოების კანონზომიერი ცვლილების უზრუნველყოფა.<sup>15</sup> საკონსტიტუციო სამართლის დარგი ორ დიდ ქვედარგად იყოფა: სახელმწიფო მოწყობა და ადამიანის ძირითადი უფლებები. თავის მხრივ, მოცემულ ქვედარგებშიც გამოიყოფა ვიწრო მიმართულებები: საარჩევნო სამართალი, საპარლამენტო სამართალი, სამოსამართლო სამართალი და სხვ.<sup>16</sup>

საკონსტიტუციო სამართლის მეცნიერება სწავლობს არა საკონსტიტუციოსამართლებრივ ნორმებს, არამედ ამ ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობების<sup>17</sup> ისტორიულ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ ასპექტებს.<sup>18</sup> მისი ძირითადი ამოცანა ხელისუფლების შეზღუდვაა.<sup>19</sup> ბარნეტის განმარტებით, კონსტიტუციონალიზმს უფრო მეტი აინტერესებს, ვიდრე უბრალოდ „კანონიერებაა“, ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებები კონსტიტუციურად ვერ შეფასდება მხოლოდ კანონიერების მოტივით, – საკონსტიტუციო სამართლის მეცნიერებამ უნდა დაადგინოს ის, თუ რა არის კონსტიტუციური.<sup>20</sup> ნორმათა

---

<sup>13</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая., Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 9.

<sup>14</sup> Сенькова Т.В., Грахоцкий А.П., Конституционное Право Зарубежных Стран, Гомель, 2013, 11.

<sup>15</sup> Alder J., General Principles of Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., Bristol, 2002, 3.

<sup>16</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, 1, იხ. ციტირება: მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თეორიის საკითხები, ბათუმი, 2003, 23.

<sup>17</sup> Сенькова Т.В., Грахоцкий А.П., Конституционное Право Зарубежных Стран 2013, Гомель, 12.

<sup>18</sup> Barnett H., Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., London, 2002, 3.

<sup>19</sup> Tushnet M., Fleiner Th., Saunders Ch., Routledge Handbook of Constitutional Law, Abingdon, 2013, 33.

<sup>20</sup> Barnett H., Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., London, 2002, 5.

შესწავლასა და შეფასებასთან ერთად, სახელმწიფოს ინსტიტუციური მექანიზმის კვლევა, ასევე, კონსტიტუციონალიზმის მთავარი ამოცანაა.<sup>21</sup>

საკონსტიტუციო სამართლის მეცნიერება აქტიურად იყენებს კვლევის ისტორიულ, სტატისტიკურ, ანალიტიკურ, შედარებითსამართლებრივ მეთოდებს, განაზოგადებს სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სამართალს,<sup>22</sup> შედეგად კი, იძენს „გამოცდილებით სავსე სკივრის“<sup>23</sup> სახეს. შაიოს განმარტებით, ეს სკივრი სულაც არ არის სახელმწიფოთათვის განკუთვნილი „კეთილგონივრული ინსტრუქცია“, რადგან მასში მოთავსებულია სხვადასხვა სახელმწიფოს არა მხოლოდ წარმატებული, არამედ წარუმატებელი გამოცდილება, კონსტიტუციონალიზმი კი „გემოვნების საგანია, რომელიც შესაძლებელია ღერძის აქეთ-იქით გადაიხაროს“<sup>24</sup>.

კონსტიტუციონალიზმს ბევრი საერთო აქვს პოლიტოლოგიასთან.<sup>25</sup> როგორც საკონსტიტუციო სამართლის, ისე პოლიტოლოგიის კვლევის ობიექტია კონსტიტუცია, მმართველობა, საჯარო ადმინისტრაცია, მოქალაქეთა მონაწილეობა მმართველობაში და ა.შ.<sup>26</sup>

**საკონსტიტუციო სამართალი პოლიტიკური ხელისუფლების ჩამოყალიბებას, ძალაუფლების გადაცემასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს იკვლევს,** შესაბამისად, კონსტიტუციონალიზმის რაციონალური დახასიათებისთვის ყველაზე შესატყვისია დიუვერჟესეული განმარტება: „შეისწავლო კონსტიტუციური სამართალი ეს ნიშნავს იმას, რომ შეისწავლო პოლიტიკური ინსტიტუტების იურიდიული ასპექტები“<sup>27</sup>.

---

<sup>21</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008, 12.

<sup>22</sup> იქვე, 11.

<sup>23</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 15.

<sup>24</sup> იქვე, 11-12.

<sup>25</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008, 22.

<sup>26</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008, 14.

<sup>27</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, 1; მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თეორიის საკითხები, ბათუმი, 2003, 3; დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008, 12.

## 2. საკონსტიტუციო სამართლის წყაროები

ზოგადი გაგებით, სამართლის წყარო სამართლის გამოხატვის ფორმაა,<sup>28</sup> აქედან გამომდინარე, **საკონსტიტუციო სამართლის წყარო არის საკონსტიტუციო სამართლის გამოხატვის ფორმა და საშუალება, რომელიც საკონსტიტუციოსამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს.**<sup>29</sup>

**საკონსტიტუციო სამართლის წყაროებია: სამართლებრივი აქტები, ჩვეულება და სასამართლო პრაქტიკა.**<sup>30</sup> მათთან ერთად აუცილებლად უნდა აღინიშნოს დოქტრინული წყაროები, რომლებსაც საკონსტიტუციო სამართლის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეაქვთ და რელიგიური წყაროები, რომლებიც, მართალია, დღესდღეობით იშვიათადაა წარმოდგენილი სახელმწიფოთა საკონსტიტუციო სამართლის წყაროთა პაკეტში, მაგრამ სამართლებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილია, მაგალითად, ისლამურ სახელმწიფოებში.<sup>31</sup> საოჯახო და მინათსარგებლობის საკითხებზე დავის გადასაწყვეტად რელიგიური ნორმები დღემდე გამოიყენება ინდოეთის ქვედა დონის სასამართლოების მიერაც<sup>32</sup>.

ყველა სახელმწიფოს საკონსტიტუციო სამართლის წყაროთა საკუთარი სისტემა აქვს, შესაბამისად, მათი ერთიანი სისტემატიზაცია არ არსებობს. წყაროებს შორის მოქმედებს იერარქია, რაც წყაროთა გარკვეული სახეობებისთვის სხვებთან მიმართებით უფრო მაღალი იურიდიული ძალის მინიჭებას გულისხმობს.<sup>33</sup> **გამოყოფენ ძირითად (ფორმალურ) და დამხმარე (არაფორმალურ) წყაროებს.**<sup>34</sup>

---

<sup>28</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 130.

<sup>29</sup> Шувалов Е.В., Конституционное Право Российской Федерации, Москва, 2006, 11.

<sup>30</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 17.

<sup>31</sup> Сенькова Т.В., Грахоцкий А.П., Право Зарубежных Стран, Гомель, 2013, 17.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. А.В. Малько, Москва 86.

<sup>34</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015, 6; Bradley A., W., Ewing K.D., Constitutional and Administrative Law, 14<sup>th</sup> Ed., London, 2007, 12.

ძირითადია სავალდებულო ძალის მქონე წყაროები, ხოლო დამხმარეა ყველა წყარო, რომელსაც არა აქვს სავალდებულო ხასიათი, თუმცა თავისი მახასიათებლებით საკონსტიტუციო სამართალს ავითარებს.

ძირითად წყაროთა პაკეტში უპირველესია **სამართლებრივი აქტები**, რადგან სწორედ ისინი შეიცავენ საკონსტიტუციოსამართლებრივ ნორმებს. საკონსტიტუციო სამართლის რეალიზაციაში სამართლებრივ აქტებს უდიდესი წვლილი შეაქვთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს კონსტიტუცია, რომელიც მისი დამფუძნებელი ხასიათიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა ნორმატიული აქტების იერარქიაში ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას. გარდა კონსტიტუციისა, საკონსტიტუციო სამართლის წყაროა კანონი, კონსტიტუციური შეთანხმებები, აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები და ა.შ.<sup>35</sup>

**სასამართლო პრაქტიკის**, როგორც საკონსტიტუციო სამართლის წყაროს, როლი უდიდესია საერთო სამართლის ქვეყნებში, სადაც სასამართლოები, სამართალშეფარდებასთან ერთად, სამართალშემოქმედის ფუნქციასაც ითავსებენ: სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება გამოიყენება შემდგომში ანალოგიური საქმის გადაწყვეტისას. შესაბამისად, *სასამართლო პრაქტიკის სავალდებულოობა მოსამართლეს უქმნის შესაძლებლობას, განმარტების შედეგად თავად განსაზღვროს ნორმა, რომლის საფუძველზეც ხდება საქმეთა გადაწყვეტა.*<sup>36</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკის როლი დღითიდღე იზრდება კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებშიც<sup>37</sup>.

**ჩვეულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ქცევის წესია, რომელიც საკონსტიტუციოსამართლებრივი შინაარსის ურთიერთობებს აწესრიგებს.** საკონსტიტუციო ჩვეულებების სიმრავლე ახასიათებს ახალ ზელანდიას, გაერთიანებულ სამეფოს, ავსტრალიას და ზოგადად, ინგლისური (და არა იმდენად ამერიკული) სამართლის ოჯახის ქვეყნებს. გაერთიანებულ სამეფოში უფრო მეტად ცერემონიული ხასიათის

<sup>35</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008, 28.

<sup>36</sup> Saunders Ch., Judicial Engagement with Comparative Law, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Camberley, 2011, 575.

<sup>37</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая., Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 26.

ჩვეულებებია დამკვიდრებული, თუმცა, მათთან ერთად, ასევე, ჩვეულებადაა ჩამოყალიბებული ისეთი შინაარსის ნორმები, როგორცაა წესი, რომლის მიხედვითაც, პრემიერ-მინისტრი ხდება თემთა პალატის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პარტიის ლიდერი (თუმცა ოფიციალურად მას თანამდებობაზე მონარქი ნიშნავს).<sup>38</sup> ტროპიკული აფრიკის სახელმწიფოებში დღემდე მოქმედებს ე.წ. ტრადიციული სამართალი – დაუნერელი ადათები, რომლებიც უძველესი დროიდანაა დამკვიდრებული. მათი როლი იმდენად დიდია, რომ რამდენიმე ქვეყანას ჩვეულებებისა და ტრადიციების კოდიფიკაციის მცდელობაც კი ჰქონდა, თუმცა უშედეგოდ.<sup>39</sup>

საკონსტიტუციო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა **დოქტრინა, რომელსაც „ურისტების სამართალს“ უწოდებენ.**<sup>40</sup> დოქტრინული წყაროებია მეცნიერთა შრომები, დასკვნები, ანალიზები, რეკომენდაციები, რომელთაც, მართალია, სავალდებულო წყაროს სტატუსი არ გააჩნიათ<sup>41</sup>, თუმცა უდიდესი წვლილი შეაქვთ თითოეული ქვეყნის საკონსტიტუციო სამართლის განვითარებაში.

### 3. საკონსტიტუციოსამართლებრივი ურთიერთობები

*საკონსტიტუციო სამართლის მონესრიგების მთავარი სფერო, ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან ერთად, პოლიტიკური ხელისუფლება, პოლიტიკური ორგანოები და მათ შორის არსებული ურთიერთობებია. მართალია, კონსტიტუცია ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველია, რადგან პრინციპების დონეზე სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სხვა სფეროებს სწორედ საკონსტიტუციოსამართლებრივი ნორმები განსაზღვრავს, მაგრამ მისი მონესრიგების მთავარი ობიექტი მაინც პოლიტიკური ურთიერთობებია.*<sup>42</sup>

---

<sup>38</sup> Сенькова Т.В., Грахоцкий А.П., Конституционное Право Зарубежных Стран, Гомель, 2013, 16.

<sup>39</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая., Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 25.

<sup>40</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 136.

<sup>41</sup> Сизько И.А., Чепурнова Н.М., Конституционное Право Зарубежных Стран, Москва, 2007, 17.

<sup>42</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая., Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 12-13.

პოლიტიკური ურთიერთობები იმდენად მრავალფეროვანია, რომ კანონი მათ სრულად ვერ განსაზღვრავს. გარკვეულ სფეროებში პოლიტიკის მონესრიგება სრულიად შეუძლებელია,<sup>43</sup> ამიტომ საკონსტიტუციოსამართლებრივ ურთიერთობებში მხოლოდ ის პოლიტიკური ურთიერთობები იგულისხმება, რომლებიც კონსტიტუციის ნორმებითაა მონესრიგებული.<sup>44</sup>

საკონსტიტუციოსამართლებრივ ურთიერთობებს სხვა შინაარსის ურთიერთობებისგან შემდეგი მახასიათებლები განასხვავებს: **1. ურთიერთობათა შინაარსი** – საკონსტიტუციოსამართლებრივი ურთიერთობები სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებასთანაა დაკავშირებული და უმთავრესად, სუვერენიტეტის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციონირებასა და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების უზრუნველყოფაში გამოიხატება;<sup>45</sup> **2. სუბიექტები** – როგორც წესი, საკონსტიტუციოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტები ყველა სახის ურთიერთობაში მონაწილეობას ვერ იღებენ; **3. მრავალფეროვნება**<sup>46</sup>.

საკონსტიტუციო სამართლის სუბიექტები არიან ის პირები და სტრუქტურები, რომლებიც საკონსტიტუციოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ: სახელმწიფო, სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები, ტერიტორიული ერთეულები, ხალხი, ფიზიკური და იურიდიული პირები.<sup>47</sup> საკონსტიტუციო სამართლის განსაკუთრებული სუბიექტია **ხალხი**, რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოში სწორედ ხალხია ძალაუფლების მიმნიჭებელი, შესაბამისად, როგორც ძალაუფლების წყაროს, თავადვე ეკუთვნის სახელმწიფო ხელისუფლება.<sup>48</sup> **სახელმწიფო** საკონსტიტუციო სამართლის სუბიექტებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, რადგან

<sup>43</sup> იქვე, 12-13.

<sup>44</sup> Сенькова Т.В., Грахоцкий А.П., Конституционное Право Зарубежных Стран, Гомель, 2013, 14.

<sup>45</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. А.В. Малько, Москва, 2004, 89.

<sup>46</sup> Соколов И.А, Конституционное право Российской Федерации, Москва, 2010, 12.

<sup>47</sup> Сенькова Т.В., Грахоцкий А.П., Конституционное Право Зарубежных Стран, Гомель, 2013,

<sup>48</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თეორიის საკითხები, ბათუმი, 2003, 26.

სწორედ ისაა სოციალური ურთიერთობების უმთავრესი მომწესრიგებელი.<sup>49</sup>

**სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს** მიეკუთვნება სახელმწიფოს მეთაური, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო და ა.შ., ხოლო **ადგილობრივი ორგანოებია** ადგილობრივ დონეზე ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოები – ასამბლეები, საბჭოები და მათ წინაშე ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ორგანოები.<sup>50</sup> დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში, ადგილობრივი ორგანოები სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში არ შედიან და მართვის დამოუკიდებელ რგოლს წარმოადგენენ.<sup>51</sup>

**ტერიტორიულ ერთეულებში** იგულისხმება როგორც სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, ასევე, ავტონომიური წარმონაქმნები და ფედერაციის სუბიექტები. ტერიტორიული ერთეულის სტატუსი და მისი უფლებამოსილებები სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობაზეა დამოკიდებული.

**ფიზიკური პირები** არიან მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, უცხოელები და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები (ბიპატრიდები). გარდა ჩამოთვლილისა, საკონსტიტუციო სასამართლის სპეციალისტები ზოგიერთ ქვეყანაში ამომრჩეველს, კანდიდატს და დეპუტატსაც სპეციალური უფლების მქონე სუბიექტებად მიიჩნევენ.<sup>52</sup> რაც შეეხება იურიდიულ პირს, საკონსტიტუციო სამართლის სუბიექტი მხოლოდ ის **იურიდიული პირია**, რომელიც სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით იქმნება<sup>53</sup>.

საკონსტიტუციო სამართლის სუბიექტის სტატუსით სარგებლობენ **პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი და რელიგიური ორ-**

---

<sup>49</sup> Конституционное (Государственное Право) Зарубежных Стран, Под ред. Б.А. Страшуна, Москва, 2000, 18.

<sup>50</sup> ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სტრასბურგი, 1985 წლის 15 ოქტომბერი, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>51</sup> Муниципальное право, Под ред. А.М. Никитина, Москва, 2000, 130.

<sup>52</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. А.В. Малько, Москва, 2004, 90.

<sup>53</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая., Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 14.

**განიზაციებიც.**<sup>54</sup> პოლიტიკური პარტიები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირებასა და ფუნქციონირებაში, შესაბამისად, საკონსტიტუციო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სუბიექტად არიან მიჩნეულნი.<sup>55</sup> რაც შეეხება რელიგიურ ორგანიზაციებს, მათი მონაწილეობა საკონსტიტუციო-ოსამართლებრივ ურთიერთობებში, ძირითადად, აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა მსგავსი პრეცედენტები ტრადიციულ დემოკრატიებშიც მრავლადაა.<sup>56</sup>

---

<sup>54</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008, 28.

<sup>55</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая., Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 14.

<sup>56</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. А.В. Малько, Москва, 2004, 91.

## **თავი II. კონსტიტუციონალიზმის განვითარების ისტორია**

საკონსტიტუციო სამართლის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ათვლის წერტილის ცოდნა. თუკი სახელმწიფო სამართლის ისტორია ჯერ კიდევ წინარესახელმწიფოებრივი პერიოდიდან იწყება, როდესაც ორგანიზაციული ერთეულები ყალიბდებოდა, საკონსტიტუციო სამართალი, როგორც ძალაუფლების შეზღუდვის სამართალი, გაცილებით ახალგაზრდა ინსტიტუტია, შესაბამისად, იგი უშუალოდ უკავშირდება ერთპიროვნული სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის ფაქტს. ეს კი პირველად შუა საუკუნეების ინგლისში, XIII საუკუნეში განხორციელდა, თუმცა მას შემდეგ კონსტიტუციონალიზმი ნელა ვითარდებოდა, ადამიანის უფლებების დოქტრინა კი, რომელმაც საკონსტიტუციო სამართლის თანამედროვე სახე შექმნა, ფეხს ეტაპობრივად იკიდებდა.

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის განვითარება შუა საუკუნეების იდეების ტრანსფორმაციისა და განმანათლებლობის, ამერიკული და ფრანგული რევოლუციების შედეგად დაიწყო, ორი საუკუნის განმავლობაში კი განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა, რამაც მთლიანად შეცვალა სახელმწიფო მოწყობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ტრადიციული, კლასიკური წარმოდგენები.

### **1. „თავისუფლებათა დიდი ქარტია“: კონსტიტუციონალიზმის დაბადება 1.1. ბარონთა აჯანყება და ქარტიის მიღება**

XIII საუკუნის ინგლისი შუა საუკუნეების კლასიკური ევროპული სივრცეა, სადაც სამეფო ხელისუფლება და დიდებულები ერთმანეთს სახელმწიფო ძალაუფლებისთვის უპირისპირდებიან. ბარონები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ ფეოდალურ ეპოქაში და დიდწილად განაპირობებდნენ კიდევ სამეფოს სიძლიერეს საგარეო ურთიერთობებში. უილიამ I ინგლისის დაპყრობა ბარონების დახმარებით მოახერხა, თუმცა ჰენრი II ბარონების პოზიციები მნიშვნელოვნად დაასუსტა და უფრო დაბალი სოციალური ფენებიდან დაანინაურა ხალხი, რამაც, საბოლოო ჯამში, მისი შვილების მმართველობისას ბარონებთან სერიოზული წინააღმდე-

გობები და მათი აჯანყებაც კი გამოინვია.<sup>57</sup> თვითმპყრობელი მონარქების შემდეგ სამეფო ტახტზე ისეთი სუსტი მეფის ასვლა, როგორც ჯონ უმინანყო იყო, თავისთავად მოასწავებდა სახელმწიფოებრივი სისტემისა და მონარქის სამართლებრივი სტატუსის ცვლილებას. ამასთან, ამავე პერიოდს დაემთხვა მონარქთა „ანგლიზაცია“<sup>58</sup>, რამაც ინგლისის სამეფო კარს მეტი ეროვნულობა შესძინა.

მეფისა და ბარონების უთანხმოება მაშინ დაიწყო, როდესაც მათ უარი თქვეს ჯონისა და პაპის ავანტიურას აპყოლოდნენ და ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიეღოთ მონაწილეობა, რის გამოც მეფემ მათი დასჯა გადაწყვიტა.<sup>59</sup> ამას შედეგად ბარონების აჯანყება მოჰყვა, რასაც სასულიერო პირებმა და ქალაქებში მაცხოვრებლებმაც დაუჭირეს მხარი.<sup>60</sup> აჯანყებას რობერტ ფიც უოთერი ხელმძღვანელობდა, რომელსაც გვერდში ედგა ინგლისელი საერო და სასულიერო ელიტა, რაინდობა და თვითმმართველი ქალაქები, ლონდონის ჩათვლით.<sup>61</sup> ლონდონმა ამბოხებულებს კარიბჭე გაუღო,<sup>62</sup> რამაც დიდწილად განაპირობა კიდევ ის, რომ მეფეს დამობაზე წასვლა მოუწია, – იგი ფაქტობრივად საკუთარ ვასალთა ტყვეობაში აღმოჩნდა.

1215 წელს (15-19 ივნისის პერიოდში) ლონდონსა და უინძორს შორის, რანიმიდში მეფე აჯანყებულებს დათანხმდა<sup>63</sup> და დიდგვაროვნების ზენოლის შედეგად<sup>64</sup>, „თავისუფლებათა დიდი ქარტია“ (Magna Carta Libertatum) სამეფო ბეჭდით დაბეჭდა.<sup>65</sup> რა თქმა უნდა,

---

<sup>57</sup> Pollard A.F., *The History of England: A Study in Political Evolution*, Dodo Press, 2007, 19.

<sup>58</sup> მეფე ჯონი პირველი მმართველი იყო, ტიტულით — Rex Angliae, განსხვავებით უილიამ დამპყრობლისგან, – Rex Norm-Anglorum. იხ., White R.J., *A Short History of England*, Cambridge, 1967, 43.

<sup>59</sup> შუა საუკუნეების ისტორია, ნ.1, გ. კუტალიას რედაქტორობით, თბილისი, 2005, 316.

<sup>60</sup> Hackett J., *World Eras, Vol.4, Medieval Europe, 814-1350*, Gale Group, 2002, 232.

<sup>61</sup> შუა საუკუნეების ისტორია, ნ.1, გ. კუტალიას რედაქტორობით, თბილისი, 2005, 316.

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> იხ., Drew K.F., *Magna Carta*, Greenwood Press, 2004, 33-34.

<sup>64</sup> შუა საუკუნეების ისტორია, ნ.1, გ. კუტალიას რედაქტორობით, თბილისი, 2005, 316.

<sup>65</sup> Hackett J., *World Eras, Vol.4, Medieval Europe, 814-1350*, Gale Group, 2002, 231.

ქარტიის მიღების ზუსტი თარიღი უცნობია. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უამრავი ასლი გაკეთდა, რომელთაგან ერთ-ერთი, დღემდე შემორჩენილი ეგზემპლარი 15 ივნისით თარიღდება, შესაბამისად, ივარაუდება, რომ სწორედ ამ დღეს დამოწმდა იგი დიდი სახელმწიფო ბეჭდით.<sup>66</sup>

## 1.2. ქარტიის შინაარსი

თავისი შინაარსიდან გამომდინარე, *ქარტია ფეოდალური სახელმწიფო წესრიგისთვის იმდენად რევოლუციური იყო, რომ ეკლესიაც და სახელმწიფოც მის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი*.<sup>67</sup> დოკუმენტი უამრავ პრობლემურ სოციალურ საკითხს აწესრიგებდა, მათ შორის, რაინდებთან და სამხედრო ბეგარასთან დაკავშირებულ სფეროებს,<sup>68</sup> თუმცა დებულებათა უმრავლესობა მეფის ფეოდალური ძალაუფლებისა და უფლებამოსილებათა გამოყენების შეზღუდვასა და გაკონტროლებას ისახავდა მიზნად.<sup>69</sup> საბოლოო ჯამში, იგი ფეოდალური სამყაროს ფეოდალური დოკუმენტია, რომლის მიზანიც ბარონთა ძლიერების, უსაფრთხოებისა და სიმშვიდის უზრუნველყოფა იყო<sup>70</sup>.

**63 მუხლისა და პრეამბულისგან შემდგარი ქარტია (ქარტია მუხლებად და პრეამბულად XVIII საუკუნეში მოსამართლე ლორდმა ბლექსთონმა დაყო<sup>71</sup>) აწესრიგებდა ეკლესიის უფლებებს, მინის იჯარასა და სარგებლობას, ვაჭრობის საკითხებს, ქალაქების და სამეფო ტყეთა სტატუსს, სამეფო თანამდებობის პირთა ქცევას და ა.შ.**<sup>72</sup> მან, გარკვეულწილად, ედუარდ აღმსარებლისეული ძველი

---

<sup>66</sup> Bartlett R., *England Under the Norman and Angevin Kings, 1075-1225*, Oxford, 2000, 64-65.

<sup>67</sup> იხ., იქვე, 64.

<sup>68</sup> იხ., Kaye J.M., *Medieval English Conveyances*, Cambridge University Press, 2009, 106-107.

<sup>69</sup> Bartlett R., *England Under the Norman and Angevin Kings, 1075-1225*, Oxford, 2000, 65.

<sup>70</sup> White R.J., *A Short History of England*, Cambridge, 1967, 78-79.

<sup>71</sup> გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო, სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 115.

<sup>72</sup> იხ., Hackett J., *World Eras, Vol.4, Medieval Europe, 814-1350*, Gale Group, 2002, 232.

წესები და ტრადიციები აღადგინა.<sup>73</sup> „თავისუფლებათა დიდმა ქარტიამ“ მოაწესრიგა 1066 წლიდან არსებული ბარონებისა და მეფის ურთიერთობა ფეოდალური ტრადიციის, დამკვიდრებული ჩვეულებებისა და კანონების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად ამ წესების კოდიფიკაციაც კი განხორციელდა.<sup>74</sup>

ფეოდალთა ძირითადი შემოსავალი უძრავი ქონებიდან ინარმოებოდა,<sup>75</sup> ამიტომაც დოკუმენტი განსაკუთრებულად იცავდა მსგავს ქონებრივ უფლებებს და კრძალავდა ვასალებისგან იმაზე მეტი გადასახადის აკრეფას, ვიდრე ეს ჩვეულებითი სამართლით იყო დადგენილი, ამასთან, „ფარის ფულის“ აკრეფა მხოლოდ ბარონების თანხმობით დაიშვებოდა.<sup>76</sup> დადგინდა პრინციპი: **„არავითარი დაბეგვრა წარმომადგენლობის გარეშე“ (რომელიც მომავალში ამერიკული რევოლუციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ იდეად იქცა).**<sup>77</sup>

ბარონებმა ქარტიით გარკვეულ საპროცესო უფლებებსაც მიაღწიეს: მათი გასამართლება მხოლოდ მათივე თანახმობით დიდებულებით დაკომპლექტებულ სასამართლოს შეეძლო და არა მეფეს ერთპიროვნულად.<sup>78</sup> სწორედ ამის შემდეგ მეფის სასამართლო უბრალოდ კურია აღარ იყო, იგი დიდგვაროვნების თავშეყრის ადგილად მოიაზრებოდა და ერთგვარად კოლექტიური ძალაუფლების სიმბოლოსაც წარმოადგენდა.<sup>79</sup> ქარტია იცავდა რაინდთა და სხვა სოციალური ფენების ინტერესებსაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტწილად ბარონებზე იყო ორიენტირებული.<sup>80</sup> ამასთან, დოკუმენტით ხელშეუხებლობის მტკიცე გარანტიები მიიღო მეფემ და სამეფო ოჯახმაც.<sup>81</sup>

---

<sup>73</sup> White R.J., *A Short History of England*, Cambridge, 1967, 42.

<sup>74</sup> Drew K.F., *Magna Carta*, Greenwood Press, 2004, 21.

<sup>75</sup> Bartlett R., *England Under the Norman and Angevin Kings, 1075-1225*, Oxford, 2000, 224.

<sup>76</sup> შუა საუკუნეების ისტორია, წ.1, გ. კუტალიას რედაქტორობით, თბილისი, 2005, 317.

<sup>77</sup> Anastaplo G., *Reflections on Constitutional Law*, University of Kentucky Press, 2006, 12.

<sup>78</sup> იქვე.

<sup>79</sup> Vinogradoff P., *Magna Carta, C.39*, in: *Magna Carta, Commemoration Essays*, Edited by H.E. Malden, Royal Historical Society, 1917, 79-87.

<sup>80</sup> იხ., შუა საუკუნეების ისტორია, წ.1, გ. კუტალიას რედაქტორობით, თბილისი, 2005, 317.

<sup>81</sup> იხ., იქვე, 318.

ისტორიულად, ლონდონს განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა მისი მნიშვნელობიდან, ფართობიდან და მდებარეობიდან გამომდინარე.<sup>82</sup> 1215 წელს კი ოფიციალურად მოიპოვა თვითმმართველობა და დაიკანონა ფაქტობრივად არსებული და წლების განმავლობაში მიღებული პრივილეგიები.<sup>83</sup> ქარტიამ სხვა დიდ ქალაქებს ოფიციალურად მიანიჭა ის უფლებები და სტატუსი, რაც მათ *de facto* ისედაც ჰქონდათ მეფესთან ვაჭრობით მოპოვებული<sup>84</sup>.

**დოკუმენტის პირველი მუხლი ეკლესიის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა და მეფეს მის საქმეებში ჩარევას უკრძალავდა.**<sup>85</sup> მართალია, ქარტიამ ეკლესიას „თავისუფლებები“ მიანიჭა და მისი დამოუკიდებლობაც აღიარა<sup>86</sup>, თუმცა ამან სასულიერო და საერო ძალაუფლებას შორის ჭიდილს ინგლისში წერტილი მაინც ვერ დაუსვა.<sup>87</sup> პირველი მუხლი დღემდე ეკლესიასახელმწიფოს ურთიერთობის ბრიტანული მოდელის საფუძვლად მიიჩნევა და კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.

შეიქმნა საბჭო 25 ბარონის შემადგენლობით, რომელიც ხელმწიფოს საქმიანობას ზედამხედველობდა<sup>88</sup> და საჭიროების შემთხვევაში, თუკი მეფე 40 დღის განმავლობაში არ გამოასწორებდა თავისი ქმედებების შედეგს, ფაქტობრივად, ბარონებს აჯანყების უფლებასაც უკანონებდა.<sup>89</sup> აღნიშნულმა საბჭომ მომავალში განაპირობა მსოფლიოში პირველი საკანონმდებლო ორგანოს შექმნა, რომელმაც რეალურად შებოჭა სუვერენის ერთპიროვნული ძალაუფლება და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე პარლამენტარიზმის განვითარებას.

---

<sup>82</sup> Bartlett R., *England Under the Norman and Angevin Kings, 1075-1225*, Oxford, 2000, 342.

<sup>83</sup> *Great Charter of Liberties, English Translation*, Edited by W. Blackstone, Clause 13.

<sup>84</sup> Drew K.F., *Magna Carta*, Greenwood Press, 2004, 20; გაჩეჩილაძე რ., *გაერთიანებული სამეფო, სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი*, 2016, 116.

<sup>85</sup> *Great Charter of Liberties, English Translation*, Edited by W. Blackstone, Clause 1, Clause 61.

<sup>86</sup> იქვე, Clause 1.

<sup>87</sup> Drew K.F., *Magna Carta*, Greenwood Press, 2004, 11.

<sup>88</sup> *Great Charter of Liberties, English Translation*, Edited by W. Blackstone, Clause 61.

<sup>89</sup> იხ., იქვე; შუა საუკუნეების ისტორია, ნ.1, გ. კუტალიას რედაქტორობით, თბილისი, 2005, 318.

ქარტიის 39-ე მუხლმა<sup>90</sup> ჩამოაყალიბა თანამედროვე ადამიანის საპროცესო უფლებების უმთავრესი საფუძველი – ადამიანის დაკავების, დაპატიმრებისა თუ გაძევებისათვის აუცილებელ წინაპირობად სამართლიანი სასამართლოს გამართვა და სამართლის წინაშე თანასწორობის დაცვით წარმართული პროცესით მიღებული გადაწყვეტილება იქცა.<sup>91</sup> აიკრძალა უფლებისა და მართლმსაჯულების გაუქმება, გადაცემა თუ გასხვისება,<sup>92</sup> დაუშვებლად გამოცხადდა მხოლოდ სახელმწიფო მოხელის მტკიცების საფუძველზე, დაუსაბუთებლად, შესაბამისი მტკიცებულებებისა და სანდო მონშეების გარეშე ვინმეს გასამართლება.<sup>93</sup> ქარტიამ, მართალია, შუა საუკუნეების სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა მაინც, დაამკვიდრა სამართლის წინაშე თანასწორობის პრინციპი,<sup>94</sup> რომელიც შემდგომში ადამიანის ძირითად უფლებად იქცა და სამართლებრივი სისტემის დემოკრატიულობის, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის აუცილებელ კომპონენტად ჩამოყალიბდა.

### 1.3. ქარტიის შემდგომი ბედი

ინოკენტი III (რომელიც ენინაალმდეგებოდა დოკუმენტს და იგი კანონგარეშედ გამოაცხადა) შემდგომმა პაპმა მიიღო ქარტია და მეფედ ჯონის ცხრა წლის მემკვიდრე ცნო, ამასთან, ფილიპ ავგუსტი აიძულა საფრანგეთში დაბრუნებულიყო და ინგლისის დაპყრობაზე

---

<sup>90</sup> „არც ერთი თავისუფალი ადამიანი არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, ციხეში ჩაისვას, ან ჩამოერთვას ქონება, ან კანონგარეშედ გამოცხადდეს, ან განიდევნოს, და არ გამოვიყენებთ მის წინააღმდეგ ძალას, და არ ვაგზავნით მი წინააღმდეგ სხვებს, თუ არ იქნება მის თანასწორთა კანონიერი განჩინება ქვეყნის კანონის შესაბამისად“. გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო, სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 115.

<sup>91</sup> Great Charter of Liberties, English Translation, Edited by W. Blackstone, Clause 39.

<sup>92</sup> იქვე, Clause 40. „არავის მივყიდით, არავის ვეტყვით უარს, არავის გადავუდეთ კანონსა და სამართალს“ იხ., გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო, სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 116.

<sup>93</sup> Great Charter of Liberties, English Translation, Edited by W. Blackstone, Clause 38.

<sup>94</sup> იხ., იქვე, Clause 60.

ხელი აელო.<sup>95</sup> 1216 წლის 12 ნოემბერს მეფე ჰენრი III თავიდან დაამტკიცა ქარტია, არსებითად პირვანდელი სახით, თუმცა სამეფო ძალაუფლების შემზღუდავი რამდენიმე მუხლის გამოკლებით.<sup>96</sup> ქარტიის შემდგომი გამოცემა 1217 წელს ინგლისისთვის თავისუფლებისა და სტაბილურობის მომტანიც იყო, ვინაიდან თავისუფლებათა აღიარებამ და განმტკიცებამ საფრანგეთის მეფე ლუის მოუხსპო შესაძლებლობა, ინგლისელთა დაქსაქსულობით ესარგებლა და საბოლოოდ დაეპყრო ქვეყანა.<sup>97</sup> ჰენრი III ხშირად მოსდიოდა ბარონებთან უთანხმოება და სულ მცირე ექვსჯერ მაინც გააუქმა ქარტიის მოქმედება, თუმცა ამდენჯერვე მოუწია მისი ხელახალი დამტკიცება და აღდგენა.<sup>98</sup>

ქარტია წლების განმავლობაში გამოიცემოდა, მტკიცდებოდა და იცვლებოდა,<sup>99</sup> მისი საბოლოო ვერსია კი 1297 წელს ედუარდ I მიიღო და დაამოწმა.<sup>100</sup> ამ უკანასკნელს გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუწია, რადგანაც შოტლანდიასთან ომისთვის დამატებითი სახსრები სჭირდებოდა, ამიტომ პარლამენტს ქარტიის გამოცემაზე დათანხმდა.<sup>101</sup> ამ შემთხვევაში, ვინაიდან პარლამენტმა დაამტკიცა მეფის მიერ გამოცემული ქარტიის ტექსტი,<sup>102</sup> მისი მოქმედება მეფის სუვერენულ ნება-სურვილზე აღარ იყო დამოკიდებული და მუდმივი სავალდებულო ძალა შეიძინა.

წლების განმავლობაში დოკუმენტმა ფორმალური სტატუსი დაკარგა, თუმცა მისი ძირითადი დებულებები სხვადასხვა, ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში მოექცა და უამრავი აქტის სამართლებრივ საფუძვლად იქცა, რამაც განსაზღვრა კიდევ გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუციის სახე და რაობა. *Magna Carta Liberatum* იქცა მსოფლიოში პირველი კონსტიტუციის ამოსავალ

<sup>95</sup> Thordnike L., The History of Medieval Europe, The University Press Cambridge, 1917, 459-460.

<sup>96</sup> Bartlett R., England Under the Norman and Angevin Kings, 1075-1225, Oxford, 2000, 66.

<sup>97</sup> იხ., Gillingham J., The Angevin Empire, 2<sup>nd</sup> Ed., New York, 2001, 108.

<sup>98</sup> იხ., შუა საუკუნეების ისტორია, ნ.1, გ. კუტალიას რედაქტორობით, თბილისი, 2005, 319.

<sup>99</sup> Hackett J., World Eras, Vol.4, Medieval Europe, 814-1350, Gale Group, 2002, 232.

<sup>100</sup> Drew K.F., Magna Carta, Greenwood Press, 2004, 34.

<sup>101</sup> გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო, სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 117.

<sup>102</sup> იქვე.

დოკუმენტად. სწორედ ამიტომაც „თავისუფლებათა დიდ ქარტიას“, არცთუ უბრალოდ უწოდებენ „სამართლის უზენაესობის ჩანასახს“ (*The Rule of Law in Embryo*).<sup>103</sup> მისი მნიშვნელობა მსოფლიო კონსტიტუციონალიზმისთვის განუსაზღვრელია.

## 2. ქარტიიდან კონსტიტუციამდე

### 2.1. კონსტიტუციონალიზმის წელი განვითარება

თავისუფლებათა ქარტიის მსგავსი სამართლებრივი დოკუმენტები XIII საუკუნის შემდგომ პერიოდში, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მიიღებოდა და მათი მთავარი იდეა სამეფო ძალაუფლების შეზღუდვა იყო.<sup>104</sup> სახელმწიფო ხელისუფლების ერთპიროვნული შეზღუდვის ლოგიკური გაგრძელება პარლამენტის შექმნა იყო, რომლის უპირველეს ფუნქციადაც სწორედ ხელისუფლების საქმიანობის კონტროლი იქცა. იგი თავდაპირველად, 1265-1295 წლებში, არარეგულარულად, მეფის მიერ გადასახადების მომატებისას, ამ გადანყევტილების დასამტკიცებლად იკრიბებოდა, სანამ მორიგი შეკრებისას მეფე არ აიძულეს, კომპრომისზე წასულიყო.<sup>105</sup>

*თითოეული უფლება, კონსტიტუციონალიზმის თითოეული ახალი ინსტიტუტი პარლამენტის, ხალხის წარმომადგენლებისა და ხელმწიფის გამუდმებული კონფრონტაციის, დაძაბულობისა და ხანდახან ომის შედეგად კანონდებოდა. ამ მხრივ გარდამტეხ ეტაპად XVII საუკუნე იქცა. სწორედ ამ ეპოქაში აბსოლუტური მმართველობის წინააღმდეგ მიმართულმა რევოლუციებმა და დოკუმენტებმა მისცეს ბიძგი თანამედროვე საკონსტიტუციო სამართლის ჩამოყალიბებას.<sup>106</sup> 1628 წელს ინგლისში მიღებულ იქნა უფლებათა პეტიცია (*Petition of Rights*),<sup>107</sup> რომელიც უშუალოდ*

---

<sup>103</sup> იქვე, 118.

<sup>104</sup> იხ., Van Caenegem R.C., *An Historical Introduction to Western Constitutional Law*, Cambridge University Press, 1995, 17.

<sup>105</sup> Strong C.F., *A History of Modern Political Constitutions*, New York, 1963, 29.

<sup>106</sup> იხ., Глотов С.А., Фомиченко М.П., *Конституционное Право*, Москва, 2011, 8.

<sup>107</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., *კონსტიტუციური სამართალი*, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 239; Bradley A.W., Ewing K.D., *Constitutional and Administrative Law*, 14<sup>th</sup> Ed., Pearson Longman, 2007, 14.

უპირისპირდებოდა სამეფო ხელისუფლებასა და ჩარლზ I.<sup>108</sup> „უფლებათა პეტიცია“ კრძალავდა გადასახადების დაწესებას პარლამენტის თანხმობის გარეშე, უკანონო პატიმრობას, მშვიდობიანობის პერიოდში ჯარის შეკრებას და ა.შ.<sup>109</sup> დოკუმენტმა იმდენად შეაფინროვა სამეფო ხელისუფლება, რომ შედეგად, 1640-იანი წლების ინგლისში რევოლუცია მოეწყო და ჩარლზ I ტახტიდან ჩამოაგდეს, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯეს. აღსანიშნავია, რომ ამ რევოლუციამ დიდწილად განსაზღვრა 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის ხასიათი. ორივე მათგანის მთავარი მიზანი ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფა და უფლებების უგულბებლყოფის ხანგრძლივი ეტაპის დასრულება იყო<sup>110</sup>.

## 2.2. „ჰაბეას კორპუს აქტი“

„ჰაბეას კორპუს აქტი“ (*Habeas Corpus Act*) თავისუფლებათა დიდი ქარტიის იდეური და ლოგიკური გაგრძელება იყო, რომელმაც კიდევ უფრო გააფართოვა უფლებებით დაცული სფერო, შეზღუდა სახელმწიფო ხელისუფლება ადამიანის სასარგებლოდ.<sup>111</sup> იგი 1679 წელს მიიღო ინგლისის პარლამენტმა,<sup>112</sup> მას შემდეგ, რაც ვიგებმა საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვეს, – სწორედ მათი საქმიანობისა<sup>113</sup> და უფლებების განვითარების ხანგრძლივი ეტაპის შედეგია „ჰაბეას კორპუს აქტი“<sup>114</sup>.

აქტის საკონსტიტუციოსამართლებრივი ღირებულება განუზომელია, თუმცა მას ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი არ შეუქმნია, არამედ სამართლებრივ დოკუმენტში განამტკიცა საერთო სა-

---

<sup>108</sup> Bradley A.W., Ewing K.D., *Constitutional and Administrative Law*, 14<sup>th</sup> Ed., Pearson Longman, 2007, 14.

<sup>109</sup> იქვე.

<sup>110</sup> იხ., Friedrich C.J., *The Political Theory of the New Democratic Constitutions*, in: *Constitutions and Constitutional Trends since World War II*, Edited by A.J. Zurcher, 2<sup>nd</sup> Ed., New York, 1955, 14.

<sup>111</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 21.

<sup>112</sup> განჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 188.

<sup>113</sup> იქვე.

<sup>114</sup> Medley D.J., *English Constitutional History*, 5<sup>th</sup> Ed., Oxford, 1913, 474.

მართალში მანამდე არსებული თავისუფლების დაცვის სტანდარტი.<sup>115</sup> „ჰაბეას კორპუს აქტის“ საფუძველზე აიკრძალა პირის უსაფუძვლო დადანაშაულება და პასუხისგებაში მიცემა,<sup>116</sup> მან უზრუნველყო ყველა ბრალდებულისა თუ განსასჯელის უფლება, უშუალოდ ყოფილიყო პროცესზე წარმოდგენილი (პირდაპირი მნიშვნელობით, *Habeas Corpus* „სხეულის ქონას“ ნიშნავს<sup>117</sup>) და უფლების დაცვის საშუალება მისცემოდა.<sup>118</sup> ჰაბეას კორპუსით აიკრძალა ბრალდებულთა უკანანო პატიმრობა<sup>119</sup> და სახელმწიფოს დაევალა, დაკავებული პირები სასამართლოსთვის წარედგინათ დაკავებიდან არაუგვიანეს 20 დღისა.<sup>120</sup> ამასთან, დაკავება-დაპატიმრება სრულად დაუკავშირდა სასამართლოს უფლებამოსილებას.<sup>121</sup> აიკრძალა პირის სახელმწიფოდან გაძევება და გასახლება.<sup>122</sup> დოკუმენტმა დაასრულა გაჭიანურებული პროცესები და პირის დაკავების განუსაზღვრელი ვადა, რომლის განმავლობაშიც იგი ბედს იყო მინდობილი.<sup>123</sup> სახელმწიფო ლალატსა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ბრალდებულებს მიეცა შესაძლებლობა, მათი საქმე დაჩქარებული წესით ყოფილიყო განხილული.<sup>124</sup>

ჰაბეას კორპუსმა უზრუნველყო პირის ხელშეუხებლობის უფლების განმტკიცება, რამაც დიდწილად განაპირობა კიდევ სა-

---

<sup>115</sup> Sir Creasy D., *The Rise and Progress of the English Constitution*, 17<sup>th</sup> Ed., Macmillan and Co., London, 1907, 252-253.

<sup>116</sup> Strong C.F., *A History of Modern Political Constitutions*, New York, 1963, 32.

<sup>117</sup> Van Caenegem R.C., *An Historical Introduction to Western Constitutional Law*, Cambridge University Press, 1995, 114.

<sup>118</sup> Maitland F.W., *The Constitutional History of England*, Cambridge, 1919, 315.

<sup>119</sup> გაჩეჩილაძე რ., გავრთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 188.

<sup>120</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 239.

<sup>121</sup> Van Caenegem R.C., *An Historical Introduction to Western Constitutional Law*, Cambridge University Press, 1995, 114.

<sup>122</sup> Maitland F.W., *The Constitutional History of England*, Cambridge, 1919, 315.

<sup>123</sup> იბ., Van Caenegem R.C., *An Historical Introduction to Western Constitutional Law*, Cambridge University Press, 1995, 115.

<sup>124</sup> Sir Creasy D., *The Rise and Progress of the English Constitution*, 17<sup>th</sup> Ed., Macmillan and Co., London, 1907, 254.

მართლებრივი სახელმწიფოს იდეის პრატიკული ჩამოყალიბება.<sup>125</sup> მართალია, „ჰაბეას კორპუს აქტის“ მნიშვნელობა განუსაზღვრელია პირის თავისუფლების დაცვისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი, ასევე, მნიშვნელოვანია სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ურთიერთმიმართების კუთხითაც.<sup>126</sup> სწორედ მის საფუძველზე იქნა მომავალში მიღებული უმნიშვნელოვანესი კანონები, რომლებმაც სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამართლის უზენაესობა უზრუნველყვეს.

### 2.3. „უფლებათა ბილი“

1688 წელს ინგლისში უსისხლო რევოლუცია მოხდა, ტახტიდან ჩამოაგდეს ჯეიმს II, რამაც ნერტილი დაუსვა მონარქების მიერ აღმასრულებელი ძალაუფლების განხორციელებას.<sup>127</sup> ინგლისის ახალი მეფე და დედოფალი, რომლებიც პარლამენტმა ჯეიმს II ჩამოგდების შემდეგ მოიწვია, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა აღიარებას დათანხმდნენ.<sup>128</sup> ამას შედეგად მოჰყვა ინგლისის პარლამენტის მიერ „უფლებათა ბილის“ მიღება 1689 წლის 19 დეკემბერს,<sup>129</sup> რომელმაც როგორც ძალაუფლების შეზღუდვისა და კონსტიტუციური მონარქიის საბოლოოდ დამკვიდრების კუთხით, ისე ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში.

**„უფლებათა ბილის“ უმთავრესი მიზანი მეტი პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფა იყო.<sup>130</sup> მან მონარქს ჩამოართვა გადასახადების აკრეფის უფლებამოსილება და იგი სრულად დაექვემდებარა პარლამენტს, მეფე აღიარებდა პარლამენტის უზენაესობას, ცნობდა მის მიერ მიღებულ კანონმდებლობას და პარ-**

<sup>125</sup> გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 188.

<sup>126</sup> Medley D.J., *English Constitutional History*, 5<sup>th</sup> Ed., Oxford, 1913, 475.

<sup>127</sup> იხ., გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 190.

<sup>128</sup> იხ., Van Caenegem R.C., *An Historical Introduction to Western Constitutional Law*, Cambridge University Press, 1995, 115-116.

<sup>129</sup> გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 190.

<sup>130</sup> Van Caenegem R.C., *An Historical Introduction to Western Constitutional Law*, Cambridge University Press, 1995, 117.

ლამენტი სამ წელიწადში ერთხელ აუცილებლად მოიწვეოდა.<sup>131</sup> დოკუმენტით განმტკიცდა პეტიციის უფლება, პარლამენტის არჩევნების თავისუფლება და საპარლამენტო დებატები.<sup>132</sup> აქვე უნდა ითქვას, რომ 1689 წლის „უფლებათა ბილი“ მიიჩნევა რაციონალიზებული პარლამენტარიზმისკენ გადასვლის საწყის წერტილად.<sup>133</sup>

შეიძლება ითქვას, ბილი „ჰაბეას კორპუს აქტის“ ლოგიკური გაგრძელება იყო.<sup>134</sup> მას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების უზრუნველმყოფი აქტების მთელი წყება მიჰყვა. 1696 წელს ინგლისის პარლამენტმა ფაქტობრივად გააუქმა ცენზურა.<sup>135</sup> 1701 წელს მიღებულ იქნა „მონყობის აქტი“ (*Act of Settlement*), რამაც უზრუნველყო სასამართლოს დამოუკიდებლობა ხელისუფლების სხვა შტოებისგან,<sup>136</sup> საბოლოოდ ჩამოაყალიბა კონსტიტუციური მონარქია და შეავსო „უფლებათა ბილის“ მიერ პარლამენტისთვის მოპოვებული პოლიტიკური კომპეტენციები.<sup>137</sup> უსისხლო რევოლუციის შედეგად მიღებულმა აქტებმა შეზღუდეს მეფის ძალაუფლება, შემოიღეს მეფის მინისტრთა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობის პრინციპი.<sup>138</sup> საბოლოო ჯამში, XVII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებულმა უმნიშვნელოვანესმა დოკუმენტებმა ჩამოაყალიბეს სამართლის უზენაესობის

---

<sup>131</sup> იხ., გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 190; Van Caenegem R.C., *An Historical Introduction to Western Constitutional Law*, Cambridge University Press, 1995, 116.

<sup>132</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ქილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 21-22.

<sup>133</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 239.

<sup>134</sup> იხ., Sir Creasy D., *The Rise and Progress of the English Constitution*, 17<sup>th</sup> Ed., Macmillan and Co., London, 1907, 256.

<sup>135</sup> გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016, 191.

<sup>136</sup> იხ., Van Caenegem R.C., *An Historical Introduction to Western Constitutional Law*, Cambridge University Press, 1995, 17.

<sup>137</sup> Bradley A.W., Ewing K.D., *Constitutional and Administrative Law*, 14<sup>th</sup> Ed., Pearson Longman, 2007, 15.

<sup>138</sup> იქვე.

(*Rule of Law*) ბრიტანული გაგება<sup>139</sup>, რომელიც ინგლისური სამართლის ოჯახში დღემდე მოქმედებს.

### 3. საკონსტიტუციო სამართლის გარდაქმნა და ამერიკული კონსტიტუციონალიზმი 3.1. 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია

დამოუკიდებლობის დეკლარაციამ (*Declaration of Independence*) ამერიკის შეერთებული შტატებისთვის „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ როლი შეასრულა: *ორივე უფლების დაცვის იდეით იყო განმსჭვალული და ორივე დოკუმენტი აჯანყებულების ინიციატივით შეიქმნა.*<sup>140</sup> სწორედ ამიტომ ამერიკული იურისპრუდენცია სახელმწიფოს პოლიტიკურ ავტონომიას 1776 წლის 4 ივლისს უკავშირებს.<sup>141</sup> **დამოუკიდებლობის დეკლარაციით იწყება თანამედროვე დოკუმენტური კონსტიტუციონალიზმი.**<sup>142</sup>

მართალია, დამოუკიდებლობის დეკლარაცია თომას ჯეფერსონის სახელს უკავშირდება, თუმცა ეს იმას არ გულისხმობს, რომ დოკუმენტში ექსკლუზიურად მხოლოდ ჯეფერსონის იდეებია. იგი ასახავს იმ პერიოდის ამერიკული ელიტის აზროვნების ძირითად მიმართულებებსა და იდეებს, თუ როგორ აღიქვამდნენ ადამიანის უფლებებს.<sup>143</sup> დოკუმენტმა, ერთი მხრივ, მსოფლიოს ამცნო ახალი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების, შექმნა და ის ძირითადი ღირებულებები, რასაც იგი დაეფუძნებოდა (თავისუფლება, სიცოცხლე, ბედნიერებისკენ სწრაფვა<sup>144</sup> – ამ შემთხვევაში მთავარ ორიენტირად ლიბერალიზმის ლოკისეული გაგება იქნა აღებული), მეორე მხრივ კი, ინგლისის იმპერიას ომი გამოუცხადა.

---

<sup>139</sup> Strong C.F., *A History of Modern Political Constitutions*, New York, 1963, 32.

<sup>140</sup> იბ., Anastaplo G., *Reflections on Constitutional Law*, University of Kentucky Press, 2006, 17.

<sup>141</sup> Sandefur T., *The Conscience of the Constitution, The Declaration of Independence and the Right to Liberty*, Cato Institute, 2014, 15.

<sup>142</sup> Strong C.F., *A History of Modern Political Constitutions*, New York, 1963, 37.

<sup>143</sup> Sandefur T., *The Conscience of the Constitution, The Declaration of Independence and the Right to Liberty*, Cato Institute, 2014, 11.

<sup>144</sup> Declaration of Independence of the United States of America, 4 July 1776.

დამოუკიდებლობის დეკლარაცია უდიდეს მნიშვნელობას ატარებს. ჯეფერსონი, უილსონი და ლინკოლნიც მას შეერთებული შტატების ფუძემდებლურ აქტად მიიჩნევენ.<sup>145</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ თანასწორობის იდეა ექსპლიციტურად დააფიქსირა დამოუკიდებლობის დეკლარაციამ, რომელსაც მომავალში მთელი სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება მოჰყვა.<sup>146</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ დოკუმენტს ნორმატიული ძალა არასდროს ჰქონია, იგი „განცხადებად“ დარჩა. სკალიას შეფასებით, დამოუკიდებლობის დეკლარაციას სამართლებრივი ძალა არ გააჩნია და არც ამერიკული სამართლის ნაწილია, მისი გამოყენება მხოლოდ კონსტიტუციის ინტერპრეტაციის შეიძლება, ისიც არა მხოლოდ ძალით.<sup>147</sup> მიუხედავად ამისა, იგი არაერთხელ გამოუყენებიათ ამერიკულ სასამართლოებს არგუმენტაციისთვის, ამასთან, **დეკლარაცია დღემდე ინარჩუნებს უდიდეს პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და სიმბოლურ დატვირთვას როგორც ამერიკული საზოგადოებისთვის, ისე მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის.**

### 3.2. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია

ბრიტანული კონსტიტუცია ნელი, ეტაპობრივი და კონვენციური განვითარების შედეგია<sup>148</sup>, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დაგროვებულ გამოცდილებასა და ცოდნას აერთიანებს. კონსტიტუციის ცნების ქვეშ ბრიტანელები ყოველთვის კანონთა, ინსტიტუტებისა და ჩვეულებების ერთობლიობას მოიაზრებდნენ.<sup>149</sup> ლოგიკურად, გაერთიანებულ სამეფოს მსოფლიოს უძველესი კონსტიტუცია აქვს, თუმცა აშშ-ის კონსტიტუცია 1787 წლის 17 სექტემბრით თარიღდება და იგი უძველესი წერილობითი

---

<sup>145</sup> Sandefur T., *The Conscience of the Constitution, The Declaration of Independence and the Right to Liberty*, Cato Institute, 2014, 15.

<sup>146</sup> Anastaplo G., *Reflections on Constitutional Law*, University of Kentucky Press, 2006, 15.

<sup>147</sup> Sandefur T., *The Conscience of the Constitution, The Declaration of Independence and the Right to Liberty*, Cato Institute, 2014, 15.

<sup>148</sup> Strong C.F., *A History of Modern Political Constitutions*, New York, 1963, 33.

<sup>149</sup> Griffin S.M., *American Constitutionalism, From History to Politics*, Princeton University Press, 1996, 11.

**კონსტიტუციაა მსოფლიოში.**<sup>150</sup> უფრო მეტიც, სიტყვა „კონსტიტუციამ“ თანამედროვე მნიშვნელობა XVIII საუკუნის ბოლოდან, სწორედ ამერიკული და ფრანგული რევოლუციების შედეგად მიიღო.<sup>151</sup>

კონსტიტუციის ამერიკული იდეა, რომელიც ერთი, სისტემატიზებული, განსაკუთრებული სტატუსის დოკუმენტის არსებობას გულისხმობდა, ჯერ კიდევ რევოლუციის პერიოდში წარმოიშვა.<sup>152</sup> დამოუკიდებლობისთვის ომის შემდეგ შტატები მიხვდნენ, რომ ომის პერიოდში არსებული მთავრობითა და მმართველობის მონყობის პრინციპებით მშვიდობიანობის უამს ვერ იხელმძღვანელებდნენ, მათ გაცილებით ორგანიზებული ერთობა და მმართველობა სჭირდებოდათ.<sup>153</sup> აღსანიშნავია, შტატების ფედერალური კავშირი არ იყო პირველი ერთობა ოფიციალურად, ჯერ კიდევ 1643 წელს მასაჩუსეტსმა, ნიუ პლიმუტმა, კონექტიკუტმა და ნიუ ჰეივენმა შექმნეს კოალიცია ჰოლანდიელებისა და ინდიელების წინააღმდეგ.<sup>154</sup> *დამფუძნებლების აზრით, კონსტიტუცია „არასრულყოფილი საშუალება“ იყო „უფრო სრულყოფილი კავშირისთვის“.*<sup>155</sup>

ამერიკის რევოლუციის პერიოდში 13 შტატიდან 11-ს უკვე ჰქონდა კონსტიტუცია მიღებული<sup>156</sup>. ამ გამოცდილებისა და თავიანთი პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით, ფედერალისტები ფედერალური კონსტიტუციის მიღებას ემხრობოდნენ. მათი წარმოდგენით, კონსტიტუციას კონფედერაციის ნაკლოვანებებისა და გამოწვევებისადმი გამკლავება უნდა შეძლებოდა.<sup>157</sup> მედისონი კავშირის საუკეთესო მომავლის

---

<sup>150</sup> იხ., პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 322-323.

<sup>151</sup> Bradley A.W., Ewing K.D., Constitutional and Administrative Law, 14<sup>th</sup> Ed., Pearson Longman, 2007, 5.

<sup>152</sup> Griffin S.M., American Constitutionalism, From History to Politics, Princeton University Press, 1996, 12.

<sup>153</sup> Kanovitz J.R., Constitutional Law, 12<sup>th</sup> Ed., New Providence, 2010, 4.

<sup>154</sup> იქვე, 3.

<sup>155</sup> Swisher C.B., American Constitutional Development, Houghton Mifflin Company, 1943, 44.

<sup>156</sup> Laughlin M., Foundations of Public Law, London, 2012, 351.

<sup>157</sup> Kelly A.H., Harbison W.A., The American Constitution, Its Origins and Development, New York, 1948, 160.

უზრუნველყოფად სახელმწიფო ხელისუფლების სამ შტოდ დაყოფასა და ძალაუფლების გამიჯვნის იდეის რეალიზაციას მიიჩნევდა.<sup>158</sup> იგი ძალაუფლების გამიჯვნას არა მხოლოდ მმართველობის ეფექტურად განხორციელების საშუალებად, არამედ თავისუფლების უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმად მოიაზრებდა.<sup>159</sup>

ამერიკის კონსტიტუციის პროექტს კონვენტის (რომელსაც 13 შტატიდან 12 ესწრებოდა) 55 დელეგატიდან 39-მა მოაწერა ხელი,<sup>160</sup> რის შემდეგაც კონვენტის პრეზიდენტმა, ჯორჯ ვაშინგტონმა კონსტიტუციის პროექტი კონგრესის თავმჯდომარეს გაუგზავნა.<sup>161</sup> კონსტიტუციის პროექტს კონგრესში სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს.<sup>162</sup> მთავარ უკმაყოფილებას ძირითად კანონში ადამიანის უფლებების არარსებობა განაპირობებდა, ფედერალისტებს მიაჩნდათ, რომ ადამიანის უფლებები თითოეულ შტატს თავისი გემოვნებით უნდა ჩაენერა შტატის კონსტიტუციაში.<sup>163</sup> ხანგრძლივი დებატებისა და განხილვების შემდეგ კონსტიტუციის პროექტი შტატებს დაეგზავნა.<sup>164</sup> მათი უმრავლესობის რატიფიკაციის შედეგად, კონსტიტუციის საბოლოო რედაქცია დამტკიცდა. 1788 წლის 13 სექტემბერს კი კონგრესმა მიიღო დადგენილება ახალი კონსტიტუციის ამოქმედებასთან დაკავშირებით.<sup>165</sup> ძირითადი კანონის მიღება ფედერალისტების სრულ ტრიუმფს აღნიშნავდა.<sup>166</sup>

---

<sup>158</sup> Kanovitz J.R., Constitutional Law, 12<sup>th</sup> Ed., 4; Tushnet M., The Constitution of the United States of America, A Contextual Analysis, Hart Publishing, 2009, 11.

<sup>159</sup> Tushnet M., The Constitution of the United States of America, A Contextual Analysis, Hart Publishing, 2009, 16.

<sup>160</sup> Swisher C.B., American Constitutional Development, Houghton Mifflin Company, 1943, 41.

<sup>161</sup> იქვე.

<sup>162</sup> იქვე.

<sup>163</sup> იხ., გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავმესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, ჟურნ. „აკადემიური მაცნე“, სპეც. გამოცემა, 2017, 143.

<sup>164</sup> Swisher C.B., American Constitutional Development, Houghton Mifflin Company, 1943, 41.

<sup>165</sup> Kanovitz J.R., Constitutional Law, 12<sup>th</sup> Ed., New Providence, 2010, 5.

<sup>166</sup> Kelly A.H., Harbison W.A., The American Constitution, Its Origins and Development, New York, 1948, 160.

ამერიკულ კონსტიტუციონალიზმს ევროპული ფესვები აქვს<sup>167</sup> და ეს კონსტიტუციის ტექსტსაც ეყრება, რომელშიც დიდი მოცულობით აისახა როგორც ევროპის საკონსტიტუციო გამოცდილება, ისე განმანათლებლობისა და ჰუმანიზმის იდეები. ამერიკის კონსტიტუცია ჯამში შვიდი მუხლისგან შედგება, რომელთაგან პირველი სამი ხელისუფლების სამ შტოს ეხება<sup>168</sup> და მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი დღემდე უმრავლესობის ძალაუფლების შეზღუდვაა.<sup>169</sup> აშშ-ის კონსტიტუცია დინამიკური დოკუმენტია, რომელმაც შეძლო, გამკლავებოდა სხვადასხვა პერიოდის გამოწვევებსა და ცვალებად გარემოს.<sup>170</sup> კონსტიტუციის შემქმნელებმა მას თავიდანვე ისეთი მაღალი სტატუსი მიანიჭეს, რომ შემდგომშიც კი შესწორებები ტექსტში ძალიან დიდი სიფრთხილითა და ხანგრძლივი მსჯელობა-განხილვის შედეგად შედიოდა.<sup>171</sup> მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციას 27 შესწორება დაემატა, შეიძლება ითქვას, რომ მისი თავდაპირველი ტექსტი არსებითად უცვლელია.<sup>172</sup>

### 3.3. „უფლებათა ბილი“ და ადამიანის უფლებათა სამართლის აღმასვლა

კონსტიტუციის თავდაპირველი ტექსტი ძირითად უფლებათა დაცვის ძალიან ზოგად პრინციპს აყალიბებდა,<sup>173</sup> ვინაიდან *ფედერალისტებს მიაჩნდათ, რომ კონსტიტუციის მთავარი დანიშნულება იყო, მმართველობა დაექვემდებარებინა ძირითადი კანონისთვის ისე, რომ წლების განმავლობაში კონსტიტუციას*

---

<sup>167</sup> Tushnet M., *The Constitution of the United States of America, A Contextual Analysis*, Hart Publishing, 2009, 9.

<sup>168</sup> Swisher C.B., *American Constitutional Development*, Houghton Mifflin Company, 1943, 34.

<sup>169</sup> Sandefur T., *The Conscience of the Constitution, The Declaration of Independence and the Right to Liberty*, Cato Institute, 2014, 5.

<sup>170</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014, 29.

<sup>171</sup> Anastaplo G., *Reflections on Constitutional Law*, University of Kentucky Press, 2006, 7.

<sup>172</sup> Friedman L.M., *A History of American Law*, 3<sup>rd</sup> Ed., New York, 2005, 65.

<sup>173</sup> Stephens O.H.Jr., Scheb J.M.II, *American Constitutional Law, Vol.2, Civil Rights and Liberties*, 4<sup>th</sup> Ed., Thomson Wadsworth, 2008, 9.

*შემაკავებელი, მაკონტროლებელი ფუნქცია შეესრულებინა და ხელისუფლების მოქმედების მკაცრი ჩარჩოები დაედგინა.*<sup>174</sup> „უფლებათა ბილი“ გარკვეული საფასური იყო, რათა ანტიფედერალისტებს თავად კონსტიტუციისთვის მხარი დაეჭირათ.<sup>175</sup> მხარდაჭერის სანაცვლოდ, მედისონი და ფედერალისტები უფლებათა ბილის შემუშავებას თანახმდნენ.<sup>176</sup>

1789 წლის სექტემბერში კონგრესმა მიიღო 12 მუხლისგან შემდგარი უფლებათა ბილი და იგი დასამტკიცებლად შტატებს გადაეგზავნა.<sup>177</sup> შტატებმა უფლებათა ბილის 12 მუხლიდან 2 არ დაამტკიცეს (დოკუმენტის საბოლოო მიღებაში გადამწყვეტი როლი ვირჯინიის შტატმა ითამაშა<sup>178</sup>), 10 მუხლი (შესწორება) კი (რომელთაგან 9 ძალზე კონკრეტული, ანგლოამერიკული სამართლის დამახასიათებელ, დეკლარაციული ხასიათის უფლებას ადგენს<sup>179</sup>) კონსტიტუციას დაემატა და 1791 წლიდან დეკემბრიდან ამოქმედდა.<sup>180</sup>

დოკუმენტს წინ უძღოდა შტატების მიერ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფი აქტების მიღების პროცესი. მიღებულ დოკუმენტებს შორის გამორჩეულია ვირჯინიის „უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც 1776 წელს იქნა მიღებული<sup>181</sup> და რომელიც მომავალში რამდენიმე შტატმა გადაიღო, ბევრმა კი მისით იხელმძღვანელა.<sup>182</sup> იგი განსაკუთრებული დოკუმენტი იყო, რომელიც შინაარსობრივად შტატის კონსტიტუციის ნაწილადაც

---

<sup>174</sup> Griffin S.M., *American Constitutionalism, From History to Politics*, Princeton University Press, 1996, 6.

<sup>175</sup> იხ., Laughlin M., *Foundations of Public Law*, London, 2012, 351.

<sup>176</sup> Tushnet M., *The Constitution of the United States of America, A Contextual Analysis*, Hart Publishing, 2009, 17; Kanovitz J.R., *Constitutional Law*, 12<sup>th</sup> Ed., New Providence, 2010, 19.

<sup>177</sup> Stephens O.H.Jr., Scheb J.M.II, *American Constitutional Law, Vol.2, Civil Rights and Liberties*, 4<sup>th</sup> Ed., Thomson Wadsworth, 2008, 9.

<sup>178</sup> Sheldon Ch.H., *Essentials of the American Constitution, The Supreme Court and the Fundamental Law*, Westview Press, 2002, 119.

<sup>179</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 326.

<sup>180</sup> Stephens O.H.Jr., Scheb J.M.II, *American Constitutional Law, Vol.2, Civil Rights and Liberties*, 4<sup>th</sup> Ed., Thomson Wadsworth, 2008, 9.

<sup>181</sup> Friedman L.M., *A History of American Law*, 3<sup>rd</sup> Ed., New York, 2005, 73.

<sup>182</sup> იქვე.

მოიაზრებოდა.<sup>183</sup> ვირჯინიის დეკლარაციამ აღიარა თანასწორობისა და თავისუფლების უფლებები, ძალაუფლების წყაროდ ხალხი, ხოლო მმართველობა და ხელისუფლება ხალხის წარმომადგენლებად მიიჩნია.<sup>184</sup> აღსანიშნავია, რომ 1775 წელს, ვირჯინიის დეკლარაციაზე მუშაობისას ჯეიმს მედისონმა დაარწმუნა ჯორჯ მეისონი, რომ აქტში, ტოლერანტობის ნაცვლად, რელიგიის თავისუფლების შესახებ ყოფილიყო დათქმა.<sup>185</sup> ამან მომავალში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რელიგია-სახელმწიფოს ურთიერთობების ლიბერალური, ამერიკული მოდელის ჩამოყალიბებაზე და „უფლებათა ბილშიც“ აისახა.

ჯეფერსონის შეფასებით, „უფლებათა ბილი“ ნებისმიერი ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისგან დაცვის საშუალება იყო.<sup>186</sup> იგი, ერთი მხრივ, ამერიკელი ხალხის უფლებათა დეკლარაციაა ხელისუფლების წინააღმდეგ, მეორე მხრივ, ეს უფლებები მიმართულია ცენტრალური, ფედერალური ხელისუფლების მიმართ.<sup>187</sup> ბილმა ამერიკულ კონსტიტუციას განსაკუთრებული სტატუსი შესძინა და უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად აქცია, რამაც განსაზღვრა კიდევ მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის მომავალი.<sup>188</sup> რომ არა ეს და ძირითადი უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვა, რთული წარმოსადგენია, იქნებოდა თუ არა ამერიკის კონსტიტუცია ისეთი დოკუმენტი, როგორი ფუნქცია და სტატუსიც დღეს აქვს.<sup>189</sup>

მუხლებში უფლებები გარკვეული დეკლარაციული ფორმიტაა ჩამოყალიბებული.<sup>190</sup> ისინი ორ პირობით კატეგორიად – მატე-

---

<sup>183</sup> Laughlin M., *Foundations of Public Law*, London, 2012, 351.

<sup>184</sup> Friedman L.M., *A History of American Law*, 3<sup>rd</sup> Ed., New York, 2005, 73.

<sup>185</sup> Sandefur T., *The Conscience of the Constitution, The Declaration of Independence and the Right to Liberty*, Cato Institute, 2014, 12.

<sup>186</sup> იხ., Sheldon Ch.H., *Essentials of the American Constitution, The Supreme Court and the Fundamental Law*, Westview Press, 2002, 118.

<sup>187</sup> იხ., Kanovitz J.R., *Constitutional Law*, 12<sup>th</sup> Ed., New Providence, 2010, 19.

<sup>188</sup> Sheldon Ch.H., *Essentials of the American Constitution, The Supreme Court and the Fundamental Law*, Westview Press, 2002, 119; *Barron v. Baltimore*, 32 U.S. 243 (1833)

<sup>189</sup> *West Virginia Board of Education v. Barnette*, 319 U.S. 624 (1943).

<sup>190</sup> Laughlin M., *Foundations of Public Law*, London, 2012, 351.

რიალურ და საპროცესო უფლებებად იყოფა.<sup>191</sup> პირველი და მეცხრე შესწორებები მატერიალური უფლებების კატეგორიიდანაა, ხოლო მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 შესწორებები კი საპროცესო უფლებების საფუძვლებია.<sup>192</sup> მეცხრე შესწორებამ გაითვალისწინა ის უფლებები, რომლებიც კონკრეტულად არაა მოხსენიებული კონსტიტუციის ნორმებში, თუმცა თავისი არსით ძირითადი უფლებებია და სახელმწიფო მათი საშუალებით, ასევე, იზღუდება.<sup>193</sup> მე-10 შესწორებით გაიმიჯნა შტატსა და სახელმწიფოს შორის უფლებამოსილებები.<sup>194</sup>

#### 4. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (*Déclaration des droits de l'homme et du citoyen*) მიღებულ იქნა 1789 წლის 26 აგვისტოს საფრანგეთში.<sup>195</sup> დეკლარაცია კონსტიტუციის მიღებამდე დაამტკიცა ეროვნულმა კრებამ და იგი სახელმწიფოს სახელშეკრულებო, რუსოსეული დოგმების, სახალხო სუვერენიტეტისა და ადამიანის უფლებების იდეებს ემყარებოდა.<sup>196</sup> დოკუმენტი აერთიანებდა ინგლისური სამართლის გამოცდილებას, განმანათლებლობის იდეებსა და რევოლუციურ სულისკვეთებას.<sup>197</sup> თუმცა, თუკი ამერიკის „უფლებათა ბილი“, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, კონსტიტუციის დამატება იყო, მისი ფრანგული ანალოგი სრულიად განსხვავდებოდა და დამოუკიდებელ სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა.<sup>198</sup> უფლებათა დეკლარაციაში დეტალურადაა ჩამოწერილი ადამიანის უფლებები და სამართლის ფუძემდებლური

---

<sup>191</sup> Sheldon Ch.H., *Essentials of the American Constitution, The Supreme Court and the Fundamental Law*, Westview Press, 2002, 120.

<sup>192</sup> იქვე.

<sup>193</sup> 9<sup>th</sup> Amendment to the Constitution of the United States of America.

<sup>194</sup> იხ., პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 326.

<sup>195</sup> იქვე, 408.

<sup>196</sup> Strong C.F., *A History of Modern Political Constitutions*, New York, 1963, 38.

<sup>197</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 408.

<sup>198</sup> Laughlin M., *Foundations of Public Law*, London, 2012, 352.

პრინციპები,<sup>199</sup> რაც ინგლისური სამართლისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა, იმავდროულად, აბსტრაქტული ფორმისაა, ვინაიდან იგი საყოველთაო მოქმედებისა და პირთა წრისთვისაა განკუთვნილი.<sup>200</sup>

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია ადგენდა ეროვნულ სუვერენიტეტს, რითაც ძალაუფლების წყაროდ აღიარებდა მხოლოდ ხალხს, უზრუნველყოფდა ხელისუფლების წარმომადგენლობით ხასიათს, სამართლის უზენაესობას, ძალაუფლების გამიჯვნას და ა.შ.<sup>201</sup> აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი ბუნებით და პოზიტიურ უფლებებს გამოყოფს და ამ უკანასკნელს ბუნებით უფლებებს – თავისუფლებას, თანასწორობასა და საკუთრებას – უქვემდებარებს,<sup>202</sup> რაც პირდაპირ განმანათლებლობის გამოძახილია.

*დეკლარაცია დღემდე საფრანგეთის საკონსტიტუციო სამართლის ნაწილია,<sup>203</sup> მასზე დათქმას აკეთებს საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუცია.<sup>204</sup>*

## 5. კონსტიტუციათა განვითარების ეტაპები

აშშ-ის კონსტიტუციამ დასაბამი მისცა დანერგილი კონსტიტუციების განვითარების სრულიად ახალ ეტაპს. თავდაპირველად სახელმწიფოთა ნაწილმა მიიღო ახალი ძირითადი კანონები, თანდათანობით კი კონსტიტუცია თითოეული სახელმწიფოსთვის ლამის აუცილებელი მახასიათებელი გახდა. კონსტიტუციათა განვითარების ისტორიაში სამი ძირითადი ეტაპი, „ტალღა“ გამოიყოფა. პირველი ტალღა 1787 წელს პირველი დანერგილი კონსტიტუციის მიღებით იწყება და პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე არსე-

<sup>199</sup> იხ., იქვე, 353.

<sup>200</sup> იხ., პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 408-409.

<sup>201</sup> იხ., იქვე; Declaration of the Rights of Man and of the Citizen, 26 August 1789.

<sup>202</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 409.

<sup>203</sup> იქვე, 408; კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 17.

<sup>204</sup> იხ., Constitution of the French Republic, 1958, Preamble.

**ბულ პერიოდს მოიცავს. მეორე ტალღა პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შორის წლებს აერთიანებს, ხოლო მესამე ტალღა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება და თანამედროვე ეპოქამდე გრძელდება. აღმოსავლეთ ევროპაში ხშირად გამოყოფენ კონსტიტუციის განვითარების მეოთხე ტალღაც, რომელიც ცივი ომისა და კომუნისტური ბანაკის დაშლის შემდეგ შექმნილ კონსტიტუციებს აერთიანებს, თუმცა იგი არსობრივად მესამე ტალღის შემადგენელი ნაწილია.<sup>205</sup>**

## 5.1. პირველი ტალღის კონსტიტუციები

**პირველი ტალღის კონსტიტუციათა ძირითადი მიმართულებები და ფორმაც კი უმთავრესად აშშ-ის კონსტიტუციისგან იყო აღებუ-ლი, სწორედ უძველესი კონსტიტუციით ხელმძღვანელობდნენ XIX საუკუნის თითქმის მთელ მანძილზე დემოკრატიული კონსტიტუციების შემქმნელები.<sup>206</sup> პოლონეთის 1791 წლის 3 მაისის კონსტიტუცია ფორმალურად პირველი ევროპული კონსტიტუციაა, რომელმაც სახელმწიფო კონსტიტუციურ მონარქიად აქცია.<sup>207</sup> იგი პოლონეთ-ლიტვის ერთიანი სამეფოს ძირითადი კანონი იყო, რომელიც, მართალია, ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს აღიარებდა, თუმცა დემოკრატიული ნაკლებად ეთქმოდა და უფრო კომპრომისის შედეგი იყო, ვიდრე დემოკრატიული პროცესის ნაყოფი.<sup>208</sup>**

პოლონეთის კონსტიტუციის მიღებიდან მალე, 1791 წელსვე კონსტიტუცია დაამტკიცა საფრანგეთმა. ძირითადი კანონის პრეამ-

---

<sup>205</sup> იხ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 5; Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 60. გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 22.

<sup>206</sup> Griffin S.M., American Constitutionalism, From History to Politics, Princeton University Press, 1996, 9.

<sup>207</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014, 34.

<sup>208</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 23.

ბულა შეიცავდა 1789 წლის დეკლარაციას და იგი რევოლუციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა კომპრომისის შედეგი იყო.<sup>209</sup> საფრანგეთისა და პოლონეთის 1791 წლების კონსტიტუციები ძალაუფლების შეზღუდვის ევროპული მცდელობა იყო, რომლებიც მიზნად პოლიტიკური რეჟიმების მშვიდობიან გარდაქმნას ისახავდნენ.<sup>210</sup> ამ კონსტიტუციას დიდხანს არ უმოქმედია, მან ვერც მყარი სახელმწიფოებრივი წყობის უზრუნველყოფა და კონფლიქტების პრევენცია შეძლო.<sup>211</sup> მას შემდეგ მალევე, 1793 წელს, იაკობინელთა მმართველობის დროს საფრანგეთმა მეორე კონსტიტუცია მიიღო, რომელიც დემოკრატიზაციის ძალიან მაღალი ხარისხით გამოირჩევა, მან საფრანგეთის ისტორიაში პირველად დაამკვიდრა რესპუბლიკური მმართველობის ფორმა.<sup>212</sup> ზოგადად, შეიძლება ითქვას, პირველი ტალღის კონსტიტუციების მნიშვნელოვანი და გამორჩეული ნაწილი სწორედ საფრანგეთმა შექმნა (1791, 1793, 1795, 1799, 1848, 1852, 1875 წლების კონსტიტუციები).<sup>213</sup>

პირველი ტალღის კონსტიტუციები XIX საუკუნის დასაწყისში ძირითადად რევოლუციურ სულისკვეთებას ითვალისწინებდნენ საფრანგეთისა და ამერიკის რევოლუციების გავლენით.<sup>214</sup> მათ შეიძლეს თავისუფლებისა და სახელმწიფო ძალაუფლების, ადამიანის უფლებებისა და ორგანიზებული მმართველობის ურთიერთობათა დაბალანსება.<sup>215</sup> *ძირითად კანონებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ინდუსტრიულმა რევოლუციამ, ლიბერალური იდეების წინა პლანზე წამოწევამ და თანამედროვე დემოკრატიული პრინციპების პოპულარიზაციამ.*<sup>216</sup> *ეს კონსტიტუციები გაჯერებულია იმ პერიო-*

<sup>209</sup> კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 14.

<sup>210</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014, 29.

<sup>211</sup> იხ., Strong C.F., A History of Modern Political Constitutions, New York, 1963, 38.

<sup>212</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ქილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 24.

<sup>213</sup> იხ., იქვე, 23-24; კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 14-16.

<sup>214</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 48.

<sup>215</sup> Strong C.F., A History of Modern Political Constitutions, New York, 1963, 54.

<sup>216</sup> იქვე.

დის საკონსტიტუციოსამართლებრივი კლიშეებით, რომლებიც ადამიანის უფლებებთან მიმართებით სახელმწიფო ხელისუფლების დომინირების საშუალებას იძლეოდა.<sup>217</sup> მათში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ძალაუფლების გამიჯვნასა და სახელმწიფო მოწყობის საკითხებს,<sup>218</sup> საკანონმდებლო ორგანოებსა და მათ ექსკლუზიურ კომპეტენციებს, განსაკუთრებით კანონშემოქმედებისა და საფინანსო კონტროლის კუთხით.<sup>219</sup> თანდათან შემოდის ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიები, ვინაიდან ამ პერიოდში გააქტიურდა ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გარკვეული ავტონომიის მინიჭების საკითხები.<sup>220</sup>

პირველი ტალღის კონსტიტუციებს შორის ორი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება: ძირითადი კანონები, რომლებიც მმართველი ელიტისა და ხალხის წარმომადგენელთა კომპრომისის შედეგი იყო და კონსტიტუციები, რომლებშიც გამარჯვებული ბურჟუაზიის დემოკრატიული იდეების განმტკიცება ხდებოდა.<sup>221</sup> XIX საუკუნეში კონსტიტუციათა უმრავლესობა ევროპაში დიდგვაროვნებისა და ხალხის პოლიტიკური კომპრომისის შედეგად მიიღებოდა (მაგ., შვედეთის 1809 წლის, იტალიის 1848 წლის კონსტიტუციები),<sup>222</sup> მათი დიდი ნაწილი მონარქებისა და ხალხის წარმომადგენლების პოლიტიკური ბრძოლისა და ძალაუფლების შეზღუდვის მცდელობათა შედეგია.<sup>223</sup> მაგ., იტალიაში კონსტიტუციის ფუნქციას თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში 1848 წელს მიღებული „ალბერტინოს სტატუტი“ ასრულებდა, რომელიც მონარქისგან ოქტრუირე-

---

<sup>217</sup> იხ., Zurcher A.J., Introduction, in: Constitutions and Constitutional Trends since World War II, Edited by A.J. Zurcher, 2<sup>nd</sup> Ed., New York, 1955, 5.

<sup>218</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 48.

<sup>219</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 60.

<sup>220</sup> იხ., Глотов С.А., Фомиченко М.П., Конституционное Право, Москва, 2011, 9.

<sup>221</sup> იხ., Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 60.

<sup>222</sup> იქვე, 61.

<sup>223</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014, 35.

ბული კონსტიტუცია იყო.<sup>224</sup> 1848 წელს გერმანიას ჰქონდა მცდელობა, მიეღო დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც იმ პერიოდისთვის უჩვეულო, თანამედროვე იდეებს შეიცავდა.<sup>225</sup> 1871 წელს ვილჰელმ I გერმანიას უბოძა ახალი კონსტიტუცია, რომელიც, მართალია, სრულად დემოკრატიული არ იყო, თუმცა სახელმწიფო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, სახელმწიფოს ფედერალურ მონყობასა და თანამდებობის პირთა უფლებამოსილებებს ანესრიგებდა.<sup>226</sup>

XIX საუკუნის მეორე ნახევარი კონსტიტუციათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ვინაიდან ძალიან ბევრმა სახელმწიფომ პირველად ამ დროს მიიღო ძირითადი კანონი.<sup>227</sup> საუკუნის ბოლოს გაძლიერდა ერთპიროვნული ძალაუფლების მიმართ ნეგატიური განწყობა, ხალხი დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებასა და პოლიტიკური ძალაუფლების გადაცემას მოითხოვდა.<sup>228</sup> პირველი ტალღის კონსტიტუციებს განეკუთვნება აშშ-ის 1787 წლის, ვენესუელის 1811 წლის, ბელგიის 1831 წლის, ნორვეგიის 1814 წლის, შვედეთის 1874 წლის, იაპონიის 1889 წლის, ავსტრალიის 1900 წლის, ირანის 1906 წლის კონსტიტუციები.<sup>229</sup>

## 5.2. მეორე ტალღა

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო დიდი ბრძოლა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად, რამაც, საბოლოო ჯამში, ჰპოვა კიდეც ასახვა მეორე ტალღის კონსტიტუ-

---

<sup>224</sup> პეგორარო ლ., ევროპასა და რეგიონებს შორის: იტალიის რთული მმართველობა, ზ. მაჭარადის თარგმანი, ზ. მაჭარადისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 13.

<sup>225</sup> იხ., მელქაძე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999, 7.

<sup>226</sup> იხ., იქვე, 8.

<sup>227</sup> Strong C.F., A History of Modern Political Constitutions, New York, 1963, 42.

<sup>228</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014, 36.

<sup>229</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 48-49; გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 24.

ციებში.<sup>230</sup> პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე და შემდეგაც ევროპაში ძალიან ბევრმა სახელმწიფომ საკონსტიტუციო ექსპერიმენტები სცადა<sup>231</sup>, თუმცა კონსტიტუციათა ქარიშხალი ომის დასრულების შემდეგ დაიწყო. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლამ, გეოპოლიტიკურმა პროცესებმა, პოლიტიკური რეჟიმების ნაწილის დემოკრატიზაციამ სამართალშემოქმედების მხრივ მნიშვნელოვანი აქტიურობა გამოიწვია, რის შედეგადაც ბევრი ახალი კონსტიტუცია შეიქმნა,<sup>232</sup> სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გამოცდილმა ქვეყნებმა კი მნიშვნელოვანი სიახლეები შეიტანეს თავიანთი ძირითად კანონებში.<sup>233</sup> ამ საკონსტიტუციო პროცესებმა განაპირობეს კონსტიტუციონალიზმის ახალი ტალღა.

პირველი ტალღის ძირითადი კანონებისგან განსხვავებით, ძალაუფლების დუალიზმი თანდათან პარლამენტარიზმმა ჩაანაცვლა, თუმცა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ აღმასრულებლის კონტროლი რაციონალიზებული და დასრულებული სახით კიდევ კარგა ხანს ვერ ჩამოყალიბდა.<sup>234</sup> ადამიანის უფლებების თემატიკა მნიშვნელოვნად წამოიწია წინ, თუმცა მაინც ვერ შეძლო სრულად გათანაბრებოდა სახელმწიფო მოწყობის ნორმებს.<sup>235</sup> ამ ეტაპის კონსტიტუციების მოდელურ ძირითად კანონად ე.წ. „ვაიმარის კონსტიტუცია“ მიიჩნევა, რომელიც 1919 წელს იქნა მიღებული<sup>236</sup> და რომელმაც კონსტიტუციონალიზმის მეორე ტალღის მრავალ კონსტიტუციაზე იქონია გავლენა. ვაიმარის კონსტიტუციამ მონარქიის ნაცვლად რესპუბლიკური ფორმა დაამკვიდრა, შემოიღო პრეზიდენტის თანამდებობა, აღიარა სახალხო სუვერენიტეტი, სცნო

---

<sup>230</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 61.

<sup>231</sup> Strong C.F., A History of Modern Political Constitutions, New York, 1963, 44.

<sup>232</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 24. მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 44.

<sup>233</sup> იხ., იქვე, 24-25.

<sup>234</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 62.

<sup>235</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 4.

<sup>236</sup> მელქაძე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999, 9.

ქალების საარჩევნო უფლებები.<sup>237</sup> მასში ძალიან ბევრი ლიბერალური იდეა აისახა.<sup>238</sup> ამ ეტაპის კონსტიტუციებში პირველად იქნა შემოღებული საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელი, სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოებისა და ტრიბუნალების სახით.<sup>239</sup>

მეორე ტალღის კონსტიტუციებს განეკუთვნება მსოფლიო ომებს შორის პერიოდში შექმნილი გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და სხვ. ძირითადი კანონები.

### 5.3. მესამე ტალღა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკონსტიტუციო სამართალშემოქმედების ნამდვილი ბუმი დაიწყო.<sup>240</sup> ახალი კონსტიტუციები, რომლებიც ომის დასრულებიდან მალევე მიიღეს, ნაციზმისა და მსოფლიო ომის გამოცდილების შედეგია, ამიტომაც მათში ომისა და ავტორიტარიზმისა თუ ტოტალიტარიზმის პრევენციის მექანიზმები აისახა.<sup>241</sup> ახალმა ძირითადმა კანონებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ადამიანის ძირითად უფლებებს (თუმცა, იმავდროულად, გაითვალისწინეს მათი შეზღუდვის რაციონალური საფუძვლები ისე, რომ ისინი საკონსტიტუციო დემოკრატიის მტრებს სათავისოდ არ გამოეყენებინათ<sup>242</sup>), სამოქალაქო თავისუფლებების გარანტიებს,<sup>243</sup> საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და წარმართვის, საგარეო ურთიერთობებში საკანონმდებლო

<sup>237</sup> იხ., იქვე.

<sup>238</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014, 39.

<sup>239</sup> იხ., გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 23-25.

<sup>240</sup> იხ., Глотов С.А., Фомиченко М.П., Конституционное Право, Москва, 2011, 10.

<sup>241</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 25.

<sup>242</sup> იხ., Friedrich C.J., The Political Theory of the New Democratic Constitutions, in: Constitutions and Constitutional Trends since World War II, Edited by A.J. Zurcher, 2<sup>nd</sup> Ed., New York, 1955, 18.

<sup>243</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 44.

ხელისუფლების კომპეტენციათა კლების ხარჯზე აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების ზრდის, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთმიმართების საკითხებს,<sup>244</sup> სახალხო სუვერენტიტესა და მოქალაქეობას<sup>245</sup>.

მესამე ტალღის კონსტიტუციები გამოირჩევა საკითხთა ძალიან ფართო სპექტრით, სოციალური და ეკონომიკური სფეროსთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობით.<sup>246</sup> მათ მახასიათებლად, ასევე, იქცა საკონსტიტუციო კონტროლის მასობრივი დამკვიდრება (ამერიკული კონსტიტუციონალიზმისგან განსხვავებით, ევროპელებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ სპეციალური ორგანო კონსტიტუციის დასაცავად<sup>247</sup>), სამართლებრივი სახელმწიფოს უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებების საკონსტიტუციო დონეზე განმტკიცება.<sup>248</sup> ამ კონსტიტუციების მთავარი მიზანი იყო, საბოლოოდ დაემკვიდრებინათ საკონსტიტუციო სახელმწიფო, რომელშიც დაბალანსებული იქნებოდა სახელმწიფო ძალაუფლება და ადამიანის უფლებები,<sup>249</sup> ეს ძირითადი კანონები გარკვეულწილად დასავლურ საზოგადოებაში არსებული სოციალური კომპრომისის შედეგია<sup>250</sup>.

მესამე ტალღის კონსტიტუციების საერთო მახასიათებლებია: 1. ეფუძნებიან ტრადიციულ ევროპულ კონსტიტუციონალიზმსა და დასავლური ლიბერალიზმის პრინციპებს; 2. ადგენს ძალაუფლების გამიჯვნის ფუძემდებლურ პრინციპს; 3. ითვალისწინებს სახალხო სუვერინიტეტის იდეას; 4. უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის უფლებათა ფართო სპექტრს; 5. ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას სოციალური პოლიტიკის გატარების კუთხით; 6. ადგენს პოლიტიკური და იდეო-

---

<sup>244</sup> იხ., მელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1996, 37.

<sup>245</sup> Strong C.F., A History of Modern Political Constitutions, New York, 1963, 45.

<sup>246</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 49.

<sup>247</sup> Friedrich C.J., The Political Theory of the New Democratic Constitutions, in: Constitutions and Constitutional Trends since World War II, Edited by A.J. Zurcher, 2<sup>nd</sup> Ed., New York, 1955, 20.

<sup>248</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014, 42.

<sup>249</sup> იხ., Strong C.F., A History of Modern Political Constitutions, New York, 1963, 15.

<sup>250</sup> Zurcher A.J., Introduction, in: Constitutions and Constitutional Trends since World War II, Edited by A.J. Zurcher, 2<sup>nd</sup> Ed., New York, 1955, 6.

ლოგიური პლურალიზმისა და მრავალპარტიულობის პრინციპებს; 7. ადგენს სახელმწიფო და პირადი, კერძო პასუხისმგებლობის სახეებს; 8. ადგენს საერთაშორისო და შიდაეროვნული სამართლის ურთიერთმიმართების თანამედროვე ფარგლებს.<sup>251</sup>

იტალიამ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე რეფერენდუმით აირჩია მმართველობის რესპუბლიკური ფორმა,<sup>252</sup> 1946 წელს კი კონსტიტუცია მიიღო, რომელსაც პროგრამული ხასიათი აქვს და საკმაოდ დიდი მოცულობისაა, მოიცავს როგორც ადამიანის უფლებებთან, ისე სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს და რაც მთავარია, სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვან გარანტიებს.<sup>253</sup> დაძაბული განხილვების შედეგად იქნა მიღებული გერმანიის 1948 წლის კონსტიტუცია.<sup>254</sup> ორივე ქვეყნის კონსტიტუციებმა მათგანმა გაითვალისწინეს საკონსტიტუციო სასამართლოები და მათ მნიშვნელოვანი დატვირთვა მისცეს.<sup>255</sup> საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციამ დაამკვიდრა მმართველობის ახალი ფორმა — ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა.<sup>256</sup>

მესამე ტალღის კონსტიტუციებში კიდევ ერთი ახალი ეტაპი დაიწყო 60-იან წლებში, როდესაც კოლონალიზმის პოლიტიკის დასრულების შემდეგ ბევრი ახალი სახელმწიფო წარმოიშვა, რომლებმაც ახალი კონსტიტუციები მიიღეს.<sup>257</sup> *ახალი სახელმწიფოების ნაწილში, სადაც ინგლისური სამართალი დომინირებდა, უესთმინს-*

<sup>251</sup> იხ., Конституционное Право Зарубежных Стран, Под. Ред. А.В. Малько, Москва, 2004, 101-102.

<sup>252</sup> Onida V., Balboni E., Cartabia M., Cavaleri P., D'Adabbo F., D'Amico M., D'Andrea A., Guiglia G., Nicolhini M., Corlero M.D., Constitutional Law in Italy, Kluwer Law International, 2013, 29.

<sup>253</sup> იხ., პეგორარო ლ., ევროპასა და რეგიონებს შორის: იტალიის რთული მმართველობა, ზ. მაჭარადის თარგმანი, ზ. მაჭარადისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 13-14.

<sup>254</sup> იხ., მელქაძე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999, 13.

<sup>255</sup> Friedrich C.J., The Political Theory of the New Democratic Constitutions, in: Constitutions and Constitutional Trends since World War II, Edited by A.J. Zurcher, 2<sup>nd</sup> Ed., New York, 1955, 21.

<sup>256</sup> იხ., კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 18.

<sup>257</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 5.

თერული მოდელი დამკვიდრდა, ხოლო უმრავლესობამ რაციონალური ზებული პარლამენტარიზმის სისტემა აირჩია.<sup>258</sup> XX საუკუნის 70-იან წლებში ევროპულ კონსტიტუციებს შეემატა ავტორიტარული რეჟიმების დამხობის შედეგად მიღებული ესპანეთის, პორტუგალიისა და საბერძნეთის კონსტიტუციები.<sup>259</sup>

კონსტიტუციათა კიდევ ერთი ახალი ტალღა (რომელსაც კონსტიტუციონალისტთა ნაწილი მეოთხე ტალღადაც მოიხსენიებს) კომუნისტური რეჟიმების დამხობას უკავშირდება, რის შემდეგადაც რამდენიმე ათეული დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა.<sup>260</sup> XX საუკუნის 80-90-იან წლებში მთელ მსოფლიოში ახალი, გარდამავალი პერიოდი დადგა, რომელიც პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოების გაჩენითა და პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებებით გამოირჩეოდა.<sup>261</sup> შეიძლება ითქვას, „პერესტროიკამ“ დიდწილად განაპირობა საკონსტიტუციო სამართალშემოქმედების ახალი, მძლავრი ეტაპის დადგომა.<sup>262</sup> კომუნისტური რეჟიმები ერთმანეთის მიყოლებით და რაც მთავარია, ერთმანეთის მსგავსად ჩამოიშალნენ, შესაბამისად, ახალწარმოქმნილ სახელმწიფოებში კონსტიტუციონალიზაციის პროცესი თითქმის მსგავსად განვითარდა.<sup>263</sup> 80-იანი წლების ბოლოს ახალი კონსტიტუცია მიიღო უნგრეთმა, რუმინეთმა, რასაც შემდეგ ბულგარეთისა და სლოვაკეთის ძირითადი კანონებიც მოჰყვა.<sup>264</sup>

პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში ავტორიტარული ინსტიტუტების დემოკრატიული ჩანაცვლება ძალზე დაჩქარებულად, დროის მცირე მონაკვეთში განხორციელდა.<sup>265</sup> **ახალი კონსტიტუციები გამოირჩეოდნენ თანამედროვე ტენდენციებითა და კონსტი-**

---

<sup>258</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 26.

<sup>259</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014, 44.

<sup>260</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 49.

<sup>261</sup> Thornhill Ch., A Sociology of Constitutions, Constitution and State Legitimacy in Historical-Sociological Perspective, Cambridge University Press, 2011, 355.

<sup>262</sup> იქვე, 362.

<sup>263</sup> იხ., Dupré C., Importing the Law in Post-Communist Transitions, Hart Publishing, 2003, 16.

<sup>264</sup> იხ., იქვე, 19.

<sup>265</sup> იქვე, 18.

ტუციონალიზმის მიერ XX საუკუნის მეორე ნახევარში დაგროვებული გამოცდილების სამართლებრივად განმტკიცებით.<sup>266</sup> მათმა დიდმა ნაწილმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სამართლებრივი სახელმწიფოსა და ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპებზე, ასევე, ეკონომიკის პრივატიზაციასა და განსახელმწიფოებრიობაზე.<sup>267</sup> პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკონსტიტუციო სასამართლოებს, რომლებმაც დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დაცვის ფუნქცია იტვირთეს.<sup>268</sup> მიუხედავად იმისა, რომ ახალ კონსტიტუციებს საერთო მახასიათებლები უფრო მეტი აქვთ, თითოეული მათგანი ინდივიდუალიზმითაც გამოირჩევა, რაც ძირითად კონკრეტული სახელმწიფოს ისტორიითა და სოციალურ-კულტურული, პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული.<sup>269</sup> სამწუხაროდ, უახლეს კონსტიტუციათა დიდი ნაწილი პრაქტიკული ეფექტის მქონე არ აღმოჩნდა, ვინაიდან პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა უმეტესობა, ჯერ კიდევ წინარესახელმწიფოებრივ ეტაპზე იმყოფება და მათთვის კონსტიტუცია მხოლოდ ფორმალური დატვირთვის მქონე დოკუმენტია.<sup>270</sup>

---

<sup>266</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 26.

<sup>267</sup> იბ., Dupré C., *Importing the Law in Post-Communist Transitions*, Hart Publishing, 2003, 20-23.

<sup>268</sup> იქვე, 26.

<sup>269</sup> იბ., იქვე, 23.

<sup>270</sup> იბ., Thornhill Ch., *A Sociology of Constitutions, Constitution and State Legitimacy in Historical-Sociological Perspective*, Cambridge University Press, 2011, 370-371.

## ნაწილი II. კონსტიტუციონალიზმის პრინციპები

საკონსტიტუციო სამართლის პრინციპები იმ ფუძემდებლურ იდეებს აერთიანებს, რომლებიც სახელმწიფოს საკონსტიტუციო მონყობის ძირითად მახასიათებლებს განსაზღვრავენ. დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციები შემდეგ ძირითად პრინციპებს ეყრდნობა: **დემოკრატიული სახელმწიფო, სახალხო სუვერენიტეტი, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო,**<sup>271</sup> **ძალაუფლების გამიჯვნა**<sup>272</sup> და სხვ.

### თავი III. დემოკრატიული სახელმწიფო და სახალხო სუვერენიტეტი

დემოკრატიული სახელმწიფოს სათავეები ანტიკურ ეპოქასა და არისტოტელეს სახელს უკავშირდება, რომელიც სახელმწიფოებს იმის მიხედვით ყოფდა, თუ ვინ ახორციელებდა მმართველობას. თანამედროვე დემოკრატიის უახლესი ისტორია კი მე-18 საუკუნის ბოლო პერიოდიდან იწყება. *ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ დაწყებულმა მოქალაქეთა მოძრაობამ თანდათან გააძლიერა „სახალხო სუვერენიტეტის“ თეორია და საბოლოოდ ჩამოაყალიბა დემოკრატიული სახელმწიფო, როგორც უმნიშვნელო-*

<sup>271</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008, 25.

<sup>272</sup> ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი „ხელისუფლების დანაწილება“ არ არის სწორი, რადგან ხელისუფლება ერთიანია, ერთ მიზანს ემსახურება და დაუშვებელია მისი დანაწილება/დანაწევრება. ძალაუფლება გამიჯნულია ხელისუფლების შტოებს შორის, თუმცა ეს არ გულისხმობს ხელისუფლების ერთიანობის რღვევას. იხ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015, 9; გეგენავა დ., ზოგიერთი ცნების მართებულობის საკითხისათვის ქართულ საკონსტიტუციო სამართალში, ნიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80, ზ. ძლიერიშვილისა და ს. ქავთარაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013; გეგენავა დ., „ძალაუფლება“ ვ. „ხელისუფლება“: შენიშვნები საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თაობაზე, ნიგნში: გურამ ნაჭყებია 75, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016.

ვანესი საკონსტიტუციო ღირებულება, რომელიც თანასწორობასა და სახალხო წარმომადგენლობაზე დაფუძნებული.<sup>273</sup>

დემოკრატიულ სახელმწიფოში მმართველობას ხალხის მიერ არჩეული და მისი სახელით მოქმედი წარმომადგენლები ახორციელებენ.<sup>274</sup> დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპი ზღუდავს ხელისუფლებას, რადგან მთელი ძალაუფლება, რომელსაც ხელისუფლების ორგანოები ფლობენ, ხალხის მიერაა მინიჭებული.<sup>275</sup> ემანუელ სიესი აღნიშნავდა, რომ „ხალხია ყველაფრის წყარო, ის ყველაფერზე უპირატესია“<sup>276</sup>. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული სახელმწიფო უმრავლესობის მმართველობაა, ეს არ გულისხმობს ხალხის შეუზღუდავ ძალაუფლებას. უმრავლესობის ნების განხორციელება პარალელურად უმცირესობის დასაცავად დადგენილ ქმედით მექანიზმებსაც საჭიროებს<sup>277</sup>.

სახალხო სუვერენიტეტი ხალხის უფლებაა, განსაზღვროს ხელისუფლების ბუნება. სახალხო სუვერენიტეტის ფარგლებში პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება უშუალოდ, ხალხის მიერ ან წარმომადგენლებისთვის ძალაუფლების გადაცემით.<sup>278</sup> მონტესკიე განმარტავდა: „ხალხი, რომელსაც აქვს სუვერენული ხელისუფლება, თვითონ უნდა აკეთებდეს ყველაფერს, რისი გაკეთებაც კი მას კარგად შეუძლია, ხოლო იმას, რისი გაკეთებაც მას კარგად არ შეუძლია, თავისი მინისტრების (ნდობით აღჭურვილი პირების) მეშვეობით უნდა ახორციელებდეს“<sup>279</sup>. ყოველდღიური ცხოვრების

<sup>273</sup> კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008, 8-9; Schmitt C., Constitutional Theory, Translated and edited by J. Seitzer, London, 2008, 255-260.

<sup>274</sup> Alder J., General Principles of Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., Bristol, 2002, 12.

<sup>275</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 68.

<sup>276</sup> Colon-Rids J., The Legitimacy of the Juridical: Constituent Power, Democracy and the Limits of Constitutional Reform, Osgood Hall Law Journal, Vol.48, Issue 2, 2010, 206.

<sup>277</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 68.

<sup>278</sup> Schmitt C., Constitutional Theory, Translated and edited by J. Seitzer, London, 2008, 9.

<sup>279</sup> მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩაძის თარგმანი, თბილისი, 1994, 38.

პირობებში თანამედროვე საზოგადოების პირდაპირი მონაწილეობა მმართველობაში, პრაქტიკულად შეუძლებელია.<sup>280</sup> სწორედ ამიტომ, სახელმწიფოები არაპირდაპირ, წარმომადგენლობით დემოკრატიას ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, არჩევნების საშუალებით ხორციელდება.<sup>281</sup> ხალხი საარჩევნო უფლების მეშვეობით აკომპლექტებს წარმომადგენლობით ორგანოებს (პარლამენტს, ადგილობრივი თვითმმართველობის და სხვა წარმომადგენლობით ორგანოებს), რომლებიც ხალხის ინტერესებს გამოხატავენ და მათ წინაშე არიან პასუხისმგებელნი.

---

<sup>280</sup> Colon-Rids J., *The Legitimacy of the Juridical: Constituent Power, Democracy and the Limits of Constitutional Reform*, *Osgood Hall Law Journal*, Vol.48, Issue 2, 2010, 206, 211-212.

<sup>281</sup> კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008, 12.

## თავი IV. სამართლებრივი სახელმწიფო

### 1. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება

დემოკრატიულ და ლიბერალურ სახელმწიფოში ხელისუფლების მონეობის მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც მმართველთა თვითნებობას გამოორიცხავს.<sup>282</sup> სამართლებრივი სახელმწიფო სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც თავის თავში ქვეყანაში მცხოვრები ხალხების სუვერენიტეტს აერთიანებს. სამართლებრივი სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების თავისუფლებას, რომელიც ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ღირსებაზეა დაფუძნებული.

*სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს სამოქალაქო თვითშეგნება. იგი უნდა ითვალისწინებდეს დემოკრატიულ პრინციპებს, აღიარებდეს და იცავდეს სამართლის უზენაესობას, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურები ვალდებული არიან, მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ჯეროვნად ახორციელებდნენ. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, ასევე, ემყარება სამართლის მეშვეობით სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის იდეას, რათა გარანტირებული იყოს ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლებები. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ხელისუფლების ამგვარი შეზღუდვა საკმარისი არაა ადამიანის უფლებების და უპირველეს ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების გარანტირებისათვის: სამართლებრივ სახელმწიფოს შეუძლია მოქალაქეთა თავისუფლების უზრუნველყოფა, მაგრამ თავისუფლების პირობებში ყველას არ შეუძლია ღირსეულ ცხოვრებაზე უფლების რეალიზება.*

გერმანულ დოქტრინაში სამართლებრივ სახელმწიფოს კონსტიტუციურ სახელმწიფოსაც უწოდებენ, სადაც ძალაუფლების განხორციელება კანონმდებლობით დადგენილ ჩარჩოებშია მოქცეული.<sup>283</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს ხშირად ანგლოამერიკულ „სამართლის უზენაესობასთან“ (*Rule of Law*) აიგივებენ, მა-

---

<sup>282</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 190.

<sup>283</sup> Schmitt C., *The Concept of the Political*, Translated by M. Konzen and J. P. McCormick, Chicago, 2007, 23.

გრამ ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: **სამართლებრივი სახელმწიფო ხაზს უსვამს ეთიკის საფუძველზე მორალური სამართლიანობის გაგებას, რაციონალურობას, ბუნებით სამართალს, რელიგიას და ა.შ.**<sup>284</sup>

სამართლებრივ სახელმწიფოში ძალაუფლების განხორციელების სამართლით შეზღუდვის მიზანია, დაიცვას მოქალაქეები ძალაუფლების უკანონო განხორციელებისგან. მოქალაქეები უნდა სარგებლობდნენ სამოქალაქო თავისუფლებით და ასევე, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, დაიცვან საკუთარი უფლებები სასამართლოს მეშვეობით. ლიბერალური დემოკრატია არ შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი სახელმწიფოს გარეშე.

სამართლებრივი სახელმწიფოს ცნების ქვეშ იგულისხმება „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ადამიანის თანდაყოლილი ბუნებრივი და ფუნდამენტური უფლებების წინაშე, კანონის (კონსტიტუციის) უზენაესობა ყველა სხვა ნორმატიული აქტის წინაშე, სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების ზუსტი გამიჯვნა, დამყარებული ურთიერთშეზღუდვისა და კონსტიტუციური კონტროლის პრინციპზე“<sup>285</sup>.

გერმანულ სამართალში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი შემდეგ ელემენტებს მოიაზრებს: 1. სახელმწიფოს საკანონმდებლო მოქმედებათა ერთიანობა; 2. სასამართლო წესით დაცვის უფლება; 3. საკონსტიტუციო კონტროლი (საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის უფლება); 4. ძალაუფლების გამიჯვნა; 5. ადამიანის ძირითადი უფლებები; 6. ხელისუფლების მიერ კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის უპირობო დაცვა.<sup>286</sup>

## 2. სამართლებრივი სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა კაცობრიობის ისტორიაში ჩაისახა და ვითარდებოდა როგორც „პოლიტიკური ბრძოლის პრინ-

---

<sup>284</sup> The Legal Doctrines of the Rule of Law and the Legal State (Rechtsstaat), Edited by J.R. Silkenat, J.E. Hickey Jr., P.D. Barenboim, Springer, 2014, 172.

<sup>285</sup> სავანელი ბ., სამართლის თეორია, თბილისი, 1993, 117-118.

<sup>286</sup> Zippelius R., Kleine deutsche Verfassungsgeschichte, München, 1999, 172-173; Einführung in das Recht, Aufgaben, Methoden, Wirkungen, D. Grimm (Hrg.), Heidelberg, 1991, 308; Jesse E., Die Demokratie in der Bundesrepublik Deutschland, Ein Einführung in das Politische System, Berlin, 1986, 38-40.

ციპი“.<sup>287</sup> მისი შექმნა სამართლიანობის, თანასწორობისა და საყოველთაო კეთილდღეობის პრინციპებს ეფუძნებოდა. იდეის ერთ-ერთ ავტორად ჯონ ლოკი მიიჩნევა, რომლის მოსაზრებით: „თავრობის ძალაუფლების ქვეშ მყოფი ადამიანების თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ ამ სახელმწიფოში ყველასთვის არსებობს საერთო და მასში შექმნილი საკანონმდებლო ხელისუფლებით დადგენილი ცხოვრების მუდმივი წესი, ანუ თავისუფლება იმოქმედო საკუთარი სურვილის მიხედვით ყოველთვის, როცა ამას კანონი არ გიკრძალავს და არ იყო დამოკიდებული სხვა ადამიანის მუდმივ, განუსაზღვრელ, უცნობ, თვითმპყრობელურ ნებაზე“<sup>288</sup>. კანტის თანახმად, სახელმწიფო ადამიანების გაერთიანებაა, რომლებიც ემორჩილებიან სამართლიან კანონებს, ეს კანონები თავისთავად გამომდინარეობენ სამართლის, როგორც გარეგნული მოვლენის, გაგებიდან.<sup>289</sup>

*მონტესკიემ, რომელმაც ძალაუფლების გამიჯვნის კონცეფცია შექმნა, უშუალოდ დაუკავშირა იგი სამართლებრივ სახელმწიფოს: 1. დაუშვებელია სასამართლო ხელისუფლების საკანონმდებლო ხელისუფლებასთან გაერთიანება, რადგან მოსამართლეთათვის საკანონმდებლო ფუნქციის მინიჭება მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვას იწვევს; 2. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების გაერთიანება ტირანიაა; 3. თუ სასამართლო ხელისუფლება გაერთიანებულია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მაშინ მოსამართლე ხდება მჩაგვრელი და არა მართლმსაჯულების იარაღი; 4. სამივე ხელისუფლების გაერთიანება ნიშნავს სახელმწიფოსა და მოქალაქე საზოგადოების, პიროვნებისა და თავისუფლების აბსოლუტურ სიკვდილს.<sup>290</sup>*

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 1215 წელს მიღებული „თავისუფლებათა დიდი ქარტია“, რომელმაც პირველად აკრძალა პარლამენტის თანხმობის გარეშე ახალი გადასახადების შემოღება; მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის საკითხებზე სასჯელის დაწესების უფლება

<sup>287</sup> იქვე.

<sup>288</sup> ნერსესიანი ვ., სამართლებრივი სახელმწიფო: ისტორია და თანამედროვეობა, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, №4, 1996, 14-15.

<sup>289</sup> Немцкая Класическая Философия, Право и Свобода, Т.1., Москва, 2000, 114.

<sup>290</sup> Проблемы Общей Теории Права и Государство, Под ред. В.С. Нерсесянца, Москва, 669.

მიანიჭა ნაფიც მსაჯულებს და ამით მეფის უფლებები კანონით შეზღუდა.<sup>291</sup>

### 3. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები

დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, სადაც სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები მოქმედებს, დამახასიათებელია: სამართლის უზენაესობა, ძალაუფლების გამიჯვნა და ადამიანის უფლებების დაცვა. სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო ძალაუფლება ხორციელდება კანონის საფუძველზე და კანონის ჩარჩოებში. კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია, კანონის მოთხოვნები თანაბრად სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის. სახელმწიფო ძალაუფლება ხორციელდება ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, დაუშვებელია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების აღრევა. უმაღლეს სოციალურ ღირებულებად მიჩნეულია ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებები.<sup>292</sup>

სამართლებრივ სახელმწიფოში იგულისხმება ხელისუფლების იურიდიული ჩარჩოები, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, ინსტიტუტებისა და ნორმების ჰუმანური და ლიბერალური მიზნები.<sup>293</sup>

თითოეული პრინციპი აჩვენებს ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის არსებობისთვის აუცილებელ პირობებს, ანუ ის პირობები, რომელიც თითოეულ პრინციპშია წარმოდგენილი, შესასრულებელად აუცილებელია. შეუძლებელია, არსებობდეს სამართლებრივი სახელმწიფო იქ, სადაც პრინციპები წარმოდგენილია მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე, ხოლო სახელმწიფო ძალაუფლების

---

<sup>291</sup> იხ., Belton R.K., *Competing Definitions of the Rule of Law, Implications for Practitioners*, Carnegie Papers, 2005, No.55; გეგენავა დ., *Magna Carta Libertatum: კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან*, წიგნში: *კონსტიტუციონალიზმის 800 წელი*, დ. გეგენავას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 1-14.

<sup>292</sup> მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, ვ. გურგენიძის რედაქტორობით, თბილისი, 2004, 483.

<sup>293</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., *კონსტიტუციური სამართალი*, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 190.

განმახორციელებელნი ან მოქალაქეები მათ არ იცავენ. სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მხარისთვის ეს პრინციპები მათი საქმიანობისა და გადწყვეტილებების საფუძველი უნდა გახდეს.

### 3.1. სამართლის უზენაესობა

სამართლის უზენაესობა საყოველთაო იდეალად და სასურველ მიზნად იქცა. მას მხარს უჭერს ხალხი, მთავრობები და ორგანიზაციები მთელ მსოფლიოში. სამართლის უზენაესობა მიიჩნევა ეროვნული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების დასაყრდენად. მას, ასევე, სულ უფრო მეტად მიიჩნევენ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად კომპონენტად.

თავისი არსით, **სამართლის უზენაესობა გულისხმობს, რომ მოქალაქეები და ისინი, ვინც მათ მართავენ, სამართალს უნდა დაემორჩილონ.** არსებობს მოსაზრება, რომ სამართლის უზენაესობა მხოლოდ საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებს და სახელმწიფო ხელისუფლებას ზღუდავს.<sup>294</sup> თუმცა იგი მოქმედებს არა მხოლოდ მმართველსა და მართულებს, არამედ კერძო პირებს შორის ურთიერთობებშიც.

**სამართლის უზენაესობა მოიცავს როგორც ადამიანის უფლებებს, ისე პოლიტიკურ, საკონსტიტუციო და სამართლებრივ საკითხებს.** *მოქალაქეები საჯარო ორგანოების თვითნებური ქმედებებისგან დაცულნი არიან მაშინ, როცა მათი უფლებები სამართალში, კანონმდებლობაშია მოცემული. ეს კანონი კი საჯარო უნდა იყოს, თანაბრად უნდა ეხებოდეს ყველას და აღსრულებაც ეფექტიანად ხორციელდებოდეს.*

სამართლის უზენაესობის არარსებობა ადამიანის უფლებების რეალიზაციის მთავარი დაბრკოლებაა. იგი უზრუნველყოფს ადამიანებს შორის ურთიერთობების სამართლიან მართვას და ამგვარად, ხელს უწყობს დემოკრატიულ მრავალფეროვნებას. **სამართლის უზენაესობა, აგრეთვე, ამკვიდრებს მმართველთა ანგარიშვალდებულებას და მათ კონტროლს კანონის მეშვეობით.** სა-

<sup>294</sup> კანონის უზენაესობა სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისათვის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი და სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰააგის ინსტიტუტი, 2012, 9.

მართლიანი სასამართლო სამართლის უზენაესობის მთავარი ელემენტია. ამგვარად, სახელმწიფომ უნდა დაამკვიდროს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც დაიცავენ სამართლებრივ სისტემას — სასამართლოები, პროკურატურა, პოლიცია და სხვა სამართალდამცავი ორგანოები. ეს ინსტიტუტები ადამიანის უფლებების გარანტირების ვალდებულებას ატარებენ.<sup>295</sup>

### 3.2. ხელისუფლების იურიდიული ჩარჩოები

**სამართლებრივი სახელმწიფო იარსებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური ძალაუფლება სამართლებრივი გზებით განხორციელდება.** სახელმწიფოში უნდა არსებობდეს კარგად ადაპტირებული ნორმატიული სისტემა და ნორმათა იერარქია. უმაღლეს საფეხურზე უნდა იყოს საკონსტიტუციო ღირებულებების პრინციპები.<sup>296</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი პრინციპების დაცვა პირდაპირ კავშირშია კონსტიტუციურ გარანტიებთან, კონსტიტუცია კი ქმნის ფუნდამენტური პრინციპების ან დადგენილი პრეცედენტების წყობას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სახელმწიფოს ან რაიმე ორგანიზაციის მმართველობის წესი.<sup>297</sup> კონსტიტუციებში, როგორც წესი, პირდაპირაა ჩამოყალიბებული ხელისუფლის სხვადასხვა შტოს შორის ძალაუფლების გადანაწილება. სწორედ ასეთი მნიშვნელობის დოკუმენტი განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებს, რაზეც სამართლებრივი სახელმწიფო დგას. ეს ძირითადი საკონსტიტუციო პრინციპები, რომლებიც დეტალურად განისაზღვრება კონსტიტუციიდან გამომდინარე კანონმდებლობაში, ზღუდავს ძალაუფლების განმახორციელებელ ორგანოებს და არ ძლევს მათ საშუალებას, ძალაუფლება საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენონ, ასევე, ეს პრინციპები შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეს, უფლებების ხელყოფის შემთხვევაში, მიმართოს სამამართლოს და დაიცვას ისინი.

<sup>295</sup> ნარინდოშვილი მ., ადამიანის უფლებები, თბილისი, 2005, 47.

<sup>296</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 190.

<sup>297</sup> The New Oxford American Dictionary, 2<sup>nd</sup> Ed., Edited by E. McKean, Oxford University Press, 2005, 274.

არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო არის „მხოლოდ საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ფიზიკური ძალის დაკონონებულ მონოპოლიაზე“<sup>298</sup>. თუმცა, აღნიშნული მონოპოლია შეზღუდულია კონკრეტული გეოგრაფიული არეალით და რეალურად, სწორედ ეს შეზღუდვაა სახელმწიფოს განმსაზღვრელი ერთ-ერთი კრიტერიუმი.<sup>299</sup> სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს, როგორც ჩვეულებრივ ორგანიზებულ ერთობას, ახასიათებს ექსკლუზიური უფლება, გამოიყენოს, დააშინოს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ფიზიკური ძალა მის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა მიმართ, ლეგიტიმური პროცესების შესაბამისად.

### 3.3. ძალაუფლების გამიჯვნა

დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ძალაუფლება ფუნქციურად დანაწილებულია მის წარმომადგენლობით, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს შორის, ხოლო მათი უფლებამოსილებები გამიჯნულია ერთმანეთისგან. წარმომადგენლობითი ორგანოები პასუხისმგებელნი არიან კანონმდებლობის ფორმირებაზე, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება და საჯარო მოხელეები – პოლიტიკისა და კანონების რეალურ ცხოვრებაში გატარებაზე.

ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი განმაპირობებელი ფაქტორია. *ძალაუფლების გადანაწილება მნიშვნელოვანი კომპონენტია იმისთვის, რომ ხელისუფლებამ კონტროლის ადეკვატური მექანიზმები უზრუნველყოს და აღვეთოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება*. მისი მიზანია, მიღწეულ იქნეს სახელმწიფო ძალაუფლების ბალანსი. ხელისუფლების შტოებს დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალება უნდა მიეცეთ და რაც მთავარია, ისინი ერთმანეთისა და ხალხის წინაშე აგრიშვალდებულნი უნდა იყვნენ.

**ხელისუფლების შტოები იმგვარად უნდა განონასწორდეს, რომ არცერთმა მათგანმა განახორციელოს სამივე სახის ძალაუფლება**

---

<sup>298</sup> Waters T., Max Weber in Weber's Rationalism and Modern Society, Translated and Edited by T. Waters and D. Waters, Palgrave Books, 2015, 136.

<sup>299</sup> იქვე.

**და არ დაეუფლოს სუვერენიტეტს.** პოლიტიკური თვალსაზრისით კი, ამ განონასწორებამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ძალაუფლების მფლობელის მხრიდან ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება, რაც მოქალაქეებისათვის უკიდურესად სახიფათო შეიძლება იყოს.<sup>300</sup>

### 3.4. ნორმატიული სისტემა

ნორმატიული სისტემის არსებობა თვითნებობის აღკვეთის საფუძველია. *დემოკრატიულ რეჟიმებში უმრავლესობის ძალაუფლებას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, თუ იგი სრულიად არ უტოვებს მმართველებს ან უტოვებს მხოლოდ უკიდურესად შეზღუდულ შესაძლებლობას, საყოველთაო ნება თავის სასარგებლოდ შემოატრიალონ.*<sup>301</sup> ამ მნიშვნელოვანი მოსაზრებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საჭიროა კანონმდებლობაში დეტალურად გაინეროს ამ ნების ამსახველი დებულებები, რათა ხელისუფალს არ მიეცეს შესაძლებლობა, მთელი ძალაუფლება თავის ხელში მოაქციოს, რაც ავტომატურად გამოიწვევს სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპების უგულებელყოფას. **ნორმატიული სისტემის არსებობის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მმართველების სურვილის საფუძველზე არ ხორციელდებოდეს მათი საქმიანობა, არამედ მათ მოქმედებებს სამართალი წარმართავდეს.** სამართლის ნორმები სავალდებულო უნდა იყოს როგორც ამ ნორმათა შემქმნელებისთვის, ისე ადრესატებისათვის.

თითოეული სახელმწიფოსთვის, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია ისეთი საკანონმდებლო აქტების არსებობა, რომლებიც სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს იზიარებს და იცავს, მაგრამ, ასევე, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობა შეესაბამებოდეს საზოგადოების შეხედულებებს, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, **კანონების წერის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომლისთვისაც**

<sup>300</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 167.

<sup>301</sup> იქვე, 190.

**კანონი იწერება**, ეს უზრუნველყოფს იმას, რომ საზოგადოებას ეცოდინება კანონების დარღვევის შემთხვევაში არსებული სანქციების შესახებ, მაგრამ, რაც მთავარია, კანონების ამგვარი ფორმით არსებობა მასში პროტესტს არ გამოიწვევს.

სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისათვის უმიშვნელოვანესი გარანტიაა ის ფაქტიც, რომ ნორმატიული სისტემა მორგებული იყოს საჭიროებებზე და არაა აუცილებელი, სახელმწიფო ყველა სფეროში აწესრიგებდეს მდგომარეობას.<sup>302</sup>

### 3.4.1. იურიდიული ნორმების იერარქია

უფლებამოსილებათა (კომპეტენციათა) წესრიგი სამართლის ერთიანობას ემსახურება. იმისათვის, რომ სამართლის ნორმებით მონესრიგებული ფუნქციების წინააღმდეგობებისაგან თავისუფალ თანაარსებობას ჰქონდეს ადგილი, ორგანიზებულ სახელმწიფოში არსებობს იერარქია, კომპეტენციათა საფეხურებრივი აგებულება. *კანონები ქმედით ძალას მხოლოდ მაშინ იძენენ, როდესაც ისინი კონსტიტუციის საფუძველზე და მის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში გამოიცემა, კანონქვემდებარე აქტები კი – მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონის მიერ დადგენილ ფარგლებში.*<sup>303</sup>

ნორმათა იერარქიული ქვემდებარეობა წმინდა ფორმალურ მომენტზეა დამყარებული და ჰარმონიული ნორმატიული წესრიგის მნიშვნელოვანი გარანტიაა. იერარქიულობით სათავეში დგას კონსტიტუცია და მის შემდეგ მოდის, შესაბამისი რანგის მიხედვით, ყველა სხვა ნორმატიული აქტი. ქვემდებარეობის ამ სისტემის დაფუძნებაში, გარდა კონსტიტუციისა, შინაარსობრივი (თვისებრივი) მომენტი გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. **კონსტიტუცია უმაღლესი რანგის აქტია არა მარტო იმიტომ, რომ განსხვავებულია მისი მიღების პროცედურა, არამედ იმიტომაც, რომ იგი თვისობრივად, ღირებულებითი აზრით, ყველაზე სრულფასოვანი ნორმატიული აქტია.** ამ თავისებურებების გამო, იგი ყველა ნორმატიული აქტის საფუძველია. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას

<sup>302</sup> იქვე, 191.

<sup>303</sup> ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, ლ. თოთლაძის თარგმანი, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 45.

ანიჭებს საკონსტიტუციო ნორმების შემუშავებას გარკვეული აღიარებული სტანდარტების დაცვით.<sup>304</sup>

იურიდიული ნორმების იერარქია მოიცავს კონსტიტუციურ კანონებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ჩვეულებრივ კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს. აღნიშნული იერარქია შესაძლებლობას იძლევა, სასამართლომ გააკონტროლოს, შესაბამება თუ არა ქვემდგომი ნორმები ზემდგომს. ისტორიულად, სამართლებრივი ნორმების იერარქია სამართლის უზენაესობის პრინციპის სახით წარმოიშვა, რომელიც 1789 წლის უფლებათა დეკლარაციაში ჩამოყალიბდა. მისი თექვსმეტი მუხლიდან რვა კანონზე აკეთებდა მინიშნებას. ამ პრინციპის თანახმად, კონსტიტუციისთან ერთად, რომელიც აუცილებლად უმაღლეს საფეხურზე უნდა იყოს, კანონს, სხვა ნორმებთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება, რადგან იგი ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული ორგანოს მიერაა მიღებული და ამიტომ საყოველთაო ნების გამოხატულებად უნდა იქნეს აღქმული. საყოველთაო ნება კი ყოველთვის საზოგადო სარგებლისკენ ისწრაფვის.<sup>305</sup>

### 3.4.2. თანაზომიერება

თანაზომიერება ზოგადი პრინციპია, რომელიც რამდენიმე განსაკუთრებულ, ურთიერთდაკავშირებულ ცნებას მოიცავს. ნორმატიული თანაზომიერების პრინციპი გამოიყენება როგორც მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის კრიტერიუმში, განსაკუთრებით კი საკონსტიტუციო სამართალში. მაგ., სისხლის სამართალში თანაზომიერების პრინციპი გულისხმობს, რომ ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სასჯელი ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს.

**თანაზომიერების პრინციპი განსაზღვრავს დამოკიდებულებას მიზანსა და საშუალებას შორის, კერძოდ კი, ადგენს, არის თუ არა საშუალებით გამონეგული უფლების შეზღუდვა შეზღუდვის მიზანთან შესაბამისობაში, თანაზომიერ დამოკიდებულებაში.** ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი სიტყვა შეზღუდული სიკეთისა და

<sup>304</sup> ზოიძე ბ., კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემონიშნების პრობლემები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, VIII, 2015, 10.

<sup>305</sup> Rousseau J.J., Du contrat social, Livre 2, Amsterdam, 1964, 128.

შეზღუდვის მიზნის შეფასებას, კერძოდ, მათ შეპირისპირებას, ეკუთვნის. მან უნდა უზრუნველყოს, რომ ერთი სიკეთე არ იქნება ცალმხრივად, მეორე სიკეთის ხარჯზე, არაპროპორციულად შეფასებული.<sup>306</sup>

ხელისუფლებას არ შეუძლია დაუნესოს მოქალაქეებს ისეთი მოთხოვნები, რომელიც საზოგადოებრივ საჭიროებას აღემატება. თუ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ვალდებულებები თანაზომიერი არაა და არ შეესაბამება მისაღწევ მიზანს, იგი აუცილებლად უნდა გაუქმდეს.

*თანაზომიერების ტესტი პირველად შემუშავდა გერმანიის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ XIX საუკუნის ბოლოს, პოლიციის მიერ განხორციელებული ქმედებების შეფასების მიზნით.<sup>307</sup> შემდეგ კი ტესტი სისტემატურად ჩამოყალიბდა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.<sup>308</sup> ევროკავშირის კანონმდებლობა პროპორციულობის 4 ძირითად კრიტერიუმს აღიარებს: ლეტიმური საჯარო მიზანი ღონისძიებისათვის; ღონისძიებები უნდა იყოს მიზნის მისაღწევად გამოსადეგი (შესაძლებელია, მტკიცებულებების მოთხოვნა იმის საჩვენებლად, რომ ეფექტი შესაბამისი იქნება), ღონისძიება უნდა იყოს აუცილებელი მიზნის მისაღწევად – არ უნდა არსებობდეს მიზნის მიღწევის უფრო ნაკლებადმზღუდავი ეფექტური საშუალება; დასახული მიზანი და შეზღუდვა უნდა იყოს თანაზომიერი, ერთმანეთთან შესაბამისი.<sup>309</sup>*

### 3.4.3. განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა

სამართლებრივ სახელმწიფოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი ნორმების მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე ფორმულირებას. თუ ამ დათქმის უგულებელყოფა მოხდა, სავარაუდოა, რომ მოქმედი სისტემა ვერ მოახერხებს, წარმოაჩინოს კანონის ძირითადი ფუნქცია და კრახს განიცდის. **სამართლის უზე-**

<sup>306</sup> Stern K., Übermassverbot und Abwägungsgebot, in: Staatsrecht III, Munich, 1994, 761.

<sup>307</sup> Hirschberg L., Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit. Goettinger Rechtswissenschaftliche Studien, 1984, 6.

<sup>308</sup> BVerfGE 3, 383, 399 (1954).

<sup>309</sup> Craig P., De Burca G., EU Law, 5<sup>th</sup> Ed., OUP, 2011, 526.

ნაესობის ერთ-ერთი დამახასიეთებელი ნიშანი ისაა, რომ მოსახლეობას წინასწარ აცნობს, თუ რას მოითხოვენ მისგან.<sup>310</sup> ეს ძირითადი ასპექტი ეჭვგეგმ დადგება, თუ კანონები, ადმინისტრაციული რეგულაციები, იურიდიული მოსაზრებები და სამართლებრივი ნორმები გასაგებად არ იქნება ფორმულირებული. ხალხი ვერ მიიღებს ადეკვატურ ინფორმაციას სამართლის სისტემის მუშაობის შესახებ, თუ მისი ღირებულებები გაუგებარი და უაზრო იქნება. სამართლის ენა შეიცავს ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც შეიძლება ძნელად გასაგები იყოს ჩვეულებრივი ადამიანისთვის, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი იურიდიური განათლება. *იმისათვის, რომ დაცული იყოს განჭვრეტადობა (განსაზღვრულობა), სამართლებრივი ნორმები ისე უნდა იქნეს ფორმულირებული, რომ ადამიანებს არ დასჭირდეთ სხვა პირის დახმარება ნორმათა შინაარსის გასარკვევად.*

კანონად შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო საქმიანობის მხოლოდ ის პროდუქტი, რომელიც კანონის ხარისხის მოთხოვნებს პასუხობს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს კანონის შესაბამისობას სამართლის უზენაესობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან. ამ პრინციპების რეალური დაცვისთვის პრაქტიკული და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კანონის ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობას. **კანონის ხარისხი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო რეგულაცია იყოს იმდენად მკაფიო, რომ პირმა, რომლის უფლებაში ჩარევაც ხდება, შეძლოს სამართლებრივი მდგომარეობის ადეკვატურად შეცნობა და საკუთარი ქმედების შესაბამისად წარმართვა.**<sup>311</sup>

ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა. არაერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ **კონკრეტული კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისთვის, რომელსაც უნდა შეეძლოს, წინასწარ განსაზღვროს ამ კანონის მის მიმართ გამოყენების შედეგები.** ასევე, კანონი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლის

<sup>310</sup> Kramer M.H., *Objectivity and the Rule of Law*, Cambridge, 2007, 122.

<sup>311</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

უზენაესობის პრინციპს.<sup>312</sup> ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი, ადამიანს უნდა შეეძლოს ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და ამ მოთხოვნას თავისი ქცევა მიუსადაგოს.<sup>313</sup> მეორე მხრივ, ნორმა არ ჩაითვლება „კანონად“, თუკი იგი საკმარისი სიზუსტით არ იქნება ფორმულირებული, რაც მოქალაქეს, თავის მხრივ, საკუთარი ქცევის რეგულირების შესაძლებლობას აძლევს. მოქალაქეს უნდა შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კონსულტაციის მიღებით განჭვრიტოს ის სამართლებრივი შედეგები, რაც მისმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს. თუმცაღა, შედეგები შეუძლებელია აბსოლუტური სიზუსტით განისაზღვროს, რასაც სამართლებრივი პრაქტიკა ცხადყოფს.<sup>314</sup>

### 3.5. ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ხიბლი ისაა, რომ მისი იდეა მთლიანად ეფუძნება ადამიანის, როგორც უზენაესი ღირებულების, არა მხოლოდ აღიარებას, არამედ ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის რეალურ უზრუნველყოფას.<sup>315</sup> კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი და ფუნქცია კი არის, დაიცვას ადამიანის უფლებები დარღვევის ან უსაფუძვლო შეზღუდვისაგან, რომელიც

---

<sup>312</sup> *Leander v. Sweden*, [ECtHR], App.no. 9248/81, 26 March 1987, Par.50; *Kruslin v. France*, [ECtHR], App.no. 11801/85, 24 April 1990, Par.27; *Huwig v. France*, [ECtHR], App.no. 11105/84, 24 April 1990, Par.32; *Kopp v. Switzerland*, [ECtHR], App.no. 23224/94, 25 March 1998, Par.55; *Malone v. The United Kingdom*, [ECtHR], App.no. 8691/79, 2 August 1984, Par.67; *Barthold v. Germany*, [ECtHR], App. no. 8734/79, 25 March 1985, Par.45, *Grigoriades v. Greece*, [ECtHR], App.no. 121/1996/740/939, 25 November 1997, Par.37.

<sup>313</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

<sup>314</sup> *Sunday Times v. the United Kingdom*, [ECtHR] App. No. 6538/74, 26 April 1979, Par. 23.

<sup>315</sup> ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013, 14.

შეიძლება მომდინარეობდეს ცალკეული ადამიანის, სახელმწიფოს ან რომელიმე ორგანიზაციისაგან.

შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი უფლებებით შებოჭილია სახელმწიფო და მთელი კანონმდებლობა, კონსტიტუციის ჩათვლით, ვინაიდან ისინი არსებობენ არა მხოლოდ პოზიტიური მართლ-ნესრიგის სივრცეში, ამიტომაც, შეუძლებელია პოზიტიური მართლნესრიგით მათი გაუქმება. **დაუშვებელია ძირითადი უფლებების არსის კონსტიტუციითვე დაძლევა, ვინაიდან ღირებულებათა საკონსტიტუციო სისტემა დაფუძნებულია „ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე“.** ძირითადი უფლებების ბუნებითი ხასიათი განაპირობებს მის განსხვავებულ „უფლებრივ“ მდგომარეობას კონსტიტუციის ერთიან ორგანიზმში. გამოდის, რომ ძირითადი უფლებების განმსაზღვრელი ნორმა კონსტიტუციის კონსტიტუციურობის განმსაზღვრელიცაა. ყველა ინსტიტუტის დანიშნულება ძირითადი უფლებების მსახურებაა. ძირითადი უფლება ავალდებულებს ყველას, თვით მის მატარებელსაც.<sup>316</sup>

სახელმწიფოებში უფლებების საკონსტიტუციო დონეზე განმტკიცებამ მათ უზენაესი იურიდიული ძალა და სახელმწიფო ხელისუფლების ნორმატიული აქტით ბოჭვის შესაძლებლობა მიანიჭა. ადამიანი უკვე სახელმწიფოს წინაშე დგას, როგორც სამართლის სუბიექტი და არა როგორც ხელქვეითი და ობიექტი. ამ სტატუსმა მას საკუთარი უფლებების სახელმწიფოს წინააღმდეგ სასამართლო გზით დაცვის საშუალება მისცა.<sup>317</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ *სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის ძირითადი უფლებების კონსტიტუციური რეგლამენტაცია საკმარისი არაა, მთავარია, ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა, მისი უფლების დარღვევის შემთხვევაში, დამოუკიდებელი სასამართლოს მეშვეობით დაიცვას თავი.*

### 3.6. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა

საზოგადოებაში დავის არსებობა ჩვეულებრივი მოვლენაა და მისი თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ადა-

<sup>316</sup> ზოიძე ბ., კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმების პრობლემები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, VIII, 2015, 2.

<sup>317</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 13.

მიანებს ერთმანეთისგან განსხვავებული მოთხოვნები, სურვილები, შეხედულებები და ღირებულებები აქვთ. დავის მოსაგვარებლად სამართალი აწესებს სპეციალურ ორგანოს – სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, სახელმწიფოს სახელით გადაწყვიტოს მის განსჯადობას მიკუთვნებული შესაბამისი დავა.

სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობა ხელისუფლების თვითნებობისაგან დაცვისა და მისი შეზღუდვის საუკეთესო შესაძლებლობაა. **სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოსამართლეების დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფა.** სწორედ დამოუკიდებელი მოსამართლეებით დაკომპლექტებული სასამართლო ორგანოები შეძლებენ დაიცვან მოსახლეობის კანონიერი ინტერესები და ხელი შეუწყონ სამართლიანი სასამართლოს შექმნას.

სასამართლო დაცვის, იგივე სამართლიანი სასამართლოს უფლება ძირითადი საპროცესო უფლებაა და საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც მატერიალური სამართალი ხორციელდება. **ფიზიკური პირის პრეტენზიას სამართლიან სასამართლო დაცვაზე, ანუ სასამართლოსათვის მიმართვაზე, ხშირად ადამიანის უძველეს საპროცესო უფლებას უწოდებენ.** ამ უფლების მიხედვით, ყველას შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო სასამართლო მოსმენა, თუ მიაჩნია, რომ სახელმწიფომ მისი უფლებები დაარღვია; არავინ შეიძლება იყოს სასამართლო პროცესის შიშველი ობიექტი, ყველას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი შესაძლებლობა, პროცესის მიმდინარეობისას გამოთქვას თავისი შეხედულება, რათა ამით გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს თავად პროცესსა და სასამართლო გადაწყვეტილებაზეც.

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა პირდაპირ კავშირშია მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან, რადგან სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხს სწორედ ისინი განსაზღვრავენ. მოსამართლეების დამოუკიდებლობა კი გლობალურ და ურთიერთდამოკიდებულ საზოგადოებაში ყველა მოქალაქის მიერ უნდა განიხილებოდეს, როგორც სიმართლის, თავისუფლების, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და გარეგანი გავლენისაგან თავისუფალი, მიუკერძოებელი მართლმსაჯულების გარანტია. მოსა-

მართლეთა დამოუკიდებლობა არა პრეროგატივა ან პრივილეგიაა მოსამართლეთა პირადი ინტერესების სასარგებლოდ, არამედ სამართლის უზენაესობისა და ყველა იმათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ვინც ეძიებს და მოელის კანონიერებას. *დამოუკიდებლობა, როგორც მოსამართლეების მიუკერძოებლობის პირობა, სასამართლოების წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის გარანტიაა.*<sup>318</sup>

### **3.7. ინსტიტუტებისა და ნორმების ჰუმანური და ლიბერალური მიზნები**

ნამდვილი სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს ნორმატიული ქსელის შთაგონებას ჰუმანისტური და ლიბერალური ფილოსოფიით, რომელიც პირველ პლანზე ადამიანის ღირებულებასა და კეთილდღეობას აყენებს. **ნორმათა სისტემას საფუძვლად უნდა ედოს ფუნდამენტური პრინციპების სისტემა, რომელიც მოქალაქეთა თავისუფლებებისა და უფლებების დაცვას ემსახურება.**<sup>319</sup>

---

<sup>318</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო დასკვნა №10, სტრას-ბურგი, 2007 წლის 23 ნოემბერი.

<sup>319</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 194.

## თავი V. ძალაუფლების გაშიჯვნა

*„ხელისუფლება იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ადამიანს არ ეშინოდეს ადამიანის.“  
მონტესკიე<sup>320</sup>*

*„რა არის ხელისუფლება, თუ არა ანარეკლი ადამიანური ბუნებისა? ადამიანები რომ ანგელოზები ყოფილიყვნენ ხელისუფლება საჭირო არ იქნებოდა. ხელისუფლებაში რომ ანგელოზები ყოფილიყვნენ, არც მისი შინაგანი კონტროლი იქნებოდა აუცილებელი და არც ვარეგანი.“  
მედისონი<sup>321</sup>*

### 1. ხალხი, როგორც ძალაუფლების წყარო

სახალხო სუვერენიტეტისა და წარმომადგენლობის იდეა ერთ-ერთი საკვანძოა არა მხოლოდ კონსტიტუციონალიზმში, არამედ ზოგადად, პოლიტიკურ მეცნიერებებში. იგია დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი და მისი სამართლებრივი ბუნების, ნამდვილი ხასიათის განმსაზღვრელი. „სახალხო სუვერენიტეტის იდეა გულისხმობს, რომ თითოეული მოქალაქე მონაწილეობს ხელისუფლების ფორმირებაში და ამით ჩართულია ხელისუფლების განხორციელების პროცესში. სახალხო სუვერენიტეტი მნიშვნელოვანწილად ხორციელდება წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპის მეშვეობით. საქართველოს თითოეული მოქალაქე ირჩევს რა წარმომადგენელს, საკუთარ ძალაუფლებას გადასცემს მას და ამით აძლევს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების, სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას.“<sup>322</sup>

მაკიაველის თქმით, სახელმწიფო ზუსტად იმდენადაა კარგი, რამდენადაც კარგები არიან მისი მოქალაქეები.<sup>323</sup> **სწორედ მოქალაქეები, რომლებიც სახელმწიფოს ძირითადი სუბიექტები**

<sup>320</sup> Baron de Montesquieu, Ch. de S., The Spirit of Laws, Translated by Th. Nugent, Ontario, 2001, 173.

<sup>321</sup> მედისონი ჯ., ფედერალისტი №51, ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიდის თარგმანი, თბილისი, 2008, 288.

<sup>322</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.

<sup>323</sup> Cohen M., Political Philosophy, From Plato to Mao, London, 2001, 45.

არიან, განაპირობებენ, საბოლოო ჯამში, თავად მმართველობის ბუნებას. ისინი როგორც მმართველები, ისე უშუალოდ მართულებიც არიან. ხელისუფლების მმართველობის საფუძველი კი სწორედ მათი, მართულთა თანხმობა უნდა იყოს.<sup>324</sup> უფრო მეტიც, ხელისუფლებას, მის ნებისმიერ ორგანოსა თუ თანამდებობის პირს, ძალაუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ხალხი ანიჭებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი სახელმწიფო ძალაუფლების ერთადერთი წყაროა.<sup>325</sup> ხალხია ერთადერთი სუბიექტი, რომელიც განსაზღვრავს არა მხოლოდ საკუთარი ხელისუფლის ვინაობასა და ვადას, არამედ რეალურად წარმოადგენს იმ ერთობას, რომელზეც დგას ნებისმიერი სახელმწიფო. სახელმწიფო ძალაუფლება სამართლებრივი და პოლიტიკური ფიქციაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხალხისგან მომდინარეობს, ამ უკანასკნელის სურვილის შემთხვევაში კი დასაშვებია სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით ძალაუფლების უკან დაბრუნება და „გამოთხოვაც“ კი. წინააღმდეგობის უფლება, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებათა ფაქტობრივი კონტროლის მექანიზმები სხვა არაფერია, თუ არა ხალხის ნება, გადაცემული ძალაუფლების განხორციელების პროცესი, მიზნები და ამოცანები მკაცრ და შინაარსობრივ ზედამხედველობას დაუქვემდებაროს, საჭიროების შემთხვევაში კი, ხელისუფლება, რომელიც ამას არ გაითვალისწინებს, შეცვალოს კიდევ.

ამერიკულმა რევოლუციამ განაპირობა არა მხოლოდ აშშ-ის სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, არამედ ხელისუფლება დააფუძნა ორ უმთავრეს, ფუნდამენტურ პრინციპს – თავისუფლებასა და შესაძლებლობას.<sup>326</sup> *ხალხის, მოქალაქეთა თავისუფლება არის სამანი, რომლითაც იმიჯნება სახელმწიფო ხელისუფლების ძალაუფლების კეთილგონიერი და ბოროტი გამოყენება. ადამიანის ძირითადი უფლებით დაცული სფეროა ის მიჯნა, რომელიც ნებისმიერ მმართველს მიუთითებს ძალაუფლების გამოყენების ფარგლებსა და ფორმაზე.* ამასთან, სახელმწიფოს არა აქვს

<sup>324</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 61.

<sup>325</sup> მედისონი ჯ., ფედერალისტი №51, ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიძის თარგმანი, თბილისი, 2008, 289.

<sup>326</sup> Cohen M., Political Philosophy, From Plato to Mao, London, 2001, 8.

ფუფუნება, ხალხის მხოლოდ ის ნება გაითვალისწინოს, რომელიც მისთვისაა მისაღები, იგი არ აღიარებს რაიმე სახის შეზღუდვას მოქალაქეთა მიმართ წაყენებული მოთხოვნების შინაარსში<sup>327</sup>.

ხელისუფლების ლეგიტიმაცია არა თავად ხელისუფლებაზე, როგორც სუბიექტზეა, დამოკიდებული, არამედ მისი ძალაუფლების სამართლებრივ, იდეურ და შინაარსობრივ ხასიათზე. ეს არა ხელისუფლება, არამედ მისი ძალაუფლება მომდინარეობს ხალხიდან.<sup>328</sup> და ზოგადად, როგორც მედისონი აღნიშნავს, ხელისუფლების ნებისმიერი უფლებამოსილების წყარო ხალხია. ხალხი, როგორც ძალაუფლების ძირითადი მატარებელი, წარმოადგენს ძალაუფლების წყაროს<sup>329</sup>, ანუ იმ იდეურ წერტილს, მოცემულობას, საიდანაც მომდინარეობს ძალაუფლება, ხოლო ხელისუფლება არის სუბიექტი, რომელიც ამ ძალაუფლებას იღებს გარკვეული ვადით, დანიშნულებითა და ფარგლებით, რათა გამოიყენოს იგი ყველაზე მთავარი მიზნის მისაღწევად — შექმნას გარემო და მმართველობა, რომ „ადამიანს არ ეშინოდეს ადამიანის“<sup>330</sup>.

## 2. ძალაუფლების შეზღუდვის აუცილებლობა

თანამედროვე სახელმწიფოს კონცეფციის განვითარების საწყის ეტაპზე სახელისუფლებო ძალაუფლება შეუზღუდავად, აბსოლუტურად იყო მიჩნეული,<sup>331</sup> რასაც ხელს უწყობდა მმართველთა მისტიფიკაცია და საკრალური სტატუსი. XIII საუკუნის ინგლისში დაწყებულმა პროცესებმა და „თავისუფლებათა დიდმა ქარტიამ“ ისტორიაში პირველად შეძლეს სახელმწიფო ხელისუფალი და მისი ძალაუფლება შეეზღუდათ, მართალია, თავდაპირველად მხოლოდ

<sup>327</sup> Bird C., *An Introduction to Political Philosophy*, New York, 2006, 155.

<sup>328</sup> მედისონი ჯ., ფედერალისტი №51, ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიდის თარგმანი, თბილისი, 2008, 290.

<sup>329</sup> იქვე, 287.

<sup>330</sup> Baron de Montesquieu, Ch. de S., *The Spirit of Laws*, Translated by Th. Nugent, Ontario, 2001, 173.

<sup>331</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 61.

სიმბოლურად, თუმცა მაინც ოფიციალურად.<sup>332</sup> შემდგომმა განვითარებამ, მართლაც, წარმოუდგენელი შედეგი მოიტანა და ძალაუფლების შეზღუდვის იდეა კონსტიტუციის ამოსავალ დებულებად აქცია, შეიძლება ითქვას, კონსტიტუციონალიზმის აუცილებელ პირობად ჩამოაყალიბა.<sup>333</sup>

ძალაუფლებისკენ მისწრაფების „მოთოკვის“ ერთადერთი საშუალება ისაა, თუ ძალაუფლების მსურველი და ამ სურვილის მისაღწევი მექანიზმების მფლობელი ერთი და იგივე პირი არაა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ნებისმიერ პირს მოუწევს დაფიქრება და შემდეგ მოქმედება, ვინაიდან მის მოქმედებებს შესაძლოა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა შეხვდეთ.<sup>334</sup> *მაკიაველი იყო ევროპელ დიდ მოაზროვნეთაგან პირველი, რომელმაც თავისუფლება პირველად ღირებულებად შეაფასა.*<sup>335</sup> ამან კიდევ უფრო გაამძაფრა სახელისუფლებო ძალაუფლებისა და პიროვნების თავისუფლებას შორის არსებული დაპირისპირება, რომელიც, საბოლოოდ, დემოკრატიულ სამყაროში ძალაუფლების რაციონალური შეზღუდვით დასრულდა.

ნებისმიერი ტოტალიტარული თუ არადემოკრატიული რეჟიმის უპირველესი მიზანი სწორედ საჯარო ძალაუფლების მონოპოლიზაციაა.<sup>336</sup> სწორედ ამიტომ კონსტიტუცია (და ზოგადად, კანონმდებლობა) და ხალხი უნდა უზრუნველყოფდნენ ძალაუფლების შეზღუდვის პრაქტიკულ არსებობასა და ამ იდეის სიმყარეს, რადგანაც **ძალაუფლების შეზღუდვის ფუნქციის გარეშე კონსტიტუცია ჩვეულებრივი კანონია, რომელსაც პრაქტიკული გამოყენება არ უწერია.**<sup>337</sup> სწორედ ამის გათვალისწინებით, თანამედროვე სამყაროში მოქმედებს მთავარი პირობა: არა აქვს

---

<sup>332</sup> იხ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2015, 3-4.

<sup>333</sup> იქვე, 1-3.

<sup>334</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 90.

<sup>335</sup> Cohen M., Political Philosophy, From Plato to Mao, London, 2001, 44.

<sup>336</sup> Villa D.R., Politics, Philosophy, Terror, Essays on the Thought of Hannah Arendt, Princeton, 1999, 199.

<sup>337</sup> იხ., შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 87.

მნიშვნელობა ხელისუფლების კეთილგონიერებას, მის „წმინდა“ ზრახვებსა და „სიქველს“, იგი ნებისმიერ შემთხვევაში შეზღუდული უნდა იყოს<sup>338</sup>.

### 3. ძალაუფლების გამიჯვნის იდეა

ძალაუფლების გამიჯვნის დოქტრინა ერთი რომელიმე მეცნიერის პირადი მონაპოვარი არაა. რა თქმა უნდა, იგი უკავშირდება მონტესკიეს სახელს, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა თანამედროვე კონცეფციის საკვანძო ელემენტები, თუმცა თავად იდეა დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი განმანათლებლობის ეპოქის შედეგია და ყველაზე პრაქტიკული რამაა, რაც ამ პერიოდს შეუქმნია. ლოკის აზრით, კანონშემოქმედება მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო პოლიტიკის შექმნის შესაძლებლობისგან დისტანცირებული.<sup>339</sup> ამ შემთხვევაში იგი კანონმდებლისა და აღმასრულებლის უფლებამოსილებების გამიჯვნას მოიაზრებდა, რაც შემდგომში მონტესკიესა და მედისონის თეორიებში ზედმინვენითი სიზუსტით განხორციელდა.

**ძალაუფლების გამიჯვნა საკონსტიტუციო დოქტრინაა, რომელიც ხალხს ტირანიისგან იცავს.<sup>340</sup> მისი პირველადი მთავარი მიზანი იყო სახელისუფლებო ძალაუფლების სამ განყოფილებას, მიმართულებას შორის განაწილება, რათაც ხალხი ავტოკრატიისგან უნდა დაეცვა.<sup>341</sup> უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იდეა და მიზანი დღესაც უცვლელია და კვლავაც ტირანიასთან ბრძოლა და მისი პრევენციაა.<sup>342</sup> ჯერ კიდევ საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია აცხადებდა, რომ ნებისმიერ**

<sup>338</sup> ნოდია გ., ფედერალისტის ტრადიცია და ძალაუფლების დანაწილების სტატუსი ქართულ პოლიტიკურ სისტემაში, ნიგნი: ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიდის თარგმანი, თბილისი, 2008, 517; Cohen M., Political Philosophy, From Plato to Mao, London, 2001, 79.

<sup>339</sup> Cohen M., Political Philosophy, From Plato to Mao, London, 2001, 79.

<sup>340</sup> Black's Dictionary, 9<sup>th</sup> Ed., Edited by B.A. Garner, West Publishing, 2009, 1487.

<sup>341</sup> იქვე, 1488.

<sup>342</sup> Alder J., General Principles of Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Edition, Palgrave Macmillan, 2002, 108; Barnett H., Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Edition, Cavendish Publishing, 2002, 13; Baron de Montesquieu, Ch. de S., The Spirit of Laws, Translated by Th. Nugent, Ontario, 2001, 173.

საზოგადოებას, რომელშიც არ არსებობს დებულებები, რომლებიც უფლებებს ან ძალაუფლების გამიჯვნას უზრუნველყოფენ, კონსტიტუცია არ გააჩნია<sup>343</sup>.

ძალაუფლების გამიჯვნის „სამწვეროვანი“ სისტემა, რომლითაც კლასიკური ბრიტანული მმართველობა ხელისუფლების სამშტოვანი მმართველობით ჩანაცვლდა, პირველად აშშ-მა გამოიყენა,<sup>344</sup> და შეიძლება ითქვას, პრაქტიკული თვალსაზრისით, ყველაზე სრულყოფილადაც.<sup>345</sup> აშშ-ის კონსტიტუციის შემქმნელებზე დიდი გავლენა მოახდინა მასაჩუსეტის კონსტიტუციამ, რომელიც ძალაუფლების გამიჯვნის საკმაოდ დეტალურ მონესრიგებას მოიცავდა.<sup>346</sup> მამა-დამფუძნებლები არა ბრიტანულ კონსტიტუციონალიზმს, არამედ მონტესკიეს იდეებს ითვალისწინებდნენ,<sup>347</sup> რის გამოც აშშ გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც ძალაუფლების გამიჯვნის დღეს უკვე კლასიკად ქცეული მოდელი დანერგა. ძალაუფლების გამიჯვნის იდეის ამერიკული რეალიზაცია იმით იყო განპირობებული, რომ ძალაუფლების თვითნებურად გამოყენება შეზღუდულიყო, ხალხი კი ავტოკრატიული ხელისუფლებისგან ყოფილიყო დაცული.<sup>348</sup> მედისონის შეხედულება სრულად იზიარებდა მონტესკიეს აზრს: ძალაუფლების (ყველა სახის) აკუმულირება ერთ ხელში, რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს ეს, ტირანიას წარმოშობს.<sup>349</sup> ამერიკული კონცეფციით, ძალაუფლების გამიჯვნისა თუ სახალხო ნების მთავარი არსი თავისუფლების უზრუნველყოფა და სამსახურია.<sup>350</sup> სწორედ ამიტომაც ამერიკულმა კონსტიტუციამ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო

---

<sup>343</sup> Declaration of Human and Civic Rights of 26 August 1789, Art.16.

<sup>344</sup> Cohen M., *Political Philosophy, From Plato to Mao*, London, 2001, 8.

<sup>345</sup> Stewart W.J., Burgess R., *Collins Dictionary of Law*, 2<sup>nd</sup> Ed., Collins, 2001, 355.

<sup>346</sup> Sir Phillips F., *Commonwealth Constitutional Law*, Cavendish Publishing, 2002, 17.

<sup>347</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 91.

<sup>348</sup> იქვე, 92-93; *Myers v. United States*, 272 US 293 (1926) (J. Branders, Dissenting).

<sup>349</sup> Alder J., *General Principles of Constitutional and Administrative Law*, 4<sup>th</sup> Ed., Palgrave Macmillan, 2002, 105.

<sup>350</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 65.

ორგანოებს ძალაუფლების განხორციელებისა და მოქმედების პროცესში ჩარჩოები დაუდგინა და სამოქმედო არეალი სამართლებრივად განუსაზღვრა<sup>351</sup>.

**ძალაუფლების გამიჯვნის არსებითი იდეა იმაშია, რომ ძალაუფლება ერთი რომელიმე სახელმწიფო ინსტიტუტის ხელში არ მოექცეს.**<sup>352</sup> მისი საფუძველი სწორედ ძალაუფლების დიფერენციაციას უკავშირდება და არა ხელისუფლების შტოებად დაყოფას. ეს უკანასკნელი დოქტრინის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია. იგი ხელისუფლების სამ განშტოებად დაყოფას მოიაზრებს, რომელთაგან თითოეული ძალაუფლების გარკვეულ, მისთვის უნიკალურ ნაწილს ფლობს, რასაც სხვა შტოებთან არ იყოფს და თავის მხრივ, სხვა შტოებსაც ეკრძალებათ მის განხორციელებაში ჩარევა.<sup>353</sup> ეს დოქტრინა ძალაუფლებას ყოფს განსხვავებული ინტერესებისა და მიზნების ჯგუფებს შორის ისე, რომ ძალაუფლების არცერთ ცენტრს არ შეეძლოს მოქმედება სხვებთან თანამშრომლობის გარეშე.<sup>354</sup> მისი მთავარი დანიშნულება საჯარო ინტერესებთან მიმართებით პოლიტიკური ძალაუფლების საფრთხეების მინიმალიზება უნდა იყოს, რაც სწორედ ძალაუფლების სხვადასხვა ორგანოზე გადანაწილებით მიიღწევა,<sup>355</sup> ამასთან, ეს არა მხოლოდ ამცირებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხეს, არამედ პრაქტიკულად გაცილებით ეფექტურ მმართველობას უზრუნველყოფს.<sup>356</sup>

**ძალაუფლების გამიჯვნის დოქტრინა უშუალოდ დაკავშირებულია სამართლის უზენაესობის, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან.**<sup>357</sup> მან წარმოუდგენლად დიდი ზეგავლენა მოახდინა საკონსტიტუციო მოძღვრებასა და სასამართლო აზროვნებაზე.<sup>358</sup>

---

<sup>351</sup> Carroll A., Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., Pearson Longman, 2007, 36.

<sup>352</sup> Barnett H., Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., Cavendish Publishing, 2002, 13.

<sup>353</sup> Blakwell A.H., The Essential Law Dictionary, Sphinx Publishing, 2008, 454.

<sup>354</sup> Alder J., General Principles of Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., Palgrave Macmillan, 2002, 105.

<sup>355</sup> Robertson D., The Routledge Dictionary of Politics, 3<sup>rd</sup> Ed., Routledge, 2004, 443.

<sup>356</sup> იქვე.

<sup>357</sup> იქვე.

<sup>358</sup> Herling D., Lyon A., Briefcase on Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., Cavendish Publishing, 2004, 19.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი მაინც პოლიტიკური ფილოსოფიის მოდელია და არა სინამდვილის ასახვა.<sup>359</sup> ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ სრული გამიჯვნა ზედმეტად თეორიული, არაპრაქტიკული და ულაზათოა,<sup>360</sup> იმდენად ბუნდოვანი სისტემაა, რომ მის საფუძველზე რომელიმე სახელმწიფოს მმართველობის პრაქტიკული განხორციელება გამორიცხულია. მიუხედავად ამისა, ის მაინც ერთადერთი მექანიზმია, რომელიც სუვერენული პოლიტიკური ძალაუფლების მიერ თავისუფლების ტოტალიტარიზმად ან ტირანიად გარდაქმნას ეწინააღმდეგება<sup>361</sup>.

### 3.4. ძალაუფლების გამიჯვნის ელემენტები

სხვადასხვა სახის ძალაუფლების ერთი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის ხელში თავმოყრა არა მხოლოდ მმართველობის არადემოკრატიულობას განაპირობებს, არამედ რეალურ და შინაარსობრივ თავისუფლებას სპობს.<sup>362</sup> **მხოლოდ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც ძალაუფლების ნათელ საზღვრებს, შეზღუდვებსა და თითოეული ინსტიტუტის მბოჭავ დებულებებს შეიცავს, თანხვედრაშია ძალაუფლების გამიჯვნის დოქტრინასთან.**<sup>363</sup> ამასთან, ძალაუფლების სამი სახე არ გულისხმობს ხელისუფლების დაქსაქულობას, პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, მათ შეთანხმებულად და ერთობლივად უნდა იმოქმედონ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ადამიანის უფლებათა დაცვასა და უზრუნველყოფას ეხება.<sup>364</sup> **რაც შეეხება თავად ძალაუფლების გამიჯვნის კონცეფციას, იგი სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება: ინსტიტუციური გამიჯვნა, ფუნქციური**

---

<sup>359</sup> იქვე, 19.

<sup>360</sup> Stewart W.J., Burgess R., Collins Dictionary of Law, 2<sup>nd</sup> Ed., Collins, 2001, 354.

<sup>361</sup> ნოდია გ., ფედერალისტის ტრადიცია და ძალაუფლების დანაწილების სტატუსი ქართულ პოლიტიკურ სისტემაში, წიგნში: ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიძის თარგმანი, თბილისი, 2008, 516.

<sup>362</sup> Baron de Montesquieu, Ch. de S., The Spirit of Laws, Translated by Th. Nugent, Ontario, 2001, 173.

<sup>363</sup> Barnett H., Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., Cavendish Publishing, 2002, 13.

<sup>364</sup> Baron de Montesquieu, Ch. de S., The Spirit of Laws, Translated by Th. Nugent, Ontario, 2001, 181.

**გამიჯვნა და შეკავება-განონასწორების სისტემა.**<sup>365</sup> სწორედ ამ სამი შემადგენლის კუმულაციური არსებობა და შინაარსობრივი მოცემულობა ძალაუფლების გამიჯვნის იდეის ქმედითობას განაპირობებს. მათგან რომელიმეს დარღვევა კი გამიჯვნას არაპრაქტიკულსა და წარმოსახვითს ხდის.

### 3.4.1. ინსტიტუციური გამიჯვნა

ინსტიტუციური გამიჯვნის მიხედვით, ხელისუფლება, ორგანიზაციული თვალსაზრისით, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად იყოფა.<sup>366</sup> აღნიშნული გულისხმობს, რომ კონკრეტული სახელმწიფო ინსტიტუცია, ორგანო თუ თანამდებობის პირი, რომელიც ხელისუფლების ერთ შტოს წარმოადგენს, იმავდროულად სხვა შტოს წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს.<sup>367</sup> რა თქმა უნდა, ძალაუფლების ხელისუფლების შტოებზე გადანაწილება თავად ამ შტოების აბსოლუტურ დამოუკიდებლობას არ უზრუნველყოფს, ეს ყოველივე შეფარდებით ხასიათს ატარებს.<sup>368</sup> ხელისუფლების შტოები ერთმანეთისგან განცალკევებულნი, გამიჯნულნი, ურთიერთდამოუკიდებელნი უნდა იყვნენ, თუმცა არა იზოლირებულები, ვინაიდან ისინი მხოლოდ თვითონ ვერ იმოქმედებენ<sup>369</sup>.

---

<sup>365</sup> Alder J., *General Principles of Constitutional and Administrative Law*, 4<sup>th</sup> Ed., Palgrave Macmillan, 2002, 108.

<sup>366</sup> „თავისუფლების შესანარჩუნებლად აუცილებელია, ხელისუფლება გაიმიჯნოს... თითოეული სახელისუფლებო დეპარტამენტს საკუთარი ნება უნდა ჰქონდეს.“ იხ., მედისონი ჯ., ფედერალისტი 51, ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიდის თარგმანი, თბილისი, 2008, 287; Collin P.H., *Dictionary of Politics and Government*, 3<sup>rd</sup> Ed., Bloomsbury Publishing, 2004, 225; Oran D., Tosti M., *Oran's Dictionary of the Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Delmar Publisher, 2000, 445; Lehman J., Phelps Sh., *West's Encyclopedia of American law*, Vol.13, 2<sup>nd</sup> Ed., Thomson Gale, 2005, 182.

<sup>367</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2015, 9.

<sup>368</sup> ნოღია გ., ფედერალისტის ტრადიცია და ძალაუფლების დანაწილების სტატუსი ქართულ პოლიტიკურ სისტემაში, ნიგნი: ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიდის თარგმანი, თბილისი, 2008, 517.

<sup>369</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 94.

ინსტიტუციური გამიჯვნა, რომელიც ხელისუფლების, როგორც სუბიექტის, ინსტიტუციურ, სახელმწიფო ორგანობად დაყოფას მოიაზრებს, არის ის, რასაც „ხელისუფლების დანაწილებას“ უწოდებენ. იგი მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი, თუმცა არა ერთადერთი ელემენტია ძალაუფლების გამიჯვნისთვის. ამასთან, ამ კონტექსტშიც კი, „დანაწილება“ უტრირებული და არაადეკვატური ტერმინია ინსტიტუციური გამიჯვნისთვის, ვინაიდან ხელისუფლება არ ნაწილდება, ის მხოლოდ ჰიპოტეტურად იყოფა შტოებად. ხელისუფლება მუდამ ერთიანია და მთლიანობას ეფუძნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო უბრალოდ ვერ იარსებებს.

### 3.4.2. ფუნქციური გამიჯვნა

ლეგიტიმური სახელმწიფოს მიზანი და მოთხოვნილება საკანონმდებლო და აღმასრულებელ პოლიტიკურ ფუნქციათა ერთმანეთისგან განცალკევება უნდა იყოს.<sup>370</sup> სწორედ ამიტომ, *ძალაუფლების გამიჯვნის მიხედვით, პირის თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დაცული და უზრუნველყოფილი, თუკი სახელმწიფოს სამი პირველადი ფუნქცია (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) შესაბამისი და დამოუკიდებელი ორგანოების მიერ ხორციელდება.*<sup>371</sup> **პარლამენტის კანონშემოქმედებით უფლებამოსილებას, აღმასრულებლის ძალაუფლება, მიღებული კანონების აღასრულოს და სასამართლოს ფუნქცია, განმარტოს და შეუფარდოს ისინი, – აბალანსებს**<sup>372</sup>.

სახელმწიფო ორგანოების ინსტიტუციურად გამიჯვნასთან ერთად, ფუნქციათა დაყოფა ამ დამოუკიდებელ, გამიჯნულ ინსტიტუტებს შორის უმნიშვნელოვანესია,<sup>373</sup> რადგან სწორედ ეს ფუნქციები და უფლებამოსილებები განაპირობებს მათ მატარებელ ინსტიტუციათა რეალურ დანიშნულებასა და სტატუსს. ფუნქციური გამიჯვნა იმითაა უზრუნველყოფილი, რომ ძალაუფლების განმახორციელებელ სხვადასხვა სუბიექტს ეკრძალება ერთმანეთის

<sup>370</sup> The Blackwell Guide to Social and Political Philosophy, Edited by R.L. Simon, Padstow, 2002, 18.

<sup>371</sup> Oxford Dictionary of Law, 5<sup>th</sup> Ed., Edited by E.A. Martin, Oxford, 2003, 455.

<sup>372</sup> Kanovitz J.K., Constitutional Law, 12<sup>th</sup> Ed., New Providence, 2010, 7.

<sup>373</sup> Curzon L.B., Richards P.H., The Longman Dictionary of Law, 7<sup>th</sup> Ed., Pearson Longman, 2007, 531.

ძალაუფლების გამოყენება.<sup>374</sup> ისინი არ უნდა შეიქრან სხვათა კომპეტენციაში.

რა თქმა უნდა, ფუნქციური გამიჯვნა, უპირველეს ყოვლისა, უფლებამოსილებათა გამიჯვნას გულისხმობს, ვინაიდან სწორედ უფლებამოსილებებში გამოიხატება შესაბამისი ორგანოსა თუ თანამდებობის პირზე დაკისრებული ფუნქციები და კომპეტენციები.

### 3.4.1. შეკავება-განონასწორება

ძალაუფლების გამიჯვნის ამოსავალი იდეაა, რომ ხელისუფლების ვერცერთმა შტომ შეძლოს გადაჭარბებული ძალაუფლების მოპოვება.<sup>375</sup> სწორედ ამ მექანიზმში ვლინდება ძალაუფლების გამიჯვნის დოქტრინა, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უმოქმედო და არაპრაქტიკული იქნებოდა. სწორედ ამიტომაც არა აქვს მნიშვნელობა მმართველობის მოდელებისა თუ პოლიტიკური რეჟიმების ორთოდოქსულობასა და წმინდა ქრესტომათიულ ხასიათს: *ნებისმიერი სახელმწიფო მმართველობა ამართლებს, მთავარია ძალაუფლების გამიჯვნა და განსაკუთრებით კი, შეკავება-განონასწორების მექანიზმი იყოს გამართული.*<sup>376</sup>

მონტესკიესეული „ძალაუფლების დაოკების“ იდეა<sup>377</sup> მედისონმა განავრცო და რაც მთავარია, პრაქტიკაშიც გამოსცადა, პირველ დანერილ კონსტიტუციაში მისი ინტეგრირებით. მედისონის აზრით, *ხელისუფლების შტოები ფუნქციათა განხორციელებით როგორც გააძლიერებდნენ, ისე გააკონტროლებდნენ კიდევ ერთმანეთს.*<sup>378</sup>

<sup>374</sup> Kanovitz J.K., Constitutional Law, 12<sup>th</sup> Ed., New Providence, 2010, 7.

<sup>375</sup> Oran D., Tosti M., Oran's Dictionary of the Law, 3<sup>rd</sup> Ed., Delmar Publisher, 2000, 445.

<sup>376</sup> იხ., გეგენავა დ., ძალაუფლების გამიჯვნის ქართული მოდელის პრობლემა, ნიგნი: სახელმწიფო მმართველობის მოდელები: საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილე და პერსპექტივა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016.

<sup>377</sup> მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩიდის თარგმანი, თბილისი, 1994, 181.

<sup>378</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 92.

კონტროლის გარეშე შტოთა მოქმედება ავტორიტარიზმის საფრთხეს განაპირობებს<sup>379</sup>.

ხელისუფლების სამი შტოდან თითოეული სპეციფიკური ძალა-უფლებითაა აღჭურვილი, რომელსაც სხვა ვერ განახორციელებს.<sup>380</sup> სწორედ ამგვარი შეკავება-განონასწორება განაპირობებს მთელი ძალაუფლების ერთი პირის, ტირანის ხელში თავმოყრის პრევენციას.<sup>381</sup> მისი საშუალებით ხელისუფლების შტოთა ძალა-უფლების ნამდვილი დაბალანსება ხდება:<sup>382</sup> სახელმწიფო ორგანოებმა იმგვარად იმოქმედონ, რომ შებოჭონ ერთმანეთი და თავიდან აიცილონ სხვა ინსტიტუტების მხრიდან ძალაუფლების გადაცდომა.<sup>383</sup>

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოები ერთი სახელმწიფოს სამი სხვადასხვა ელემენტია, რომლებიც თავიანთ განცალკევებულ ძალაუფლებას ახორციელებენ, მათ შორის ურთიერთობები კი სამართლის უზენაესობითა და შეთანხმებით კონტროლდება.<sup>384</sup> მართალია, დოქტრინა (განსაკუთრებით კი მისი შეკავება-განონასწორების ელემენტი) გადანყვეტილებების მიღების პროცედურას გარკვეულწილად ახანგრძლივებს,<sup>385</sup> რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლების შტოებს რაციონალური ძალაუფლება არ ექნებათ, რათა დააბალანსონ ერთმანეთი, თუმცა, იმავდროულად, იგი სახელმწიფოს გამართული და რაც მთავარია, დემოკრატიული ფუნქციონირების ერთადერთი ყველაზე ქმედითი, პრაქტიკული საშუალებაა.

---

<sup>379</sup> იქვე, 95.

<sup>380</sup> Wild S.E., Law Dictionary, Willey Publishing, 2006, 237.

<sup>381</sup> იქვე.

<sup>382</sup> Stewart W.J., Burgess R., Collins Dictionary of Law, 2<sup>nd</sup> Ed., Collins, 2001, 355.

<sup>383</sup> Taylor Chr., Constitutional and Administrative Law, Pearson Longman, 2008, 29.

<sup>384</sup> Herling D., Lyon A., Briefcase on Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., Cavendish Publishing, 2004, 20, *M v. Home Office* (1993), Per Simon Brown J.

<sup>385</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 88.

## თავი VI. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი

### 1. სოციალური სახელმწიფოს იდეის წარმოშობა და დამკვიდრება

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი თანამედროვე სახელმწიფოების საკონსტიტუციოსამართლებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მას, სხვა ფუნდამენტურ საკონსტიტუციო პრინციპებთან შედარებით, ხანმოკლე ისტორია აქვს. *სოციალური სახელმწიფო XVIII საუკუნის ფრანგული ფილოსოფიის მიერ გაგებული იყო, როგორც საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომელიც განსხვავდებოდა ბუნებრივი მდგომარეობისაგან. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიიდან გამომდინარე, ამ განსხვავებაზე დაფუძნებული იყო ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა თავისუფლების უფლებების დაცვა და სოლიდარობის ვალდებულებების განხორციელება.*<sup>386</sup>

სოციალური ხასიათის გარანტიები საკონსტიტუციო დონეზე პირველად საფრანგეთის რესპუბლიკის 1793 წლის კონსტიტუციამ აიყვანა, რომელშიც ინტეგრირდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია. მაგალითისათვის, 21-ე მუხლი საზოგადოების წმინდა მოვალეობად აცხადებდა გაჭირვებული თანამოქალაქეების დახმარებას დასაქმების ან სააარსებო საშუალების მიცემით, თუ მათ მუშაობა არ შეეძლოთ.

XIX საუკუნიდან სოციალური სახელმწიფოს იდეა ვრცელდება გერმანიაში. სოციალური სახელმწიფოს გერმანული კონცეფცია, უპირველეს ყოვლისა, ლორენც ფონ შტაინის სახელს უკავშირდება, რომელიც ფრანგი განმანათლებლების იდეების ზეგავლენას განიცდიდა. პრაქტიკაში სოციალური სახელმწიფოს იდეამ პირველად ბისმარკის მიერ ინიცირებული სოციალური კანონმდებლობით შეისხა ხორცი. ფონ შტაინის იდეებისაგან განსხვავებით, ამ რეფორმის მიზანი უფრო სოციალური უსაფრთხოების განმტკიცება იყო, ვიდრე სოციალური ბალანსის უზრუნველყოფა და მით უმეტეს – თავისუფლების დაცვა.<sup>387</sup>

---

<sup>386</sup> Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein, C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 99.

<sup>387</sup> იქვე, Rn. 99, 100.

1919 წლის ვაიმარის კონსტიტუციამ სოციალურ იდეებს დიდი ყურადღება დაუთმო. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა მე-5 ნაწილს – „ეკონომიკური ცხოვრება“. 151-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადება აცხადებდა: „ეკონომიკური ცხოვრების წესი უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანობის მოთხოვნებს ყველასათვის ღირსეული არსებობის უზრუნველყოფის მიზნით“. სოციალური სამართლიანობის მოთხოვნა კონსტიტუციის ნორმის რანგში იყო აყვანილი.

**სოციალური სახელმწიფოს იდეა ფართოდ გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღებულ კონსტიტუციებში.** მოგვიანებით იგი აისახა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების კონსტიტუციებშიც. შესაბამისი ფორმულირებები მრავალფეროვანია, თუმცა მათი საერთო ისაა, რომ ყველა ევროპული ქვეყნის ძირითადი კანონი შეიცავს სოციალური ხასიათის დანაწესებს. ზოგჯერ პირდაპირ მიეთითება სახელმწიფოს სოციალურ ბუნებასა და მიზანზე. ეს დებულებები კონსტიტუციების იმ ნაწილებშია მოთავსებული, რომლებიც უმნიშვნელოვანეს საკონსტიტუციო პრინციპებს ადგენენ. გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არის „სოციალური ფედერაციული სახელმწიფო“. საფრანგეთის კონსტიტუციის პირველივე მუხლი აცხადებს, რომ საფრანგეთი არის „სოციალური რესპუბლიკა“. სოციალურ სახელმწიფოზე საუბარი ესპანეთის კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველ აბზაცში, ხორვატიის კონსტიტუციის პირველ მუხლში, სლოვენის კონსტიტუციის მე-2 მუხლსა და რუმინეთის კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-3 აბზაცში.

სოციალურ თემატიკას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შვედეთის კონსტიტუცია. საერთოდ, ეს სახელმწიფო გამორჩეულია სოციალური საკითხების პრიორიტეტიზაციით, რაც მის ძირითად კანონშიცაა ასახული. მე-2 პარაგრაფი ინდივიდის პირად, ეკონომიკურ და კულტურულ კეთილდღეობას საჯარო საქმიანობის უპირველეს მიზნად აცხადებს. ამასთან შედარებით, ნაკლებად კატეგორიულია შვეიცარიის კონსტიტუცია, რომლის მე-2 მუხლის მე-2 აბზაცი სახელმწიფოს მხრიდან საერთო კეთილდღეობისა და სტაბილური განვითარების ხელშეწყობაზე საუბრობს.

სოციალური სახელმწიფოს მოთხოვნები აღიარეს არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე. სოციალური ხასიათის

ფორმულირებები მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია მოცემული. მათ შორის შეიძლება გამოიყოს ისეთი სპეციალურად სოციალური მიმართულების საერთაშორისო აქტები, როგორცაა, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1966 წელს მიიღო და ძალაშია 1976 წლიდან, ასევე, ევროპის 1961 წლის „სოციალური ქარტია“, 1996 წელს განხორციელებული შესწორებებით. საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნულ დონეზე სოციალური სახელმწიფოს მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებების კონკრეტიზაციისას.<sup>388</sup>

## 2. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის არსი და მიზანი

სოციალური სახელმწიფოს სამართლებრივ ბუნებაზე დიდ გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ იგი აყვანილია საკონსტიტუციო პრინციპის რანგში. საკონსტიტუციო პრინციპებს ეფუძნება საკონსტიტუციოსამართლებრივი წესრიგი. მათ აქვთ ფუძემდებლური მნიშვნელობა სამართლის კონკრეტული ნორმებისთვის, რომლებიც ამ პრინციპებს უნდა შეესაბამებოდნენ. საკონსტიტუციო პრინციპები მოითხოვენ ოპტიმიზაციას – მათ მიერ დადგენილი სტანდარტების დაკმაყოფილების ოპტიმუმთან შეძლებისდაგვარ მიახლოებას. ისინი ავსებენ და აბალანსებენ ერთმანეთს. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო პრინციპებს აქვთ მოქნილობის საკმაოდ მაღალი ხარისხი.<sup>389</sup>

სხვა პრინციპებთან ზოგადი ნიშნებით მსგავსების მიუხედავად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპს მნიშვნელოვანი თავისებურებები აქვს. სამეცნიერო ლიტერატურა ხაზს უსვამს, რომ იგი კონსტიტუციის მატერიალური პრინციპია, რომელიც სახელმწიფოს სოციალური მიზნის განხორციელებას აკისრებს. **სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს მიზნის დამდგენი პრინციპია.** ამით განასხვავებენ მას დემოკრატიისა და რესპუბლიკის პრინცი-

<sup>388</sup> ამ საკითხზე დანვრილებით იხ., იქვე, Rn. 136 ff.

<sup>389</sup> შეად., Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, M. Sachs (Hrsg.), München, 2011, Rn. 3.

პებისაგან, რომლებსაც ორგანიზაციული, სტრუქტურული და ფორმალური ხასიათი აქვთ.<sup>390</sup>

საკონსტიტუციო პრინციპის დეფინიციის ჩამოყალიბება პრაქტიკულად შეუსრულებელი ამოცანაა. ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი ზოგადი ხასიათითაა განპირობებული. ამ მხრივ, გამონაკლისს არც სოციალური სახელმწიფოს პრინციპი წარმოადგენს. შესაძლებლად მიიჩნევენ მის აღწერას და არა სრულყოფილ განმარტებას.<sup>391</sup> სიტუაციას ისიც ართულებს, რომ *სოციალური სახელმწიფოს მიზნებსა და მათი მიღწევის გზებზე დიდ გავლენას ახდენს დინამიკურად ცვალებადი სინამდვილე, მისი სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა ასპექტები. აქედან გამომდინარე, სოციალურ სახელმწიფოს ზოგჯერ მოისხენიებენ, როგოც პროცესს.*<sup>392</sup> სახელმწიფოს სოციალური ვალდებულების ზოგად ხასიათსა და მოქნილობას დადებითი მხარეც აქვს. ეს საშუალებას იძლევა, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ახალ გამოწვევებთან გამკლავებისათვის იქნეს გამოყენებული.<sup>393</sup>

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის განსაზღვრების სირთულეების მიუხედავად, მეცნიერებასა და მართლმსაჯულებაში არსებობს კონკრეტული შეხედულებები მის მიზნებთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, **გამოყოფენ სოციალური უსაფრთხოების, ბალანსისა და სამართლიანობის, ადამიანის ღირსეული არსებობის, ზოგადი ეკონომიკური წონასწორობისა და საყოველთაო კეთილ-**

---

<sup>390</sup> Schmidt R., Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen, 2007, Rn. 309; Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein, C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 5.

<sup>391</sup> Schnapp F.E. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: I. von Münch (Begr.)/ Ph. Kunig (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, Rn. 3.

<sup>392</sup> Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 104.

<sup>393</sup> Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, M. Sachs (Hrsg.), München, 2011, Rn. 46.

**დღეობის უზრუნველყოფას.<sup>394</sup>** ამ მიზნების მიღწევა, სხვაგვარ ძალისხმევასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვან მატერიალურ რესურსს საჭიროებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად მიუთითებს, რომ **სოციალური სახელმწიფოს ყველა სტანდარტის სრულად განხორციელება შეუძლებელია და დასახლებული მიზნები სახელმწიფოს მუდმივ ამოცანასა და ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს.<sup>395</sup>** აქ იგრძნობა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გავლენა.<sup>396</sup>

სოციალური სახელმწიფოს მიზნების შესრულება მატერიალური სიკეთეების განაწილებას მოითხოვს.<sup>397</sup> ამ პროცესში აუცილებელია უკიდურესი სიფრთხილე, რათა არ მოხდეს თავისუფლების გადამეტებული შეზღუდვა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნიველირება.<sup>398</sup> *სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ინტერპრეტაციისას არსებობს სამართლებრივი დოგმატიკიდან პოლიტიკურ*

---

<sup>394</sup> Bachof O., Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates. Der soziale Rechtsstaat in verwaltungsrechtlicher Sicht, in: E. Forsthoff (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt, 1968, 201 (253); Benda E., Menschenwürde und Persönlichkeitsrecht, in: E. Benda, W. Maihofer, H.J. Vogel, (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York, 1995, 161 (164); Zacher H.F., Das soziale Staatsziel, in: J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3. völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg, 2004, 659 (678); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის 2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 20.

<sup>395</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის 2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 20

<sup>396</sup> იხ. მაგ., BVerfGE 5, 85 (198); 22, 180 (204); 94, 241 (263); 100, 271 (284).

<sup>397</sup> Zacher H.F., Das soziale Staatsziel, in: J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3. völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg, 2004, 659 (709).

<sup>398</sup> Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2015, 61.

ლირიკაზე გადასვლის საფრთხე.<sup>399</sup> ამგვარმა მიდგომამ, სხვა ნეგატიურ შედეგებთან ერთად, შეიძლება ინდივიდუალური თავისუფლებაც გადაჭარბებულად დააზიანოს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია იმის გააზრება, რომ **სოციალური სახელმწიფო არ არის მისი მოქალაქეების მეურვე. მან ინდივიდის პასუხისმგებლობა კი არ უნდა გააუქმოს, არამედ გააძლიეროს.**<sup>400</sup> ამ კონტექსტში, მართებულად ამახვილებენ ყურადღებას სახელმწიფოს მხრიდან „აქტიურ ხელშეწყობაზე“, რაც გულისხმობს მოქალაქისათვის შესაძლებლობის გაჩენას, რათა მან სახელმწიფო დახმარების გარეშე, დამოუკიდებელი არსებობა შეძლოს.<sup>401</sup>

### 3. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის კონკრეტული მოთხოვნები

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ზოგადი მიზნები თუკი მეტ-ნაკლებად ნათელია, რთულია ამ მიზნების მიღწევისათვის კონკრეტული საშუალებები. **არ არსებობს სოციალური სახელმწიფოს წინასწარ დადგენილი და დეტალიზებული მოქმედების გეგმა.**<sup>402</sup> მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სახელმწიფოს პრინციპი შესასრულებლად სავალდებულოა, მისი შინაარსი მოთხოვნათა დაკონკრეტების საშუალებას ნაკლებად იძლევა.<sup>403</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს ამოცანას კი განუსაზღვრავს, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ უნდა შესრულდეს ეს ამოცანა კონკრეტულ შემთხვევებში.<sup>404</sup> ეს გარემოება

---

<sup>399</sup> Schnapp F.E. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: I. von Münch (Begr.)/ Ph. Kunig (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, Rn. 5.

<sup>400</sup> Zacher H.F., Das soziale Staatsziel, in: J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3. völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg, 2004, 659 (680, 716 f.).

<sup>401</sup> Schmidt R., Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen, 2007, 308.

<sup>402</sup> Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2015, 62.

<sup>403</sup> Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, M. Sachs (Hrsg.), München, 2011, Rn. 47.

<sup>404</sup> BVerfGE 59, 231 (263).

სახელმწიფოს სოციალური მიმართულებით მოქმედების თავისუფლების ფართო სფეროს განაპირობებს, რასაც სამართლიანად უსვამს ხაზს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც.<sup>405</sup>

**სოციალური სახელმწიფოს პრინციპის მთავარ ადრესატად მიიჩნევა კანონმდებელი, რომელიც უფლებამოსილია, დააკონკრეტოს კონსტიტუციის საყოველთაო კეთილდღეობაზე ორიენტირებული მოთხოვნები. კანონმდებლისათვის წამყვანი როლის განსაზღვრა შემთხვევითი არაა. დემოკრატიის პრინციპი და მისი მიმართება სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან მოითხოვს, რომ დემოკრატიული სოციალური სახელმწიფოს მოთხოვნები დააკონკრეტოს უშუალო დემოკრატიული ლეგიტიმაციის მექანე კანონმდებელმა. ამ პროცესში სწორედ მას აქვს ყველაზე კარგი შესაძლებლობა, სოციალური სახელმწიფოს მიზნების მისაღწევი საშუალებების არჩევისა და მათი ინტენსივობის განსაზღვრისას, გაითვალისწინოს კონსტიტუციის სხვა ფუნქციონალური პრინციპები და მოთხოვნები, ასევე, ისეთი პრაქტიკული ასპექტები, როგორცაა სახელმწიფოს საფინანსო-ეკონომიკური შესაძლებლობები.<sup>406</sup>**

სოციალურ სფეროში კანონმდებლის მოქმედების თავისუფლების ფართო არეალი პრაქტიკაში იმ შედეგს იწვევს, რომ ცალკე აღებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპის დარღვევის დადგენა არ ხდება. მას დამხმარე, არგუმენტაციის გამამყარებელ მნიშვნელობას ანიჭებენ კონსტიტუციის სხვა მოთხოვნების დარღვევაზე მსჯელობის კონტექსტში.<sup>407</sup> მეორე მხრივ, კანონმდებლის თავისუფლება სოციალური სახელმწიფოს პრინციპს დინამიკურ, მომავალზე ორიენტირებულ და განვითარებაზე მორგებულ ხასიათს აძლევს. ამ

---

<sup>405</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის 2/1/392 გადაწყვეტილება საქმეზე, „შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 7, 20.

<sup>406</sup> Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 116.

<sup>407</sup> Schnapp F.E. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: I. von Münch (Begr.)/ Ph. Kunig (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, Rn. 38.

კონტექსტში საუბრობენ სოციალური სახელმწიფოს ორმაგ დინამიკაზე – მიზნის განსაზღვრისა და მისი განხორციელების თვალსაზრისით.<sup>408</sup>

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლის საქმიანობაც არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი. მას ობიექტურ ზღვარს სახელმწიფოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა უწესებს.<sup>409</sup> გარდა ამისა, სოციალური სახელმწიფოს მიზნების განხორციელებისას კანონმდებლმა კონსტიტუციის სხვა მოთხოვნები უნდა დაიცვას და პროცესი კონსტიტუციის ფარგლებში წარმართოს.<sup>410</sup> ეს გარემოება მისი თავისუფალი მოქმედების სივრცეს ავიწროებს.<sup>411</sup>

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, **სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, ღირსების ძირითად უფლებასთან კავშირში, სახელმწიფოს ავალდებულებს, შექმნას მინიმალური წინაპირობები მისი მოქალაქეების ღირსეული არსებობისათვის.**<sup>412</sup> ეს სტანდარტი ქმნის კანონმდებლისათვის ხელშეუხებელ, სოციალური სახელმწიფოს მიზნის ბირთვს. ერთი მხრივ, კანონმდებელმა ის შეიძლება მოქმედებით ხელყოს, მაგალითისათვის, არსებული სოციალური შეღავათების გაუქმებით ან შემცირებით, რასაც მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ ჩამოჰყავს. მეორე მხრივ, არაკონსტიტუციურია კანონმდებლის უმოქმედობა, როდესაც იგი დახმარებას არ უწევს საარსებო მინიმუმს ქვემოთ მყოფ მოქალაქეებს. ამავდროულად, *სოციალური სახელმწიფოს პრინციპი არ ეწინა-*

---

<sup>408</sup> Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 106.

<sup>409</sup> შეად., Schnapp F.E. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: I. von Münch (Begr.)/ Ph. Kunig (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, Rn. 6.

<sup>410</sup> Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, M. Sachs (Hrsg.), München, 2011, Rn. 48; BVerfGE 100, 271 (284).

<sup>411</sup> Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 107.

<sup>412</sup> BVerfGE 82, 60 (80).

აღმდგეგება სოციალური შეღავათების გაუქმებას, როდესაც ამით საფრთხეს არ ექმნება ადამიანის ღირსეულ არსებობას.<sup>413</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია სოციალურ სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოიხატოს ფორმულით – *მაქსიმუმი სულ ცოტა მინიმუმისათვის*, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, მიმართოს მაქსიმალური ძალისხმევა სოციალური უფლებების დაცვის სულ ცოტა მინიმალური დონის უზრუნველსაყოფად.<sup>414</sup> მოგვიანებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სოციალური სახელმწიფო ვალდებული იყო, თავის თავზე აეღო არასტაბილური ეკონომიკის ნეგატიური შედეგები.<sup>415</sup> ამგვარი მიდგომა გადაჭარბებულია და გულისხმობს არა „სულ ცოტა მინიმუმს“, არამედ ფაქტობრივად მაქსიმუმის გაკეთებას, რაც შესაძლოა სახელმწიფოს რეალურ შესაძლებლობებს გაცილებით აღემატებოდეს.<sup>416</sup>

**სოციალური სახელმწიფოს პრინციპი არ ვრცელდება მხოლოდ კანონმდებელზე. აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებაც შებოჭილია კანონით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა შეასრულონ კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის სოციალურ სფეროში. გარდა ამისა, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ კანონის ნორმების გამოყენებისას და განმარტებისას სოციალური სახელმწიფოს პრინცი-**

---

<sup>413</sup> Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 120 ff.

<sup>414</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის №1/1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბაჭუა გაჩეჩილაძე, ვლადიმერ დობორჯგინიძე, გივი დონაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>415</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის №1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე, „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“, I, 8.

<sup>416</sup> Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2015, 63.

პის გათვალისწინება.<sup>417</sup> ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას. ამ დროს დისკრეციის სფერო ნორმატიულად იზღუდება რომელიმე ძირითადი უფლებით სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან კავშირში.<sup>418</sup>

#### 4. კონსტიტუციის სოციალურსახელმწიფოებრივი დანაწესები

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი გარკვეულ გავლენას ახდენს კონსტიტუციის ტექსტზე, მის ნორმებზე. კონსტიტუცია მრავლად შეიცავს ე.წ. სახელმწიფო მიზნების, მათ შორის სოციალური მიზნების, დამდგენ ნორმებს. აუცილებელია, ისინი განსხვავდეს სოციალური ძირითადი უფლებებისაგან. ძირითადი უფლება განამტკიცებს ინდივიდის სუბიექტურ, სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულ პოზიციას. სახელმწიფოს მიზნის დამდგენი ნორმა არ წარმოადგენს ასეთი პოზიციის საფუძველს და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მისაღწევ მიზანს განსაზღვრავს.<sup>419</sup>

სახელმწიფოს მიზნების საკითხს დანვრილებით შეეხო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელმაც განმარტა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოთხოვნა – „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის“. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა კონსტიტუციის მე-2 თავში იყო მოთავსებული, არ იცავდა რომელიმე ძირითად უფლებას და მოსარჩელე მასზე ვერ დააფუძნებდა საკონსტიტუციოსამართლებრივ პრეტენზიას. დებულებაში გამოხატული იყო სახელმწიფოს სოლიდარობა მის შემადგენლობაში შემავალი ტერი-

---

<sup>417</sup> Schmidt R., Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen, 2007, Rn. 311 f.

<sup>418</sup> Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 125.

<sup>419</sup> შეად., Epiney A., Waldmann B., Soziale Grundrechte und soziale Zielsetzungen, in: D. Merten, H.J. Papier (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band VII/2, Grundrechte in der Schweiz und in Lichtenstein, §224, Heidelberg/Zürich/St. Gallen, 2007, 611 (612).

ტორიული კორპორაციების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ამავედროულად, ეს ნორმა სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გამოხატულებად მიიჩნია.<sup>420</sup> გარდა ქვეყნის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა, *სოციალური სახელმწიფოს პრინციპით განპირობებული სახელმწიფოს მიზნები შეიძლება შეეხებოდეს ოჯახზე, ბავშვებზე, უმუშევრებზე თუ სხვა სოციალურად მონყვლად ჯგუფებზე ზრუნვას, ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნებას და ა.შ.*

მართალია, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი თავად არ ადგენს რომელიმე ძირითად უფლებას,<sup>421</sup> მაგრამ იგი გავლენას ახდენს ძირითად უფლებებზე. არსებობს კლასიკური სოციალური უფლებების ჯგუფი, როგორცაა შრომის, განათლების, სოციალური უსაფრთხოების და სხვა უფლებები. ამ უფლებებით დაცული სფეროსა და სახელმწიფოს შესაბამისი ველდებულებების დადგენა სირთულეებთანაა დაკავშირებული. ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ეკონომიკურ და სხვა ობიექტურ ფაქტორებზე. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ძირითადმა კანონმა, აღნიშნული სირთულეების გამო, თავიდანვე არ გაითვალისწინა კლასიკური სოციალური უფლებები და ეს მიდგომა გერმანიის გაერთიანების შემდეგაც არ შეცვლილა.<sup>422</sup>

## **5. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გავლენა კონსტიტუციისა და სამართლის ნორმების განმარტებაზე**

სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, სხვა ფუნდამენტური საკონსტიტუციო პრინციპების მსგავსად, არა მხოლოდ ობიექტურ, არამედ სუბიექტურ მნიშვნელობასაც ანიჭებენ. თუმცა სოციალური

---

<sup>420</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის 2/1/392 გადაწყვეტილება საქმეზე, „შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 18-21.

<sup>421</sup> Schmidt R., Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen, 2007, Rn. 313; Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 103.

<sup>422</sup> Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, M. Sachs (Hrsg.), München, 2011, Rn. 52.

სახელმწიფოს პრინციპის „სუბიექტივიზაციას“ ირიბი ხასიათი აქვს და ძირითად უფლებებთან კავშირში გამოიკვეთება.<sup>423</sup> სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ნონა განსაკუთრებით იგრძნობა ღირსებისა და ისეთი ძირითადი უფლებების განმარტებისას, რომლებიც სახელმწიფოს ე.წ. დაცვის ვალდებულებას აკისრებს.<sup>424</sup>

ღირსების ძირითადი უფლებისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამოიყვანა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ოჯახის შემოსავლის დაბეგვრისას მისი საარსებო მინიმუმის შენარჩუნების მოთხოვნა. ამავდროულად, სასამართლომ მიუთითა გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველ აბზაცზე, რომელიც ოჯახისა და ქორწინების განსაკუთრებულ სახელმწიფო დაცვას ითვალისწინებს და განაცხადა, რომ ოჯახის დაბეგვრისას გადასახადებისაგან უნდა იყოს გათავისუფლებული ოჯახის ყველა წევრის საარსებო მინიმუმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადასახადის გადამხდელებს გადაახდევინებს იმ თანხას, რაც აუცილებელია მათ კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრების შესახად, მან, სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, თავად უნდა განახორციელოს ამ პირთა შესაბამისი უზრუნველყოფა.<sup>425</sup>

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ეფექტურად მოქმედებს კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებასთან კავშირში. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც თანასწორობა სოციალურ სფეროში თანასწორობის მნიშვნელოვანი ასპექტია. *ხშირად პირის სუბიექტურ-სამართლებრივი პოზიცია ეფუძნება თანასწორობის პრინციპის, რომელიმე ძირითადი უფლებისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპის კომბინაციას.* მაგალითისათვის, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხელმისაწვდომ-

---

<sup>423</sup> Schmidt R., Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen, 2007, Rn. 313; Schnapp F.E. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: I. von Münch (Begr.)/ Ph. Kunig (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, Rn. 130.

<sup>424</sup> Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, M. Sachs (Hrsg.), München, 2011, Rn. 54.

<sup>425</sup> BVerfGE 82, 60 (85 f.).

მოხის უფლება გამოიყვანა განათლების ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებიდან, თანასწორობისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებთან კავშირში.<sup>426</sup>

აღსანიშნავია, რომ სოციალური თანასწორობის იდეა არ მოითხოვს უნივერსალურ თანასწორობას. ამგვარი მიზნისაკენ სწრაფვა მცდარია და ტოტალიტარიზმის საფრთხეს შეიცავს.<sup>427</sup> სოციალური სახელმწიფოს მიზანი არ არის ეგალიტარული საზოგადოების შექმნა ინდივიდუალური თავისუფლების სრული ან ნაწილობრივი გაუფასურების ხარჯზე.<sup>428</sup> სოციალური თანასწორობის მიმართულებით გადამეტებული ღონისძიებების განხორციელება აღვივებს სოციალურ პარაზიტიზმს, აფერხებს საზოგადოების განვითარებას, რაც პირდაპირაა დამოკიდებული ინდივიდების თავისუფლების ხარისხზე.<sup>429</sup> სოციალური სახელმწიფო მოითხოვს კავშირს თანასწორობასა და თავისუფლებას შორის და არა არჩევანს – თანასწორობა თავისუფლების ნაცვლად.<sup>430</sup>

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი უშუალოდ არ წარმოშობს სუბიექტურსამართლებრივ მოთხოვნას. ის არც რომელიმე ძირითადი უფლების შეზღუდვის პირდაპირ საფუძვლად მიიჩნევა.<sup>431</sup> მიუხედავად ამისა, მასზე, როგორც საკონსტიტუციო ღირებუ-

---

<sup>426</sup> BVerfGE 33, 303 (331 ff.).

<sup>427</sup> Zacher H.F., Das soziale Staatsziel, in: J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3. völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg, 2004, 659 (689 f.).

<sup>428</sup> Herzog R. (Bearb.), Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit, in: T. Maunz, G. Dürig (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München, seit 1958, Rn. 47.

<sup>429</sup> Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2015, 61.

<sup>430</sup> Herzog R. (Bearb.), Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit, in: T. Maunz, G. Dürig (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München, seit 1958, Rn. 48; Karpen U., Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, Mainz, 1985, 119; Zacher H.F., Das soziale Staatsziel, in: J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3. völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg, 2004, 659 (730).

<sup>431</sup> Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, M. Sachs (Hrsg.), München, 2011, Rn. 50; BVerfGE 59, 231 (263).

ლებაზე, შეიძლება აპელირება ძირითადი უფლებების შეზღუდვის თანაზომიერების შემონმების კონტექსტში.<sup>432</sup>

ძირითადი უფლებების შეზღუდვის ლეგიტიმაციისათვის საკანონმდებლო დათქმების ფარგლებში, ასევე, იყენებენ საყოველთაო კეთილდღეობის დათქმებსაც, რომელთაც სოციალურსახელმწიფოებრივი ბუნება აქვთ.<sup>433</sup> მაგალითისათვის, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ კბილის ტექნიკოსებისათვის სახელმწიფო დაზღვევის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისათვის საქონლისა და მომსახურების ფასების დადგენისას სახელმწიფოს ჩარევის უფრო მეტი თავისუფლება ენიჭებოდა, რადგანაც მას ეკისრებოდა პაციენტთა მომსახურების ფუნქციონირებადი სისტემის უზრუნველყოფის სოციალურსახელმწიფოებრივი ვალდებულება.<sup>434</sup>

*სოციალური სახელმწიფოს პრინციპი გავლენას ახდენს არა მხოლოდ კონსტიტუციის, არამედ ზოგადად სამართლის ნორმების განმარტებასა და გამოყენებაზე.* იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონით აღიარებული სუბიექტური საჯარო უფლებების სფეროში.<sup>435</sup> გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზანი, ღირსებასთან ერთად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპსაც დაუკავშირა. თავის მხრივ, ამგვარი კავშირი გავლენას ახდენდა სასჯელალსრულების ორგანოთა მიერ დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებაზე უცხოელი მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად სამშობლოში გადაგზავნის თაობაზე.<sup>436</sup>

---

<sup>432</sup> Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 126.

<sup>433</sup> Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, M. Sachs (Hrsg.), München, 2011, Rn. 50.

<sup>434</sup> BVerfGE 68, 193 (220).

<sup>435</sup> Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, M. Sachs (Hrsg.), München, 2011, Rn. 49.

<sup>436</sup> BVerfGE 96, 100 (115).

## 6. სამართლებრივი სოციალური სახელმწიფო

სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი ადამიანის თავისუფლების დაცვაა. *აქედან გამომდინარე, იგი სახელმწიფოს უფრო ნეგატიურ ვალდებულებებს აკისრებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული თავისუფლების გადამეტებული შეზღუდვა. ამისგან განსხვავებით, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოსაგან ძირითადად აქტიურობასა და მოქმედებას მოითხოვს.*<sup>437</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ეს საქმიანობა უნდა განხორციელდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მოთხოვნების დაცვით.<sup>438</sup> თუ ასე არ მოხდა, მაშინ სოციალური სახელმწიფო, რომელმაც სამართლებრივი სახელმწიფოს გზიდან გადაუხვია, დიქტატურისაკენ მიემართება.<sup>439</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნების იგნორირება თავისუფლების დაცვასა და პატივისცემაზე უარის ტოლფასია. სოციალური სახელმწიფო კი, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებას ემსახურება. ამით განსახვადება იგი სოციალისტური ან სხვა სახელმწიფოებისაგან, რომლებიც შეიძლება ახორციელებდნენ სოციალურ ღონისძიებებს, მაგრამ სოციალურ სახელმწიფოებად ვერ ჩაითვლებიან.

---

<sup>437</sup> Hesse K., Der Rechtsstaat im Verfassungssystem des Grundgesetzes, in: Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, E. Forsthoff (Hrsg.), Darmstadt, 1968, 557 (566).

<sup>438</sup> Gärditz K.F., Kommentar zum Art. 20 GG, in: K.H. Friauf, W. Höfling (Hrsg.): Berliner Kommentar zum Grundgesetz, Band 2, Berlin, seit 2000, Rn. 224; Gerber H., Die Sozialstaatsklausel des Grundgesetzes, in: E. Forsthoff (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt, 1968, 340 (408); Karpen U., Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, Mainz, 1985, 110; Scheuner U., Die neuere Entwicklung des Rechtsstaates in Deutschland, in: E. Forsthoff (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt, 1968, 461 (507); Zacher H.F., Das soziale Staatsziel, in: J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3. völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg, 2004, 659 (730).

<sup>439</sup> Kägi W., Zur Entwicklung des schweizerischen Rechtsstaates seit 1848, in: Hundert Jahre schweizerisches Recht, Jubiläumsgabe der Zeitschrift für schweizerisches Recht, Centenarium 1852-1952, Basel, 1952, 222.

**სოციალური სახელმწიფოსა და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი საერთო ღირებულება თავისუფლებაა.<sup>440</sup> სამართლებრივი სახელმწიფო თავისუფლებას სამართლებრივი საშუალებებით იცავს, ხოლო სოციალური სახელმწიფო კი მის ეკონომიკურ და ეგზისტენციურ ასპექტებს განამტკიცებს.<sup>441</sup> ამგვარი მდგომარეობა მართებულად მოიხსენიება, როგორც „თავისუფლება დაცულობაში“.<sup>442</sup> სოციალური სახელმწიფოს ამოცანაა ადამიანი ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით უფრო თავისუფლებაუნარიანი გახადოს, ასევე, თავისუფლების შემზღვეველი მატერიალური და სოციალური ფაქტორები აღმოფხვრას ან შეასუსტოს.<sup>443</sup>**

სოციალური სახელმწიფო გულისხმობს საზოგადოების ერთი ნაწილის შესაძლებლობების გაზრდას მეორე ნაწილის ხარჯზე, რაც ლოგიკურად ამ უკანასკნელის თავისუფლების შემზღვევას იწვევს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სოციალური სახელმწიფოს თავისუფლებაზე ორიენტირების იდეა არასწორია.<sup>444</sup> **სამართლებრივი**

---

<sup>440</sup> Schachtschneider K.A., *Prinzipien des Rechtsstaates*, Berlin, 2006, S. 57.

<sup>441</sup> Hesse K., *Der Rechtsstaat im Verfassungssystem des Grundgesetzes*, in: *Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays*, E. Forsthoff (Hrsg.), Darmstadt, 1968, 557 (568, 576); Huber E.R., *Rechtsstaat und Sozialstaat in der modernen Industriegesellschaft*, in: E. Forsthoff (Hrsg.): *Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays*, Darmstadt, 1968, 589 (615 ff.); Schnapp F.E. (Bearb.), *Kommentar zum Art. 20 GG*, in: I. von Münch (Begr.)/ Ph. Kunig (Hrsg.): *Grundgesetz-Kommentar*, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, Rn. 37; Gröschner, R. (Bearb.): *Kommentar zum Art. 20 GG (Sozialstaat)*, in: H. Dreier (Hrsg.): *Grundgesetz Kommentar*, 2. Auflage, Tübingen, 2006, Rn. 59; Sommermann K.P., *Kommentar zum Art. 20 GG*, in: *Kommentar zum Grundgesetz*, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein C. Starck (Hrsg.), München, 2010, Rn. 112 ff.

<sup>442</sup> Stern K., *Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland*, in: K. Stern, H. Siekmann (Hrsg.), *Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge*, Köln/Berlin/Bonn/München, 1992, 1036 (1047).

<sup>443</sup> Loladze B., *Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens*, Potsdam, 2015, 64.

<sup>444</sup> Roellecke G., *Kommentar zum Art. 20 GG (Identität der Bundesrepublik)*, in: D.C. Umbach, T. Clemens (Hrsg.): *Grundgesetz, Mitarbeiterkommentar und Handbuch*, Band I, Heidelberg, 2002, Rn. 182.

სახელმწიფო არ ახდენს თავისუფლების უკიდევანო, სრულ გარანტირებას. იგი წარმოუდგენელია გონივრული განონასწორების, ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და საზოგადოებისათვის ანგარიშის განევის გარეშე. თავისუფლება სოციალურად შეზღუდულია, რაც ბალანსის შექმნის მიზნით საზოგადოებაში მის ერთგვარ „გადანაწილებას“ ნიშნავს.<sup>445</sup>

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა ფუძემდებლურ პრინციპებთან ერთად, თავისუფალ საკონსტიტუციონალიზმსამართლებრივ წესრიგს ქმნის. არც სამართლებრივი სახელმწიფო უნდა მოსწყდეს სოციალურ კონტექსტს და არც სოციალურმა სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ინდივიდუალური თავისუფლების დათრგუნვა. აუცილებელია ამ პრინციპებს შორის თანხმობისა და ბალანსის დაცვა და არა მათი დაპირისპირება ან იერარქიზაცია.<sup>446</sup>

---

<sup>445</sup> Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2015, 66.

<sup>446</sup> Bogs W., Das Problem der Freiheit im sozialen Rechtsstaat, in: E. Forsthoff (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt, 1968, 509 (517); Dreier H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Einführung), in: H. Dreier (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Tübingen, 2006, Rn. 12; Fechner E., Freiheit und Zwang im sozialen Rechtsstaat, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt, 1968, 73 (80, 93 f.); Herzog R. (Bearb.), Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit, in: T. Maunz, G. Dürig (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München, seit 1958, Rn. 31; Huber E.R., Rechtsstaat und Sozialstaat in der modernen Industriegesellschaft, in: E. Forsthoff (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt, 1968, 589 (590, 603, 614 f., 618); Schnapp F.E. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: I. von Münch (Begr.)/ Ph. Kunig (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, Rn. 34; Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band I – Grundbegriffe und Grundlagen des Staatsrechts, Strukturprinzipien der Verfassung, 2., völlig neu bearbeitete Auflage, München, 1984, 785, 868 f.

## ნაწილი III. კონსტიტუცია და კონსტიტუციის გადანიშნვა

### თავი VII. კონსტიტუცია

#### 1. საკონსტიტუციო იდეები და კონსტიტუციის ცნება

##### 1.1. საკონსტიტუციო იდეები

კონსტიტუცია ფილოსოფიური აზრის ამოუწურავი თემა<sup>447</sup>, საკონსტიტუციო იდეა წმინდა და შეუდარებელია (კანტი)<sup>448</sup>. კონსტიტუციისთვის უმთავრესი საერთო ფასეულობები და ღირებულებებია<sup>449</sup>. ყოველი გაერთიანება საჭიროებს წესრიგს. ასეთ წესრიგს კონსტიტუცია ეწოდება. დღეს იგი ყველა სახელმწიფოს აქვს, ვინაიდან მის გარეშე ანარქია სუფევს<sup>450</sup>. კონსტიტუცია პოლიტიკურ ხელისუფლებას სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს. ეს თვითმიზანი არაა, იგი თავისუფლების დაცვას ემსახურება.

კონსტიტუციას საფუძვლად პოლიტიკური ლიბერალიზმის იდეა უდევს<sup>451</sup>. დანერგილი კონსტიტუცია, როგორც პოლიტიკური ერთიანობისა და სამართლებრივი წესრიგის საფუძველი<sup>452</sup>, პირველად 1787 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა. ევროპის ქვეყნებიდან იგი პირველად პოლონეთმა მიიღო 1791 წლის 3 მაისს. მოგვიანებით, საფრანგეთში ძველი რეჟიმის დამხობას შედეგად 1791 წლის 3 სექტემბერის ახალი რევოლუციური კონსტიტუცია მოჰყვა. ყველა შემთხვევაში საფუძველი ჩაეყარა თავისუფალ და

---

<sup>447</sup> Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg.), Stuttgart, 2006, 6.

<sup>448</sup> Werner K., Die Verfassung als rechtliche Grundordnung des Staates, Untersuchungen über die Entwicklungstendenzen im modernen Verfassungsrecht, Zürich, 1956, 10.

<sup>449</sup> Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg.), Stuttgart, 2006, 6.

<sup>450</sup> Jellinek G., Allgemeine Staatslehre, Berlin, 1922, 505.

<sup>451</sup> Marcelo N., Verfassung und Positivität des Rechts in der peripheren Moderne, eine theoretische Betrachtung und eine Interpretation des Falls Brasilien, Berlin, 1992, 1.

<sup>452</sup> Hesse K., Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20. Auflage, Heidelberg, 1995, 5.

დემოკრატიულ მომავალს. პეინის განმარტებით, კონსტიტუცია თავისუფლებისათვის იგივეა, რაც ენისთვის გრამატიკა<sup>453</sup>.

ვინაიდან კონსტიტუციის იდეა ძალიან ძველია, ლოგიკურად, განსხვავდება ძველი და ახალი კონსტიტუციები, ისევე, როგორც ძველი და თანამედროვე საკონსტიტუციო იდეები<sup>454</sup>. **თანამედროვე ტიპის კონსტიტუცია აღმოცენდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში<sup>455</sup> და მაშინ იგი ფორმულირებულ იქნა, როგორც განსაკუთრებული დოკუმენტი, რომელმაც საკონსტიტუციო სადამფუძნებლო აქტის ფორმა მიიღო<sup>456</sup>.** საკონსტიტუციო წესები, ინსტიტუციები და პრინციპები ნორმირებულ იქნა, როგორც პოზიტიურსამართლებრივი<sup>457</sup>. კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი კანონია<sup>458</sup> – კანონთა კანონი, ნორმის ნორმა<sup>459</sup>. კონსტიტუცია არა ხელისუფლების, არამედ ხალხის აქტია<sup>460</sup>.

## 1.2. კონსტიტუციის მიზანი

მხოლოდ კონსტიტუცია განსაზღვრავს სამართლის სისტემის ღირებულებით, შინაარსობრივ მასშტაბებს. იგი პოზიტიური სამართლის იერარქიის სათავეში დგას, ამავდროულად, ადგენს სამართლის ზეპოზიტიურ პრინციპებსაც, რომლებიც სამართლის მთელ სისტემას მოიცავს. კონსტიტუციის ტექსტში ინტეგრირებულია ღირებულებათა მთელი რიგი მეტაფიზიკური ელემენტები. ის

---

<sup>453</sup> Vorländer H., Die Verfassung – Idee und Geschichte, 2 überarbeitete Auflage 2, München, 2004, 7.

<sup>454</sup> იქვე, 11.

<sup>455</sup> Verfassung und politische Kultur, J. Gebhardt (Hrsg.), Baden-Baden, 1999, 7; Buschfort W., Geheime Hüter der Verfassung, München, 2004, 11.

<sup>456</sup> Vorländer H., Die Verfassung – Idee und Geschichte, 2 überarbeitete Auflage 2, München, 2004, 11.

<sup>457</sup> იქვე.

<sup>458</sup> Lassalle F., Über Verfassungswesen, Rede am 16. April 1862 in Berlin, Hamburg, 1993, 12.

<sup>459</sup> Walz G.A., Der Begriff der Verfassung, Berlin, 1942, 14.

<sup>460</sup> Vorländer H., Die Verfassung – Idee und Geschichte, 2 überarbeitete Auflage 2, München, 2004, 12.

მორალური და ღირებულებითი შეფასების მასშტაბებსაც განსაზღვრავს<sup>461</sup>.

კონსტიტუციის ნორმები სამართლის ნორმათა იერარქიის სათავეში დგას. ყველა სხვა დანარჩენი ნორმა კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. არაკონსტიტუციური სამართლებრივი ნორმები ბათილია *ipso iure* და მათი მოქმედება უნდა შეწყდეს სამართლებრივი პროცედურების სრული დაცვით (ნორმათკონტროლი).

თანამედროვე კონსტიტუციები სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შეზღუდვის მექანიზმებს ამკვიდრებენ. ხელისუფლება შეზღუდულია მაშინ, როდესაც დადგენილია ძალაუფლების გამიჯვნისა და შეზღუდვის, ურთიერთკონტროლის განსაკუთრებული მექანიზმები. თანამედროვე კონსტიტუციები აფუძნებენ პოლიტიკურ ერთიანობას და ადგენენ პოლიტიკური ხელისუფლების საზღვრებს, ქმნიან თავისუფალ სივრცეს მოქალაქეთათვის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური საქმიანობისათვის.

### 1.3. კონსტიტუციის ცნება

კონსტიტუციის ცნებასა და მის მრავალმხრივ ბუნებას შეისწავლის კონსტიტუციის თეორია, საკონსტიტუციო სამართლის თეორია, სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორია, საკონსტიტუციო სამართლის ისტორია<sup>462</sup>, კონსტიტუციის ფილოსოფია, კონსტიტუციის სოციოლოგია<sup>463</sup>, კონსტიტუციის ეკონომიკური თეორია<sup>464</sup>.

თანამედროვე სახელმწიფოში კონსტიტუცია ცენტრალურ როლს თამაშობს და მისი პოლიტიკური კულტურა ეფუძნება მას, როგორც

---

<sup>461</sup> <<http://www.interpressnews.ge/ge/thvalsazrisi/340147-contralegem-saqarthvelos-sakhelith.html?ar=A>> [18.08.2017]

<sup>462</sup> Andreas K., *Verfassungsgechichte der Neuzeit*, Dritte Auflage, Bern, 2013, 1.

<sup>463</sup> Martin M., *Soziologie der Verfassung*, Tübingen, 2014; Erich Z., *Staatslehre und verfassungstheorie im Licht der Soziologie*, *Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen*, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg), Stuttgart, 2006, 223.

<sup>464</sup> Kirchgässner G., *Ökonomische Theorie der Verfassung*, *Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen*, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg.), Stuttgart, 2006, 75-99.

**ამ პოლიტიკური კულტურის არსებით ელემენტს<sup>465</sup>.** კონსტიტუცია არაა სამართლებრივი წესრიგი მხოლოდ იურისტებისათვის, არამედ მოქმედებს, როგორც გზამკვლევი არაიურისტებისათვისაც. იგი მხოლოდ იურიდიული ტექსტი ან სამართლებრივი წესების ერთობლიობა როდია, არამედ გამოხატავს კულტურულ ევოლუციას, ხალხის კულტურული თვითგამოხატვის საშუალებას. კონსტიტუცია, როგორც კულტურა<sup>466</sup>, ხალხის კულტურული მემკვიდრეობის სარკეა<sup>467</sup>.

### 1.3.1. კონსტიტუციის ისტორიულ-ფილოსოფიური გაგება

კონსტიტუცია ლათინური სიტყვაა (constitutio) და დადგენას, დანესებას ნიშნავს<sup>468</sup>. ისტორიულმა ფესვებმა თავიანთი კვალი დატოვეს კონსტიტუციის თანამედროვე ცნებაში<sup>469</sup>. ისტორიული პროცესის ცოდნა საშუალებას იძლევა კონსტიტუციის ცნებაში სამი უმთავრესი ფილოსოფიური თეზა გამოიყოს: ა) კონსტიტუციის „სამართლებრივი“ გაგება (პოლიტიკური ხელისუფლების შეზღუდვა); ბ) კონსტიტუციის „რესპუბლიკური“ გაგება (სახელმწიფოს ან ხალხის კონსტიტუცია); გ) კონსტიტუციის „პოლიტიკური“ გაგება (პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელი სუბიექტები).

*კონსტიტუციის ისტორიული პრობლემა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მოთვინიერებაა<sup>470</sup>, შესაბამისად, კონსტიტუციის სამართლებრივი გაგება სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვას გულისხმობს. იდეოლოგიურად ეს ჯერ ლოკის შრომებში აისახა და შემდეგ საფრანგეთის 1789 წლის დეკლარაციაში. კონსტიტუცია*

---

<sup>465</sup> Schuppert G.F., *Verfassung und Verfassungsstaatlichkeit in multidisziplinärer Perspektive, der Staat des Grundgesetzes – Kontinuität und Wandel*, M. Brenner, P. M. Huber und M. Möstl (Hrsg.), Tübingen, 2004, 528.

<sup>466</sup> Häberle P., *Verfassung als Kultur*, in: *Jahrbuch des öffentlichen Rechts der Gegenwart, Neue Folge/Band 49*, P. Häberle (Hrsg.), Tübingen, 2001, 125-143.

<sup>467</sup> Häberle P., *Europäische Verfassungslehre*, 7., Auflage, Baden-Baden, 2011, 12.

<sup>468</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 13.

<sup>469</sup> Neschke-Hentschke A., *Fünf Thesen zu einer Philosophie der Verfassung, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen*, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg.), Stuttgart, 2006, 19.

<sup>470</sup> Michael M., *Staatsorganisationsrecht*, Auflage 2., Baden-Baden, 2015, 27.

ორიენტირებულია, დაიცვას ინდივიდის თავისუფლება და შეზღუდოს სახელმწიფო ხელისუფლება, რაც დღემდე საფუძვლად უდევს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს<sup>471</sup>.

**კონსტიტუციის რესპუბლიკური გაგებისათვის უმთავრესია „რაციონალური შეთანხმება“, რომლის გარეშე პოლიტიკური საზოგადოება არ არსებობს<sup>472</sup>.** აქ მთავარი „მშვიდი თანაცხოვრებაა“. იქ, სადაც კონსტიტუციაა, პოლიტიკური საზოგადოებაა და პირიქით<sup>473</sup>. რესპუბლიკური საკონსტიტუციო კონცეფცია აღიარებს „პოლიტიკურ ერთიანობას“ მხოლოდ „კანონის უზენაესობასთან“ და „თანასწორობასთან“ ერთად, რაც მოქალაქეთა თავისუფლების იდენტიურია.

*კონსტიტუციის პოლიტიკური ცნება იძლევა პასუხს კითხვაზე: ვის ეკუთვნის პოლიტიკური ძალაუფლება? ვინ არის სუვერენიტეტის მატარებელი სუბიექტი? შმიტის თეორიაში კონსტიტუციის პოლიტიკური გაგება კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია. ამ ცნებისათვის უმთავრესია ხალხი, როგორც სუვერენიტეტის მატარებელი. შმიტთან მხოლოდ ხალხია ძალაუფლების წყარო, შესაბამისად, ის ფლობს პოლიტიკურ კონსტიტუციას, განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა იყოს ძალაუფლების მატარებელი.*

### 1.3.2. კონსტიტუციის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი გაგება

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში განარჩევენ კონსტიტუციის სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ გაგებას.

**კონსტიტუცია პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების შესახებ ფუნდამენტური წესების უმაღლესი გამოხატულებაა.** ესაა სოციალურ-პოლიტიკური გაგება. ამ თვალსაზრისით, ყოველი სახელმწიფო ფლობს კონსტიტუციას. აღნიშნული მოიცავს სახელმწიფოსა და საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას<sup>474</sup>. **კონსტიტუცია საზოგადოების სამართლებრივი ფუნდამენტია, რომლის საგანი**

<sup>471</sup> Schmitt C., Verfassungslehre, Berlin, 1970, 123-220.

<sup>472</sup> Neschke-Hentschke A., Fünf Thesen zu einer Philosophie der Verfassung, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg.), Stuttgart, 2006, 22.

<sup>473</sup> იქვე, 21.

<sup>474</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 49.

**სახელმწიფოში ადამიანთა თანაცხოვრების სამართლებრივი მონესრიგებაა.** ამას კონსტიტუციის სამართლებრივ გაგებას უწოდებენ. ამ გაგებითაც, ყველა სახელმწიფოს აქვს კონსტიტუცია<sup>475</sup>.

### 1.3.3. კონსტიტუციის მატერიალური და ფორმალური გაგება

კონსტიტუციის მატერიალურ და ფორმალურ გაგებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ ჰეგელის<sup>476</sup>, შემდეგ ელინეისა<sup>477</sup> და კელზენის<sup>478</sup> შრომებით. **კონსტიტუცია, ფორმალური გაგებით, სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც წარმოადგენს სამართალმემოქმედების განსაკუთრებულ ფორმას – საკონსტიტუციო კანონს, სამართლებრივ-ლოგიკური თვალსაზრისით<sup>479</sup>.** ესაა კონსტიტუციის ცნების „გარეგანი ნიშან-თვისება“ და აქ სამართლის ნორმის შინაარსი არაა გადამწყვეტი<sup>480</sup>. შესაბამისად, სახელმწიფოებს განსხვავებული შინაარსის კონსტიტუციები აქვთ. კონსტიტუცია, როგორც წესი, წერილობითი ფორმის აქტია და განსაკუთრებული წესების დაცვით მიიღება. კონსტიტუციის მისაღებად ან მასში ცვლილებების შესატანად ხშირად აუცილებელია საკონსტიტუციო უმრავლესობის მხარდაჭერა ან რეფერენდუმი. ზოგიერთ სახელმწიფოს საერთოდ არა აქვს კონსტიტუცია ფორმალური გაგებით, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოს<sup>481</sup>. **მატერიალური (შინაარსობრივი) ან სამართლებრივ-პოზიტიური გაგებით, კონსტიტუცია ყველა იმ სამართლებრივი ნორმის და ნორმა-პრინციპების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების ფუნდამენტურ საფუძვლებს (სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექნა-ჩამოყალიბება, კომპეტენციები და ამოცანები, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა, სახელმწიფოსა და**

---

<sup>475</sup> იქვე.

<sup>476</sup> Hegel G.W.F., Über die Reichsverfassung, H. Meier (Hrs.), München, 2002.

<sup>477</sup> Jellinek G., Allgemeine Staatslehre, Berlin, 1922, 505-539.

<sup>478</sup> Kelsen H., Allgemeine Staatslehre, Berlin, 1925, 251-253.

<sup>479</sup> იქვე, 249.

<sup>480</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 49.

<sup>481</sup> Volkman U., Grundzüge einer Verfassungslehre der Bundesrepublik Deutschland, Tübingen, 2013, 12.

**მოქალაქის ურთიერთობა, მოქალაქის ადგილი სახელმწიფოში<sup>482</sup>).** კონსტიტუციის თეორიაში მიჩნეულია, რომ კონსტიტუციის მატერიალური შინაარსის ყველაზე ცნობილი გამომხატველი დოკუმენტი საფრანგეთის 1789 წლის მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და მისი მე-16 მუხლია<sup>483</sup>.

#### 1.3.4. კონსტიტუციის ნორმატიული და დესკრიფციული გაგება

კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოსა და საზოგადოების ფუნდამენტურ წყობილებას და ადგენს მის წესრიგს. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ კონსტიტუციის ნორმატიულ და დესკრიფციულ ცნებებს. **ნორმატიული ცნების ქვეშ მოიაზრება ის, რაც უნდა იყოს, ანუ ჯერარსული წესრიგი მომავალში, ხოლო დესკრიფციულ ცნებაში იგულისხმება ფაქტობრივი, არსებული მდგომარეობა<sup>484</sup>.**

#### 1.3.5. კონსტიტუციის თანამედროვე გაგება

კონსტიტუციის არსის სწორი გაგებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ძველი და ახალი თაობის გერმანელი კონსტიტუციონალისტების – კარლ ლოვენშტაინისა და დიტერ გრიმის თეზისები, რომლებიც სრულად ასახავს კონსტიტუციის თანამედროვე გაგებას. ლოვენშტაინის აზრით, ესენია:

1. სხვადასხვა სახელმწიფო ფუნქციის დიფერენცირება და მათი განაწილება სახელმწიფო ორგანოებს ან ხელისუფლების სხვა შტოებს შორის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი ავტოკრატიის ხელში;<sup>485</sup>

2. ხელისუფლების შტოების ურთიერთქმედების მექანიზმები, რაც ამერიკისა და საფრანგეთის საკონსტიტუციო თეორიისათვის კარგად ცნობილ შეკავებისა და კონტროლის (*checks and balances*)

---

<sup>482</sup> Zippelius R., Würtenberger T., 32., Auflage, München, 2008, 41.

<sup>483</sup> Volkmann U., Grundzüge einer Verfassungslehre der Bundesrepublik Deutschland, Tübingen, 2013, 13.

<sup>484</sup> Pernthaler P., Allgemeine Staatslehre und Verfassungslehre, 2. Auflage, Wien, New York, 1996, 26.

<sup>485</sup> Loewenstein K., Verfassungslehre, 4. Auflage. Nachdruck der 3., unverändert Auflage, Tübingen, 2000, 131.

მექანიზმებში გამოიხატება – ამავდროულად, ეს ნიშნავს ძალაუფლების გამიჯვნას და მის შეზღუდვას;<sup>486</sup>

3. სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი, რომელიც მიღწეულ იქნა სუვერენული საარჩევნო სისტემის საშუალებით და ამით ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპი სრულყოფილ იქნა დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმის იდეებით;<sup>487</sup>

4. წინასწარ დადგენილი რაციონალური მეთოდებით საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება შეცვლილი სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონობა, ძალადობა და რევოლუცია;<sup>488</sup>

5. კონსტიტუცია შეიცავს ინდივიდუალური თვითგამორკვევის აღიარებას – ინდივიდუალური უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში უკანონო ჩარევისაგან დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს.<sup>489</sup>

დღიერ გრიმი, ლოვენშტაინის მსგავსად, გამოყოფს კონსტიტუციის ცნების ხუთ თეზას. მისი აზრით, კონსტიტუციას ხუთი ელემენტი ახასიათებს:

1. კონსტიტუცია არის სამართლის ნორმების გამოხატულება და არა ფილოსოფიური პრინციპების ერთობლიობა ან მხოლოდ სახელმწიფოში ხელისუფლების ფაქტობრივი ურთიერთობების აღწერა;<sup>490</sup>

2. მისი ნორმების საგანი არის პოლიტიკური ან საჯარო ხელისუფლების სისტემა და ძალაუფლების განხორციელება<sup>491</sup>, რომელსაც იგი აფუძნებს<sup>492</sup>;

---

<sup>486</sup> იქვე.

<sup>487</sup> იქვე.

<sup>488</sup> იქვე.

<sup>489</sup> იქვე.

<sup>490</sup> Grimm D., Gesellschaftlicher Konstitutionalismus – Eine Kompensation für den Bedeutungsschwund der Staatsverfassung? In: Staatsrecht und Politik, Festschrift für Roman Herzog zum 75. Geburtstag, M. Herdegen, H.H. Klein, H.J. Papier, R. Scholz (Hrsg.), München, 2009, 71.

<sup>491</sup> იქვე.

<sup>492</sup> იქვე, 73.

3. საკონსტიტუციო ნორმებში ხდება მათი სისტემატიზაცია და სრულყოფილი მონესრიგება, ამიტომ კონსტიტუცია არ უშვებს განსაკუთრებულ, ექსტრასაკონსტიტუციო ხელისუფლებას;<sup>493</sup>

4. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება, ძალაუფლება საკონსტიტუციო-ოსამართლებრივად დაფუძნდა და შეიზღუდა, საკონსტიტუციო ნორმებს აქვთ უპირატესი მნიშვნელობა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ეს პრინციპი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საკონსტიტუციო ფარგლებში რჩებიან;<sup>494</sup>

5. ეროვნული კონსტიტუციების სანყისები ეფუძნება ხალხის სუვერენულ ნებას<sup>495</sup>.

## 1.4. კონსტიტუცია და მომიჯნავე მეცნიერებები

კონსტიტუცია საკონსტიტუციო სამართლის ძირითადი საკითხია<sup>496</sup>, თუმცა, იმავდროულად, სამართლის ზოგადი პრობლემატია<sup>497</sup>. იგი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სამართლის სოციოლოგიასა და სამართლის ფილოსოფიაშიც<sup>498</sup>.

### 1.4.1. კონსტიტუციის თეორია

საკონსტიტუციო სამართლის ბირთვი კონსტიტუციის თეორიაა<sup>499</sup>, როგორც საჯარო სამართლის მეცნიერების განსაკუთრებული დარგი<sup>500</sup>. კონსტიტუციის თეორიამ მეცნიერებაში თავისი კუთვნილი ადგილი კარგა ხანია დაიმკვიდრა<sup>501</sup>. დიდი ხნის მანძილზე პასუხგაუცემელი იყო მისი დამოუკიდებლობის, საგნის, მეთოდებისა და სამეცნიერო ინტერესების საკითხი და განიხილებოდა, როგორც

---

<sup>493</sup> იქვე, 71.

<sup>494</sup> იქვე.

<sup>495</sup> იქვე, 73.

<sup>496</sup> Kägi W., Die Verfassung als rechtliche Grundordnung des Staates, Untersuchungen über die Entwicklungstendenzen im modernen Verfassungsrecht, Zürich, 1956, 12.

<sup>497</sup> იქვე.

<sup>498</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 46.

<sup>499</sup> Poier K., Verfassungsrecht und Allgemeine Staatslehre, Prüfungsfälle und Lösungsvorschläge in systematischer Bearbeitung, 4., aktualisierte und erweiterte Auflage, Wien, 2011, 15.

<sup>500</sup> Schmitt C., Verfassungslehre, Berlin, 1928, VII.

<sup>501</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 44.

სახელმწიფოს ზოგადი თეორიის შემადგენელი ქვედისციპლინა, რომელიც მის საფუძველზე წარმოიშვა<sup>502</sup>. დღეს კონსტიტუციის თეორია დამოუკიდებელი მეცნიერებაა და მისი კვლევის, სამეცნიერო დაკვირვების ობიექტი კონსტიტუციაა<sup>503</sup>. მისი წარმოშობის პირობები, ტიპური შინაარსი და თავისებურებები, იდეალური და მატერიალური საფუძვლები, ინსტიტუციები და ფუნქციები, ურთიერთობა იურიდიულ და რეალურ კონსტიტუციებს შორის<sup>504</sup>. კონსტიტუციის თეორიის განვითარების კვალდაკვალ ევოლუცია განიცადა მისმა ქვედარგებმა, როგორებიცაა, მაგალითად, დემოკრატიის თეორია, სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია, ძალაუფლების გამიჯვნის თეორია, ადამიანის ძირითადი უფლებების თეორია და ა.შ. სამეცნიერო ლიტერატურაში „კონსტიტუციის თეორიას“ მიჯნავენ „საკონსტიტუციო სამართლის თეორიისაგან“, რომლის შესწავლის ობიექტი ზოგადად საკონსტიტუციო სამართალი და საკონსტიტუციო წესრიგია<sup>505</sup>. „შედარებითი საკონსტიტუციო სამართალი“ ან „შედარებითი კონსტიტუციონალიზმი“<sup>506</sup> დიდი ხანია უკვე დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა. ის შეისწავლის კონსტიტუციების ურთიერთზეგავლენას, მსგავსებასა და განსხვავებას<sup>507</sup>.

ევროპული ინტეგრაციის კვალდაკვალ აღმოცენდა და განვითარდა ევროპული საკონსტიტუციო სამართალი<sup>508</sup>, როგორც დისციპლინა და „ევროპული საკონსტიტუციო სამართლის თეორია“<sup>509</sup>, როგორც მეცნიერება. ევროპული საკონსტიტუციო სამართალი მოიცავს ევროკავშირის დაწერილ და დაუნერგელ სამართალს,

<sup>502</sup> Jestaedt M., *Verfassungstheorie*, O. Depenheuer, C. Grabenwarter (Hrsg.), Tübingen, 2010, 7.

<sup>503</sup> Jestaedt M., *Verfassungstheorie und verfassungsgebung*, A. Scherzberg (Hrsg.), Berlin, 2012, 12.

<sup>504</sup> Adamovich L.K., Funk B.C., Holzinger G., *Österreichisches Staatsrecht*, Band 1, Wien, New York, 1997, 25.

<sup>505</sup> იქვე, 23.

<sup>506</sup> Weber A., *Europäische Verfassungsvergleichung*, München, 2010.

<sup>507</sup> Adamovich L.K., Funk B.C., Holzinger G., *Österreichisches Staatsrecht*, Band 1, Wien, New York, 1997, 26.

<sup>508</sup> *Europäische Verfassungsrecht*, U. Hufeld (Hrsg.), 3., Auflage, Baden-Baden, 2013; *Europäische Verfassungsrecht*, A. von Bogdandy (Hrsg.), Berlin-Heidelberg, 2003.

<sup>509</sup> Häberle P., *Europäische Verfassungslehre*, 7., Auflage, Baden-Baden, 2011; Häberle P., Kotzur M., *Europäische Verfassungslehre*, 8., Auflage, 2015.

რომელიც აწესრიგებს მისი ორგანოების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას, სამართლის შექმნის პროცესს და მის მიმართებას ეროვნულ სამართლებრივ სისტემებთან<sup>510</sup>. *გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აქ საქმე არ ეხება სახელმწიფოს კონსტიტუციას კლასიკური გაგებით, ვინაიდან ევროკავშირი სახელმწიფო არაა.*

#### 1.4.2. კონსტიტუციის ისტორია

სამართლის ყოველი დარგის პრინციპი და ინსტიტუტი მჭიდრო კავშირშია საკუთარ ისტორიასთან<sup>511</sup>. კონსტიტუციაც განსაზღვრული ისტორიული განვითარების შედეგია<sup>512</sup>. იგი მიეკუთვნება საჯარო სამართალს, ისევე, როგორც საკონსტიტუციო სამართლის თეორია, კონსტიტუციის თეორია, სახელმწიფოს ზოგადი თეორია და სახელმწიფოს ფილოსოფია<sup>513</sup>. დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინებად ჩამოყალიბდა „შედარებითი საკონსტიტუციო სამართლის ისტორია“<sup>514</sup> და „ევროპული საკონსტიტუციო სამართლის ისტორია“<sup>515</sup>. **კონსტიტუციის ისტორია, როგორც მეცნიერება<sup>516</sup> და სამართლის ფენომენოლოგია<sup>517</sup>, მოიცავს კონსტიტუციის განვითარების ისტორიასა და კონსტიტუციის სინამდვილეს (რეალური**

---

<sup>510</sup> Adamovich L.K., Funk B.C., Holzinger G., Österreichisches Staatsrecht, Band 1, Wien, New York, 1997, 29.

<sup>511</sup> Köbler G., Von der Geschichte der Verfassung zur Verfassungsgeschichte, in: Festschrift für Wilhelm Brauneder zum 65. Geburtstag, Rechtsgeschichte mit internationaler Perspektive, G. Kohl, C. Neschwara, T. Simon (Hrsg.), Wien, 2008, 2007.

<sup>512</sup> Volkman U., Grundzüge einer Verfassungslehre der Bundesrepublik Deutschland, Tübingen, 2013, 8.

<sup>513</sup> Grabenwarter C., Verfassungsgeschichte und Theorie der Verfassung, in: Verfassungstheori, O. Depenueher, C. Grabenwarter (Hrsg.), Tübingen, 2010, 127.

<sup>514</sup> Gusy C., Vergleichende Verfassungsgeschichte als Desiderat und Aufgabe, in: Grundrecht demokrati und Verfassungsgeschichte, Jörg-Detlef Kühne zum 65. Geburtstag, K. Waechter (Hrsg.), 2009, 39-57.

<sup>515</sup> Müssig U., Forschungsaufgaben, Probleme und Methoden einer europäischen Verfassungsgeschichte, in: Verfassungsgeschichte in Europa, Tagung der Vereinigung für Verfassungsgeschichte in Hofgeismar vom 27. Bis 29. März 2006, Für die Vereinigung herausgegeben von Helmut Neuhau, Berlin, 2010, 175-216.

<sup>516</sup> Kley A., Verfassungsgeschichte der Neuzeit, Dritte Auflage, Bern, 2013, 1.

<sup>517</sup> Hofmann H., Verfassungsgeschichte als Phänomenologie des Rechts, München, 2007.

კონსტიტუციის ისტორია). ის იკვლევს ნორმატიული და რეალური კონსტიტუციის წარმოშობასა და განვითარებას<sup>518</sup>. კონსტიტუციის ისტორიასა და საკონსტიტუციო სამართალს შორის მჭიდრო კავშირია. ორივე დისციპლინა ეხება კონსტიტუციას, როგორც საზოგადოების სამართლებრივ საფუძველს<sup>519</sup>, განსაკუთრებით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობას, სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთდამოკიდებულებას. კონსტიტუციის ისტორია სვამს კითხვას, თუ როგორი იყო ეს ურთიერთობები გასულ საუკუნეებში, ამასთან, იძლევა საკონსტიტუციო სამართლის ინტერპრეტაციის საშუალებას<sup>520</sup>, შესაბამისად, მხოლოდ ისტორიული ასპექტით არ შემოიფარგლება<sup>521</sup> და დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალზე, ვინაიდან ისტორიული განვითარების ცოდნა საკონსტიტუციო სამართლისა და კონსტიტუციის არსის სწორი გაგების ერთ-ერთი წინაპირობაა<sup>522</sup>.

### 1.4.3. სახელმწიფოს ზოგადი თეორია

სახელმწიფოს ზოგადი თეორია ნორმატიული დისციპლინაა<sup>523</sup>. მისი კვლევის საგანია სახელმწიფო, უფრო ზუსტად კი „კონსტიტუციური სახელმწიფო“<sup>524</sup> და მოიცავს უმთავრესად სახელმწიფოს ცნებასა და ნიშან-თვისებებს, ინფორმაციას მისი წარმოშობისა და დაცემის შესახებ, სახელმწიფოს ფორმას, სახელმწიფო იდეებს, სახელმწიფოს, მისი ინსტიტუციების მიზნებსა და ტიპურ

---

<sup>518</sup> Wieser B., *Vergleichendes Verfassungsrecht*, Wien, 2005, 47.

<sup>519</sup> Frottscher W., Pieroth B., *Verfassungsgeschichte*, 12., Auflage, München, 2013, 1

<sup>520</sup> იქვე.

<sup>521</sup> Koselleck R., *Begriffsgeschichtliche Probleme der Verfassungsgeschichtsschreibung*, in: *Der Staat, Zeitschrift für Staatslehre öffentliches Recht und Verfassungsgeschichte*, Beiheft 6, Gegenstand und Begriffe der Verfassungsgeschichtsschreibung, E.W. Böckenförde, R. Grawert, F. Ossenbühl, H. Quaritsch, E. Weis, B. Willms (Hrsg.), Berlin, 1983, 21.

<sup>522</sup> Morlok M., *Was heisst und zu welchem Ende studiert man Verfassungstheorie*, Berlin, 1988, 30.

<sup>523</sup> Kojas F., *Allgemeine Staatslehre*, Wien, 1993, 7.

<sup>524</sup> Pernthaler P., *Allgemeine Staatslehre und Verfassungslehre*, 2. Auflage, Wien, New York, 1996, 23.

**მიმართულებებს<sup>525</sup>**. მისი ცენტრალური თემაა, ასევე, სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობა. სახელმწიფოს ზოგადი თეორია საჯარო სამართლის ყველაზე ძველი დისციპლინაა.

#### 1.4.4. პოლიტიკური მეცნიერება

კონსტიტუცია საზოგადოების კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური ფორმა<sup>526</sup> და ლოგიკურად, თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი საკითხია<sup>527</sup>. უფრო მეტიც, **საკონსტიტუციო სამართალს ხშირად „პოლიტიკურ სამართალსაც“<sup>528</sup> უწოდებენ**. საბოლოო ჯამში, კონსტიტუციის თეორია პოლიტიკური თეორიაა<sup>529</sup>. ძირითადი კანონი ყოველთვის პასუხობს პოლიტიკური პრაქტიკის განსაზღვრულ მოთხოვნილებებს<sup>530</sup>. იგი არ ამოიწურება მხოლოდ წმინდა სამართლებრივი საკითხებით, არამედ, ფართო პოლიტიკურ განზომილებასაც მოიცავს<sup>531</sup>. *პოლიტიკური მეცნიერების შესწავლის უმთავრესი საგანი პოლიტიკური ხელისუფლება და პოლიტიკური ძალაუფლებაა, უფრო კონკრეტულად, მოძღვრება ხელისუფლებაზე (ინსტიტუციების თეორია), პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება (პოლიტიკური პროცესი) და ძირითადი პოლიტიკური მსოფლმხედველობა (პოლიტიკური იდეები). ის იკვლევს, ასევე, საერთაშორისო პოლიტიკურ ინსტიტუციებსა და პროცესებს (საერთაშორისო პოლიტიკა). სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, მისი კვლევის სფეროა, ასევე, კონსტიტუცია.*

მიუხედავად ამისა, კონსტიტუცია, უპირველეს ყოვლისა, ჯერ მაინც სამართლებრივ-ნორმატიული თავალსაზრისით, სახელმწი-

---

<sup>525</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 45.

<sup>526</sup> Böckenförde E.W., Die deutsche verfassungsgeschichtliche Forschung im. 19. Jahrhundert, 1961, 211.

<sup>527</sup> Teubner G., Verfassungsfragmente, Berlin, 2012, 13.

<sup>528</sup> Isensee J., Verfassungsrecht, als “politisches Recht”, in: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.), Band XII, Heidelberg, 2014.

<sup>529</sup> Hermens F.A., Verfassungslehre, Köln, 1968, 3.

<sup>530</sup> Hennis W., Verfassung und Verfassungswirklichkeit, Ein deutsches Problem, Tübingen, 1968, 35.

<sup>531</sup> Wyduckel D., Verfassung und Konstitutionalisierung, in: Organisation und Verfahren im sozialen Rechtsstaat, Festschrift für Friedrich E. Schanpp zum. 70. Geburtstag, H. Butzer, M. Kaltenborn, W. Meyer (Hrsg.), Berlin, 2008, 896.

ფოს კანონია<sup>532</sup>, რომელიც სამართლებრივი სივრცის არეალშია მოქცეული.

## 2. კონსტიტუციის სისტემური აგებულება

### 2.1. პრეამბულა

პრეამბულა კონსტიტუციის ნაწილია<sup>533</sup> და მის ტექსტშია ინტეგრირებული<sup>534</sup>. პრეამბულით იხსნება კონსტიტუციის თავფურცელი<sup>535</sup>. სიტყვა „პრეამბულა“ ეტიმოლოგიურად ლათინური ენიდან მომდინარეობს – „praeambulare“ „წინ გასწრებას“, „თავში სვლას“, ხოლო შუა საუკუნეების ლათინურით, „preambulum“ „შესავალს“ აღნიშნავს.

პრეამბულას შეიცავს გერმანიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ირლანდიის, პორტუგალიის, შვეიცარიის, ესპანეთისა და სხვა უამრავი სახელმწიფოს კონსტიტუციები. თუმცა ყველა კონსტიტუცია პრეამბულით არ იწყება<sup>536</sup>. მაგალითად, პრეამბულა არა აქვთ ბელგიის, დანიის, იტალიის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, ავსტრიისა და შვედეთის კონსტიტუციებს.

პრეამბულის ნორმატიულ-პოზიტიური ბუნებისა და კონსტიტუციაში მისი ადგილის შესახებ, დღემდე სამეცნიერო კამათია<sup>537</sup>. იგი მრავალმხრივი პრობლემაა, როგორც ისტორიული, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ლინგვისტური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. **პრეამბულა კონსტიტუციის ლაიტმოტივი<sup>538</sup> და მისი ერთიანობის საფუძველია. იგი აძლევს სახელმწიფოებრივ ფუნქციებს**

---

<sup>532</sup> Teubner G., Verfassungsfragmente, Berlin, 2012, 13.

<sup>533</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 70.

<sup>534</sup> Verfassung des Landes Baden-Württemberg, Kommentar, P. Fauchte (Hrsg.), 1987, 48.

<sup>535</sup> Häberle P., Präambeln im Text und Kontext von Verfassungen, in: Demokratie in Anfechtung und Bewährung, Festschrift für J. Broermann, Joseph Listl, Herbert Schambeck (Hrsg.), Berlin, 1982, 212.

<sup>536</sup> Otto N., Die Normative Wirkung von Präambeln im europäischen Primärrecht, Berlin, 2013, 1.

<sup>537</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 70.

<sup>538</sup> Lehmann-Brauns U., Die staatsrechtliche Bedeutung der Präambeln des Grundgesetzes, Berlin, 1964; Häberle P., Europäische Verfassungslehre, 7. Auflage, Baden-baden, 2011, 274-286.

ორიენტაციას<sup>539</sup>, აჩვენებს გზას კონსტიტუციაში<sup>540</sup>, ამასთან, ძირითადი კანონის დებულებების განმარტების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა<sup>541</sup>. უპირველეს ყოვლისა, მასში სახელმწიფოს სახელმძღვანელო პრინციპებია გამოხატული<sup>542</sup> და ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: ორიენტაციის ფუნქცია და წარსულსა და მომავალს შორის „ხიდის ფუნქცია“<sup>543</sup>.

პრეამბულა არაა მხოლოდ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივ-თეორიული ან საკონსტიტუციო-პედაგოგიური მნიშვნელობის მქონე ტექსტია, ის უფრო მეტად სამართლებრივ-ნორმატიული ხასიათისაა<sup>544</sup>. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მის პოლიტიკურ და სამართლებრივ მნიშვნელობას ასე განმარტავს: „უპირველეს ყოვლისა, პრეამბულას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა. ის არის პოლიტიკური აღიარება... გარდა ამისა, პრეამბულას სამართლებრივი შინაარსიც აქვს, ვინაიდან, პრეამბულიდან პოლიტიკური სახელმწიფო ორგანოს ყველა სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს“<sup>545</sup>. თუ პრეამბულა კონსტიტუციის მთლიანი შინაარსის განმარტების საშუალებაა და სახელმწიფოს მიზნებსა და სახელმწიფო ხელისუფლების სავალდებულო ქმედებებს შეიცავს, მაშინ ის ნორმატიული ბუნებისაა.

პრეამბულა კანონმდებლის ისტორიული და პოლიტიკური მდგომარეობის, მისი თვითგამორკვევის გამოხატულებაა. იგი შეიცავს სახელმწიფოს არსებით მიზნებს, კონსტიტუციის სამო-

---

<sup>539</sup> Häberle P., Präambeln im Text und Kontext von Verfassungen, in: Demokratie in Anfechtung und Bewährung, Festschrift für J. Broermann, J. Listl, H. Schambeck (Hrsg.), Berlin, 1982, 240.

<sup>540</sup> იქვე, 248.

<sup>541</sup> Robbers G., Die Präambel der Verfassung für Europa – Ein Entwurf, in: Verfassung im Diskurs der Welt, Lieber Amicorum für Peter Häberle zum siebzigsten Geburtstag, A. Blankenagel, I. Pernice, H. Schulze-Fieletz (Hrsg.), Tübingen, 2004, 251.

<sup>542</sup> Kommentar zum Grundgesetz, Sechste Auflage, C. Starck Hrsg., München, 2010, 14.

<sup>543</sup> Ehrenzeller B., „Im Bestreben, den Bund zu erneuern, Einige Gedanken über „Gott“ und die „Welt“ in der Präambel des Bundesbeschlusses über eine neue Bundesverfassung“, in: Der Verfassungsstaat vor neuen Herausforderungen, Festschrift für Yvo Hangarter, B. Ehrenzeller, P. Mastronardi, R. Schaffhauser, R. J. Schweizer, K. A. Vallender (Hrsg.), St. Gallen, 1998, 987.

<sup>544</sup> იქვე, 988.

<sup>545</sup> Verfassung des Landes Baden-Württemberg, Kommentar, Paul Fauchte (Hrsg.), 1987, 58.

**ქმედო სივრცეს, ტერიტორიული და პერსონალური თვალსაზრისით**<sup>546</sup>. პრეამბულაში არსებული იდეალები და მიზნები არ შეიძლება მხოლოდ კონკრეტულ ეპოქაში არსებობდნენ. ისინი სახელმწიფოსა და კონსტიტუციის თანამდევი ფასეულობები და მარადიული ღირებულებებია.

მიუხედავად ამისა, პრეამბულა არაა „ზეკონსტიტუცია“<sup>547</sup>, ვინაიდან, შეიძლება მომავალში შეიცვალოს ან საერთოდ გაუქმდეს<sup>548</sup>. იგი არც კონსტიტუციის სავალდებულო და აუცილებელი შემადგენელი ნაწილია<sup>549</sup>, ვინაიდან ეს უკანასკნელი პრეამბულის გარეშეც სიცოცხლისუნარიანია. თუ კონსტიტუცია არ შეიცავს მას, მაშინ ის მიზნები და მისწრაფებები, რომლებიც, როგორც წესი, პრეამბულათაა გათვალისწინებული,<sup>550</sup> კონსტიტუციის საერთო პრინციპებიდან და ზოგადი შინაარსიდან გამომდინარეობს.

## 2.2. ძირითადი ნაწილი

კონსტიტუციები ფორმალურ-სტრუქტურული თვალსაზრისით მსგავსებას ავლენენ. ზოგადად მიიჩნევა, რომ **კონსტიტუციის თავების თანმიმდევრობას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს**<sup>551</sup>. მისი სისტემური აგებულება ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, კონსტიტუციური დებულებების მნიშვნელობას და მეორე მხრივ, მტკიცე ზღვარს ავლენს კონსტიტუციურ და არაკონსტიტუციურ საკითხებს შორის. უფრო კონკრეტულად, ადგენს თუ რომელი საკითხია კონსტიტუციურად მნიშვნელოვანი და რომელი არა. ხშირად, კონსტიტუციის

---

<sup>546</sup> Häberle P., Präambeln im Text und Kontext von Verfassungen, in: Demokratie in Anfechtung und Bewährung, Festschrift für J. Broermann, J. Listl, H. Schambeck (Hrsg.), Berlin, 1982, 224.

<sup>547</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 70.

<sup>548</sup> Häberle P., Präambeln im Text und Kontext von Verfassungen, in: Demokratie in Anfechtung und Bewährung, Festschrift für J. Broermann, J. Listl, H. Schambeck (Hrsg.), Berlin, 1982, 242.

<sup>549</sup> Horst Dreier, in: Dreier, Grundgesetz, 1, Präambel, Rdnr. 23.

<sup>550</sup> Ehrenzeller B., „Im Bestreben, den Bund zu erneuern, Einige Gedanken über „Gott“ und die „Welt“ in der Präambel des Bundesbeschlusses über eine neue Bundesverfassung“, in: Der Verfassungsstaat vor neuen Herausforderungen, Festschrift für Yvo Hangarter, B. Ehrenzeller, P. Mastronardi, R. Schaffhauser, R. J. Schweizer, K. A. Vallender (Hrsg.), St. Gallen, 1998, 985.

<sup>551</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 71.

ძირითადი ნაწილის სტრუქტურაში გამოიყოფა შემდეგი ელემენტები: „კონსტიტუციის პრინციპები“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“ და „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია“<sup>552</sup>.

### 2.2.1. კონსტიტუციის პრინციპები

კონსტიტუცია უმაღლესი ღირებულებების სისტემაა. ამ სისტემაში უმთავრესი ადგილი საკონსტიტუციო წყობილების ფუნდამენტურ პრინციპებს უჭირავს და ბუნებრივია, კონსტიტუციების უმრავლესობა, პრეამბულის შემდეგ, დასაწყისშივე ადგილს ამ პრინციპებს უთმობს. **კონსტიტუციის პრინციპი კონსტიტუციაში უმაღლესი ცნებაა**<sup>553</sup>. ის **სახელმწიფოს მიზნებთანაა დაკავშირებული**. კონსტიტუციის თეორიაში გამოყოფენ საკონსტიტუციო პრინციპის რამდენიმე სახეს, ესენია: მატერიალური და ფორმალური, აბსოლუტური და შედარებითი, ძირითადი და ქვეპრინციპები<sup>554</sup>. *საკონსტიტუციო პრინციპი კონსტიტუციის ხერხემალია, რომელსაც მისი მთლიანი შინაარსი ეყრდნობა*. ესენი შეიძლება იყოს: სუვერენიტეტისა და დემოკრატიის, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს, რესპუბლიკანიზმის, ძალაუფლების, პლურალიზმის, საჯაროობის, კონსტიტუციის უზენაესობის, ძირითადი უფლებების დაცვისა და სხვა პრინციპები.

### 2.2.2. ძირითადი უფლებები

ძირითადი უფლებები კონსტიტუციებში უფრო გვიან გამოჩნდა. ამ პროცესის დაჩქარებაში განსაკუთრებული წვლილი თომას ჯეფერსონს მიუძღვის, რომელსაც მიაჩნდა, რომ კონსტიტუციის სტრუქტურული და შინაარსობრივი სრულყოფის მნიშვნელოვანი წინაპირობა მასში ძირითადი უფლებების ინტეგრაციაა. **ის, რომ კონსტიტუციაში ძირითად უფლებებს გამორჩეული ადგილი უჭირავს, მიუთითებს მათ განსაკუთრებულ პრიორიტეტზე**<sup>555</sup>. მაგ., როგორც ნიდერლანდების, ისე გერმანიის კონსტიტუციები პირდაპირ

<sup>552</sup> Schneider H.P., Die Funktion der Verfassung, in: Einführung in das öffentliche Recht – Verfassung und Verwaltung, D. Grimm (Hrsg.), Heidelberg, 1985, 28.

<sup>553</sup> Reimer F., Verfassungsprinzipien, Berlin, 2001, 502.

<sup>554</sup> იქვე.

<sup>555</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 71.

ადამიანის ძირითადი უფლებებით იწყება. თუმცა განსხვავებულია ავსტრიისა და ჩეხეთის კონსტიტუციები. ლიტვის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებები კონსტიტუციის ტექსტის ბოლოშია მოქცეული.

### 2.2.3. ხელისუფლების ორგანიზაცია

კონსტიტუციებში ყველაზე დიდი ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას ეთმობა<sup>556</sup> და იგი ძირითადად შემდეგ საკითხებს მოიცავს: სახელმწიფოს მეთაური, აღმასრულებელი ხელისუფლება, საკანონმდებლო ხელისუფლება, სასამართლო ხელისუფლება, ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმწიფოს ფინანსები და საფინანსო კონტროლის ინსტიტუტები, ომბუდსმენი და ა.შ.<sup>557</sup> თითქმის ყველა კონსტიტუცია თავისი ტექსტის ბოლოში ადგენს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის განსაკუთრებულ წესებს, გარდამავალ და დასკვნით დებულებებს<sup>558</sup>.

### 3. კონსტიტუციის ფუნქციები

კონსტიტუციას, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების სამართლებრივი კულტურის გამოხატულებასა და სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ფუნდამენტს, მისთვის დამახასიათებელი ფუნქციები აქვს. კონსტიტუცია, როგორც მასშტაბი<sup>559</sup>, მრავალფუნქციური ქმნილებაა<sup>560</sup>. ეს ფუნქციები გამოხატულია როგორც პრეამბულაში, ისე კონსტიტუციის მთელ რიგ დებულებებში. ფუნქციების რამდენიმე ფორმას გამოყოფენ. მაგალითად, ჰესეს აზრით, არსებითია ორი – პოლიტიკური ერთიანობისა და სამართლებრივი წესრიგის შექმნისა და შენარჩუნების

---

<sup>556</sup> იქვე, 72.

<sup>557</sup> იქვე.

<sup>558</sup> იქვე.

<sup>559</sup> Brauner W., Was ist die Verfassung, in: Demokratie und sozialer Rechtsstaat in Europa, Festschrift für Theo Öhlinger, S. Hammer, A. Somek, M. Stelzer, B. Weichselbaum (Hrsg.), Wien, 2004, 192.

<sup>560</sup> Schuppert G.F., Verfassung und Verfassungsstaatlichkeit in multidisziplinärer Perspektive, der Staat des Grundgesetzes – Kontinuität und Wandel, M. Brenner, P. M. Huber und M. Möstl (Hrsg.), Tübingen, 2004, 532.

ფუნქციები<sup>561</sup>. შეიძლება ითქვას, კონსტიტუციის ფუნქციები ორი სახისაა: პოლიტიკური და სამართლებრივი. სამართლებრივი ფუნქციის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ კონსტიტუცია ქმნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციულ სისტემას, ხოლო პოლიტიკური ფუნქცია – სახელმწიფოს პოლიტიკურ ერთიანობას<sup>562</sup>.

კონსტიტუციებს აქვთ სიმბოლური და ინსტრუმენტული ფუნქციები. *სიმბოლური ფუნქცია ქმნის საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სახელმძღვანელო იდეებს, ადგენს პოლიტიკური კულტურის შინაარსსა და ნებსებს. ინსტრუმენტული ფუნქციის მიზანია პოლიტიკური პროცესის სამართლებრივი მონესრიგება*<sup>563</sup>.

საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ კონსტიტუციამ მრავალი სხვა ფუნქცია შეიძინა. მათი გააზრების გარეშე კონსტიტუციის არსში ნვდომა შეუძლებელია. ფუნქციებში კონსტიტუციის ნორმატიულ-პოზიტიური ბუნება და სამართლებრივ-პოლიტიკური დანიშნულებაა გამოხატული.

კონსტიტუცია მხოლოდ ფორმალური აქტი არაა და მას ძალუძს ისტორიული განვითარების შედეგად დაკისრებული ფუნქციების შესრულება. საკონსტიტუციო განვითარების ისტორია მეტყველებს, თუ როგორ მიაღწიეს სახელმწიფოებმა შეუქცევად პროგრესს, როცა იქ დამყარდა საკონსტიტუციო მართლწესრიგი.

### 3.1. ხელისუფლების შეზღუდვის ფუნქცია

კონსტიტუცია თავისუფლებისა და ძალაუფლების შეზღუდვის სიმბოლოა<sup>564</sup> და ის ძალაუფლების გამიჯვნის გარეშე წარმოუდგენელია<sup>565</sup>. წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, ძალაუფლების

---

<sup>561</sup> Hesse K., Verfassung und Verfassungsrecht, in: Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 2., Auflage, E. benda, W. Maihofer, H.J. Vogel (Hrsg.), Berlin – New York, 1994, 5.

<sup>562</sup> Peters A., Elemente einer Theorie der Verfassung Europas, Berlin, 2001, 78.

<sup>563</sup> Schuppert G.F., Verfassung und Verfassungsstaatlichkeit in multidisziplinärer Perspektive, der Staat des Grundgesetzes – Kontinuität und Wandel, M. Brenner, P. M. Huber und M. Möstl (Hrsg.), Tübingen, 2004, 530.

<sup>564</sup> Gebhardt J., Die Idee der Verfassung: Symbol und Instrument, in: Verfassungen als Fundament und Instrument der Politik, Adolf Kimmel (Hrsg.), Baden-Baden, 1995, 9; Andre Brodocz, Die symbolische Dimension der Verfassung, 2003.

<sup>565</sup> Gewaltenteilung heute, Symposium aus Anlass der Vollendung des 65. Lebensjahres von Fritz Ossenbühl, Josef Isenhardt (Hrsg.), Heidelberg, Bd. 112, 2000, V.

**გამიჯვნა კონსტიტუციის აუცილებელი კომპონენტი<sup>566</sup>.** კონსტიტუციებში ხელისუფლების ორგანიზაციის განსხვავებული მოდელების არსებობა მმართველობის სისტემების თავისებურებებით აიხსნება. ძალაუფლების გამიჯვნის დოქტრინა არ მოითხოვს ერთიანი მოდელის დამკვიდრებას. მთავარია, არ დაირღვეს უნივერსალური მოვლენის — თავისუფლების არსი.

**კონსტიტუციის არსებითი ფუნქცია და მისი პოლიტიკური პრობლემა<sup>567</sup> ხელისუფლების, ძალაუფლების შეზღუდვაა, ურთიერთწინააღმდეგობისა და კონტროლის მექანიზმების საშუალებით.** კონსტიტუციამ ხალხს თავიდან უნდა ააცილოს ძალაუფლების კონცენტრაცია და მისი ბოროტად გამოყენება, რისი საბოლოო მიზანიც სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანობის მიღწევაა<sup>568</sup>. ამ ფუნქციას „კლასიკურ“<sup>569</sup>, „კლასიკურ ლიბერალურ ფუნქციას“<sup>570</sup>, ხოლო მის მატარებელ კონსტიტუციას ხშირად ლიბერალურ კონსტიტუციასაც<sup>571</sup> უწოდებენ.

### **3.2. ორგანიზაციული და პოლიტიკური ერთიანობის (პოლიტიკური) ფუნქცია**

*კონსტიტუციის ცენტრალური ამოცანა პოლიტიკური ერთიანობის შექმნაა<sup>572</sup>, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს (კონსტიტუციის „აბსოლუტური გავება“) კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკურ ერთიანობასა და სოციალურ წესრიგს<sup>573</sup>. ძირითადი კანონი აფუძნებს სახელმწიფოს სუვერენული ხელისუფლების არსებით ინსტიტუციებს (პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო) და ადგენს*

---

<sup>566</sup> Heum W., *Verfassung und Verfassungsgerichtbarkeit im Vergleich*, Tübingen, 2014, 65.

<sup>567</sup> Morlok M., *Staatsorganisationsrecht*, 2. Auflage, Baden-Baden, 2015, 35.

<sup>568</sup> იქვე.

<sup>569</sup> Depenheuer O., *Funktionen der Verfassung*, in: *Verfassungstheori*, O. Depenheuer, C. Grabenwarter (Hrsg.), Tübingen, 2010, 540.

<sup>570</sup> Peters A., *Elemente einer Theorie der Verfassung Europas*, Berlin, 2001, 78.

<sup>571</sup> Zippelius R., *Württemberg* T., *Deutsches Staatsrecht*, 32., Auflage, München, 2008, 42.

<sup>572</sup> Schuppert G.F., *Verfassung und Verfassungsstaatlichkeit in multidisziplinärer Perspektive, der Staat des Grundgesetzes – Kontinuität und Wandel*, M. Brenner, P. M. Huber und M. Möstl (Hrsg.), Tübingen, 2004, 535.

<sup>573</sup> Schmitt C., *Verfassungslehre*, Berlin, 1928, 4.

ხელისუფლების ორგანოების ამოცანებსა და კომპეტენციებს, ანესრიგებს მათ შორის არსებულ ურთიერთობებს<sup>574</sup>. კონსტიტუცია საფუძველს უყრის პოლიტიკურ ერთიანობას და ემსახურება ამ ერთიანობის ჩამოყალიბებას,<sup>575</sup> ასევე, პოლიტიკურ ინსტიტუციებთან ერთად, ქმნის ცალკეულ პოლიტიკურ სფეროებს და ამავე დროს, უზრუნველყოფს ამ სფეროების დიფერენცირებას, რათა გადანყვეტილებები სპეციალურმა კომპეტენტურმა ორგანოებმა მიიღონ, რაც პოლიტიკის შინაარსის დემოკრატიული განსაზღვრისათვის აუცილებელია<sup>576</sup>. სახელმწიფოებრივი გადანყვეტილებების ხარისხი არსებითად პოლიტიკური პროცესების განვითარებაზეა დამოკიდებული. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ეფექტიანობა და შინაარსი მის პოლიტიკურ ერთიანობას ეფუძნება<sup>577</sup>. სახელმწიფოში მხოლოდ კონსტიტუცია ადგენს პოლიტიკური „თამაშის წესებს“<sup>578</sup>.

### 3.3. სადამფუძნებლო და ლეგიტიმაციის ფუნქცია

კონსტიტუციის თეორიაში კიდევ ორ ფუნქციას გამოყოფენ. ესენია: სადამფუძნებლო და ლეგიტიმაციის ფუნქციები. კონსტიტუცია ადგენს და ფორმას აძლევს სახელმწიფო ხელისუფლებას<sup>579</sup>. იგი არა ერს, არამედ მის პოლიტიკურ ხელისუფლებას აფუძნებს<sup>580</sup>. ამას სადამფუძნებლო ფუნქციას უწოდებენ. კონსტიტუცია ახდენს სახელმწიფოს სამართლებრივ ინსტიტუციონალიზაციას<sup>581</sup>, რაც

---

<sup>574</sup> Depenheuer O., Funktionen der Verfassung, in: Verfassungstheori, O. Depenheuer, C. Grabenwarter (Hrsg.), Tübingen, 2010, 540.

<sup>575</sup> Morlok M., Staatsorganisationsrecht, 2. Auflage, Baden-Baden, 2015, 37.

<sup>576</sup> იქვე.

<sup>577</sup> Hesse K., Verfassung und Verfassungsrecht, in: Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 2., Auflage, E. benda, W. Maihofer, H.J. Vogel (Hrsg.), Berlin – New York, 1994, 6.

<sup>578</sup> Adamovich L.K., Funk B.C., Holzinger G., Österreichisches Staatsrecht, Band 1, Wien, New York, 1997, 14.

<sup>579</sup> Depenheuer O., Funktionen der Verfassung, in: Verfassungstheori, O. Depenheuer, C. Grabenwarter (Hrsg.), Tübingen, 2010, 540.

<sup>580</sup> Sieyes E.J., Politische Schriften 1788-1790, E. Schmitt (Hrsg.), Darmstadt u. Neuwied, 1978, 250.

<sup>581</sup> Hofmann H., Zur Idee des Staatsgrundgesetz, in: H. Hofmann, Recht – Politik – Verfassung. Studien zur Geschichte der politischen Philosophie, Frankfurt am Main, 1986, 269-274.

კონსტიტუციური სახელმწიფოს იდეას გულისხმობს<sup>582</sup>, რომელიც, თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს წინაპირობაა.

კონსტიტუცია ქმნის ხელისუფლების პოზიტიურსამართლებრივი ლეგიტიმაციის საფუძვლებს<sup>583</sup>. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაცია კონსტიტუციის ამოსავალი თემაა. მან თავის თავზე აიღო საჯარო ხელისუფლების ლეგიტიმაციის ფუნქცია და პოლიტიკა და სამართალი ერთმანეთს დაუახლოვა<sup>584</sup>. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაცია იწყება და მთავრდება კონსტიტუციით.

სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ლეგიტიმაციაა. ერთი მხრივ, მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებაა ლეგიტიმური და მეორე მხრივ, ყველა არსებითი სახელმწიფოებრივი გადწყვეტილება მაშინაა უმაღლესი ნების გამოხატულება, თუ ის ხალხის მიერაა მხარდაჭერილი. თუკი მონარქისთვის ლეგიტიმაციის უმთავრესი წყარო „ღვთის წყალობა“<sup>585</sup> იყო, თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის სამართლებრივი საფუძველი კონსტიტუციაა<sup>586</sup>.

### 3.4. სტაბილიზაციის ფუნქცია

კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა პოლიტიკური პროცესების სტაბილიზაცია და მათი სწორი ორიენტაციაა<sup>587</sup>. კონსტიტუციის ნორმები პოლიტიკური და სოციალური ძალების თანხმობას ემსახურება. იგი გავლენას ახდენს არასახელმწიფოებრივ ურთიერთობებზეც, ინარჩუნებს არსებულ წესრიგს და სოციალურ ძალებთან კონსენსუსის საფუძველზე „ღია კარს“ უხსნის სიახლეებს<sup>588</sup>. ძირითადი კანონი უზრუნველყოფს ყველა სახელმწი-

<sup>582</sup> Peters A., Elemente einer Theorie der Verfassung Europas, Berlin, 2001, 84.

<sup>583</sup> Morlok M., Staatsorganisationsrecht, 2. Auflage, Baden-Baden, 2015, 38.

<sup>584</sup> Luhmann N., Verfassung als evolutionäre Errungenschaft, in: Rechtshistorisches Journal 9, 1990, 176.

<sup>585</sup> Morlok M., Staatsorganisationsrecht, 2. Auflage, Baden-Baden, 2015, 42.

<sup>586</sup> Lang H., Funktionen der Verfassungs, in: Handbuch des Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.), Band XII, 2014, 417.

<sup>587</sup> Schuppert G.F., Verfassung und Verfassungsstaatlichkeit in multidisziplinärer Perspektive, der Staat des Grundgesetzes – Kontinuität und Wandel, M. Brenner, P. M. Huber und M. Möstl (Hrsg.), Tübingen, 2004, 534.

<sup>588</sup> Scheuner U., Die Funktion der Verfassung für den Bestand der politischen Ordnung, W. Hennis, P. G. Kielmannsegg, U. Matz (Hg.), Bd.2, Stuttgart, 1979, 102.

**ფოებრივი და სოციალური ძალის ერთიან სისტემასა და მოქალაქეთა სამართლებრივ უსაფრთხოებას<sup>589</sup>.**

პოლიტიკური სტაბილიზაცია მოიცავს ხელისუფლების შტოებს შორის პოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის მექანიზმებს<sup>590</sup>. ძირითადი კანონი უშვებს როგორც კომპრომისებს, ასევე, კონფლიქტებს. მან პოლიტიკური კრიზისები მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ან საერთოდ პრევენცია განახორციელოს.

#### 4.5. ინტეგრაციის ფუნქცია

ინტეგრაცია საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი კონსტიტუციის უმაღლესი მიზანი, კონსტიტუციური სახელმწიფოს ცენტრალური ფუნქცია<sup>591</sup> და კონსტიტუციური პრინციპია<sup>592</sup>. კონსტიტუცია საერთო კონსენსუსის საფუძველზე<sup>593</sup> უზრუნველყოფს თანამედროვე პლურალისტური საზოგადოების არსებობას. *მთავარი მიზანი საზოგადოებრივი ჯგუფების შეხედულებების, ინტერესებისა და მისწრაფებების ინტეგრაცია, კონფლიქტების თავიდან აცილება, სოციალური ნებსრივისა და ეროვნული ერთიანობის დამყარებაა. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ირღვევა სახელმწიფოს მთლიანობა<sup>594</sup>. ინტეგრაციის უმთავრესი ელემენტი ურთიერთთანხმობა, კონსენსუსი და პასუხისმგებლობაა.* ძირითადი კანონი უზრუნველყოფს როგორც პოლიტიკურ-ინსტიტუციურ, ისე

---

<sup>589</sup> Marti U., *Konstitution als Zustand und als Akt, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen*, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg.), Stuttgart, 2006, 30.

<sup>590</sup> Grote R., *Der Verfassungsorganstreit*, Tübingen, 2010.

<sup>591</sup> Pauly W., Sielinger M., *der deutsche Verfassungsstaat*, in: *50 Jahre Bundesrepublik Deutschland, Rahmenbedingungen – Entwicklungen – Perspektiven*, I. Ellwein, E. Holtman (Hrsg.), Springer, 1999, 79.

<sup>592</sup> Häberle P., *Gemeineuropäisches Verfassungsrecht*, in: *Der europäisches Verfassungsraum*, R. Bieber, P. Widmer (Hrsg.), Zürich, 1997, 29.

<sup>593</sup> Lang H., *Funktionen der Verfassungs*, in: *Handbuch des Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland*, J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.), Band XII, 2014, 429.

<sup>594</sup> Hesse K., *Verfassung und Verfassungsrecht*, in: *Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland*, 2., Auflage, E. benda, W. Maihofer, H.J. Vogel (Hrsg.), Berlin – New York, 1994, 6.

სამართლებრივ ინტეგრაციას (გამოყოფენ საგარეო და საშინაო ინტეგრაციას<sup>595</sup>).

#### 4. კონსტიტუციათა კლასიფიკაცია

ფორმისა და შინაარსის მიხედვით, ცნობილია ძირითადი კანონების დიფერენცირების რამდენიმე ფორმა: დაწერილი და დაუწერილი, რესპუბლიკური და მონარქიული, ფედერაციული და უნიტარული, იდეოლოგიურ-პროგრამული, სახელმწიფოებრივი და ზესახელმწიფოებრივი, დახურული და ღია, იურიდიულ-ტექნიკური და სამართლებრივ-ეთიკური, ფაქტობრივი და იურიდიული, სტატიკური და დინამიკური კონსტიტუციები და ა.შ.<sup>596</sup>

##### 4.1. დაწერილი და დაუწერილი კონსტიტუციები

პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს დღესდღეობით დაწერილი კონსტიტუცია აქვს<sup>597</sup>. კონსტიტუციების კლასიფიკაცია დაწერილ და დაუწერილ კონსტიტუციებად ხანგრძლივი ტრადიციის მქონეა. „დაუწერილ კონსტიტუციას“ ან „დაუწერილ საკონსტიტუციო სამართალს“ ზოგჯერ „ჩვეულებით საკონსტიტუციო სამართალს“ უწოდებენ<sup>598</sup>. როდესაც ცაცობრიობას კლასიკური საკონსტიტუციო პრაქტიკის მაგალითები არ ჰქონდა, პოზიტიური საკონსტიტუციო კანონმდებლობის ერთ-ერთი წყარო ჩვეულებითი საკონსტიტუციო სამართალი იყო. ამ მხრივ გამოირჩევა გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუცია, რომელიც მსოფლიოს უძველესი, დაუწერილი კონსტიტუციაა. დაუწერილი კონსტიტუცია სხვადასხვა დროს მიღებული და თანაბარმნიშვნელოვანი იურიდიული ძალის მქონე საკონსტიტუციო დოკუმენტების სისტემაა.<sup>599</sup> კონსტიტუციის

<sup>595</sup> Lang H., Funktionen der Verfassungs, in: Handbuch des Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.), Band XII, 2014, 429.

<sup>596</sup> იბ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016,

<sup>597</sup> Loewenstein K., Verfassungslehre, 4. Auflage. Nachdruck der 3., unverändert Auflage, Tübingen, 2000, 141.

<sup>598</sup> Wagner C., Bonner Grundgesetz und Verfassungsgewohnheitsrecht, München, 1963, 23.

<sup>599</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 54.

სტაბილიზაციისა და რაციონალიზაციის საფუძველი მისი წერილობითი ფორმაა<sup>600</sup>.

ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუცია პოზიტიური საკონსტიტუციო კანონმდებლობის საფუძველია და ამასთან, პირველი დაწერილი კონსტიტუციაა. **დაწერილი კონსტიტუცია ფორმალური აქტია და ეფუძნება „ერთიანი ტექსტის“<sup>601</sup> პრინციპს.** როგორც წესი, დაწერილი კონსტიტუციის ტიპური ფორმალური მახასიათებელი ერთიანი წერილობითი ფიქსაციაა<sup>602</sup>, თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. ამ პრინციპით, **დაწერილ კონსტიტუციებში შეიძლება გამოიყოს კოდიფიცირებული და არაკოდიფიცირებული აქტები.**<sup>603</sup>

#### 4.2. მუდმივი და დროებითი კონსტიტუციები

დროში მოქმედების მიხედვით, განასხვავებენ მუდმივ და დროებით კონსტიტუციებს. მუდმივია კონსტიტუცია, რომელიც გრძელვადიან მოქმედებაზეა გათვლილი და მოქმედების ვადას წინასწარ არ ითვალისწინებს.<sup>604</sup> სახელმწიფოთა კონსტიტუციების უმრავლესობა მუდმივია. „მუდმივი“ არ ნიშნავს, რომ ძირითადი კანონი სამარადისოა, სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს ან მიიღოს ახალი კონსტიტუცია, თუკი ამის საჭიროება არსებობს. **რაც შეეხება, დროებით კონსტიტუციას, იგი, როგორც წესი, სახელმწიფოს გარდამავალ ეტაპზე მიიღება და მისი მოქმედების ვადა წინასწარაა განსაზღვრული.**<sup>605</sup> *ხშირ შემთხვევაში დროებით კონსტიტუციას ე.წ. „მცირე“ კონსტიტუციასაც უწოდებენ, იგი მუდმივი კონსტიტუციის მიღებამდე სახელმწიფო მონუქობის ძირითად საკითხებს აწესრიგებს.*

---

<sup>600</sup> Hesse K., Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20. Auflage, Heidelberg, 1995, 14.

<sup>601</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 98.

<sup>602</sup> Winterhof C., Verfassung – Verfassungsgebung – Verfassungsänderung, Tübingen, 2007, 99.

<sup>603</sup> Hesse K., Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20. Auflage, Heidelberg, 1995, 14.

<sup>604</sup> მელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1996, 41.

<sup>605</sup> იქვე.

### 4.3. ნაჩუქარი და სახალხო კონსტიტუციები

მიღების ფორმის მიხედვით, არსებობს სახალხო (ორიგინალური) და ნაჩუქარი (ოქტროირებული) კონსტიტუციები.<sup>606</sup> სახალხოა ისეთი კონსტიტუცია, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლად, უშუალოდ ხალხის ან სპეციალური წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიიღება. ნაჩუქარი კონსტიტუციის მიღების რამდენიმე წყარო არსებობს: სახელმწიფოს მეთაური, ხშირ შემთხვევაში მონარქი, იღებს ძირითად კანონს ერთპიროვნულად, ან იმპერია, დამპყრობელი სახელმწიფო მის ყოფილ ტერიტორიას (ახალ სახელმწიფოს) „ჩუქნის“ კონსტიტუციას<sup>607</sup>.

კონსტიტუციებში განასხვავებენ უშუალო და შუალობითი წესით მიღებულ ძირითად კანონებს. უშუალოდ მიღებული კონსტიტუცია არის უშუალოდ ხალხის მიერ, რეფერენდუმის საშუალებით მიღებული კონსტიტუცია.

შუალობითი წესით კონსტიტუცია მიიღება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ასეთი ორგანო შეიძლება იყოს სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო — პარლამენტი ან სპეციალურად კონსტიტუციის მისაღებად შექმნილი, წარმომადგენლობითი და დამფუძნებელი უფლებამოსილებების მქონე საკონსტიტუციო კომისია, დამფუძნებელი კრება, ყრილობა და სხვ.<sup>608</sup>

### 4.4. მყარი და მოქნილი კონსტიტუციები

ყოველი კონსტიტუცია არსებობს დროში<sup>609</sup>. საზოგადოების სოციალური სინამდვილის ისტორიული გარდაქმნები კონსტიტუციის შინაარსზეც მოქმედებს და მის ტექსტს ხელუხლებელს არ ტოვებს<sup>610</sup>.

<sup>606</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под редакцией А.В. Малько, Москва, 2004, 99.

<sup>607</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 45.

<sup>608</sup> Barnett H., Constitutional and Administrative Law, Fourth Edition, London, 2002, 10-11.

<sup>609</sup> Häberle P., Zeit und Verfassung, in: Die Verfassung als öffentlicher Prozess, 1978, 59.

<sup>610</sup> Hesse K., Verfassung und Verfassungsrecht, in: Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 2., Auflage, E. benda, W. Maihofer, H.J. Vogel (Hrsg.), Berlin – New York, 1994, 11.

**კონსტიტუციაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მყარი (რთული) და მოქნილი (მარტივი) მექანიზმებით.** მსგავსი კლასიფიკაციის ავტორი ჯეიმს ბრაისია, რომელმაც 1901 წელს ამ საკითხზე თავისი მოხსენებების წიგნი გამოსცა – “Flexible and Rigid Constitutions”<sup>611</sup>. მისი აზრით, ეს დაყოფა ეფუძნება არა ცვლილებების პროცესის თავისებურებებს, არამედ კონსტიტუციების განსხვავებულ სამართლებრივ ბუნებას, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მოქნილ კონსტიტუციებში ის მოიაზრებს „ისტორიულ“, რთულში კი — „დანერვილ“ კონსტიტუციებს.

**ცვლილებების შეტანის მექანიკა თითქმის ყველა სახელმწიფოში განსხვავდება. ყველაზე მარტივი მეთოდი დაუნერევი კონსტიტუციის ქვეყნებში მოქმედებს.** საკონსტიტუციო სამართალ-შემოქმედება სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. კონსტიტუციის თეორიაში ის „საკონსტიტუციო პოლიტიკის“<sup>612</sup> სახელწოდებითაა ცნობილი და ჩამოყალიბდა, როგორც პრაქტიკული მეცნიერება და საკონსტიტუციო ცვლილებების ხელოვნება<sup>613</sup>. საკონსტიტუციო პოლიტიკა შეიმუშავებს საკონსტიტუციო სამართლისა და კონსტიტუციის განვითარების კონცეფციებსა და სტრატეგიებს, იკვლევს საკონსტიტუციო რეფორმების შესაძლებლობებს და როდესაც ეს შესაძლებლობები იწურება, იწყება საკონსტიტუციო ცვლილებების კრიზისი<sup>614</sup>. ხელოვნური საკონსტიტუციო ინოვაციები – ექსპერიმენტული საკონსტიტუციო მიდგომები, მიუღებელია და ზიანს აყენებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას.

ცვლილებები თვითმიზანი არაა. თუ ის საზოგადოებრივი ცხოვრების მოდიფიცირებასა და საკონსტიტუციო პოლიტიკის მოთხოვნილებებს ემსახურება, მაშინ კონსტიტუცია „მოძრავი“ ელემენტია. საკონსტიტუციო ცვლილება, თავისი არსით, არც

---

<sup>611</sup> Pace A., *Starre und flexible Verfassungen*, in: *Jahrbuch des öffentlichen Rechts der Gegenwart*, Neue Folge/Band 49, P. Häberle (Hrsg.), Tübingen, 2001, 89.

<sup>612</sup> Adamovich L.K., Funk B.C., Holzinger G., *Österreichisches Staatsrecht*, Band 1, Wien, New York, 1997, 25.

<sup>613</sup> Saladin P., *Die Kunst der Verfassungserneuerung*, *Schriften zur Verfassungsreform* (1968-1996), Basel und Frankfurt am Mein, 1998.

<sup>614</sup> Hesse K., *Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland*, 20. Auflage, Heidelberg, 1995, 16.

შემთხვევითი და არც თვითნებურია. ის კონსტიტუციის უწყვეტობის ლეგიტიმური გზაა<sup>615</sup>.

#### 4.5. „ჩარჩო“ და „ტექნიკური“ კონსტიტუციები

კონსტიტუციები განსხვავდება ტექსტის სიდიდის მიხედვით. ე.წ. „ჩარჩო კონსტიტუცია“ ძალიან მოკლე, მცირე მოცულობისაა. ამის კლასიკური მაგალითია ამერიკის 1787, ლატვიის 1922, დანიის 1953, საფრანგეთის 1958, ასევე, უნგრეთის 1989 და ჩეხეთის 1992 წლების კონსტიტუციები. „ჩარჩო“ კონსტიტუციები ინტერპრეტაციის უფრო მეტ საშუალებას იძლევა. „ტექნიკური კონსტიტუციები“ შედარებით მეტი კონკრეტიკით გამოირჩევიან. ამ თვალსაზრისით, ალსანიშნავია პორტუგალიის 1976 და პოლონეთის 1997 წლების კონსტიტუციები, რომლებსაც „საკონსტიტუციო სამართლის სახელმძღვანელოებსაც“ კი უწოდებენ<sup>616</sup>.

#### 4.6. „ძველი“ და „ახალი“ კონსტიტუციები

„ახალ“ კონსტიტუციებს მიეკუთვნება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი და XX საუკუნის 90-იანი წლების პოსტსოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციები. ძველ და ახალ კონსტიტუციებს შორის განსხვავების დასადგენად აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს რამდენიმე მომენტზე: 1. ახალი თაობის კონსტიტუციები, ძველი კონსტიტუციებისგან განსხვავებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს აწესრიგებენ (მონესრიგების ფართო სფეროთი გამოირჩევიან); 2. თანამედროვე ტიპის კონსტიტუციების უპირველესი ამოცანაა, გადაჭრან ყველა მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო-პოლიტიკური საკითხი, მათ შორის, საკონსტიტუციო ორგანოებს შორის არსებული კონფლიქტები; 3. ახალი კონსტიტუციების ნორმატიული და ინსტიტუციური მექანიზმების უმთავრესი ამოცანა ძირითადი უფლებების დაცვა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფაა.

<sup>615</sup> Häberle P., *Verfassung als öffentlicher Prozess*, Berlin, 1996, 91.

<sup>616</sup> Wieser B., *Vergleichendes Verfassungsrecht*, Wien, 2005, 100.

#### 4.7. თავდაპირველი და ნაწარმოები კონსტიტუციები

ლოვენშტაინის კლასიფიკაციით, კონსტიტუციები იყოფა თავდაპირველ და ნაწარმოებ კონსტიტუციებად<sup>617</sup>. ძირითადი კანონი, რომელიც ახალ, ორიგინალურ და კონსტიტუციონალიზმისათვის მანამდე უცნობ პრინციპებსა და ინსტიტუტებს აფუძნებს, თავდაპირველ კონსტიტუციად მიიჩნევა. ნაწარმოები კონსტიტუციები თავდაპირველი კონსტიტუციების საფუძველზე აღმოცენდნენ, ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით. ორიგინალურ პრინციპებსა და ინსტიტუტებს შეიცავდნენ, ასევე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგი კონსტიტუციებიც. თუმცა დღეს ასეთი ძირითადი კანონები შედარებით იშვიათია. ორიგინალობით გამოირჩევა შემდეგი ქვეყნის კონსტიტუციები: გაერთიანებული სამეფო – პარლამენტის სუვერენობის პრინციპი, წმინდა საპარლამენტო მმართველობა; ამერიკის შეერთებული შტატები – ძალაუფლების გამიჯვნა, შეკავებისა და განონასწორების მექანიზმები, საპრეზიდენტო დემოკრატია; საფრანგეთი – რაციონალიზებული პარლამენტარიზმი, შერეული მმართველობა; შვეიცარია – კოლეგიური მთავრობა, პირდაპირი დემოკრატია<sup>618</sup>; ჩეხოსლოვაკია (წინარეკომუნისტური) – საკონსტიტუციო სასამართლო; გერმანია – კონსტრუქციული უნდობლობის ვოტუმი.

#### 4.8. რელიგიური და საერო კონსტიტუციები

კონსტიტუციის თეორიაში გამოყოფენ რელიგიურ (კონფესიურ) და საერო (სეკულარულ) კონსტიტუციებს<sup>619</sup>. აღნიშნულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობათა თავისებურებები, რომლებიც სახელმწიფოთა უმრავლესობაში განსხვავებულია. სეკულარიზმი, როგორც საკონსტიტუციო პრინციპი, ფრანგული მოვლენაა. მაგალითად, საფრანგეთის კონსტიტუცია აღიარებს, რომ საფრანგეთი საერო, სეკულარული სახელმწიფოა და სეკულარიზმი, რესპუბლიკანიზმთან ერთად, სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპია. საბერძნეთში სახელმწიფო

<sup>617</sup> Loewenstein K., Verfassungslehre, 4. Auflage. Nachdruck der 3., unverändert Auflage, Tübingen, 2000, 144.

<sup>618</sup> იქვე, 144-145.

<sup>619</sup> Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005, 103.

რელიგია მართლმადიდებლური ქრისტიანობაა, რაც კონსტიტუციის დონეზეა უზრუნველყოფილი.

#### **4.8. ნორმატიული, ნომინალისტური და სემანტიკური, ფორმალური და ფაქტობრივი კონსტიტუციები**

კონსტიტუცია სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობილების ნორმატიული ფუნდამენტიცაა, რომლის ნორმები განსაზღვრავს პოლიტიკურ პროცესებს (**ნორმატიული კონსტიტუცია**). უახლოეს ან შორეულ მომავალში კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს სრული მოცულობით პოლიტიკური პროცესების დინამიკის (**ნომინალისტური კონსტიტუცია**). წერილობითი კონსტიტუცია კარგი და ხანგრძლივია მაშინ, როდესაც ის მხოლოდ ფურცელზე არაა და საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეს ასახავს, უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებულ ძალთა რეალურ თანაფარდობას (**სემანტიკური კონსტიტუცია**)<sup>620</sup>.

კონსტიტუციის პრაქტიკული მნიშვნელობის მიხედვით, გამოყოფენ ფორმალურ (ფიქტიური, „მკვდარი“) და ფაქტობრივ (რეალური, „ცოცხალი“) კონსტიტუციებს.<sup>621</sup> თუ კონსტიტუცია ნამდვილად სახელმწიფოს ძირითადი კანონია და პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება, ფაქტობრივი კონსტიტუციაა, ხოლო, თუ მას მოჩვენებითი ფუნქცია აქვს, არ სრულდება და მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ ტექსტად რჩება, – კონსტიტუცია ფორმალურია.

#### **4.9. „დახურული“ და „ღია“ კონსტიტუციები**

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი კონსტიტუციების ერთ-ერთი მთავარი ლაიტმოტივი სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობა იყო. ხშირად ეს პრინციპი გამოხატულია პრეამბულაში ან კონსტიტუციის ზოგად დებულებებში. კონსტიტუციების უმრავლესობაში ღიად და ცალსახადაა გამოხატული სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხები. გარდა ამისა, ეს პრინციპი მოიცავს საერთაშორისო სამართლის

<sup>620</sup> Lassalle F., Über Verfassungswesen, Rede am 16. April 1862 in Berlin, Hamburg, 1993, 40.

<sup>621</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под редакцией М. В. Баглая, Ю. И. Лейбо, Л. М. Энтина, Москва, 2004, 55.

პრიმატს ეროვნული სამართლის მიმართ<sup>622</sup>. „დახურული“ კონსტიტუციის ნიმუშად მიჩნეულია 1874 წლის კონსტიტუცია, რომლისთვისაც უცნობი იყო თანამშრომლობის მსგავსი პრინციპები.

#### 4.10. დემოკრატიული და არადემოკრატიული კონსტიტუციები

**პოლიტიკური რეჟიმების მიხედვით, განასხვავებენ დემოკრატიულ და არადემოკრატიულ (ავტორიტარული, ტოტალიტარული) კონსტიტუციებს.**<sup>623</sup> დემოკრატიულია კონსტიტუცია, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიულ ფასეულობებს, ძალაუფლების გამიჯვნისა და სახელმწიფო მონყობის დემოკრატიულ პრინციპებს.

არადემოკრატიულ, ავტორიტარულ კონსტიტუციებს განეკუთვნება ისეთი კონსტიტუციები, რომლებიც რომელიმე პოლიტიკური ძალის ან პირის ინტერესებსაა მორგებული და დარღვეულია კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები.

#### 4.11. რესპუბლიკური და მონარქიული, უნიტარული და ფედერალური კონსტიტუციები

**მმართველობის ფორმის მიხედვით, განასხვავებენ რესპუბლიკურ და მონარქიულ კონსტიტუციებს.**<sup>624</sup> XX საუკუნის პირველ ნახევრამდე მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იყო<sup>625</sup>, თუმცა თანამედროვე მსოფლიოში ორივე მათგანი თითქმის მსგავსია. მათი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მონარქიულ კონსტიტუციებში ხშირად ტახტის მემკვიდრეობის წესი, სამეფო ოჯახის სტატუსი და მსგავსი საკითხებია თავმოყრილი, რაც რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი არაა.

---

<sup>622</sup> Schindler D., Der Weg vom „geschlossenen“ zum „offenen“ Verfassungsstaat, in: Der Verfassungsstaat vor neuen Herausforderungen, Festschrift für Yvo Hangarter, Hrsg. B. Ehrenzeller, P. Mastronardi, R. Schaffhauser, R.J. Schweizer, K.A. Vallender, St. Gallen, 1998, 1031.

<sup>623</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თეორიის საკითხები, ბათუმი, 2003, 56.

<sup>624</sup> Barnett H., Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., London, 2002, 14.

<sup>625</sup> მელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1996, 39.

**სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობის მიხედვით, არსებობს უნიტარული და ფედერალური კონსტიტუციები.**<sup>626</sup> მსგავსი სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ტერიტორიულ მონყობას ადგენს სახელმწიფოს კონსტიტუცია. ფედერალურ კონსტიტუციაში მონესრიგებულია ფედერალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის ურთიერთობა, ფედერაციის სუბიექტის სტატუსი და სხვ.<sup>627</sup>

რთული სახელმწიფო მონყობის მქონე ქვეყნებში მოქმედებს როგორც საერთო კონსტიტუცია, ისე მის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ან ავტონომიურ ერთეულებს, ფედერაციის შემთხვევაში კი – ფედერაციის სუბიექტებს, თავიანთი კონსტიტუციები აქვთ. საერთო-სახელმწიფოებრივი კონსტიტუცია უმაღლესი კანონია სახელმწიფოში და მოქმედებს სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე. რაც შეეხება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ან ავტონომიური ერთეულის, ფედერაციის სუბიექტის კონსტიტუციას, იგი მხოლოდ მათ ტერიტორიაზე მოქმედებს და უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს კონსტიტუციას.<sup>628</sup>

---

<sup>626</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. А.В. Малько, Москва, 2004, 99.

<sup>627</sup> იხ., Barnett H., Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., London, 2002, 12-13.

<sup>628</sup> იხ., იქვე, 11.

## თავი VIII. კონსტიტუციის გადასინჯვა

### 1. კონსტიტუციის გადასინჯვის არსი

კონსტიტუცია სახალხო დოკუმენტია, შესაბამისად, იგი აუცილებლად საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს უნდა მოერგოს, რისთვისაც დროდადრო საჭიროა მისი ცვლილება. როგორც ჯეფერსონი განმარტავდა, „კონსტიტუციის დემოკრატიული გაძლიერების მიზნით, ყოველ თაობას უნდა მიეცეს მასში ცვლილების შეტანის საშუალება, რადგან მემკვიდრეობით მიღებული ეს ტექსტი მათი მონაწილეობით არ შექმნილა, ხოლო წინამორბედ თაობებს არ ჰქონდათ უფლება, განესაზღვრათ, როგორ უნდა იცხოვრონ მომავალმა თაობებმა“<sup>629</sup>. ენის, გრამატიკის, პუნქტუაციის ნიშნების ცვლილებების პარალელურად, დროთა განმავლობაში იცვლება თაობათა ხედვა, ღირებულებები.<sup>630</sup> სიცოცხლისუნარიანი, არსებული პოლიტიკურ-სამართლებრივი, ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის შესაბამისი კონსტიტუციის არსებობისათვის, მისი შინაარსი აუცილებლად დროში ცვალებადი უნდა იყოს და არა სტატიკური.<sup>631</sup> ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ კონსტიტუციის როლს ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი სტაბილურობა. *კონსტიტუციის ცვლილების ზედმეტად მარტივმა წესმა შესაძლოა ხელისუფლების სათავეში მყოფ პოლიტიკურ გუნდს საკუთარი სურვილების კონსტიტუციაში ასახვისკენ გზა გაუხსნას.*<sup>632</sup> კონსტიტუცია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების, ურთიერთობების წესებს ადგენს, შესაბამისად, მის ცვლილებებსაც მხოლოდ საზოგადოებრივი დაკვეთა უნდა ედოს

---

<sup>629</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 50.

<sup>630</sup> Jackson C.V., Tushnet M., *Comparative Constitutional Law*, 2<sup>nd</sup> Ed., Foundation Press, 2006, 223.

<sup>631</sup> Pollack Sh.D., *Constitutional Interpretation and Political Choice*, University of Pittsburgh Law Review, Vol.48, 1987, 1000.

<sup>632</sup> ბეროუსი გ., რუხაძე ზ., კვაჭაძე მ., გაფრინდაშვილი ლ., იზორია ლ., დემოკრატია და მოქალაქეობა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, თბილისი, 2011.

საფუძვლად და არა პოლიტიკური ინტერესები.<sup>633</sup> აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა უნდა ადგენდეს რაციონალურ მექანიზმს, ერთი მხრივ, კონსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის, მეორე მხრივ კი, ზედმეტად ხშირი და პოლიტიკური მოტივით განპირობებული ცვლილებებისგან მისი დაცვის მიზნით.

კონსტიტუციის დაცვის მიზნის მიღწევას სახელმწიფოები ცვლილებების განხორციელების განსხვავებული მექანიზმების დადგენით ცდილობენ. დღესდღეობით, დაწერილი კონსტიტუციების უმრავლესობა შეიცავს კონსტიტუციის გადასინჯვის წესს. ზოგიერთი კონსტიტუცია ცვლილებების განხორციელების ზედმეტად მარტივ (მოქნილ) წესს ადგენს, ზოგი კი პირიქით — ზედმეტად რთულს (მყარს). კონსტიტუციის მოქნილობასა და სიმყარეს შორის ბალანსის ძიება ყველა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს საფიქრალია, რადგან *ჯერჯერობით არ შექმნილა კონსტიტუციის გადასინჯვის „რეცეპტი“, საუკეთესო მოდელი, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნებოდა*<sup>634</sup> და *იმავედროულად, კონსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობასა და სტაბილურობასაც უზრუნველყოფდა.*

## 2. კონსტიტუციის გადასინჯვის ფორმები

სიტყვა „გადასინჯვა“ განიმარტება, როგორც გადახედვა, შემოწმება აზრის შეცვლის მიზნით.<sup>635</sup> ამ სიტყვის ინგლისური ანალოგი – “revision” წარმოდგება სიტყვისგან “revise” და გულისხმობს გარკვეული ობიექტის შეცვლას, მისი შესწორების ან გაუმჯობესების გზით.<sup>636</sup> სახელმწიფოთა ნაწილი უარს ამბობს ტერმინ „გადასინჯვაზე“ და ამ მექანიზმს „კონსტიტუციაში შესწორების შეტანას“ (სერბეთი, სლოვაკეთი, ესტონეთი), „კონსტიტუციაში

---

<sup>633</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 2.

<sup>634</sup> Lutz D.S., Toward the Theory of Constitutional Amendment, The American Political Science Review, Vol.88, №2, 1994, 357.

<sup>635</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1951, 299.

<sup>636</sup> იხ., Longman Advanced American Dictionary, Barcelona, 2001, 60; Hornby S.A., Oxford Advanced Learner's Dictionary, 6<sup>th</sup> Ed., Oxford University Press, 2005, 533.

დამატებების შეტანას“ (ბულგარეთი, ბელარუსი, ისლანდია) უწოდებს.<sup>637</sup>

**კონსტიტუცია შეიძლება გადასინჯოს ნაწილობრივ და სრულად.**<sup>638</sup> ზღვრის გავლება ნაწილობრივ და სრულ გადასინჯვას შორის პრობლემურია. კონსტიტუციის გადასინჯვის ფარგლებში შესაძლოა შეიცვალოს მართვა-გამგეობის საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე დებულება, რამაც მთლიანად შეცვალოს კონსტიტუციის შინაარსი. ასეთ შემთხვევაში, გაუგებარი ხდება, რომელი ფორმით განხორციელდა ცვლილებები — ნაწილობრივი თუ სრული გადასინჯვის გზით. სწორედ ზღვრის გავლების სირთულის გამო, სახელმწიფოთა ნაწილმა (ლიტვა, ბელგია, საბერძნეთი, პოლონეთი) საერთოდ უარი თქვა ფორმების კონკრეტიკაზე,<sup>639</sup> სახელმწიფოთა ნაწილი კი, სრული გადასინჯვისთვის (რაც ვენეციის კომისიის მიერ ახალი კონსტიტუციის მიღებასთან ასოცირდება) უფრო რთულ პროცედურებს განსაზღვრავს.<sup>640</sup>

### 3. კონსტიტუციის გადასინჯვის უფლებამოსილი სუბიექტები

საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებაზე უფლებამოსილი სუბიექტების საკითხი საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტებში კამათს იწვევს. *კონსტიტუციის ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხის მიღწევის თვალსაზრისით, პოპულარობით სარგებლობს საკონსტიტუციო რეფერენდუმი, რომლის საშუალებითაც ხალხი საკუთარ დამფუძნებელ ძალაუფლებას გამოხატავს.* ცვლილებების სახალხო წესით მიღების იდეას იზიარებდა ემანუელ სიესი. მისი განმარტებით „ხალხი, როგორც ძალაუფლების

---

<sup>637</sup> იხ., პაპაშვილი თ., გეგენავა დ., კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი – ნორმატიული მოწესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 31.

<sup>638</sup> Albert R., Amendment and Revision in the Unmaking of Constitutions, Boston College Law School, Legal Studies Research Paper Series, Paper №420, 2016, 1-10.

<sup>639</sup> იქვე, 29.

<sup>640</sup> ესპანეთში დადგენილია კონსტიტუციის მთლიანი და ნაწილობრივი გადასინჯვა, შვეიცარიაში კი – სრული და ნაწილობრივი. იხ., Constitution of Spain, 1978, Art. 168; Federal Constitution of the Swiss Confederation, 1999, Art.192.

წყარო, საკონსტიტუციო პროცესების საფუძველი უნდა იყოს<sup>641</sup>. საკონსტიტუციო რეფერენდუმს ხალხის ერთიან და განუყოფელ უფლებად მიიჩნევდა კარლ შმიტიც<sup>642</sup>.

სახალხო გზით კონსტიტუციის მიღებას უნივერსალურ მიდგომად არ მოიაზრებს ვენეციის კომისია. მისი განმარტებით, პარლამენტი კონსტიტუციის ცვლილებისთვის ყველაზე შესაფერისი არენაა.<sup>643</sup> საკუთარ დასკვნაში კომისიამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ჩატარებული არაერთი საკონსტიტუციო რეფერენდუმი გააკრიტიკა ხმათა დაბალი უმრავლესობის საჭიროების თუმის შედეგებზე მარტივად ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის გამო.<sup>644</sup> *ხალხის მიერ კონსტიტუციის დეტალების გამოძერწაში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობა და მათთვის შეთავაზებული ტექსტის პასუხებით – „დიახ“ ან „არა“ – შეზღუდვა, რეფერენდუმის წინააღმდეგ არსებული მთავარი არგუმენტებია.*<sup>645</sup> მართალია, საკონსტიტუციო რეფერენდუმის უარყოფით თვისებებზე თანამედროვე ეპოქაში ბევრს საუბრობენ, საკონსტიტუციო ცვლილებების ლეგიტიმურობის მაღალი საფეხურის მისაღწევად ამ პროცესში საზოგადოების წარმომადგენლების მაქსიმალურ ჩართულობას და ამ გზით კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესზე ზედამხედველობის შესაძლებლობას, ოპტიმალურ გზად მიიჩნევენ როგორც ცალკეული კონსტიტუციონალისტები, ასევე, თავად ვენეციის კომისიაც.<sup>646</sup>

ხალხისა და პარლამენტის გარდა, ზოგიერთ სახელმწიფოში კონსტიტუციის გადასინჯვის უფლებამოსილება ამ მიზნით სპეციალუ-

<sup>641</sup> Partlett W., The Dangers of Popular Constitution-Making, Brooklyn Journal of International Law, 2012, 198.

<sup>642</sup> Schmitt C., Constitutional Theory, Translated by J. Seitzer, Duke University Press, 2008, 9.

<sup>643</sup> Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2010)001, Strasbourg, 19.01.2010, 175.

<sup>644</sup> იქვე, 188.

<sup>645</sup> Colon-Rids J., The Legitimacy of the Juridical: Constituent Power, Democracy and the Limits of Constitutional Reform, Osgood Hall Law Journal, Vol. 48, Issue 2, 2010, 235-236.

<sup>646</sup> იხ., Blount J., Elkins Z., Ginsburg T., The Citizen as founder: Public Participation in Constitution approval, Temple Law Review, Vol. 81, No.2, 2008, 363; Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2010)001, Strasbourg, 19.01.2010, 199.

რად შექმნილ ორგანოს აქვს მინიჭებული. როგორც წესი, ასეთი ორგანოები საკუთარი ფუნქციის შესრულების შემდეგ იშლებიან. მაგალითისთვის, არსებული კონსტიტუციის შეცვლის ან ახალი კონსტიტუციის მიღების მიზნით, ბულგარეთში მოინვევა დიდი ეროვნული კრება,<sup>647</sup> რუსეთში კი ასეთ დროებით ორგანოს საკონსტიტუციო კრება წარმოადგენს, რომელიც მონვევის შემდეგ კონსტიტუციის შეუცვლელობას ადგენს ან კონსტიტუციის ახალ პროექტს შეიმუშავებს.<sup>648</sup>

#### 4. კონსტიტუციის გადასინჯვის გავრცელებული მექანიზმები

საკონსტიტუციო რეფორმის მოთხოვნა სხვადასხვა გზით შეიძლება წარმოიშვას. სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა კონსტიტუციის დემოკრატიულობის მისაღწევად საჭირო გახდეს კონსტიტუციაში გარკვეული პროცედურების დამატება, ინიციატივა მოდიოდეს ხალხისგან ან ხელისუფლების სათავეში მოსული პოლიტიკური გუნდისგან<sup>649</sup>.

როგორც წესი, **სახელმწიფოთა კონსტიტუციები განასხვავებენ ჩვეულებრივი კანონის პროექტისა და საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის წარმდგენ სუბიექტებს.** გამონაკლისია იტალიის, ესპანეთის, ფინეთის, ნორვეგიის კონსტიტუციები, რომლებიც ცალკე არ განსაზღვრავენ კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორებს. განსხვავებით სხვა სუბიექტებისგან, ამ უფლებამოსილებით პარლამენტი ყოველთვის აღჭურვილია. თითოეულ პარლამენტის წევრს აქვს კანონპროექტის შეტანის უფლება ბელგიაში, ლუქსემბურგში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში და პორტუგალიაში, ხოლო პარლამენტის წევრთა გარკვეული პროცენტული რაოდენობის მიერ ინიცირების შესაძლებლობას შეიცავს ესტონეთის, ხორვატი-

---

<sup>647</sup> Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2010)001, Strasbourg, 19.01.2010, 35.

<sup>648</sup> Constitution of the Russian Federation, 1993, Art.135.

<sup>649</sup> Rasch B.E., Congleton R.D., Amendment Procedures and Constitutional Stability, in: Democratic Constitutional Design and Public Policy, Edited by R.D. Congleton and B. Swedenborg, Cambridge, 2006, 539.

ის, ბულგარეთის, ლიტვის, პოლონეთის, სერბეთის კონსტიტუციები.<sup>650</sup>

პარლამენტის გარდა, საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატორ სუბიექტთა წრეს მიეკუთვნებიან პრეზიდენტი პოლონეთში, საფრანგეთსა და ესტონეთში; მთავრობა – სლოვენიაში; მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა – შვეიცარიაში, სერბეთში, სლოვენიაში. ზოგიერთი კონსტიტუცია ერთდროულად რამდენიმე ინიციატორ სუბიექტს ითვალისწინებს. მაგალითისთვის, სერბეთის კონსტიტუცია კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის შეტანის უფლებით აღჭურავს პარლამენტის ნევრთა 1/3-ს, პრეზიდენტსა და 150 000 ამომრჩეველს.<sup>651</sup>

**საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირების შემდეგ, როგორც წესი, პროექტი პარლამენტში ან სპეციალურად საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების მიზნით მოწვეულ დროებით ორგანოში განიხილება.** როგორც უკვე აღინიშნა, *კონსტიტუციის გადასინჯვის „საუკეთესო მოდელი“ არ არსებობს, თუმცა ვენეციის კომისია ასახელებს ყველაზე გავრცელებულ მოდელს, რომელიც მოითხოვს: 1. პარლამენტის ნევრთა გარკვეულ კვალიფიციურ უმრავლესობას და 2. ერთ ან მეტ დამატებით დაბრკოლებას გადაწყვეტილების მიღების დროში დაყოვნების ან ამ პროცესში სხვა სუბიექტების (უმეტესწილად, ხალხის) ჩართვის სახით.*<sup>652</sup> სახელმწიფოთა პარლამენტებში, ძირითადად, კანონპროექტი 2/3-ის უმრავლესობით მიიღება. ასეა, მაგალითად, ლატვიაში, ლიტვაში, ავსტრიაში, ბელგიაში, გერმანიაში, იაპონიაში, არგენტინაში, პორტუგალიაში, სერბეთსა და სლოვენიაში. ორპალატიან პარლამენტებში, როგორც წესი, კანონპროექტს ცალ-ცალკე განიხილავს თითოეული პალატა, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ორივე პალატა კა-

---

<sup>650</sup> Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2010)001, Strasbourg, 19.01.2010, 30.

<sup>651</sup> პაპაშვილი თ., გეგენავა დ., კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი – ნორმატიული მოწესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 35.

<sup>652</sup> Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2010)001, Strasbourg, 19.01.2010, 62.

ნონპროექტს ერთი და იმავე უმრავლესობით იღებს.<sup>653</sup> კანონპროექტის საპარლამენტო განხილვისა და მიღების შემდეგ, სახელმწიფოთა მხოლოდ მცირე ნაწილი ითვალისწინებს განსაკუთრებულად რთულ დაბრკოლებებს. ასეთად თამამად შეიძლება დასახელდეს, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის კონსტიტუცია, რომელიც შესწორებებისთვის იურიდიული ძალის მინიჭებისთვის შტატების საკანონმდებლო კრებების სამი მეოთხედის მიერ რატიფიცირების მოთხოვნას შეიცავს. სირთულეზე პირდაპირ მიუთითებს ის, რომ კონსტიტუციის შექმნის დღიდან დღემდე მხოლოდ 27 შესწორებაა მიღებული (თუმცა ეს ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს და არა ერთადერთი).<sup>654</sup>

**სახელმწიფოთა კონსტიტუციების დიდი ნაწილი, ცვლილებებისთვის მაქსიმალური ლეგიტიმაციის მინიჭების მიზნით, დამატებითი დაბრკოლების სახით რეფერენდუმს ითვალისწინებს.** ზოგიერთ შემთხვევაში რეფერენდუმის ჩატარება საბოლოო საფეხურის სახით სავალდებულოა (ასეა მაგალითად, ავსტრალიაში, დანიაში, ირლანდიაში, შვეიცარიაში და თურქეთში), ზოგიერთ სახელმწიფოში კი რეფერენდუმის ჩატარება კონსტიტუციით განსაზღვრულ პირთა მოთხოვნაზეა დამოკიდებული. მაგალითად, შვედეთში რეფერენდუმზე კანონპროექტი გავა მხოლოდ რიქსტაგის (პარლამენტის) ნევრთა 1/10-ის მოთხოვნით, ესტონეთში კი — სახელმწიფო კრების 3/5-ის გადაწყვეტილებით.<sup>655</sup>

**რეფერენდუმის გარდა, სახელმწიფოთა პრაქტიკა იცნობს კონსტიტუციის არასათანადო ცვლილებებისაგან დაცვას ისეთი დამატებითი დაბრკოლებების საშუალებებით, როგორცაა, მაგალითად, პლურალური ვოტუმი და კონსტიტუციის ნორმათა გარკვეული კატეგორიის უცვლელად გამოცხადება.** პირველი მათგანი, ძირითადად, სკანდინავიურ ქვეყნებშია გავრცელებული და კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში შუალედური რგოლის

<sup>653</sup> პაპაშვილი თ., გეგენავა დ., კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი – ნორმატიული მონესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, დანართი 1, 82-90.

<sup>654</sup> იხ., Constitution of the United States of America, 1787.

<sup>655</sup> პაპაშვილი თ., გეგენავა დ., კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი – ნორმატიული მონესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, დანართი 1, 82-90.

სახით არჩევნების ჩართვას გულისხმობს. კერძოდ, პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღება იწვევს მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, ახალარჩეული პარლამენტი კი კანონპროექტის შემოთავაზებული ვერსიის კიდევ ერთხელ მიღებით ადასტურებს საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების საჭიროებას. ამ მოდელის განსაკუთრებულ დადებით მახასიათებლად საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესში არჩევნების გზით ხალხის არაპირდაპირ ჩართულობას ასახელებენ, რაც მათ საშუალებას აძლევთ, იმის გათვალისწინებით დააკომპლექტოს მომდევნო მოწვევის პარლამენტი, ეთანხმებიან თუ არა ძირითად კანონში შესატან ცვლილებებს.<sup>656</sup>

*სპეციალისტთა გარკვეული ნაწილის განმარტებით, დამატებითი დაბრკოლების სახით კონსტიტუციის გარკვეულ ნორმათა მუდმივად/უცვლელად გამოცხადება კონსტიტუციას გაუმართლებელი ცვლილებებისგან იცავს.*<sup>657</sup> ძირითადად, **უცვლელობა ვრცელდება ისეთ პრინციპებზე, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებებს, მმართველობის ფორმას, სახალხო სუვერენიტეტს და სხვ.**<sup>658</sup> ნორმების მუდმივად გამოცხადებით, სახელმწიფოები გამორიცხავენ „კონსტიტუციურ რევოლუციას“<sup>659</sup> და საკონსტიტუციო ცვლილებების უფლებამოსილ სუბიექტებს ცვლილებების ფარგლებს უდგენენ.<sup>660</sup> აღნიშნული ფარგლების გაცდენის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, კანონმდებელს ცვლილებების არაკონსტიტუციურობაზე მიუთითოს და ამით საკონსტიტუციო წესრიგი დაიცვას.<sup>661</sup>

<sup>656</sup> იქვე, 58-60.

<sup>657</sup> Barak A., Unconstitutional Constitutional Amendments, Israel Law Review, Vol.44, 2011, 333.

<sup>658</sup> იხ., Basic Law of the Federal Republic of Germany, 1949, Constitution of the French Republic, 1958, Constitution of the Italian Republic, 1947, Constitution of the Azerbaijan Republic, 1995.

<sup>659</sup> მენაბდე ვ., საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა – რა უზრუნველყოფს უზენაესი კანონის ლეგიტიმურობას, ნიგნი: სუპერსაპრეზიდენტოდან საპრეზიდენტომდე: საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, თბილისი, 2013, 175.

<sup>660</sup> ვენეციის კომისიის განსხვავებული აზრი იხ., Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2010)001, Strasbourg, 19.01.2010, 216.

<sup>661</sup> ზედელაშვილი დ., კონსტიტუციის გადასინჯვა საქართველოში: უმრავლესობის ვნებები და კონსტიტუციური წესრიგი, ნიგნი: სუპერსაპრე-

ზემოთ მოყვანილთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ არასათანადო ცვლილებებისგან კონსტიტუციის წარმატებულად დაცვა დამოკიდებული არაა მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვის ნორმატიულ მონესრიგებაზე. **ცვლილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკა, სამართლებრივი კულტურა და მართლშეგნება, საგარეო ურთიერთობები და სხვა მოვლენები, რაზეც კონსტიტუციის შემქმნელების კონტროლი ვერ გავრცელდება,**<sup>662</sup> მიუხედავად ამისა, კანონმდებლის მიზანი უნდა იყოს იმდენად ეფექტიანი მექანიზმის დადგენა, რომ მის მიერ კონტროლირებად სფეროში, პოლიტიკურად მოტივირებული და ხალხის ნებისგან განსხვავებული ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა მაქსიმალურად გამორიცხოს.

---

ზიდენტოდან საპრეზიდენტომდე: საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, თბილისი, 2013, 175.

<sup>662</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციის მშენებლობის საფეხურები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №1, 2009, 11.

## ნაწილი IV. სახელმწიფო და ადამიანის უფლებები

### თავი IX. სახელმწიფო

*თანამედროვე სახელმწიფო, სადაც არ უნდა ნახოთ  
ის დღეს, დაფუძნებულია 1100-1600 წლების  
პერიოდის ევროპაში აღმოცენებულ ნიმუშს.<sup>663</sup>  
ჯოზეფ სტრეიერი*

#### 1. სახელმწიფოებრიობის ნიშნები და მახასიათებლები

ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოების მსოფლიოში.<sup>664</sup> გასული საუკუნის მინურულს ჩარლზ ტილი მართებულად აღნიშნავდა: „თავდაპირველად ერთა ლიგის, შემდეგ კი გაერთიანებული ერების შექმნამ მთელი დედამიწის ხალხის ერთ სახელმწიფო სისტემაში ორგანიზაციის რატიფიკაცია და რაციონალიზაცია მოახდინა“. იგი ერი-სახელმწიფოების, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმის „გამარჯვებაში“ განსაკუთრებულ როლს სამხედრო კონფლიქტებს ანიჭებს.<sup>665</sup> ლიტერატურაში არსებობს, ასევე, აქცენტები ამ ფორმის სახელმწიფოების სოციალურ, ინსტიტუციურ თუ ეკონომიკურ ტრანსფორმაციაზე, რამაც საშუალება მისცა მათ, შეექმნათ საომარი შესაძლებლობები და თანამედროვე სახელმწიფოთა სხვა შედარებითი უპირატესობანი.<sup>666</sup>

თანამედროვე სახელმწიფომ, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ფუნდამენტურმა ფორმამ, წალეკა მსოფლიო, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ იყო და შესაძლოა, არც მომავალში იყოს. *სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიით, მისი გაკვეთილებით დაინტერესება მნიშვნელოვანია, რადგან ცნობილია ის ნეგატიური ფაქტები და მოვლენები, რომლებიც სახელმწიფოს მეშვეობით მოხდა.* მათ მაგალითად მეორე მსოფლიო ომის გახსენებაც კმარა. ცალკე საკითხია, ასევე, სახელმწიფო ძალაუფლების კონტროლის გარეშე

<sup>663</sup> Strayer J., *On the Medieval Origins of the Modern State*, Princeton, 1970, 12.

<sup>664</sup> Morris C., *An Essay on the Modern State*, Cambridge, 2002, 13.

<sup>665</sup> Tilly C., *Coercion, capital and European states AD 990-1990*, Oxford, 1990.

<sup>666</sup> იხ., Spruyt H., *The Sovereign State and Its Competitors*, Princeton, 1994.

დატოვება და მისი მძიმე შედეგები, რისი მაგალითებიც მრავლადაა თანამედროვე მსოფლიოში.<sup>667</sup>

საერთაშორისო სამართლის სისტემაში, გლობალიზაციისა და სხვა, მისი თანმდევი პროცესების გამო ახალი მოთამაშეების, როგორცაა, ჯუჯა სახელმწიფოები, აჯანყებულები, მებრძოლი მხარეები, საერთაშორისო ორგანიზაციები, კომპანიები თუ სხვადასხვა ტერიტორია, მომრავლების მიუხედავად, სახელმწიფო კვლავ რჩება კაცობრიობის სოციალური აქტივობის ყურადღების ცენტრში.<sup>668</sup> ეს დასკვნა იურიდიული საზოგადოებადობისთვის გაცილებით ადვილი გასაკეთებელია, ვიდრე ისეთი ურთულესი ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების დამუშავება, რომელიც სახელმწიფოებრიობას მისი არსებობის დაწყებისთანავე თან ახლავს. რა მომენტიდან მიიჩნევა სახელმწიფო შექმნილად? ვინ და რა გზით არის უფლებამოსილი, ჩაერიოს ამ პროცესში, ან დაადგინოს ამ კომპლექსური მოვლენის ეფექტიანობის და/ან სხვა შესაბამისი სამართლებრივი კრიტერიუმები? როდესაც მსოფლიო რუკაზე აუთვისებელი, ნულოვანი იურისდიქციის ტერიტორიები არაა და დეკოლონიზაციის პროცესიც მიიწურა, ახალი სახელმწიფოს მოვლენის ერთადერთ გზად არსებული სახელმწიფოების შემცირება დაშლად რჩება, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის სფრ-ისა და ჩეხოსლოვაკეთის შემთხვევაში.<sup>669</sup>

მორისი, აჯამებს რა სახელმწიფოს მახასიათებლებს, ჩამოთვლის შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ თვისებებს:

**1. დროსა და სივრცეში განგრძობადობა.** თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომლის ინსტიტუციები დროთა განმავლობაში რჩება; კერძოდ, ისინი უძლებენ ხელმძღვანელობისა და მთავრობის ცვლილებას. ეს არის განსაზღვრული და გარკვეული ტერიტორიის პოლიტიკური ორგანიზაცია;

**2. ტრანსცენდენტულობა.** თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომელიც წარმოადგენს ერთიან საჯარო წესრიგს, განცალკევებულს და ზემდგომს როგორც

<sup>667</sup> იბ., Morris C., An Essay on the Modern State, Cambridge, 2002, 15.

<sup>668</sup> Shaw M, International Law, 6<sup>th</sup> Ed., Cambridge, 2008, 197.

<sup>669</sup> იქვე, 198.

მართულებზე, ასევე, მმართველებზე საქმიანობის უნარით. თანამედროვე სახელმწიფოსთან ასოცირებული ინსტიტუტები – კერძოდ, მთავრობა, სასამართლო, ბიუროკრატია, მუდმივი ჯარი – საკუთრივ არ არიან სახელმწიფო, ისინი არიან მისი წარმომადგენლები (აგენტები);

**3. პოლიტიკური ორგანიზაცია.** ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო მოქმედებს, კერძოდ, მთავრობა, სასამართლო, ბიუროკრატია და პოლიცია, სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისა და გაერთიანებებისაგან განცალკევებულნი არიან; ისინი ფორმალურად ერთმანეთთან კოორდინაციაში იმყოფებიან და შედარებით ცენტრალიზებულნი არიან. ხელისუფლების ურთიერთობა იერარქიულია. მმართველობა არის პირდაპირი და ტერიტორიული; ის შედარებით გავრცელებადია და აღწევს საზოგადოებაში სამართლებრივი და ადმინისტრაციული გზებით;

**4. ხელისუფლება.** სახელმწიფო არის სუვერენი, მის ტერიტორიაზე პოლიტიკური ძალაუფლების საბოლოო წყარო და ამავე ტერიტორიაზე ლეგიტიმური ძალის გამოყენების მონოპოლიას ფლობს. მისი ინსტიტუტების იურისდიქცია პირდაპირ ვრცელდება ამ ტერიტორიის ყველა მაცხოვრებელზე. სხვა საჯარო წესრიგებთან ურთიერთობაში სახელმწიფო ავტონომიურია;

**5. ერთგულება.** სახელმწიფო ელის და იღებს მისი წევრებისა და ტერიტორიის მუდმივი მაცხოვრებლების ლოიალურობას, რომელიც ოჯახის, კლანის, თემის, ბატონის, ეპისკოპოსის, პაპის ან იმპერატორის მიმართ ადრინდელ ლოიალურობაზე უპირატესია. სახელმწიფოს წევრები მისი კანონების პირველადი სუბიექტები არიან და თავისი წევრობიდან გამომდინარე, ზოგადი ვალდებულება აქვთ, დაემორჩილონ მათ.<sup>670</sup>

ზემოთჩამოთვლილი ელემენტები შემდგარი სახელმწიფოს მახასიათებლებია, ხოლო დებულებები ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ორგანიზებული პოლიტიკური ხელისუფლების ქვეშ კონკრეტულ ტერიტორიაზე გაერთიანებული ხალხის სახელმწიფოდ სახელდების შესახებ ამომწურავი და უცვლელი სახით ლიტერატურასა და სასამართლო გადაწყვეტილებებში არ არსებობს. დღემდე ფართოდ აღიარებულია „სახელმწიფოთა უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე“ 1933 წლის მონტევიდეოს კონვენციის პირველი მუხლით შემო-

<sup>670</sup> Morris C., *An Essay on the Modern State*, Cambridge, 2002, 58.

თავაზებული ფორმულირება, რომელიც სახელმწიფოს საერთაშორისო პირად კვალიფიკაციისთვის შემდეგ კრიტერიუმებს ჩამოთვლის: **მუდმივი მოსახლეობის, განსაზღვრული ტერიტორიის, ხელისუფლებისა და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში შესვლის შესაძლებლობა.**

*საგულისხმოა, რომ მუდმივი მოსახლეობის კრიტერიუმი მინიმუმ ან მაქსიმუმ რიცხობრივ ზღვარს პრაქტიკულად არ აწესებს, გარდა თვითგამორკვევის უფლების ჩრილში არსებული მოთხოვნებისა. ამ კრიტერიუმში ვერ ხვდება მომთაბარე მოსახლეობა, თუმცა მათი ცალკეული უფლებები იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი კვეთენ, საერთაშორისო სამართლით აღიარებულია.*<sup>671</sup>

ტერიტორიის ფლობის მოთხოვნასთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს, რომ სახელმწიფოდ აღიარებისთვის არ არის აუცილებელი ქვეყანას სრულად განსაზღვრული და დადგენილი საზღვრები ჰქონდეს. **სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ტერიტორიის რაღაც ნაწილი, რომელსაც იგი უდავოდ აკონტროლებს.** პირველ მსოფლიო ომამდე ალბანეთი, სასაზღვრო დავების მიუხედავად, მრავალი ქვეყნის მიერ იყო აღიარებული,<sup>672</sup> პალესტინის სახელმწიფო დღემდე ვერ აკონტროლებს მისი ტერიტორიის უმრავლესობას, ხოლო საქართველოს საზღვარი მხოლოდ თურქეთთან აქვს დემარკირებული.

უკანასკნელი პრაქტიკა, კერძოდ კი, ხორვატიის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინას მაგალითები სარწმუნოს ხდის იმ გარემოებას, რომ გარკვეული ცვლილები შევიდა მთავრობის, როგორც ტერიტორიის ეფექტიანი მაკონტროლებლის, კრიტერიუმში, რამეთუ ორივე მათგანი ევროპულმა ქვეყნებმა აღიარეს, შემდეგ კი გაეროს წევრად მიიღეს მაშინ, როდესაც მათი ტერიტორიის უმეტესობა ჯერ კიდევ არასამთავრობო ძალების კონტროლქვეშ და სამოქალაქო ომის პირობებში იმყოფებოდა. ამგვარ შემთხვევებში ეფექტიანი ცენტრალური კონტროლის ნაკლებობა შეიძლება სახელმწიფოდ ანგარიშგასაწივი საერთაშორისო აღიარებით და გაეროში შემდგომი

---

<sup>671</sup> Shaw M., *International Law*, 6<sup>th</sup> Ed., Cambridge, 2008, 199

<sup>672</sup> იქვე.

წევრობით დაბალანსდეს, რაც გაეროს წესდების მეოთხე მუხლის მიხედვით, მხოლოდ სახელმწიფოებს ძალუძთ.<sup>673</sup>

და ბოლოს, სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო საზოგადოების სხვა წევრებთან, დამოუკიდებლად სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლისა და მათი წარმოების უნარი. ცალკეულ რთულ შემთხვევებში ამ პირობასაც შეიძლება ჰქონდეს გამონაკლისები, როგორცაა, მაგალითად, ფინანსური და ან პოლიტიკური დახმარების მიღება სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მხრიდან, ან სულაც ახალგაზრდა მთავრობის ცალკეული ფუნქციების განხორციელება სპეციალური საერთაშორისო წარმომადგენლობის მიერ (ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითზე), რაც არაა მიჩნეული სახელმწიფოს სტატუსის არაღიარების/შენეცივის საფუძველად.

**აღნიშნული პირობების გარდა, მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა, უკვე ნახსენები თვითგამორკვევა და ცნობა, თუმცა როდის და რა პროპორციით, ეს თითოეული შემთხვევისთვის განსხვავებულია ხოლმე. აქვე აღსანიშნავია გაეროს საერთაშორისო სასამართლოს კომენტარი *დასავლეთ საჰარას* საქმეზე (1975), – საერთაშორისო სამართალი არ მოითხოვს სახელმწიფოს სტრუქტურა მიჰყვებოდეს რომელიმე ცალკეულ ნიმუშს.<sup>674</sup>**

სახელმწიფოს ცნებაზე საუბრისას, მის არაშაბლონურობასა და სპეციფიკურობის შესწავლაზე აკეთებს უპირველეს აქცენტს, ასევე, პაკტი: **სახელმწიფო ნაციონალური და საერთაშორისო ცხოვრების რეალობაა, რომელიც თავისუფლად და უშუალოდ აღიქმება, მაგრამ ეს სიმარტივე მხოლოდ მოჩვენებითია და ნამდვილ სირთულეს ნიღბავს. სინამდვილეში, სახელმწიფოში ისტორიისა და შემთხვევითობის წილი მნიშვნელოვანია და უდავოდ, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სამართლისა და საღი აზრის წვლილი. ყოველივე ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სახელმწიფოს რეალობისა და მისი სპეციფიკურობის შესწავლისას.<sup>675</sup>**

---

<sup>673</sup> იქვე, 201.

<sup>674</sup> *Western Sahara case*, გაერთიანებული ერების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა, ICJ Reports, 1975, par. 43–4; 59 ILR, par. 60–1.

<sup>675</sup> Pactet P., Melin-Soucramanien F., *Droit Constitutionnel*, 29e Ed., Paris, 2010, 53.

## 2. თანამედროვე სახელმწიფოთა ჩამოყალიბება

ყველაზე მარტივი დაყოფა, რომლითაც სახელმწიფოთა განვითარების ისტორია შეიძლება დაიყოს, სამ ეტაპიანია – **იმპერიული, ფეოდალური და თანამედროვე (მოდერნული) სახელმწიფოები**. ამ უკანასკნელზე გადასვლის, ანუ მოდერნიზაციის პროცესისათვის დამახასიათებელი ელემენტების ჩამონათვალში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი ნიშნები:

- **ინდუსტრიალიზაცია** – აგრარულიდან ინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლა;
- **დემოგრაფია** – მოსახლეობის ზომისა და განაწილების გარდაქმნა;
- **კომერციალიზაცია** – ეკონომიკური ურთიერთობების გამიჯვნა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტებისგან;
- **კაპიტალიზმის აღზევება** – კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასვლა და შრომის დანაწილება;
- **რაციონალურობის კონცეფციებისა** (სეკულარიზაციის ჩათვლით) და ფიზიკური და სოციალური მსოფლიოს პლასტიკურობის შესახებ რწმენის გარდაქმნა;
- **ადამიანების, საქონლისა და ინფორმაციის კომუნიკაციის საშუალებების** გარდაქმნა;
- **ურბანიზაცია** – ინდუსტრიული ქალაქების ზრდა, სოფლისა და ქალაქის შეცვლილი ურთიერთობა;
- **დემოკრატიზაცია** – პოლიტიკური მონაწილეობის ზრდა ახალი პოლიტიკური ინსტიტუტებით და პოლიტიკური ლეგიტიმაციის ახალი ფორმებით.<sup>676</sup>

**თანამედროვე სახელმწიფო სუვერენია** – მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ძალაუფლების საბოლოო წყაროა. *საშინაო დონეზე, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოზე ზემდგომი ხელისუფალი არავინაა*. მოქალაქეს არ შეუძლია სახელმწიფოს სხვა ხელისუფალთან უჩივლოს, სახელმწიფო უზენაესია და მისი სურვილის გაუქმება შეუძლებელია. *საგარეო დონეზე კი, სახელმწიფო სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოები აღიარებენ მის ხელისუფლებას საკუთარ*

<sup>676</sup> Pierson C., *The Modern State*, 2<sup>nd</sup> Ed., Routledge, 2004, 29.

საზღვრებში და მის მიერ საკუთარი ხალხის წარმომადგენლობას საერთაშორისო საქმეებში. შესაბამისად, საგარეო სუვერენიტეტი კონკრეტული სახელმწიფოს საშინაო სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარებაა. სუვერენიტეტი სახელმწიფოსათვის არსებითად მნიშვნელოვანია, რამეთუ მას სახელმწიფო საზოგადოებაში ზემდგომ პოზიციამდე აჭყავს და მისი უფლებების აღიარებაა, მიიღოს სავალდებულო ძალის გადანყვეტილებები საკუთარ საზღვრებში მაცხოვრებლების მიმართ. იდეაში, ეს არის კიდევ სახელმწიფოს როლის ფოკუსი – სავალდებულო გადანყვეტილებების მიღება მისი მოქალაქეებისა და მის ტერიტორიაზე შემსვლელთათვის. ეს უფლება არსებითია მისი ძალაუფლებისა და როლისათვის და მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ინდივიდუალური სახელმწიფოს სუვერენიტეტი შეიძლება შეიბღალოს (მაგალითად, საერთაშორისო ხელშეკრულების ძალით ნებაყოფლობითი დათმობით ან უნებლიედ, სხვა სახელმწიფოს ქმედებით), როგორც სახელმწიფოს განმსაზღვრელი პრინციპი, იგი მაინც ცენტრალურ ადგილს იკავებს.<sup>677</sup>

პოსტმოდერნული სახელმწიფოს წარმოშობას რაც შეეხება, მკვლევართა ნაწილი, მაგალითად, *კუპერი*, ამ მოვლენას 1989 წელს უკავშირებს, რომელმაც არა მხოლოდ ცივი ომი დაასრულა, არამედ ძალაუფლებათა ბალანსის სისტემა ევროპაში, რის გამოც მას ევროპული სახელმწიფოებისთვის ვესტფალიის ზავის მნიშვნელობასთანაც კი ათანაბრებს.<sup>678</sup> პოსტმოდერნული სახელმწიფო უფრო პლურალისტური და რთულია, ნაკლებად ცენტრალიზებული, ვიდრე ბიუროკრატიული თანამედროვე (მოდერნული) სახელმწიფო, თუმცა არა ქაოსური, წინარეთანამედროვესგან (პრემოდერნულისაგან) განსხვავებით. რამდენადაც თავად სახელმწიფო დომინანტი აღარაა, საგარეო პოლიტიკაში სახელმწიფო ინტერესი ნაკლებად გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელი ფაქტორი ხდება; სცენაზე შემოდის მედია, სახალხო/პოპულარული ემოცია, ცალკეული ჯგუფების ან რეგიონების ინტერესები, ტრანსნაციონალური ჯგუფების ჩათვლით.<sup>679</sup>

<sup>677</sup> Gill G., *The Nature and Development of the Modern State*, New York, 2003, 5.

<sup>678</sup> Cooper R., *The Postmodern State and the World Order*, Demos, 2000, 7.

<sup>679</sup> იქვე, 31.

ამასთან, მართებული არ იქნება იმის თქმა, რომ მოდერნული სახელმწიფოს დეკონსტრუქცია დასრულებულია, თუმცა *პროცესი სწრაფად მიმდინარეობს და ევროპული გაერთიანება, მრავალი ქვეყნის მოძრაობა უფრო დიდი რეგიონული ავტონომიისკენ და მეტნაკლებად საყოველთაო მოძრაობა პრივატიზაციისაკენ ამ პროცესის ნაწილად მოიაზრება.*<sup>680</sup> **პოსტმოდერნულია სახელმწიფო, რომელიც ინდივიდს უმაღლეს ღირებულებად აღიქვამს.** იგი არასაომარი ხასიათისაა. ომი არსებითად კოლექტიური აქტივობაა: XX საუკუნის ბრძოლები ლიბერალიზმის ბრძოლები იყო, ხოლო ინდივიდის დოქტრინა კოლექტივიზმის სხვადასხვა ფორმის (კლასი, ნაცია, რასა, თემი, სახელმწიფო) წინააღმდეგია. მართალია, განსხვავებული გზებით, თუმცა ფაშიზმიცა და კომუნიზმიც ომისთვის შექმნილი სისტემები იყო. ფაშიზმი არც მალავდა ამას: მისი მიძღვრება და რიტორიკა – უნიფორმები, აღლუმები, ომის განდიდება – სახელმწიფოს არა მხოლოდ ძალადობაზე მონოპოლია ჰქონდა, არამედ ძალადობა მისი არსებობის მიზანი იყო. კომუნიზმიც წარმოდგება როგორც მცდელობა, მართო სახელმწიფო, თითქოს ის არმიაა და ქვეყანა განგრძობით ბრძოლაშია ჩართული. ამ იდეოლოგიებმა სცადეს, დაეცვათ ინდივიდი მოდერნულობაში გარდამავალი ცხოვრების მარტოობისა და გაურკვევლობისაგან. ორივე იდეოლოგიამ სცადა, შეეცვალა თემური ერთობის გრძნობა, რაც აგრარული სოფლების ინდუსტრიული ქალაქებით ჩანაცვლების გამო დაიკარგა.<sup>681</sup>

**პოსტმოდერნული სახელმწიფო საესებით საპირისპიროა. ინდივიდმა გაიმარჯვა და საგარეო პოლიტიკა შიდა შფოთვის განგრძობაა ეროვნულ საზღვრებს მიღმა და არა პირიქით. ინდივიდუალური მოხმარება იკავებს ეროვნული ცხოვრების ძირითადი თემის ადგილს, კოლექტიური დიდების ნაცვლად. ომი თავიდან აცილებულ უნდა იქნეს; იმპერია აღარაა საინტერესო.**<sup>682</sup>

---

<sup>680</sup> პრე-, მოდერნული და პოსტ-მოდერნული სახელმწიფოების ცალკეული მახასიათებლების უკეთ გამოიჯენისათვის იხ., იქვე, 46.

<sup>681</sup> იქვე, 32.

<sup>682</sup> იქვე, 33.

|                   | სახელმწიფო   | ეკონომიკა                                  | ინ-ტელექტუალური ბაზა   | საგარეო ურთიერთობები   |
|-------------------|--|--|--|--|
| პრემოდერნი        | სახელმწიფო ფუნქციები ავტორიტარულია და სუსტი. კონტროლი ხშირად მომლილია, აქტივობები – ძირითადად სამხედრო ხასიათის. (ფეოდალური სისტემები და სამხედრო იმპერიები)                   | აგრარული                                   | რელიგია, მაგიური სქოლასტიკა, რელიგიური ხელოვნება და მუსიკა.  | ქაოსური, იმპერიული ან მასთან დაკავშირებული რელიგიური წესრიგი. მთავარი მიზანი – ტერიტორიების დაუფლება.                  |
| ადრული მოდერნი    | უფრო ორგანიზებული და ცენტრალიზებული. სამხედრო და დიპლომატიური ფუნქციები სახელმწიფოს ბირთვია, თუმცა ზოგიერთი ფუნქცია უკვე კომერციას მიემართება.                                 | აგრარული/კომერციული                        | რაციონალისტი. შიუმი, ვოლტერი, კანტი, მაკიაველი, პაპი, რასინი, ნიუტონი, ლაიბნიცი, ბახი, მოცარტი.                          | შიდა-სახელმწიფოებრივი ურთიერთობები დომინირებს. სა-ში-ნაო/საგარეო პოლიტიკა იმიჯნება. ვაჭრობა ხდება <i>casus belli</i> . |
| გვიანდელი მოდერნი | ცენტრალიზებული და ბიუროკრატიული, იდეოლოგიური და ავტორიტარული ან დემოკრატიული. პასუხისმგებელია განათლებაზე, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, ინდუსტრიასა და სამხედრო ფუნქციებზე. | კომერციული/ინდუსტრიული; მასობრივი წარმოება | დარვინიზმი, პროგრესის იდეები (ჰეგელი, მარქსი, ტრაიშკე), კლასიციზმი, ტოლსტოი, თომას მანი, ზოლა, კიპლინგი, ბრამსი, მალერი. | ნაციონალისტური ერა, მასობრივი არმიებისა და ტოტალური ომის ეპოქა.  |

|                           |  |   |   |   |
|---------------------------|--|---|---|---|
| <p><b>პოსტმოდერნი</b></p> | <p>ძალაუფლება გავრცელებულია შინ და ასევე, საერთაშორისო არენაზე; დემოკრატიული; მედიისა და პოპულარული ემოციის გავლენის ქვეშ. ინდუსტრიული ფუნქციები შემცირებულია. კონკურირებადი წნეხი, გადაწყვეტილების მიღების რთული სისტემა.</p> | <p>ინდუსტრიული (ძლიერდება პოსტ-სერვისები და საინფორმაციო ინდუსტრია)</p> | <p>მრავალფეროვნება და გაურკვევლობა, ეგზისტენციალიზმი. ვიტგენშტაინი, კამიუ, ჯოისი, აინშტაინი, აიზენბერგი, უორჰოლი.</p> | <p>გამჭვირვალე და ორმხრივი მონაცვლადობა; არასახელმწიფოებრივი მოთამაშეები, მედიის ჩათვლით, მნიშვნელოვან როლს იკავებენ. პოლიტიკური საქმიანობის ვადები მცირდება.</p> |
|---------------------------|--|---|---|---|

### 3. სახელმწიფოთა მრავალდონიანი მართვის კონცეფცია

სახელმწიფოებს შორის იდეებისა და პოლიტიკური საქმიანობის გახშირებულმა გაცვლა-გამოცვლამ, ე.წ. სახელმწიფოს გამოშვიგნის პროცესმა და ზრდადმა „ქსელურმა მმართველობამ“ ე.წ. „მრავალდონიანი მმართველობის კონცეფცია“ გახადა აქტუალური. ცალკეული ავტორები ამ პროცესს სახელისუფლებო გადაწყვეტილებათა მიღების რამდენიმე ტერიტორიულ დონეზე გავრცელება/გადატანად განსაზღვრავენ. ამ მხრივ, მრავალდონიანი მმართველობა საკმაოდ ნაცნობი მოვლენაა მრავალწლიანი ფედერალური პოლიტიკური მოწყობის სახელმწიფოებისთვის, როგორცაა, ავსტრალია, გერმანია და აშშ. ამ შემთხვევაში ახალი ელემენტი ის მოსაზრებაა, რომ მრავალდონიანი მმართველობა წარმოდგება ისეთი ფორმით, რომელიც გასცდა რუტინულ ერ-სახელმწიფოს, ასევე, განსხვავებულია სამხედრო ალიანსისგან ან ცალკეულ საკითხებზე სახელმწიფოების *ad hoc* თანამშრომლობისაგან. ევროპელთა შემთხვევაში, მრავალდონიანი მმართველობის ფორმა ჩამოყალიბდა ევროკავშირის სახით. რა თქმა უნდა, კავშირის ბუნება და საკითხი – უნერია თუ არა მას ევროპის შეერთებულ შტატებად ჩამოყალიბება, ცხელი დებატების თემაა. კავშირის აღმოსავლეთით გაფართოებამ ეს დისკუსია კიდევ უფრო გაამძაფრა. მიუხედავად ამისა, არსებობს თანხმობა, რომ ევროკავშირის ზრდამ რეალური პოლიტიკური ცვლილებები

მოიტანა, მათ შორის კი ცენტრალური ადგილი მრავალდონიანი მმართველობის განვითარებას უკავია. **ევროპული ინტეგრაცია არის სახელმწიფოებრივი წესრიგის შემქმნელი (polity-creating) პროცესი, სადაც ხელისუფლება და გადაწყვეტილების მიღების გავლენა მმართველობის რამდენიმე დონეზეა (ქვეეროვნული, ეროვნული და ზეეროვნული) გაზიარებული.**<sup>683</sup>

*ჰუი და მარკსი* ამგვარი მმართველობისათვის დამახასიათებელ შემდეგ ოთხ არსებით ცვლილებას გამოჰყოფენ:

1. **გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია, ეროვნული მთავრობის მიერ მისი მონოპოლიზაციის ნაცვლად, დანაწილებულია მოთამაშეების მიერ სხვადასხვა დონეზე.** ზეეროვნულ ინსტიტუტებს (ევროპარლამენტი, ევროკომისია და სასამართლო) დამოუკიდებელი გავლენა აქვთ ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;

2. **გადაწყვეტილების კოლექტიურად მიღება ეროვნული მთავრობების მხრიდან გაცილებით ნაკლებ კონტროლს შეიცავს.** კავშირის გადაწყვეტილებათა ზრდადი რაოდენობა ნევრ-სახელმწიფოებს შორის ნაკლებ ერთსულოვნებას ითხოვს (კვალიფიციური უმრავლესობით ხმის მიცემის სხვადასხვა ფორმის საშუალებით). ამ მხრივ, გადაწყვეტილებებმა ინდივიდუალური ნევრი სახელმწიფოების კომპეტენციის გარეთ გადაინაცვლა;

3. **პოლიტიკური არენა უფრო ურთიერთდაკავშირებულია, ვიდრე იერარქიული.** ქვეეროვნული პოლიტიკური და ეკონომიკური მოთამაშეები არ ეკონტაქტებიან ევროპული დონის ინსტიტუტებს ეროვნული მთავრობის საშუალებით, მათი დაკვირვების ქვეშ. ქვეეროვნული, ეროვნული და ზეეროვნული პოლიტიკური სამსახურები ურთიერთკავშირში არიან სხვადასხვა გზით. ეროვნული მთავრობები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ეფექტიანი მონოპოლია/ვეტო შეინარჩუნონ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებაზე;

4. **ამომავალი ინდივიდუალური უფლებების ჩარჩო მოქალაქეთათვის კავშირის დონეზე სერიოზულ შეზღუდვებს ადგენს იმაზე, თუ რა შეიძლება ცალკეულმა ეროვნულმა სახელმწიფომ გაუკეთოს საკუთარ მოქალაქეს.** ეს არის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რაც ხშირად მიჩნეული იყო როგორც სახელმწიფოებრიობის *sine qua non*

<sup>683</sup> Pierson C., *The Modern State*, 2<sup>nd</sup> Ed., Routledge, 2004, 160.

– შესაძლებლობა, მოქცეულიყო როგორც საბოლოო არბიტრი მის საზღვრებში მოქალაქის მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით.<sup>684</sup>

ზემოწამოთვლილის მიუხედავად, კომენტატორთა ნაწილი ევროკავშირში ხაზს უსვამს მის არსებითად მთავრობათაშორის ხასიათს, ინდივიდუალური ერი-სახელმწიფოებით, რომლებიც თანამშრომლობენ საკუთარი საშინაო პოზიციების გაძლიერების მიზნით და ზეეროვნული გამონწვევების ეფექტიანად საპასუხოდ, სოციალური იქნება ეს, თუ ეკონომიკური. ამის მიუხედავად, რთულია, რეალურ მსოფლიოში მრავალდონიან მმართველობაზე საუბარს თავი აარიდო, როდესაც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა საერთო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა განიზრახეს და შექმნეს კიდევ.

**ევროკავშირი მრავალდონიანი მმართველობის დამაჯერებელი მტკიცებულებაა**, თუმცა ზოგიერთი ავტორი ამ პროცესს უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად, *კეინი*<sup>685</sup> გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებას სამ დონედ შლის: **მიკრომთავრობა** (ადგილობრივი და რეგიონული მთავრობები), **მეზომთავრობა** (ერი-სახელმწიფოები და ზეეროვნული ინსტიტუტები, როგორცაა, ევროკავშირი, ასეანი, და CARICOM კარიბული თანამეგობრობა) და ბოლო – **მაკრომთავრობა**, მსოფლიოს მომცველი პოლიტიკური წყობილებანი, როგორცაა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ICC და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, რომელთა ურთიერთკავშირი ხელს უწყობს *აკოსმოკრატიის* – კეინისეული პირველი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნას (*the first-ever world polity*), რომელიც ურთიერთჩამკეტი და გადაფარვადი ქვესახელმწიფო, სახელმწიფო და ზესახელმწიფო ინსტიტუტებისა და ურთიერთდაკავშირებული მრავალგანზილებიანი პროცესების კონგლომერატია და გლობალური მასშტაბის პოლიტიკურ და სოციალურ ეფექტს ახდენს.<sup>686</sup> ეს უკანასკნელი, მართალია, შორეული პერსპექტივაა, თუმცა მსგავსი დასკვნების არსებობა საფუძველს და ინტერესს მოკლებული არაა კონსტიტუციონალიზმისთვის, თუნდაც ამ უკანასკნელის, როგორც

<sup>684</sup> იხ., Hooghe L., Marks G., *Multi-level Governance*, Lanham, 2001.

<sup>685</sup> იხ., Keane J., *Global Civil Society*, Cambridge, 2003.

<sup>686</sup> მრავალდონიანი კოსმოპოლიტური დემოკრატიის შესახებ იხ., Held D., *Democracy and the Global Order*, Cambridge, 1995.

ფორმაციებისა და დამფუძნებელი სისტემების გაუმჯობესების კვლევაზე ორიენტირებული დარგის, განვითარების კუთხით. თანამედროვე სინამდვილეში კი ერთი რამ უდავოა – სახელმწიფოები ნამდვილად არ გამქრალა, თუმცა მათ მნიშვნელოვნად შეცვლილ ლანშაფტში უნევთ მოქმედება.<sup>687</sup>

---

<sup>687</sup> Pierson C., *The Modern State*, 2<sup>nd</sup> Ed., Routledge, 2004, 163.

## თავი X. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

საკონსტიტუციო სამართლის განვითარება წარმოქმნის ახალ ინსტიტუტებს, რომლებიც სხვადასხვა ფორმით აისახება თანამედროვე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში და ქმნის ძირითად საფუძველს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მისაღებად. საკონსტიტუციო ინსტიტუტების განვითარება დამოკიდებულია შესაბამისი ინსტიტუტების მიმართ სახელმწიფოს მიდგომაზე, – რამდენად უზრუნველყოფს სახელმწიფო მათ პრაქტიკაში გამოყენებას და რამდენად აძლევს მოქალაქეს მათი ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა პირის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმია, რომელიც რეგლამენტირებულია თანამედროვე ქვეყნების კანონმდებლობაში.

**დემოკრატიულ სახელმწიფოებში უპასუხისმგებლობა გამონაკლისი გახდა, ხოლო მის საპირისპიროდ, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წესად იქცა.**<sup>688</sup> პასუხისმგებლობა არის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. სახელმწიფო პასუხისმგებლობის ინსტიტუტი წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირთა ქმედებისაგან მოქალაქეთა დაცვის ფუნდამენტურ საფუძველს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს მისი არსის, მიზნისა და ძირითადი ელემენტების შესწავლას.

### 1. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის არსი და მიზანი

სახელმწიფო პასუხისმგებლობის ინსტიტუტი არაა ახალი ფენომენი სამართლის სისტემაში და დიდი ხანია აღიარებულია, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირთა ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია. ის, ვინც კანონს ქმნის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის, მას განზრახ არ დაარღვევს. მხოლოდ ავტორიტარულ სისტემაში შეუძლია მმართველს ჩაიდინოს უკანონობა ისე, რომ ამ უკანონობისათვის პასუხ-

---

<sup>688</sup> Schwartz B., *French Administrative Law and the Common Law World*, New Jersey, 2006, 270.

ისმგებელი არ იყოს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილი უკანონობის პრევენცია, ხოლო მისი განხორციელების შემთხვევაში პასუხისმგებლობას თავს ვერავინ აარიდებს.<sup>689</sup> იმ შემთხვევაში, თუ დემოკრატიული სახელმწიფო არღვევს კანონს, ის პასუხისმგებელია მის მიერ შექმნილი კანონით.

**სახელმწიფოში ვერ იქნება ნამდვილი თავისუფლება და დემოკრატია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გარეშე, რომელიც, როგორც წესი, მაშინ დგება, თუ ზიანი გამოიწვიეს სახელმწიფოს წამომადგენლებმა მათი საჯარო ვალდებულების შესრულების დროს.**<sup>690</sup> სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფართო განმარტება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მოქალაქეებს დანაკლისი და ზიანი, რომელიც დადგა პირდაპირ ან არაპირდაპირ, მატერიალურად და არამატერიალურად.<sup>691</sup>

**სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტში ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოსა და მოქალაქის ინტერესები.** იგი სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, მოქალაქეთა სახელმწიფოსგან დაცვას უზრუნველყოფს. სახელმწიფოსა და მოქალაქის მდგომარეობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, სახელმწიფო პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მოქალაქეთა დაცვის საშუალება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი გამოყენების ლეგიტიმური საფუძვლები და იგი ქვეყნის კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ზოგიერთი ქვეყანა საჯარო სამართლის ნაწილად მიიჩნევდა, ხოლო ზოგიერთი კი მას კერძო სამართლის დარგად განიხილავდა.<sup>692</sup> კერძო სამართლის დარგად მიჩნევა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დელიქტური ვალდებულებებ-

---

<sup>689</sup> იქვე.

<sup>690</sup> The Emerging Constitutional Law of the European Union: German and Polish Perspectives, Edited by A. Bodner, M. Kowalski, K. Raible, F. Schorkopf, Berlin-Heidelberg, 2003, 188-189.

<sup>691</sup> Fuke T., Historical Phases of State Liability as Law of Remedies - Some Introductory Remarks, in: Comparative Studies on Governmental Liability in East and South-east Asia, Edited by Y. Zhang, Den Haag/London/Boston, 1998, 1.

<sup>692</sup> The Emerging Constitutional Law of the European Union: German and Polish Perspectives, Edited by A. Bodner, M. Kowalski, K. Raible, F. Schorkopf, Berlin-Heidelberg, 2003, 185.

ისათვის დგებოდა.<sup>693</sup> მეცნიერთა მოსაზრებით, მსჯელობა სახელმწიფო პასუხისმგებლობაზე უნდა გათავისუფლდეს კერძო/საჯარო ტერმინოლოგიისგან, ვინაიდან: 1. აღნიშნული მსჯელობა არ შეესაბამება თანამედროვე სახელმწიფოს მიზანს. დღეს უფრო შემცირდა დავა იმაზე, თუ რატომ შეესაბამება საჯარო და არა კერძო სამართალი იმ შემთხვევებს, როდესაც ზიანი სახელმწიფო ორგანოს მხრიდან დგება; 2. ნახევარი საუკუნის წინ სახელმწიფო ორგანოებმა დაიწყეს კერძო პირებისათვის უფლებამოსილების გადაცემა, რაც დღეს უფრო აქტიურდება, ხოლო თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში იზრდება იმ კერძო სამართლის სუბიექტთა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ახორციელებენ (მაგ., ჯანდაცვის სფეროში, განათლების სფეროში და ა.შ.).<sup>694</sup> შესაბამისად, **სახელმწიფო პასუხისმგებლობის მიზანი არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა/მოხელეთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა, არამედ სახელმწიფო იმ კერძო პირების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებელი სუბიექტიც ხდება, რომლებიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებდნენ.**

სახელმწიფო პასუხისმგებლობა ერთ-ერთი რთული ინსტიტუტია, ვინაიდან დამდგარი ზიანისათვის მისი მისადაგება უნდა განხორციელდეს მიზანშეწონილობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით, რაც საჯარო უფლებამოსილების განხორციელების შეფასების აუცილებლობასაც მოიცავს. *აღნიშნული ინსტიტუტის სირთულე ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ადვილი შესაძლებელია სახელმწიფო გაკოტრდეს, თუ მას დაეკისრება მისი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოების მიერ კერძო პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება,<sup>695</sup> თუმცა, მეორე მხრივ, საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ადამიანის უფლებების დარღვევას გამოიწვევს.* შესაბამი-

<sup>693</sup> Fuke T., Historical Phases of State Liability as Law of Remedies - Some Introductory Remarks, in: Comparative Studies on Governmental Liability in East and South-east Asia, Edited by Y. Zhang, Den Haag/London/Boston, 1998, 8.

<sup>694</sup> The Emerging Constitutional Law of the European Union: German and Polish Perspectives, Edited by A. Bodner, M. Kowalski, K. Raible, F. Schorkopf, Berlin-Heidelberg, 2003, 186.

<sup>695</sup> ადვიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 306.

სად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მექანიზმის გამოყენება უნდა ამართლებდეს მის რეალურ მიზანს და მიმართული უნდა იყოს მხოლოდ ადამიანის უფლების დაცვისკენ.

## 2. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლები

სახელმწიფოს პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი ელემენტია ის საფუძვლები, რომლებიც ზიანს წარმოშობს. საჯარო სამართალი აღიარებს ზიანის წარმოშობის რამდენიმე საფუძველს, რომლის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, სამართლიანი ანაზღაურების პრინციპის დაცვით.

თანამედროვე სახელმწიფოში ბუნებრივი შემთხვევაა, როდესაც იგი ძალაუფლებას იყენებს კერძო სუბიექტთა წინააღმდეგ, იყენებს იმ ძალაუფლებას, რომელიც მას არა აქვს მინიჭებული ან არ ასრულებს ვალდებულებას, რომელიც მას ეკისრება. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, რა უნდა გაკეთდეს<sup>66</sup> და როგორ უნდა დაიცვას თავი კერძო პირმა სახელმწიფოსგან. **საჯარო ხელისუფლების მიერ კერძო პირთა მიმართ ძალაუფლების გამოყენება გამოიხატება მისი მოხელეების/ინსტიტუციების ქმედებებში, რომელიც მოქალაქისთვის ზიანს წარმოშობს.** ამ შემთხვევაში მოქალაქის მიერ თავის დაცვის ლეგიტიმური საშუალება სახელმწიფოსგან მისი მოხელის უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხდება. **სახელმწიფოს უკანონო ქმედება შესაძლოა გამოიხატებოდეს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში.** ზიანი შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფო მოხელის მიერ უკანონოდ გამოცემული აქტით ან სახელმწიფო მოხელის უმოქმედობით, როდესაც იგი საკუთარ ვალდებულებას არ ასრულებს. თუმცა იმისთვის, რომ საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის ქმედებამ სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვას, საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის უკანონო ქმედება უნდა უკავშირდებოდეს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. აღნიშნული ელემენტის გარეშე, პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კერძოსამართლე-

<sup>66</sup> იხ., Schieman K., The State's Liability in Damages for Administrative Action, Fordham International Law Journal, Vol.33, Issue 5, 2011.

ბრივ სახეს ატარებს და სახელმწიფოს პასუხისმგებლობას გამორიცხავს.

**სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, თუ საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი ვინმეს დაუდევრობით მიაყენებს ზიანს. დაუდევრობა განიმარტება, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის შეცდომა იმ გაუფრთხილებლობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.**<sup>697</sup> სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოიშობა, თუ დადასტურდა საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის შეცდომა მისი მოვალეობის შესრულების დროს და დაუდევრობის შედეგად დადგა ზიანი.

საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის უკანონო ქმედებითა და დაუდევრობით დამდგარი ზიანი ერთმანეთისგან განსხვავდება. უკანონო ქმედება გულისხმობს კანონის დარღვევას ნებისმიერი ქმედებით, რაც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირს გაცნობიერებული აქვს, ხოლო დაუდევრობა პირის შეცდომაა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გაუფრთხილებლობით. რა თქმა უნდა, აღნიშნულ მიზეზებს შორის არსებული განსხვავება სახელმწიფოს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დგება საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირთა მიერ გამოცემული კანონიერი სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანის შემთხვევაშიც. კანონიერი აქტის გამოცემა შესაძლოა დაუკავშირდეს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, რა შემთხვევაშიც სახელმწიფო მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ზიანს აყენებს კერძო პირს (მაგალითად, საკუთრების ჩამორთმევა, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის). თუმცა სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მიზეზის არსებობა არ გულისხმობს, რომ კერძო პირისთვის მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება.

**სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანი დგება სამოქალაქო სამართალურთიერთობებიდან გამ-**

---

<sup>697</sup> Suh W.W., Governmental Liability in Korea, in: Comparative Studies on Governmental Liability in East and Southeast Asia, Edited by Y. Zhang, Den Haag/London/Boston, 1998, 15.

**ომდინარე.** ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება, თუ სამართალურთიერთობის მონაწილე საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირია, პასუხისმგებლობა განპირობებულია სახელმწიფო მოხელის/ინსტიტუციის ქმედებით და არსებობს მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და სახელმწიფო მოხელის/ინსტიტუციის ქმედებას შორის. სამოქალაქო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების საფუძვლები არსებობს დელიქტური და კვაზიდელიქტური ვალდებულებებიდან თუ ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვევიდან გამომდინარე ზიანის, უსაფუძვლო გამდიდრების, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შემთხვევებში.

სახელმწიფოს მიერ უკანონო ქმედებითა და დაუდევრობით მიყენებული ზიანის, კანონიერი აქტის საფუძვლზე დამდგარი ზიანისა და სამოქალაქო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლების არსებობა შესაბამის კანონმდებლობაში წარმოადგენს ინდივიდის გარანტს სახელმწიფოთან მიმართებით აღნიშნული საფუძვლების გარეშე წარმოუდგენელია არსებობდეს საკონსტიტუციო სისტემა, რომელიც პირის უფლებების დაცვაზე იქნება ორიენტირებული.

### **3. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სახეები**

საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირთა მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში სხვადასხვა სუბიექტს ეკისრება. სამართლებრივი სისტემები გამოყოფენ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს: 1. საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობა, 2. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და 3. სოლიდარული პასუხისმგებლობა.

**საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტში, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დროს მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია თავად საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი.** ამ შემთხვევაში შეფასების საგანი არ ხდება ის ფაქტი, რომ საჯარო მოხელე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში აყენებს ზიანს. პასუხისმგებლობის აღნიშნული სახე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დაზარალებულთა კანონიერი უფლებებსა და ინტერესებს, ვინაიდან

ზოგიერთ შემთხვევაში საჯარო მოხელე, რომლის ქმედებამაც ზიანი გამოიწვია, შესაძლოა გადახდისუუნარო იყოს. შესაბამისად, ეჭვქვეშ დადგება, თუ რამდენად შეძლებს ის ზიანის ანაზღაურებას და რამდენად იქნება დაცული სამართლიანობის პრინციპი.<sup>698</sup> მეორე პრობლემა, რომელსაც მოხელის პასუხისმგებლობა წარმოშობს, არის იმის შიში, რომ მოხელის მიერ დაშვებული შეცდომისათვის პასუხისმგებელი იქნება მოხელე, რაც მის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას გამოიციხავს, აღნიშნული კი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელებას შეაფერხებს.<sup>699</sup> პასუხისმგებლობის ამ სახეს თანამედროვე სახელმწიფოები არ იცნობენ, ვინაიდან იგი მიუღებელი ხდება დემოკრატიული წყობილებისთვის და სამართლებრივ სახელმწიფოსა თუ სამართლიანობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

სახელმწიფო პასუხისმგებლობის სახეებში გამოყოფენ სოლიდარულ პასუხისმგებლობას. **სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპის თანახმად, საჯარო მოხელე, რომლის ქმედებამაც გამოიწვია ზიანი, სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.**<sup>700</sup> მოხელის პასუხისმგებლობისა და სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპები ერთმანეთთან ახლოს დგას. თუმცა მათ შორის განსხვავება ისაა, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპის თანახმად, მოხელე მიყენებული ზიანისათვის პასუხს სრულად არ აგებს. თუმცა ამ შემთხვევაშიც იგივე პრობლემა, რაც საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის ინსტიტუტში. ვინაიდან, შესაძლოა საჯარო მოხელე იყოს გადახდისუუნარო ან აღსრულების ეტაპზე მისი ქონების რეალიზაციამ მიყენებული ზიანი სრულად ვერ აანაზღაუროს. ამ შემთხვევაში, საფრთხე ექმნება დაზარალებულის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. მეორე პრობლემა, რომელსაც სოლიდარული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი წარმოშობს, საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის ინსტიტუტის პრობლემის მსგავსია, ვინაიდან აღნიშნულმა პრინციპმა, შესაძლოა ხელი შეუშალოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას.

**„დასავლურმა სამართლებრივმა სისტემებმა აღიარეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების (საჯარო მოსამსა-**

<sup>698</sup> ტურავა პ., წეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 144.

<sup>699</sup> იქვე.

<sup>700</sup> იქვე, 143.

ხურეების) მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.<sup>701</sup> საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირთა ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ სუბიექტად სახელმწიფოს განსაზღვრა რეგლამენტირებულია ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში, ხოლო ზიანის ანაზღაურების მექანიზმები განსაზღვრულია როგორც კერძო, ისე საჯაროსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ აქტებში. *ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ სუბიექტად სახელმწიფოს განსაზღვრა შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, ვინაიდან ინდივიდისათვის გარანტირებულია სახელმწიფოს სახით გადახდისუნარიანი პირის მიერ ზიანის ანაზღაურება, რაც იმის შესაძლებლობას გამოორიცხავს, რომ კერძო პირი დარღვეული უფლების აღსადგენად სათანადო „კომპენსაციას“ ვერ მიიღებს.*

#### 4. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ელემენტები

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოშობა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. **პასუხისმგებლობა არის სამართლებრივი ურთიერთობა ზიანის ანაზღაურებელსა და ანაზღაურების მიმღებს შორის.**<sup>702</sup> *ურთიერთობა მოიცავს სამ ელემენტს: 1. ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის გამოვლენა, რომლის ვალდებულებაც არის კომპენსაციის გადახდა; 2. ზიანის ანაზღაურების მიმღების გამოვლენა, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს თანხა და 3. ზიანის ანაზღაურების გადახდის მიზეზი.*<sup>703</sup> პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობის მესამე ელემენტი – „მიზეზი“, როგორც პოზიტიური სამართლის საფუძველი, წარმოშობს სახელმწიფო ვალდებულებას, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობას აქვს სამი ძირითადი მახასიათებელი: 1. ანაზღაურების მიზეზი არის უფლების დარღვევა, რომელმაც ზიანი გამოიწვია; 2. პასუხისმგებელი ანაზღაურებაზე არის სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, ვინ არის

<sup>701</sup> იქვე.

<sup>702</sup> Lee. I.B., In Search of Theory of State Liability in the European Union, Harvard Jean Monnet Working Paper 9/99, Harvard Law School, 2000, 15.

<sup>703</sup> იქვე.

**დამრღვევი – საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლება; 3. ანაზღაურების მიმღები არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა.<sup>704</sup>**

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ზიანი უნდა ანაზღაურდეს, იმ შემთხვევაში, თუ ზიანი დადგა (ა) სახელმწიფო ინსტიტუტების ან მოსამსახურეთა (ბ) ქმედებით, (გ) მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.<sup>705</sup> „სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მოსამსახურეებში“ იგულისხმება პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს. საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელია ნებისმიერი იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი, რომელიც დასაქმებულია საჯარო სამსახურში. საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირები არიან, ასევე, კერძო ფიზიკური/იურიდიული პირები, რომლებიც გადაცემული უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას (მაგ., აჯარიმებენ მოქალაქეებს პარკირების წესების დარღვევისათვის). საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირთა „ქმედებაში“ იგულისხმება როგორც მოქმედება, ასევე, უმოქმედება (განზრახიც და გაუფრთხილებელიც), რომლის შედეგადაც დადგა ზიანი. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება გულისხმობს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასთან, ასევე, იმ უფლებამოსილების განხორციელებასთან, რომელიც მას ფუნქციურად აკისრია სამსახურში. თუმცა უფლებამოსილების განხორციელება არ შემოიფარგლება ტერიტორიით – პირი უფლებამოსილებას არ ახორციელებს მხოლოდ ადმინისტრაციულ შენობაში. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება უკავშირდება პირის უფლებამოსილების შესრულებას ადმინისტრაციული შენობის გარეთაც (მაგ., სამსახურებრივი ავტონაქსანით სხვა დაწესებულებაში გადაადგილება სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების მიზნით).

---

<sup>704</sup> იქვე.

<sup>705</sup> Andenas M., Fairgrieve D., Intent on Making Mischief: Seven Ways of Using Comparative Law, in: *Methods of Comparative Law*, Edited by P.G. Monateri, Edward Elgar Publishing, 2012, 47.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შემდგომი აუცილებელი წინაპირობაა ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. მიზეზობრივი კავშირი სამართალში არის პირის ქცევისა და ქმედების კავშირი და ამ ქცევისა და ქმედების შედეგი, როდესაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს. ქმედება და ქცევა კომპლექსურად განიხილება. შესაბამისად, ერთ-ერთი ელემენტის არარასებობა მიზეზობრივი კავშირის არსებობას გამორიცხავს. *მიზეზობრივი კავშირის შეფასებისას, პირის ქმედება პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული ზიანთან და არ უნდა არსებობდეს ირიბი ან სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.* პირდაპირი კავშირის არსებობა არის ყველა სახის დარღვევის საერთო პირობა პასუხისმგებლობის დადგომისათვის.<sup>706</sup>

## 5. ზიანის სახეები და მოცულობა

ზიანი, თავისი არსით, გულისხმობს ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებისა და კეთილდღეობის დამცირებას, პირის ქონებისა და სამართლებრივად დაცული სიკეთის ხელყოფას, რაც აისახება პირის როგორც მატერიალურ, ასევე, მორალურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მიერ მიყენებული ზიანი შეიძლება იყოს ორი სახის: მატერიალური და მორალური. მატერიალური ზიანი გაზომვადია, ვინაიდან დაკავშირებულია მატერიალურ დანაკლისთან. მატერიალური ზიანი ასახვას ჰპოვებს პირის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებაში. ფინანსური მდგომარეობის გაუარესება შესაძლოა გამოინვიოს იმ ხარჯებმა, რომელიც განუულ იქნა ზიანის აღმოსაფხვრელად. ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება გამოიხატება საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის ქმედების საფუძველზე, პირის მოძრავი და უძრავი ქონების დაზიანებაში ან განადგურებაში, პირის ჯანმრთელობის ხელყოფაში. მატერიალური ზიანის მოცულობა განისაზღვრება იმ ოდენობით, რაც აღადგენს პირის პირვანდელ ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას, აღმოფხვრის მის მატერიალურ დანაკლისს. მატერიალური ზი-

---

<sup>706</sup> Betson J., Tridimas T., *New Directions in European Public Law*, Hart Publishing, 1998, 16.

ანის ანაზღაურების მიზანი არ არის პირისათვის ზიანის დადგომამდე არსებული მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მიერ მიყენებული ზიანის მოცულობა მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს. მატერიალური ზიანის მოცულობის განსასაზღვრად მტკიცებულებები უნდა წარადგინოს თავად იმ პირმა, რომელსაც მიადგა ზიანი და აღნიშნული მტკიცებულებებით შესაძლებელი უნდა იყოს პირის ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის რესტიტუცია.

მორალური ზიანის შინაარსი მატერიალური ზიანისაგან არსებითად განსხვავდება. სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. იმისათვის, რომ პირს წარმოეშვას მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, აუცილებელია არსებობდეს პირის არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი. არაქონებრივი უფლების ხელყოფა შესაძლოა თან სდევდეს ქონებრივ ზიანს.

მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანია პირის მდგომარეობის შემსუბუქება. მორალური ზიანის ანაზღაურება შეფასებითი კატეგორიაა. ამ შემთხვევაში შეფასების საგანი ხდება დამდგარი ზიანის სიმძიმე, პირის დამოკიდებულება ზიანის მიმართ, შელახული უფლების მნიშვნელობა, ზიანის ხარისხი, პირის მატერიალური და სოცალური მდგომარეობა და სხვ. აღნიშნული საფუძვლებით მორალური ზიანის სიმძიმის განსაზღვრა მისი მატერიალური სახით ანაზღაურების საფუძველია.

## 6. უფლების დაცვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა

სამართლის მიერ ხელისუფლების შებოჭვა ინსტიტუციურ უზრუნველყოფას მოითხოვს. აუცილებელია ისეთი ინსტანცია, რომელიც სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვას გააკონტროლებს. ასეთი ინსტანცია შეიძლება იყოს მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლო.<sup>707</sup> თანამედროვე სახელმწიფოებში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაცია და მისი კონსტიტუციური აღიარება სახელმწიფოს სა-

<sup>707</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 97.

მართლით შებოჭვის მექანიზმია, თუმცა აღნიშნული მექანიზმის აღსრულება შესაბამისმა ინსტიტუციებმა უნდა უზრუნველყონ.

**სახელმწიფო ინსტიტუციების/მოხელეების ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურება პირის მიერ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს თავად იმ ინსტიტუციისაგან, რომლის ქმედებითაც პირს მიადგა ზიანი.** აღნიშნული საშუალება არის პირის უფლების დაცვის მოთხოვნის პირველადი მექანიზმი და მისი უფლების დაცვის ეკონომიური გზა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მის ვალდებულებას პირის მიმართ ნებაყოფლობით აღასრულებს. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ინსტიტუცია ნებაყოფლობით არ აღასრულებს მის ვალდებულებას, პირს საკუთარი უფლების დაცვა შეუძლია მოითხოვოს სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

თანამედროვე სახელმწიფოებში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დამკვიდრებასა და მის შემდგომ საკანონმდებლო განმტკიცებას აქტიურად შეუწყო ხელი სასამართლო პრაქტიკამ და სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, რომელთა ძირითადი თეზისები თანამედროვე სახელმწიფოებმა თავიანთ კანონმდებლობაში ასახეს. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სასამართლოსეულ განმარტებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში, რომლებმაც ერთგვაროვნად გადაანანილეს პასუხისმგებლობის წესები როგორც საჯარო, ისე კერძო პირებისათვის,<sup>708</sup> რითაც აღიარეს საჯარო პირთა პასუხისმგებლობა იმავე სახით, რაც კერძო პირებისთვისაა გათვალისწინებული (ამის უმთავრესი მიზეზი საერთო სამართალში არსებული სამართლის ერთიანობის პრაქტიკაა, რომლის მიხედვითაც, ერთმანეთისგან არ იმიჯნება კერძო და საჯარო სამართალი).

სახელმწიფოს პასუხისმგებლობისადმი ერთგვაროვანი მიდგომა ჩამოაყალიბეს როგორც ეროვნულმა სასამართლოებმა, ასევე, ევროსასამართლომ და აღიარეს სახელმწიფოს ვალდებულება საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მიერ ინდივიდისათვის მიყენებულ ზიანის ანაზღაურებაზე.

---

<sup>708</sup> The Emerging Constitutional Law of the European Union: German and Polish Perspectives, Edited by A. Bodner, M. Kowalski, K. Raible, F. Schorkopf, Berlin-Heidelberg, 2003, 185.

საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირთა მიერ მიყენებული ზიანის სასამართლოს მეშვეობით ანაზღაურების მოთხოვნა, წარმოადგენს პირის უფლების დაცვის მექანიზმს იმ შემთხვევაში, თუ პირს სახელმწიფომ ნებაყოფლობით არ აუნაზღაურა მისთვის მიყენებული ზიანი.

**სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას სასამართლოს შეფასების საგანი ხდება საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, პირისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის მოცულობა, რაც არაერთგვაროვანია ზიანის ხარისხის გათვალისწინებით და ა.შ.** სასამართლოებს, როგორც წესი, ერთგვაროვანი პრაქტიკა აქვთ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის მიმართ, როდესაც ზიანის ამნაზღაურებლად განსაზღვრავენ სახელმწიფოს, თუ სახელმწიფო მოხელის/ინსტიტუციის ქმედება არღვევს პირის უფლებას.

სასამართლოსთვის მიმართვა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის უმთავრესი გარანტიაა, პირისათვის შესაძლოა იყოს უფლების დაცვის ხანგრძლივი, თუმცა სამართლიანი კომპენსაციის მიღებით უზრუნველყოფილი გზა.

## თავი XI. ადამიანის ძირითადი უფლებები

### 1. ადამიანის უფლებათა მნიშვნელობა, მათი არსი და განვითარება

#### 1.1. ადამიანის ძირითად უფლებათა ზოგადი მნიშვნელობა

ადამიანის ძირითადი უფლებები თანამედროვე დემოკრატიის, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ფუნდამენტი, მისი განუყოფელი შემადგენელი ელემენტია. ამიტომაც ძირითადი უფლებები კონსტიტუციონალიზმისა და თვით კონსტიტუციათა არსებით ნაწილს შეადგენენ. **უფლებათა სამართლებრივი გარანტიები განაპირობებს ადამიანის სოციალურ მდგომარეობას, მის პოლიტიკურ და სამართლებრივ სტატუსს საზოგადოებაში. ადამიანის უფლებანი ქმნიან თავისუფალ, დემოკრატიულ ღირებულებათა საკონსტიტუციო წესრიგს.** ამით ისინი სახელმწიფოში მატერიალური სამართლიანობის (სამართლიანი კანონმდებლობის) არსებობას უზრუნველყოფენ.

ძირითადი უფლებები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცალკეულ პირებზე, მათ სუბიექტურ განვითარებაზე, არამედ საზოგადოებასა და საჯარო ინტერესზე. **სწორედ ესაა სახელმწიფო ხელისუფლების მთავარი ამოცანა: ისე დაამყაროს ინტერესთა სამართლიანი ბალანსი საზოგადოებაში, რომ საზოგადოების თითოეული წევრის უფლება, მისი ინტერესი მაქსიმალურად იქნეს გარანტირებული.** დიქტატორული რეჟიმების მიდგომის – „შენ არარაობა ხარ, შენი ხალხი არის ყველაფერი“ – გავლენა სამართლის მეცნიერებაზე თანამედროვე მსოფლიოში რადიკალურად შეიცვალა და XX საუკუნის ბოლო პერიოდში სამართლის მეცნიერებამ კურსი აიღო ძირითად უფლებათა ცალკეულ ადამიანზე ორიენტაციისაკენ<sup>709</sup>. ამ მიდგომამ კი დაამკვიდრა შეხედულება, რომ ადამიანი სახელმწიფოსათვის არათუ ქმედების ობიექტი, არამედ მთავარი ღირებულებაა. ამიტომაც იგი სახელმწიფოსათვის ქმედების საშუალება, ობიექტი კი არა, პირიქით, ყველა მისი ქმედების მიზანი უნდა იყოს. **სახელმწიფო არსებობს ადამიანთა გამო და არა პირიქით.** აქედან გამომდინარე, ადამიანის კეთილდღეობა მისთვის უმ-

<sup>709</sup> Katz A., Staatsrecht, Grundkurs im öffentlichen Recht, 14. neubearbeitete Auflage, Heidelberg, 1999, 263.

თავრესია. ადამიანის უფლებანი სწორედ სახელმწიფოსადმია მიმართული. ისინი უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ ცალკეული პირის მიმართ ძალა არ გამოიყენოს, ხოლო აუცილებელი გამოყენების შემთხვევაში კი მკაცრად დაიცვას ფარგლები.

**მხოლოდ ფორმალურად, კონსტიტუციით ან კანონმდებლობით აღიარებული უფლებები კარგავს თავიანთ მნიშვნელობას, თუ მათ მიერ გარანტირებული დებულებები რეალურად არ იქნება უზრუნველყოფილი.** ამისათვის კი, ფორმალურ აღიარებასთან ერთად, მკვეთრი პოლიტიკური ნება, სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის არსებობაა აუცილებელი. ამიტომაც ადამიანის უფლებათა რეალურ სახეს „ცოცხალი პოლიტიკური კონსტიტუცია“ შეიძლება ეწოდოს. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, ეროვნული, ისტორიული გამოცდილება, ხალხის, ერის პოლიტიკური კულტურა და მოქალაქეობრივი თვითშეგნება განაპირობებს. ფორმალური და მატერიალური სამართლიანობის ერთიანობა კი საზოგადოებაში მშვიდობისა და სამართლიანობის ფუნდამენტს ქმნის.

## 1.2. ძირითად უფლებათა განვითარება

**„ყოველი უფლება ქვეყანაზე ბრძოლით არის მოპოვებული, ყოველი მნიშვნელოვანი სიტყვა უფლებისა დამყარებულია მათთან ბრძოლით, ვინც მისი წინააღმდეგი იყო, ყოველი უფლება ხალხისა და კერძო პიროვნებისა თხოულობს მარად მზადყოფნას მის დასაცავად.“<sup>710</sup>**

ისტორიულ განვითარებასთან ერთად, ვითარდებოდა ადამიანის უფლებათა იდეაც, მისი ფილოსოფიური ხედვა და გააზრებაც. მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ბევრად უფრო რთული და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე იმ პოლიტიკური რეჟიმის ცვლილება, რომელთა ზეგავლენითაც ესა თუ ის მსოფლმხედველობა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი წესრიგი იქმნება. ადამიანის ძირითად უფლებათა ისტორია საკონსტიტუციო სამართლისა და

---

<sup>710</sup> ფონ იერიჩი რ., ბრძოლა უფლებისათვის, ზ. ნანობაშვილის თარგმანი, თბილისი, 2000, 31.

პოლიტიკური სისტემების ისტორიის ნაწილია.<sup>711</sup> იმავროულად, ადამიანის უფლებები იძლევა პასუხს ევოლუციის მიუხედავად უპასუხოდ დარჩენილ კითხვებზე – ინდივიდუალური თავისუფლების ფარგლებზე, საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესთა სამართლიან ბალანსზე დემოკრატიულ საზოგადოებასა და სამართლებრივ სახელმწიფოში.

### 1.2.1. ისტორიული განვითარება

ადამიანის უფლებათა აღიარების ჩანასახად ისტორიულად 1215 წლის ინგლისის ასახელებენ.<sup>712</sup> პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ადამიანის უფლებათა მხრივ საინტერესოა, „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ (*Magna Carta Libertatum*) სახელწოდებითაა ცნობილი. ეს აქტი ფეოდალიზმის პერიოდის სამართლებრივი დოკუმენტია. იგი, თანამედროვე გაგებით, ადამიანის უფლებათა დეკლარაციად ვერ მიიჩნევა, რადგან ქარტია მაინც ფეოდალთა უფლებებისა და ინტერესების დამცავ მექანიზმს ქმნიდა. თუმცა სწორედ მან შექმნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის შემდგომი განმტკიცების საფუძველი და წინაპირობა<sup>713</sup>.

ადამიანის უფლება-თავისუფლებების განვითარების პირველადი ისტორიული საწყისი, თანამედროვე გაგებით, უფრო მოგვიანებით, XVII საუკუნის ინგლისში შეიმჩნევა. ამ მხრივ, საინტერესოა შემდეგი სამართლებრივი აქტები: „უფლებათა პეტიცია“ (*Petition of Rights*, 1628), „ჰაბეას კორპუს აქტი“ (*Habeas Corpus Act*, 1679) და „უფლებათა ბილი“ (*Bill of Rights*, 1689)<sup>714</sup>. ჩამოთვლილი დეკლარაციები, ადამიანის უფლებათა დღევანდელი გაგებით, ინდივიდის სრულყოფილ უფლებას არ უზრუნველყოფდა. *იმ ადრეულ ეტაპზე მსგავსი დეკლარაციები მეფის ხელისუფლების შესუსტებასა და ფეოდალური პრივილეგიების, მოგვიანებით კი საპარლამენტო*

<sup>711</sup> Pieroth B., Schlink B., Grundrechte, Staatsrecht II, 28., neubearbeitete Auflage, Heidelberg, 2012, 6.

<sup>712</sup> König M., Menschenrechte, Campus Verlag, 2005, 28.

<sup>713</sup> იქვე, 30.

<sup>714</sup> Müßig U., Die europäische Verfassungsdiskussion des 18. Jahrhunderts, Tübingen, 2008, 11.

თავისუფლების დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად რჩება *Habeas Corpus Act*, რომელიც ადამიანს თვითნებური დაკავებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან იცავდა. ეს დოკუმენტი თავისუფლების აღკვეთის დროს ადამიანის საპროცესო უფლებებს უზრუნველყოფდა და ადგენდა, რომ პირი დაკავებისთანავე მოსამართლისათვის უნდა წარედგინათ. მან მე-5 მუხლით, ასევე, დაადგინა ნორმა-პრინციპი, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელი იყო ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით დაკავება ან დაპატიმრება. აღნიშნული დანაშაული თანამედროვე მსოფლიოშიც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, პიროვნების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტიის სახით.

ადამიანის უფლებათა განვითარების კუთხით საინტერესოა უფრო მოგვიანებით, XVIII საუკუნის ჩრდილოეთ ამერიკაში განვითარებული მოვლენები, სადაც პირველ ადამიანის უფლებათა სრულყოფილ დეკლარაციად მიჩნეული ვირჯინიის 1776 წლის „უფლებათა დეკლარაცია“ ჩამოყალიბდა. ვირჯინიის კონვენტის მიერ მოწონებული ვირჯინიის უფლებათა დეკლარაციით აღიარებულია, რომ **ყველა ადამიანი თავისი ბუნებით არის თანაბრად თავისუფალი, დამოუკიდებელი და ფლობს განუსხვისებელ უფლებებს**. ადამიანის წარუვალ უფლებებს მიეკუთვნებოდა „სიცოცხლითა და თავისუფლებით ტკბობა საკუთრების შექმნისა და ფლობის მეშვეობით, რასაც უთანაბრდება ბედნიერებისა და უსაფრთხოებისაკენ სწრაფვა და მათი მოპოვება“ (1-ლი მუხლი). იგი, ასევე, განამტკიცებდა საპროცესო ძირითად უფლებებს (მე-8-მე-11 მუხლები), პრესის თავისუფლებას (მე-12 მუხლი), რელიგიის თავისუფლებას (მე-16 მუხლი). *ვირჯინიის უფლებათა დეკლარაციის იდეალები შემდგომში აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და „უფლებათა ბილში“ განმეორდა და განვითარდა.*

აშშ-ში ძირითადი უფლებების სრულყოფილი განმტკიცება განხორციელდა კონსტიტუციის დამატებათა ამოქმედებით (1791 წ.), რომელთა ერთობლიობას „უფლებათა ფედერალური ბილის“ სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. „უფლებათა ბილი“ სულ ათ შესწორებას შეიცავს. ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტში განვითარებულია ადამიანისა და ხალხის თავისუფლებისა და განუსხვისებელი, წარუვალ უფლებების იდეები. ტექსტიდან ჩანს, რომ **ჩრდილოეთ ამერიკის „რევოლუციის მამების“ ყველა ამ-**

**აღლებული, თავისუფლების მსახური იდეები ბუნებითსამართლებრივ დოქტრინას ეყრდნობოდა.**

ამავე პერიოდში ევროპაში მოხდა დიდი ფრანგული რევოლუცია, რომლის მნიშვნელობაც გასცდა საფრანგეთის ფარგლებს და მრავალ ევროპულ ქვეყანაში საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, სახელმწიფოს არსის გაგებაზე ძირეული გავლენა მოახდინა. **ფრანგულმა რევოლუციამ დაამკვიდრა თანასწორობის, ძმობისა და სამართლიანობის პრინციპები. ამან კი საფუძველი დაუდო ახლებური საზოგადოების ფორმირებას.** ამ რევოლუციის შედეგად შეიქმნა მეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტი – 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (*Déclaration des Droits de l'Homme et du Citoyen*).<sup>715</sup> მასში აისახა განმანათლებლობის ეპოქის ჰუმანური იდეები – თავისუფლება, თანასწორობა, ეროვნული სუვერენიტეტი, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. დეკლარაცია ადამიანის დაბადებით თავისუფლებასა და თანასწორობას აღიარებს (1-ლი მუხლი). იგი ადგენს, რომ **„ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის მიზანი ადამიანის ბუნებითი და განუსხვისებელი უფლებების უზრუნველყოფაა. მათ მიეკუთვნება თავისუფლება, საკუთრება, უსაფრთხოება და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობა“** (მე-2 მუხლი). დეკლარაციაში განმტკიცებულია პიროვნების, მისი ხელშეუხებლობისა და საპროცესო უფლებები (მე-8, მე-9 და მე-10 მუხლები), საკუთრების გარანტიები (მე-17 მუხლი), ასევე, აზრის გამოხატვის თავისუფლება (მე-11 მუხლი). დეკლარაციით განმტკიცებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი – ადამიანის უფლებათა გარანტიების უზრუნველყოფა და ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დეკლარაციის მე-4 და მე-5 მუხლები, რომლებშიც პირველად ჩამოყალიბდა ის პრინციპები, რომლებიც მოგვიანებით არა მხოლოდ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის თანამედროვე კონსტიტუციებში, არამედ ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივ აქტებშიც აისახა. იგი თავისუფლების ფარგლებს შემდეგნაირად ადგენს: **„თავისუფლება არის შესაძლებლობა, აკეთო ყველაფერი, რაც ზიანს არ აყენებს სხვას.**

<sup>715</sup> ტექსტი კომენტარით იხ., Gauchet M., Menschenrechte, in: Kritisches Wörterbuch der Französischen Revolution, Bd. 2, F. von Furet und M. Ozouf (Hrsg.), Frankfurt am Main, 1996, 1180–1197.

ამგვარად, ნებისმიერი ადამიანის ბუნებითი უფლებების განხორციელება შეზღუდულია მხოლოდ იმ ფარგლებით, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების სხვა წევრების ასეთივე უფლებებით სარგებლობას. ეს ფარგლები შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ კანონით“. „კანონს უფლება აქვს, შეზღუდოს მხოლოდ ისეთი ქმედებები, რომლებიც ზიანის მომტანია საზოგადოებისათვის. ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული კანონით, ნებადართულია, და არავინ არ შეიძლება აიძულო, აკეთოს ის, რაც კანონით არ არის დადგენილი“<sup>716</sup>.

1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ წარმოადგინა უფლებათა ამომწურავი კატალოგი. 1791 წელს იგი საფრანგეთის კონსტიტუციის ნაწილი გახდა. საფრანგეთის მოქმედი (1958 წლის) კონსტიტუციით დეკლარაცია კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილადაა აღიარებული. მან ადამიანის უფლებათა თანამედროვე გაგების სამართლებრივი და იდეური საფუძველი შექმნა. სწორედ ამ სამართლებრივი დოკუმენტის ზეგავლენა და მისი იდეური განვითარებისკენ სწრაფვა იგრძნობა შემდგომი პერიოდის ევროპაში. კიდევ უფრო სრულყოფილი იყო 1793 წლის „იაკობინური კონსტიტუცია“, რომელიც ძალაში არასდროს შესულა. ადამიანის უფლებათა შემდგომი განვითარება საფრანგეთის 1815 წლის და ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციებში აისახა. ასევე, აღსანიშნავია ძირითად უფლებათა ვრცელი კატალოგი, რომელიც 1848 წლის ფრანკფურტის „ნმ. პავლეს ეკლესიის კრების“<sup>717</sup> (*Paulskirchenversammlung*) სახელით არის ცნობილი. იგი მოგვიანებით ვაიმარის რესპუბლიკის 1919 წლის კონსტიტუციაში აისახა.

თანამედროვე მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი სახელმწიფო, რომლის კონსტიტუციაშიც ადამიანის უფლებები არ იყოს აღიარებული. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ადამიანის უფლებები (თავისი ღირებულებით განსხვავებათა გამო) თანაბრად არ არის და ვერც იქნება დაცული<sup>718</sup>, თუმცა მათი საკონსტიტუციო რანგში აყვანა სახელმწიფოს მიერ მათი უზრუნველყოფის, დაცვის მეტ გარანტიას განაპირობებს.

<sup>716</sup> იქვე, 1189.

<sup>717</sup> König M., Menschenrechte, Campus Verlag, 2005, 29.

<sup>718</sup> ფირცხალაშვილი ა., ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2'14, 2014, 80.

## 1.2.2. იდეური განვითარება

ადამიანის უფლებების იდეას არა მარტო წმინდა სამართლებრივი, არამედ ფილოსოფიური, სოციოლოგიური და პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭება. იგი ასახულია ყველა ცნობილ ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და სოციალურ თეორიაში. **ადამიანის უფლებების შესახებ არსებული თანამედროვე თეორიები იმთავითვე ფილოსოფიურ-სამართლებრივი მსოფლმხედველობის ორ ცნობილ ფორმას – ბუნებით სამართალსა და პოზიტივიზმს ეფუძნებოდა.** ადამიანის უფლებათა იდეის წარმოშობა და მისი განვითარება ბუნებითი სამართლის და შესაბამისად, „ბუნებითი უფლებების“ თეორიას უკავშირდება. ბუნებითი სამართლის თეორიის არსი კი მდგომარეობს შემდეგში: სამართალი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და შესაბამისად, გონებით შეცნობადია, ეს კი ყველა ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. ბუნებითი სამართალი მოიცავს დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ქცევის ობიექტურად სავალდებულო წესებსა და პრინციპებს. ეს პრინციპები უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოზიტიური (კოდიფიცირებული, დანერგილი) სამართალი. ამიტომ ბუნებით სამართალს ხშირად ზეპოზიტიურ სამართალსაც უწოდებენ. ბუნებითი სამართალი, არსებითად, მორალისა და სამართლიანობის იდენტურია – ისინი ხშირად განიხილება როგორც სინონიმური ცნებები. ამ თეორიის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით, ბუნებით თავისუფალი და თანასწორია. **ბუნებითი სამართლის თეორია ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის წინაპირობაა.**<sup>719</sup>

ანტიკური ბუნებითი სამართლის მიმდევრები იყვნენ პლატონი და არისტოტელე, ქრისტიანული ბუნებითი სამართლის წარმომადგენელია თომა აქვინელი. გროციუსის, უპირველეს ყოვლისა კი, პუფენდორფის მიერ ბუნებითი სამართლის მოძღვრება თეოლოგიური საფუძვლების გარეშე იქნა ჩამოყალიბებული. „ბუნებითი უფლებების“ ამ თეორიის პრინციპმა განვითარება ჰპოვა ლოკის, სპინოზას, თომაზიუსის, რუსოს, მონტესკიეს, კანტის, ჰუმბოლტის, მილისა და ელინეკის შრომებში. ცალკეული ავტორები შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა იმ დასავლური ფილოსოფიური და სამართლებრივი კონცეფციების შემქმნელებად, რომლებიც სა-

<sup>719</sup> იქვე, 72.

ფუძვლად დაედო რევოლუციებსა და სოციალურ კატაკლიზმებს, სამოქალაქო ომებს, პოლიტიკურ რეჟიმებსა და სამართლებრივ იდეოლოგიებს<sup>720</sup>.

თუ ბუნებითი სამართლის თეორიით მორალისა და სამართლიანობის არსი არსებითად იდენტურია, სამართლის პოზიტივისტთა საპირისპირო მოსაზრებით, ამ ორ ცნებას შორის მკვეთრი მიჯნა გადის. მორალურობა არ განსაზღვრავს არც სამართლის მოქმედებას და არც მის სავალდებულოებას. კლასიკური პოზიტივიზმის წარმომადგენელი იყო ჰანს კელზენი (1881-1973). სამართლებრივი პოზიტივიზმის მიხედვით, სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა. ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა აზრით კი, სამართალი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მოქმედი, როცა იგი ფუნდამენტურ, მორალურ პრინციპებთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

**XIX საუკუნის დამლევს ბუნებითი სამართლის თეორიამ სამართლის მეცნიერების განვითარებაზე ზეგავლენა დროებით დაკარგა. ამ პერიოდისთვის იმარჯვებს სამართლის პოზიტივისტური მიდგომა: მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბებულ ნორმებს, მათი შინაარსისა და ხასიათის მიუხედავად, ჰქონდა სამართლებრივად სავალდებულო ძალა. აღსანიშნავია, რომ არსებობდა „შუალედური“, ამ ორი ურიერთსაწინააღმდეგო თეორიების გამათანაბრებელი მოსაზრებანი. ერთი-ერთი მათგანია ე.წ. „რადბრუხის ფორმულა“, რომლის მიხედვითაც, ნორმა ყველა შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული. ნორმა შეიძლება არ შესრულდეს მხოლოდ მაშინ, როცა პოზიტიური კანონი იმდენად უსამართლოა, რომ კანონმა უკან უნდა დაიხიოს და გზა სამართლიანობას „დაუთმოს“<sup>721</sup>.**

მართალია, ბუნებითი სამართლის მოძღვრება XIX საუკუნეში უარყოფილ იქნა, მაგრამ XX საუკუნის შუა წლებიდან მისი ზეგავლენა, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ფონზე, კვლავ ძლიერდება. პირველი და განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომების შემდეგ, ტოტალიტარული რეჟიმების მიერ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის გამო, ბუნებითი სამართლის მოძღვრება

<sup>720</sup> მაქარაშვილი ო., ადამიანის უფლებების განვითარება სამართლის ფილოსოფიაში, „აღმანახი“, №18, 2003, სისხლის სამართალი (III).

<sup>721</sup> Radbruch G., Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht, SJZ 1946, 105 (107).

ისევ წინა პლანზე გადმოვიდა. *ბუნებითი სამართლის წარმოშობის წყაროდ მიიჩნევა სამართლის იდეის ზნეობრივი შინაარსი, საიდანაც გამომდინარეობს საზოგადოებებისა და ადამიანთა თანაცხოვრების განსაზღვრული წესები, განსაკუთრებით, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.* ისტორიულმა გამოცდილებამ ნათლად აჩვენა, რომ ცალკეული ადამიანების ან პოლიტიკური რეჟიმების მიერ შექმნილი, „დაწერილი“ სამართალი შესაძლოა უკიდურესად უსამართლო იყოს.

### 1.2.3. ადამიანის უფლებანი საერთაშორისო რანგში

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნაციონალ-სოციალისტების მიერ ადამიანთა მასობრივი მკვლელობისა და გენოციდის შემდეგ და ასევე, სხვა დიქტატორული რეჟიმების არსებობის შედეგად, მსოფლიოში, საერთაშორისო არენაზე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მკვეთრად შეიცვალა შეხედულებანი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რაობის, მათი მნიშვნელობისა და გარანტიების შესახებ.

**XX საუკუნეში ადამიანის უფლებათა დაცვა გასცდა იმ შეხედულების ფარგლებს, რომელიც ადამიანის უფლებას მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ საქმედ მიიჩნევდა.** თუ ადრე მათ შესახებ საერთაშორისო დონეზე საუბარი ან სხვაგვარი ჩარევა სახელმწიფოს სუვერენიტეტის შელახვად მოიაზრებოდა, ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებით, თანამედროვე საერთაშორისო სამართალში *„სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვა ამ სახელმწიფოს სავიზიტო ბარათია საერთაშორისო ურთიერთობებში“*<sup>722</sup>. დღეს ინდივიდი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მისი დარღვეული უფლებების ინდივიდუალურად, სახელმწიფოს შუამდგომლობის გარეშე დაცვის მექანიზმითაა აღჭურვილი. მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასამკვიდრებლად საერთაშორისო საზოგადოებამ ადამიანის უფლებათა დეკლარირება მოახდინა. ასევე, შეიქმნა ზოგიერთი ქმედითი მექანიზმი დეკლარირებული უფლებების უზრუნველსაყოფად.

გაეროს ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული იქნა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. მისი რატიფიცირება დღეისთვის მსოფლიოს 190-ზე მეტმა ქვეყანამ მოახდინა. მოგვიანებით ამოქმედდა გაეროს ეგიდით მიღებული „სამოქალაქო

<sup>722</sup> Kälin W., Künzli J., *Universeller Menschenrechtsschutz, Nomos*, 2013, 16 (§35).

და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტები.

რეგიონულ დონეზე კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“. იგი ევროპის საბჭოს ფარგლებში იქნა შემუშავებული. ხელმოსაწერად გაიხსნა 1950 წლის 4 ნოემბერს რომში, ძალაში კი 1953 წლის ნოემბერში შევიდა. ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი დოკუმენტებია ევროპაში. **კონვენცია პირველი დოკუმენტია, რომელმაც პირის ინდივიდუალური საჩივრების საშუალებით უზრუნველყო ადამიანის უფლებათა დაცვის საკმაოდ ეფექტური მექანიზმი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახით ჩამოაყალიბა ცალკეულ პირთა დაცვის საშუალება სახელმწიფოს გარეთ, საერთაშორისო დონეზე.** კონვენციის უდიდეს წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოს მოღვაწეობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენცია „ევროპული საჯარო წესრიგის საკონსტიტუციო დოკუმენტად“ დაახასიათა<sup>723</sup>.

რეგიონულ-კონტინენტურ დონეზე აღსანიშნავია რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტი. ევროკავშირის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დეკლარაციად მიიჩნევა 2000 წლის დეკემბერში ნიცის სამიტზე მიღებული „ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია“. ადამიანის უფლებათა დეკლარირების მხრივ, რეგიონულ დონეზე, ასევე, არსებობს „ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკული დეკლარაცია“ (1948), „ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია“ (1969) და „ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია“ (1985).

### 1.3. ადამიანის ძირითად უფლებათა არსი

ადამიანის უფლება, კლასიკური გაგებით, აღიქმება, როგორც ინდივიდუალური ან საზოგადოებრივი თავისუფლების სფეროში სახელმწიფოს ჩარევისაგან დამცავი მექანიზმი. ძირითად უფლებათა დამახასიათებელი თავისუფლების ლიბერალური კომპონენტი,

---

<sup>723</sup> Frowein J. Abr., The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe, in: Collected Courses of the Academy of European Law, Vol. I, Book 2, 1990, 302.

კლასიკური გაგების მსგავსად, დღესაც მის შემადგენელ სუბსტანციურ, ძირითად ელემენტად რჩება. ძირითადი უფლებათა ვისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მხოლოდ მყარი არგუმენტაციითა და დამაჯერებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად შეუძლია. სხვაგვარად, სახელმწიფოს ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სიკეთეში არაპროპორციულად მკაცრია, ან აუცილებლობით არ არის გამონეული. ამით კი ძირითადი უფლების არსი ირღვევა. ძირითად უფლებაში სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევა მაშინვე მის დარღვევას არ ნიშნავს. უფლების არსი მხოლოდ მაშინ არის ხელყოფილი, როცა მასში სახელმწიფოს ჩარევა არაპროპორციული, გადამეტებულია.

თუ ძირითადი უფლებების განვითარების საწყის, პირველად ეტაპზე უფლებები მხოლოდ სახელმწიფოსაგან დამცავი ინსტრუმენტი იყო, თანამედროვე გაგებით, მათი არსი და მოცულობა საგრძნობლად გაზრდილია. საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებასთან ერთად, თანამედროვე სახელმწიფოსადმი მოთხოვნათა განზომილების მოცულობამ იმატა. **დღევანდელი სახელმწიფო არა მხოლოდ უფლებათა პოტენციური დამრღვევი, არამედ უკვე „დამცველის“, „დამხმარეს“ ფუნქციის მატარებელია<sup>724</sup>.**

თანამედროვე საზოგადოებასა და სახელმწიფოში ადამიანის ძირითადი უფლებები ღირებულებათა წესრიგად იქცა. უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას, ხოლო, როგორც საკონსტიტუციო ღირებულება, უშუალოდ ვრცელდება სამართლის ყველა სფეროზე, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საკანონმდებლო პროცესზე, სამართალწარმოებასა და ყველა სამართლებრივ აქტზე. ისინი საკანონმდებლო მოწესრიგების მასივის საშუალებით ქმნიან ფორმალურ და რეალურ საკონსტიტუციო მართლწესრიგს. შედეგად კი ცალკეული ადამიანის სუბიექტურ უფლებებს უზრუნველყოფენ.

ძირითად უფლებათა არსი ორი მიმართულებით იკვეთება. პირველი, თითოეული ადამიანის სუბიექტური უფლება (მოთხოვნა), მიიღოს ძირითადი უფლებით დაცული გარანტიები და მეორე, – ძირითადი უფლება, როგორც ობიექტური ღირებულება, რომელიც

<sup>724</sup> “Staat nicht nur als “Feind”, sondern auch helfer und Beschützer der Freuheit” - Grimm D., Verfahrensfehler als GrundrechtsverstößBein: NVwZ, 1985, 865.

სახელმწიფოს ცალკეული წესებისა და ინსტიტუციების შექმნას ავალდებულებს. უფლებათა არსს, მის ღერძს, ადამიანის ღირსებისა და მისი პიროვნული განვითარების გარანტიები ქმნის. ამ უმნიშვნელოვანეს ფასეულობათა ირგვლივ ტრიალებს სხვა საკონსტიტუციო პრინციპები, როგორცაა, ძალაუფლების გამიჯვნა, დემოკრატია, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები.

#### 1.4. ადამიანის ძირითად უფლებათა ცნება

ადამიანის უფლებანი ღირებულებათა ძალიან ფართო და მასშტაბური მასივია, რომელიც დაკონკრეტებას, დაზუსტებას საჭიროებს. სამართლის მეცნიერებაში ადამიანის უფლებათაგან გამოყოფენ ადამიანის ძირითად უფლებებს. ძირითადი უფლება ისეთი უფლებაა, რომელიც სახელმწიფოს ძირითადი კანონით – კონსტიტუციითაა აღიარებული და გარანტირებული. ის, ერთი მხრივ, ცალკეულ ადამიანებს, ამ უფლების მატარებელ პირებს, კონკრეტული უფლებებით აღჭურავს, მეორე მხრივ კი, ბოჭავს სახელმწიფოს და აკისრებს ვალდებულებას, ეს უფლებები ეფექტური სამართლებრივი მექანიზმის მეშვეობით უზრუნველყოს. შესაბამისად, ფართო გაგებით, „ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა ვისუფლებაში“ მოიაზრება არა მხოლოდ ცალკეული პირის სუბიექტური უფლებანი, არამედ, ასევე, საკონსტიტუციო ღირებულებები და მათი სამართლებრივ მოწესრიგებათა გარანტიები.

ძირითადი უფლებების ცნება ოთხი ელემენტისაგან შედგება: 1. ისინი ინდივიდის კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი უფლებებია; 2. სახელმწიფოს მიმართ უშუალოდ მოქმედი სამართალია; 3. წინასახელმწიფოებრივი უფლებებია, რომელთა შეზღუდვა სახელმწიფო ხელისუფლებას ამ შეზღუდვის გამართლებას ავალდებულებს და 4. მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების და არა უშუალოდ კერძო პირის წინააღმდეგ.<sup>725</sup>

---

<sup>725</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 13.

სამართალში გამოიყენება ტერმინები – „უფლება“ და „თავისუფლება“. მიუხედავად იმისა, რომ „უფლებისა“ და „თავისუფლების“ ერთმანეთისაგან გამიჯვნა ერთი შეხედვით მარტივია, ისინი გარკვეულ ტერმინოლოგიურ გაურკვეველობას ბადებს. **კლასიკური განმარტებით, „თავისუფლება“ მხოლოდ ჩარევის გარეშე არსებობას, ყოფნას ნიშნავს. „უფლება“ კი უკვე სახელმწიფოსგან რაიმეს მოთხოვნის, ამ უფლების გაჩენის საფუძველს ქმნის. ტერმინი „თავისუფლება“ უფრო მეტად ლიბერალური კომპონენტებისაგან შედგება, „უფლება“ კი სოციალურ ელემენტებს აყენებს წინა პლანზე<sup>726</sup>.** ეს ზოგადი წესი ვრცელდება, მაგალითად, „აზრისა და სიტყვის თავისუფლებაზე“, „მიმოსვლის თავისუფლებაზე“, ან „ინტელექტუალურ თავისუფლებაზე“. მეორე მხრივ, კლასიკური გაგებით, „უფლებებად“ ჩაითვლება „უფლება სამართლიან სასამართლოზე“ ან „საარჩევნო უფლებანი“. თუმცა ასეთი კლასიკური გამიჯვნა მრავალ გამონაკლისს ქმნის. ასეთი გამონაკლისები ჩნდება მაშინვე, როგორც კი საუბარია, მაგალითად, „სიცოცხლის უფლებაზე“, ან „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაზე“. ისინი შინაარსობრივად „თავისუფლებად“ აღიქმება, გრამატიკულად კი (სამართლებრივი ტერმინოლოგიით) „უფლებებად“ მოიხსენიება. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის, ისე როგორც ყველა სხვა მეცნიერების, განვითარება ცნებებსა და ტერმინებს შინაარსსა და მოცულობას უცვლის. *ამიტომაც მკვეთრი მიჯნა „უფლებასა“ და „თავისუფლებას“ შორის თითქმის აღარ არსებობს.*

### **1.5. ადამიანის ძირითად უფლებათა ინტერპრეტაცია და მათი განმარტების მეთოდები**

ტერმინი „კონსტიტუციის ინტერპრეტაცია“ გამოიყენება ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით, კონსტიტუციის ტექსტი, მისი აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროებს განმარტებას, მაშინაც კი როდესაც იგი ამკარა და ნათელია, ხოლო, ვიწრო გაგებით, კონსტიტუციის ინტერპრეტაცია ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციის ტექსტი მაშინ უნდა განიმარტოს, როდესაც იგი ბუნდოვანია. ძირითად უფლებათა

<sup>726</sup> Maunz Th., Zippelius R., Deutsches Staatsrecht, 30. Auflage, München, 1998, 136, 139.

ინტერპრეტაციას ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა განვითარების თვალსაზრისით, რადგან განმარტება, დაუნერელი, თუმცა კონსტიტუციის შინაარსიდან გამომდინარე, უფლებების აღმოჩენას ან პირდაპირ განერილი ძირითადი უფლებებისათვის ახალი შინაარსის მინიჭებას შესაძლებელს ხდის.

**კონსტიტუციის ნორმები, მათ შორის, ძირითადი უფლებები, გადმოცემის აბსტრაქტული მანერით გამოირჩევა.** შესაბამისად, მისი შინაარსის, დაცული სფეროსა და შეზღუდვის ზუსტი დადგენა ხშირად სირთულესთანაა დაკავშირებული. კონსტიტუციით გადმოცემული ყოველი სიტყვა სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგისათვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ამიტომ კონსტიტუციის ყოველი მუხლი, პუნქტი, წინადადება, თუ სიტყვა დეტალურ განმარტებას მოითხოვს. ამისათვის სამართალში ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდს იყენებენ. კანონის ნორმათა განმარტების კლასიკური მეთოდების<sup>727</sup> გარდა, კონსტიტუციის ნორმების ინტერპრეტირებისათვის განმარტების სპეციალური მეთოდებიც გამოიყენება.

მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში ძირითად უფლებათა განმარტების რამდენიმე მეთოდი არსებობს. *ნორმათა ინტერპრეტაციის მცდელობა არის არა მხოლოდ წმინდა სამართლებრივი ტექნიკა, არამედ იგი მთლიანად სამართლის პოლიტიკას ეფუძნება.* ის, თუ რომელი ინტერპრეტაციის მეთოდს ეყრდნობა ნორმის განმარტება, უდიდეს ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სამართლებრივ პოლიტიკაზე, რადგან თვით ძირითად უფლებათა გააზრება სამ თეორიას ეყრდნობა<sup>728</sup> და მათი ინტერპრეტაციაც, შესაბამისად, ამ თეორიებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. **ლიბერალური თეორია ადამიანის უფლებებში სახელმწიფოს ნაკლებ, მინიმალურ ჩარევას გულისხმობს.** იგი ხაზს უსვამს პიროვნების განვითარების თავისუფლებას სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად და უფლებელყოფს ძირითად უფლებათა სოციალურ ხასიათს. დემოკრატიულ-ფუნქციური თეორიის თანახმად, ძირითადი უფლების

---

<sup>727</sup> იხ., ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 148-163; კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 58-76.

<sup>728</sup> დეტალურად იხ., Katz A., Staatsrecht., S. 270/273, da Boeckenfoerder, NJW. 1974, 1529.

არსი ადამიანის უფლებათა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ პროცესებში იკვეთება და საჯაროობის ინტერესებს ეყრდნობა, სახელმწიფოს კი ამგვარი უფლებების გარანტირების პოზიტიურ ვალდებულებას ანიჭებს. სოციალური თეორია მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ სოციალური სამართლიანობა უნდა უზრუნველყოს, რადგან სხვაგვარად ადამიანის არცერთი სხვა უფლება თავისუფლად ვერ განვითარდება. იმის მიხედვით, თუ რომელ დასახელებულ თეორიას (ან თეორიებს) ეყრდნობა ძირითად უფლებათა ინტერპრეტაცია, სახელმწიფოში იქმნება სამართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური ნესრიგი.

კონსტიტუციის ნორმა შეიძლება განიმარტოს სუბიექტური და ობიექტური თვალსაზრისით.<sup>729</sup> სუბიექტური განმარტების მიხედვით, კონსტიტუციის ნორმა განიმარტება ისე, როგორც ეს კანონმდებელმა მისი შექმნის დროს განსაზღვრა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, თუ რა პრინციპული მოსაზრებების გამო შეიქმნა ქცევის წესი. ობიექტური განმარტების მეთოდით კი, „გადამწყვეტი არის არა კანონმდებლის, არამედ კანონის ნება“<sup>730</sup>. სუბიექტური განმარტების მეთოდი ეყრდნობა იმ საფუძველს, რომ კონსტიტუციის შემქმნელთ (კანონმდებელს, საკონსტიტუციო კომისიას, ან რეფერენდუმით მიღებული კონსტიტუციის შემთხვევაში — ხალხს) აქვთ სრული ლეგიტიმაცია, მათი ნააზრევი კონსტიტუციაში გათვალისწინებულ იქნეს კონსტიტუციის ნორმათა განმარტებისას.<sup>731</sup> განმარტების ობიექტური მეთოდის გამოყენება კი კონსტიტუციონალიზმის განვითარებას უწყობს ხელს, რადგან საუკუნეების წინ კონსტიტუციაში ჩადებული ნააზრევი ყოველთვის ვერ იქნება აქტუალური და შესაბამისად გამოყენებული დღევანდელი მისი.

კონსტიტუცია, მიუხედავად მონესრიგების სფეროთა მრავალმხრივობისა და მისი მასშტაბებისა, ერთიანი სამართლებრივი აქტია. შესაბამისად, მისი პრინციპები, დებულებები და ნორმები ურთიერთშეთანხმებულად, ჰარმონიულად და სისტემურად უნდა იქნეს განმარტებული,<sup>732</sup> ისე, რომ ისინი ერთმანეთთან

<sup>729</sup> Maunz Th., Zippelius R., Deutsches Staatsrecht, 30. Auflage, München, 1998, 45.

<sup>730</sup> იქვე, 46.

<sup>731</sup> Zippelius R., Juristische Methodenlehre, 6. Auflage, München, 1994, აბზ. 3 II, 4 II.

<sup>732</sup> Zippelius R., Das wesen des Rechts, München, 1997, Kap. 8 d.

წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს. სხვაგვარად, შესაძლოა დაზიანდეს კონსტიტუციურ უფლებათა ერთიანობა და მათ შორის ურთიერთბალანსის მიღწევა შეუძლებელი გახდეს. სისტემური განმარტებით კონსტიტუციური ნორმების ურთიერთწინააღმდეგობა მაქსიმალურად იქნება დაძლეული. „*კონკრეტული დავების გადანწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია როგორც კონსტიტუციის შესაბამისი დებულება, ისე სადავო ნორმა გააანალიზოს და შეაფასოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების კონტექსტში, რათა ეს ნორმები, განმარტების შედეგად, არ დაცილდნენ მთლიანად კონსტიტუციაში გათვალისწინებულ ღირებულებათა ნესრივს. მხოლოდ ასე მიიღწევა კონსტიტუციის ნორმის სრული განმარტება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კონკრეტული სადავო ნორმის კონსტიტუციურობის სწორ შეფასებას*“<sup>733</sup>.

კონსტიტუციის ნორმების განმარტების სისტემური მეთოდის გამოყენების მიუხედავად, თითოეული ძირითადი უფლება კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა შინაარსისა და შეზღუდვის ფარგლების მატარებელია. ამიტომაც არ შეიძლება ცალკეული ძირითადი უფლების ინდივიდუალური განმარტების უგულებელყოფა.<sup>734</sup> ერთხელ უკვე განმარტებული უფლების შინაარსი არ შეიძლება კანონიზებულ იქნეს, რადგან **ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევის ყოველი ცალკეული შემთხვევა სხვადასხვაგვარია და იგი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს**. სხვაგვარად, ძირითადი უფლების გააზრების ევოლუციასა და ცალკეული ადამიანის სუბიექტური უფლებების დაცვის ეფექტურობას საფრთხე დაემუქრება.

ნორმის ტელეოლოგიური მეთოდით განმარტება თანამედროვე სამართლის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგი განმარტების პრიორიტეტულ მეთოდად აღიქმება. ამ მეთოდის საშუალებით,

---

<sup>733</sup> სისტემური განმარტების მეთოდს წარმატებით იყენებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>734</sup> Fallbezogenheit der Rechtsprechung - Schröder M., Gesetzesbindung des Richters und Rechtsweggarantie im Mehrebenensystem, Tübingen, 2010, 192.

უპირველესად, უნდა გაირკვეს ნორმის მიზანი (ლეგიტიმური მიზანი) შემდეგ კი გატარდეს ე.წ. პროპორციულობის (თანაზომიერების) ტესტი. ნორმის ამგვარი შემოწმება ადგენს, თუ რამდენად გამოსადეგი, აუცილებელი და შესაბამისია ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა ამავე ნორმის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

კონსტიტუციის ნორმათა განმარტების ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას გასათვალისწინებელია, არ დაირღვეს კონსტიტუციის ერთიანობის პრინციპი.<sup>735</sup> მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი უფლებები ხშირად ერთმანეთს კვეთს და კონსტიტუციის პრინციპებიც ერთმანეთთან კონკურენციაში მოდიან, კონსტიტუცია ერთიან კონცეპტუალურ დოკუმენტს წამოადგენს. ამიტომაც იგი საერთო იდეას ემსახურება.<sup>736</sup>

კონსტიტუციის ნორმის ავთენტური განმარტება მხოლოდ სასამართლოს, ხოლო კონტინენტური სამართლის ქვეყნების უმეტესობაში მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

## **2. ადამიანის ძირითად უფლებათა კლასიფიკაცია და მისი ფუნქციები**

ადამიანის ძირითადი უფლებები, როგორც უკვე აღინიშნა, ორი ძირითადი მიმართულებით განიხილება: 1. ძირითადი უფლებები, როგორც საკონსტიტუციო მნიშვნელობის ობიექტური ღირებულებები და 2. ძირითადი უფლებები, როგორც ცალკეული პირის სუბიექტური უფლებები სახელმწიფოსადმი (ან სახელმწიფოს წინააღმდეგ). შესაბამისად, მათი პირველადი კლასიფიკაცია ამ კრიტერიუმით შეიძლება მოხდეს.

---

<sup>735</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 162.

<sup>736</sup> სწორედ დასახელებული მეთოდით ხელმძღვანელობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანი და დანიშნულებაა კონსტიტუციურ უფლებათა ისეთი განმარტება, რომელიც კონსტიტუციის მიზნების, კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულებების და თავად ძირითადი უფლებების არსის შესაბამისია, რაც უზრუნველყოფს უფლებით პრაქტიკულად, რეალურად და ეფექტურად სარგებლობას და არ გამოფიტავს მას თეორიულ და ილუზორულ უფლებამდე“. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

## 2.1. ადამიანის ძირითადი უფლებანი, როგორც საკონსტიტუციო მნიშვნელობის ღირებულებანი

ცალკეული ძირითადი უფლების შინაარსიდან გამომდინარე, ცხადია, რომ პირის სუბიექტურ უფლებებთან ერთად, იგი კონკრეტული უფლების ინსტიტუციურ გარანტიას განსაზღვრავს, სახელმწიფოს, ინდივიდისგან დამოუკიდებლად, ავალდებულებს, უზრუნველყოს ცალკეული საკონსტიტუციო უფლებით აღიარებული სამართლებრივი ინსტიტუტი<sup>737</sup>.

შესაბამისად, საკონსტიტუციო მნიშვნელობის ღირებულებანი თავის მხრივ ორად იყოფა: ერთი მხრივ, ისინი ინსტიტუციური გარანტიებია. სახელმწიფო ხელისუფლება, უპირველეს ყოვლისა კი, კანონმდებელი, ქმნის ისეთ ინსტიტუციურ გარანტიებს, კანონებსა და წესებს, რომლებიც, მაგალითად, საკუთრების უფლებას, როგორც ინსტიტუტს, უზრუნველყოფს. ეს არის ისეთი ინსტიტუციური, კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი გარანტია, რომლის გაუქმებაც დაუშვებელია. მის საფუძველი საკუთრების ძირითადი უფლების აღიარებაა<sup>738</sup>. საკუთრების უფლების ინსტიტუციონალიზაცია, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ძირითად უფლებას თავისი პერსონალური ხასიათი ეკარგება, ცალკეული პირების სუბიექტურ უფლებებად რჩება; მეორე მხრივ, ძირითადი უფლება, იმავდროულად, ქმნის ისეთ ნორმა-პრინციპებს, რომლებიც სახელმწიფოსკენ მიმართული საკონსტიტუციო პროგრამული დებულებებია. მაგალითისათვის, პროგრამული დებულება იქნება მსგავსი ჩანაწერი კონსტიტუციაში: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად, კანონი ადგენს

---

<sup>737</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 15.

<sup>738</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 25 მარტის №2/31-5 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლევან ფურცხვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 25 მარტის №2/59-8 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლუცეტა თაფლიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

შელავათებს“, ან „სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სპორტულ გაერთიანებებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას“. ეს დებულებები ნამოადგენს სახელმწიფოს მიზნებს, მისი სამართლებრივი და სოციალური პოლიტიკის ქვაკუთხედს. მათი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ასეთი პროგრამული დებულება პირის სუბიექტური უფლება არაა. მართალია, ისინი ადამიანის ყოველდღიურობაში აისახება, მაგრამ ამ კონკრეტულ დებულებებზე ცალკეული პირი საკონსტიტუციო სასამართლოში დავას ვერ აწარმოებს<sup>739</sup>.

## 2.2. ძირითად უფლებათა კლასიფიკაციის სახეები, მათი ტრადიციული კლასიფიკაცია

ძირითადი უფლებები ღირებულებათა საკმაოდ მრავალმხრივი და მასშტაბური კომპლექსია. მათი, როგორც პირის სუბიექტური უფლების, კლასიფიკაციის, სისტემატიზაციის მცდელობაც, შესაბამისად, სხვადასხვაგვარია. სამართლის მკვლევრები უფლებათა კლასიფიკაციისათვის სხვადასხვა კრიტერიუმსა და მეთოდს იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები ზოგადად ყველა ადამიანის უფლებაა, მათ შორის გამოყოფენ მოქალაქის უფლებებს. ამიტომაც სამართალსუბიექტობის მიხედვით, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება, აგრეთვე, იურიდიულ პირებზე. ამიტომაც ცალკე კატეგორიაა უფლებები, რომლებიც ფიზიკური პირების გარდა, ასევე, იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. ძირითადი უფლებანი მათ მიერ დაცული სიკეთის მიხედვით, შეიძლება დაიყოს ზოგად (*lex generalis*) და სპეციალურ (*lex specialis*) ნორმებად<sup>740</sup>.

<sup>739</sup> ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 449.

<sup>740</sup> როცა ადამიანის ძირითადი უფლებით დაცულია სიკეთე, რომელსაც გენარული (ზოგადი) და იმავდროულად სპეციალური, (კონკრეტული) კონსტიტუციური ნორმაც იცავს, გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ნორმა: *lex specialis derogat legi generali*.

ძირითად უფლებათა ყველაზე უფრო გავრცელებულ, ტრადიციულ კლასიფიკაციად მიღებულია მათი დაჯგუფება ძირითადი უფლებებით დაცული სამართლებრივი სიკეთის კრიტერიუმით.<sup>741</sup> ძირითად უფლებათა ამ კრიტერიუმით დაჯგუფება მათი შინაარსის უკეთ აღქმას უწყობს ხელს. ამ მხრივ, უფლებათა სამი კატეგორია გამოიყოფა: 1. თავისუფლების უფლებები, 2. თანასწორობის უფლებები და 3. საპროცესო უფლებები.

თავისუფლების უფლებები ისეთი კლასიკური უფლებებია, რომლებიც არა მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალურ თავისუფლებას იცავ, არამედ მის თავისუფალ განვითარებას საზოგადოებაში.<sup>742</sup> პირის ინდივიდუალური თავისუფლება მოიცავს მის პიროვნულ ავტონომიას, თავისუფალ განვითარებას, სიცოცხლის უფლებას, რწმენის თავისუფლებას, საკუთრების უფლებას, მიმონერის თავისუფლებას და სხვა თავისუფლების უფლებებს. ეს უფლებები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ჩაურევლობას მოითხოვენ, შემდეგ კი – სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ინსტიტუციური გარანტიების შექმნას. ადამიანი არა მხოლოდ თავისუფალი, არამედ სოციალური არსებაა, მისთვის საკმარისი არაა მხოლოდ ინდივიდუალურ, პირად სფეროში ჩეურევლობა. იგი მუდმივად ისწრაფვის საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. ამიტომაც საჭიროებს როგორც პიროვნულ, ისე საზოგადოებრივ თავისუფლებებს, როგორცაა, მაგალითად, აზრისა და სიტყვის, ინფორმაციის, პრესის თავისუფლება, შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება, ან საზოგადოებრივი გაერთიანებების, პროფესიული კავშირების, პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება. სწორედ ამიტომაც შესაძლებელი თავისუფლებების უფლებებში თავისუფლებათა ორი ჯგუფის: ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ თავისუფლებათა გამოყოფა.

თანასწორობის უფლებები ანესებენ არა რაიმე ქმედების თავისუფლებას, არამედ აღიარებენ და უზრუნველყოფენ პირთა (მოქალაქეთა) თანასწორობას სახელმწიფოსა და კანონის წინაშე. მათი კლასიკური გაგება სახელმწიფოს წინაშე თანასწორობის შენარჩუნებით შემოიფარგლებოდა. *თანამედროვე სამართლის გაგე-*

<sup>741</sup> Katz A., Staatsrecht: Grundkurs im öffentlichen Recht. 14., neubearbeitete Auflage, Heidelberg, 1999, 304.

<sup>742</sup> მსგავსი დაჯგუფება იხ., იქვე, 285, პ.597 და სქემა №18, 287.

ბით კი, ეს უფლება სახელმწიფო ხელისუფლებას ავალდებულებს, სამართლებრივი მონესრიგების გზით აკრძალოს დისკრიმინაცია არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებშიც კი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანასწორობის გარანტია ავტომატურად ტოტალურ თანასწორობას არ გულისხმობს. თანასწორობის არსი იმაშია, რომ არსებითად თანასწორნი თანასწორ მოპყრობას, არსებითად უთანასწორონი კი პირიქით, უთანასწორო, არათანაბარ მოპყრობას იმსახურებენ. თუკი წესი თანასწორობის ამ პრინციპს არღვევს, ამისათვის მას დამაჯერებელი და გამამართლებელი საფუძველი უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად, თანასწორობის უფლებათა არსი ირღვევა. თანასწორობის საკონსტიტუციო უფლებები, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა: ზოგადი და სპეციალური თანასწორობის უფლებები. ზოგადი თანასწორობის უფლება (პირის სუბიექტურ უფლებასთან ერთად), კონსტიტუციის უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა და იგი იმავდროულად, კონსტიტუციის ნორმა-პრინციპსაც წარმოადგენს. თანასწორობის უფლება შეიძლება, ასევე, სპეციალურ სფეროში თანასწორობას ადგენდეს, მაგალითად, საარჩევნო თანასწორობა, ან ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებები, ისარგებლონ თანასწორობით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ძირითად უფლებათა ტრადიციული სისტემატიზაციის მესამე ჯგუფში საპროცესო უფლებებია.<sup>743</sup> უფლებათა ეს ჯგუფი ადამიანის ძირითად საპროცესო გარანტიებს ქმნის. საპროცესო უფლებები, როგორც უძველესი *Habeas Corpus* უფლებები, ჯერ კიდევ 1215 წლის ქარტიით იქნა გარანტირებული და იცავდა პირის უფლებებს უშუალოდ დაკავების ან დაპატიმრებისას და ასევე, მის უფლებებს სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე. თანამედროვე, სამართლიანი სახელმწიფოს პირობებში კი მისი როლი, მნიშვნელობა გაიზარდა და შესაბამისად, შინაარსობრივად უფრო მოცულობითი გახდა. საპროცესო ძირითად უფლებებს თანამედროვე სამართალში განეკუთვნება, მაგალითად, სასამართლოსადმი მიმართვისა და სამართლიანი სასამართლო დაცვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, დაკავებულის ან ბრალდებულის ძირითადი უფლებები.

<sup>743</sup> მათ, ასევე, მართმსაჯულების ძირითად უფლებებს, იუსტიციურ უფლებებს ან „ჰაბეას კორპუსის“ უფლებებს უწოდებენ.

მათი ერთიანობა სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტს ისეთ ნორმა-პრინციპებს ქმნის, როგორიცაა, უკუძალის აკრძალვა (*nulla poena sine lege*) ან ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის აკრძალვა (*ne bis in idem*). მათი განსაკუთრებულობა კი იმაში გამოიხატება, რომ საპროცესო უფლებების გარეშე, აზრი ეკარგება ყველა სხვა ძირითად უფლებას, რადგან პირის დარღვეული უფლება მხოლოდ პროცესუალური უფლებებით და სამართლიანი სასამართლოსადმი მიმართვის გარანტიებით შეიძლება იქნეს დაცული.

## 2.2. ადამიანის ძირითად უფლებათა ფუნქციები

ადამიანსა და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულების საუკეთესო გამოხატულებას ადამიანის ძირითად უფლებათა ფუნქციები წარმოაჩენს. მათი ფუნქციური დაჯგუფება ელინეკის სახელს უკავშირდება.<sup>744</sup> **ძირითად უფლებათა ფუნქციები ადამიანის უფლებათა სახელმწიფო დაცვის გარანტიებს განსაზღვრავს.** ზოგიერთი ძირითადი უფლება სახელმწიფოსაგან მის ქმედებას, მისგან რაიმე დადებითის შექმნას არ მოითხოვს. ამ ძირითადი უფლების არსებობისათვის სახელმწიფოს ჩაურევლობა, მისი უმოქმედება/მოქმედებისაგან თავის შეკავებაც კმარა. **ასეთი უფლებები ნეგატიურ სტატუსს (*Status Negativus*) ატარებენ და სახელმწიფოსაგან თავისუფლებას მოითხოვენ.** სახელმწიფო, მართალია, ვალდებულია ქმედებისაგან თავი შეიკავოს, თუმცა, მისი ქმედება, დაცულ სიკეთეში ჩარევა ხშირად გარდაუვალა. სახელმწიფოს ასეთ ქმედებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ლეგიტიმური მიზანი, როგორიცაა მაგალითად, სხვა ადამიანის უფლებით დაცული სიკეთე ან საჯარო ინტერესი. ასეთ უფლებათა რიგს განეკუთვნებიან, მაგალითად, სიცოცხლის უფლება, ადამიანის თავისუფლება, მისი ფიზიკური ხელშეუხებლობა, რწმენის თავისუფლება, პირადი ცხოვრების თავისუფლება, საკუთრების უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება და სხვ.

ზოგიერთი უფლების ეფექტურობა და მისი განხორციელება კი, მხოლოდ სახელმწიფოს პოზიტიური ჩარევით, მისი დადებითი

---

<sup>744</sup> Bleckmann A., Allgemeine Grundrechtslehren, Köln/Berlin, 1979, 243; Jellinek G., System der subjektiven öffentlichen Rechte, 2. Aufl., Tübingen, 1905, S.87 ff.

ქმედებით შეიძლება განხორციელდეს. კონსტიტუციით გარანტირებულია ისეთი უფლებები, რომლებიც სახელმწიფოს პოზიტიურ ქმედებაზეა დამოკიდებული. ასეთი უფლებები სახელმწიფოს დახმარებით, მისი მფარველობით არსებობს, მათი განხორციელება კი მეტწილად სახელმწიფოზეა დამოკიდებული და შესაბამისად, მისგან დადებით, პოზიტიურ სტატუსს (*Status Positivus*) მოითხოვს. ასეთი უფლებები პოზიტიურად ავალდებულებს სახელმწიფოს, ანუ მისი პოზიტიური ქმედების ვალდებულებას ქმნის. შესაბამისად, უფლების დარღვევაზე მაშინ იქნება საუბარი, თუ სახელმწიფო უმოქმედოა, ან მისი ქმედება არაა საკმარისი ძირითადი უფლების დასაცავად. ჩამონათვალში შედის, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ შრომითი უფლებების დაცვა, უმუშევრად დარჩენილი მოქალაქის დასაქმებაში ხელის შეწყობა, ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა, სამართლიანი სასამართლოსადმი მიმართვის და სამართლიანი სასამართლოს უფლება და სხვ.

კონსტიტუციაში ისეთი ძირითადი უფლებებიცაა, რომლებსაც სახელმწიფო თავადვე ქმნის და მათ აქტიური ქმედებით უზრუნველყოფს. ამიტომაც ამგვარი უფლებები სახელმწიფო ხელისუფლებას აქტიურ სტატუსს (*Status Activus*), აქტიურ ქმედებას ავალდებულებს. ადამიანის, მოქალაქის უფლებათა ეს ფუნქცია უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას სახელმწიფოს ფორმირების პროცესში. ცალკეული ადამიანი, სახელმწიფოსთან მოქალაქეობრივი კავშირის გარეშე, ამ უფლებებით ვერ ისარგებლებს. ამიტომ უფლებათა ამ კატეგორიას ხშირად სამოქალაქო უფლებებსაც უწოდებენ. ეს ძირითადი უფლებები არსებობს სახელმწიფოში და სახელმწიფოსგან<sup>745</sup>. აქტიური სტატუსის მატარებელ უფლებათა რიცხვს ძირითადად პოლიტიკური უფლებები განეკუთვნება და ერთიანობაში ისინი დემოკრატიის პრინციპს ქმნიან.

მართალია, კლასიკური გაგებით, ადამიანის უფლებათა ვისუფლებათა პირველადი ფუნქციაა, უზრუნველყოს მათ დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩაურევლობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითად უფლებათა განვითარებამ მოიტანა ის, რომ სახელმწიფო აღიქმება არა მარტო ამ უფლებების პოტენციურ დამრღვევად, არამედ ის ამ უფლებათა დამცველი უნდა იყოს. **დი-**

<sup>745</sup> Katz A., *Staatrecht, Grundkurs im oeffentlichen Recht*, 14., neubearbeitete Auflage, Heidelberg, 1999, 285.

რითადი უფლებები ავალდებულებს ხელისუფლების შტოებს, შექმნან ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც ეყრდნობა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს და ამგვარად დაიცავს პირები (ცალკეული უფლების სუბიექტები) არა მარტო სახელმწიფოს მხრიდან, არამედ სხვა მოსალოდნელი, ან უკვე განხორციელებული ჩარევისაგან. ამ ფუნქციას სახელმწიფოს მიერ ძირითად უფლებათა დაცვის ვალდებულებას<sup>746</sup> უწოდებენ. იგი მაშინ ჩნდება ჰორიზონტზე, თუ ადამიანის უფლების დარღვევა არ მოდის სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასზე ზრუნავს სახელმწიფო, თავისი კონსტიტუციური ვალდებულებიდან გამომდინარე. მაგალითად, საკუთრების უფლებაში ჩარევა არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ხდება, იგი შეიძლება სხვა ადამიანთა მხრიდანაც იმავე ინტენსივობით იყოს ხელყოფილი. სახელმწიფომ, პირის საკუთრების უფლების დაცვის მიზნით, უნდა მიიღოს გადწყვეტილება და მისი უფლება შესაბამისი სამართლებრივი მონესრიგებით (პრევენციულად და რეპრესიულად) უნდა უზრუნველყოს. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ დაიცვას ბალანსი ორ ან რამდენიმე ურთიერთკონკურირებად უფლებას შორის<sup>747</sup>.

**კონკრეტული უფლება შესაძლოა, მხოლოდ ერთ, რამდენიმე, ან ყველა ფუნქციას ერთად ითავსებდეს.** ევოლუცია უფლებათა მოცულობისა და შინაარსის მუდმივ ზრდას, მის განვითარებას განაპირობებს. შესაბამისად, ადამიანის ძირითად უფლებათა

---

<sup>746</sup> ლიტერატურა ძირითადი უფლების დაცვის ვალდებულების შესახებ, იხ., Phirtskhalashvili A., Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung, Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010; Klein E., Grundrechtliche Schutzpflicht des Staates, in: NJW, 1989, 1633 ff.; Stern K., Die Schutzpflichtfunktion der Grundrechte: Eine juristische Entdeckung, in: DOEV 2010, S.248; ფირცხალაშვილი ა., სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მისი ასახვა საქართველოს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნ., „მართლმსაჯულება და კანონი“, №1/12, 2012; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 30.

<sup>747</sup> Phirtskhalashvili A., Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung, Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010, 232.

ცვალებადობა, მისი, როგორც პროგრესული მეცნიერებისა და სამართლის დარგის, ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევა.

### 3. ადამიანის ძირითად უფლებათა სუბიექტები და ადრესატი

#### 3.1. ადამიანის ძირითად უფლებათა სუბიექტები

ადამიანის ძირითადი უფლების სამართალსუბიექტობა იმ პირთა წრეს განსაზღვრავს, რომელთაც შეუძლიათ, სახელმწიფოს კონკრეტული ძირითადი უფლების უზრუნველყოფა მოსთხოვონ. ხშირ შემთხვევებში, თვით კონკრეტული კონსტიტუციური უფლება ადგენს, თუ ვინ არის უფლებამოსილი, ისარგებლოს მოცემული უფლებით. მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ძირითად უფლებათა სამართალსუბიექტობა და საპროცესო სამართალსუბიექტობა. *ძირითადი უფლების ფლობა, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ პირს პროცესუალურად მისი დაცვის უფლებაც აქვს.* მაგალითად, მართალია, არასრულწლოვანს აქვს საკუთრების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, მაგრამ მას ამ უფლების სამართლებრივი, პროცესუალური დაცვა მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის საშუალებით შეუძლია. კანონმდებლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აზუსტებს პირის სამართლებრივი-პროცესუალური ქმედუნარიანობის ასაკს. იგი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარია<sup>748</sup>.

კონსტიტუციით ფორმულირებულ ძირითად უფლებათა ნაწილი **„ყველა ადამიანის“**<sup>749</sup> უფლებათა, მეორე ნაწილს კი მხოლოდ **„მოქალაქის უფლებები“**<sup>750</sup> წამოადგენს. *ასეთი ზღვარი ხშირად სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებზე გადის.* მოქალაქეობას ადამიანისა და სახელმწიფოს განსაკუთრებული სამართლებრივი ბოჭვა

<sup>748</sup> საპროცესო ქმედუნარიანობის შესახებ იხ., Pieroth B., Schlink B., Grundrechte, Staatsrecht II, 28., neubearbeitete Auflage, Heidelberg, 2012, 36.

<sup>749</sup> მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ყველა ადამიანის თანასწორობა, ასევე ყველას უფლებათა სიცოცხლის უფლება, ადამიანის ღირსება, სიტყვის, აზრის, რწმენის თავისუფლება და სხვა უფლება-თავისუფლებანი.

<sup>750</sup> საქართველოს კონსტიტუციით, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება, ისარგებლონ სახელმწიფოს მფარველობით, განურჩევლად მათი ადგილსამყოფელისა, ჰქონდეთ აქტიური ან პასიური საარჩევნო უფლება ან ისარგებლონ სახელმწიფოს დახმარებით უმუშევრობის შემთხვევაში.

ახასიათებს. ამიტომ ადამიანი მოქალაქეობასთან ერთად განსაკუთრებულ სტატუსს იძენს, რომელიც სახელმწიფოსადმი არა მხოლოდ უფლება-თავისუფლებათა, არამედ ვალდებულებათა განსაკუთრებული სისტემით გამოირჩევა.

როცა საუბარია ცალკეული ფიზიკური პირის ძირითად უფლებაზე, იბადება კითხვა, თუ როდის იწყება და როდის სრულდება მისი სამართალსუბიექტობა? ზოგადად, უდავოა, რომ ძირითადი უფლებებით მხოლოდ ცოცხალ ადამიანებს შეუძლია სარგებლობა. თუმცა, გამონაკლისი შემთხვევებიც არსებობს. ჩნდება მრავალი გამონაკლისი სამართალსუბიექტობის დადგომისა და მისი შეწყვეტის დროსთან დაკავშირებით. ასეთი კითხვები კი თანამედროვე მეცნიერების განვითარების პირობებში სულ უფრო და უფრო იმატებს. მაგალითად, აქვს თუ არა სიცოცხლის უფლება ჯერ არდაბადებულ, დედის საშოში მყოფ ჩანასახს (*embrions, Nascenturus*)? შეუძლია თუ არა მას ჰქონდეს ღირსება და ამით დაცული იყოს იგი გენეტიკური მანიპულირებისა და კლონირებისაგან? როდის იწყება მისი სამართალსუბიექტობა? – დაბადებისთანავე, თუ დაბადებამდეც? ასევე, საინტერესოა, აქვს თუ არა გარდაცვლილს (ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ) უფლება, განსაზღვროს საკუთარ ორგანოთა ტრანსპლანტაცია (გასხვისება)? საინტერესოა, კმარა კი გარდაცვლილის ღირსება, როგორც მისი ძირითადი უფლება, რათა მისი საფლავი იყოს დაცული შეურაცხყოფისაგან, ნაბილწვისგან. ამ და კიდევ სხვა მრავალ კითხვაზე პასუხი სამართლის მეცნიერულ კვლევებსა და პრაქტიკაში არაერთგვაროვანია.<sup>751</sup> ჰიპოთეტური პასუხი კი ამგვარია: *ძირითადი უფლების ფლობა ადამიანს შეუძლია მაშინ, თუ: 1. იგი ბიოლოგიური თვალსაზრისით, ცოცხალი არსებაა; 2. ზოგიერთ ძირითად უფლებას იგი ფლობს მაშინაც, თუკი არსებობს იმის თეორიული შანსი მაინც, რომ იგი ადამიანად დაიბადება; ან მაშინ, 3. თუ მას ოდესმე, როგორც ადამიანს, უცოცხლია*<sup>752</sup>.

<sup>751</sup> Tiefke N., Das Prinzip Menschenwürde, Zur Abwägungsfähigkeit des Föchstrangigen, Tübingen, 2010, 57.

<sup>752</sup> სიცოცხლის უფლებისა და ადამიანის ღირსებას შორის ურთიერთკავშირის შესახებ, იხ., Phirts Khalashvili A., Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung, Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010, 134.

ადამიანის ძირითადი უფლების მქონე სუბიექტები არიან, აგრეთვე, იურიდიული პირები<sup>753</sup>, თუმცა მხოლოდ მაშინ, თუკი თეორიულად შესაძლებელია, რომ კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, მათზეც გავრცელდეს. იურიდიულ პირებზე ვერ გავრცელდება ისეთი ძირითადი უფლება-თავისუფლებანი, რომელთა შინაარსიც წმინდა ადამიანური არსიდან გამომდინარეობს. მაგალითად, სიცოცხლის უფლება, ღირსება ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა და მისი ფიზიკური ხელშეუხებლობა. კონსტიტუციით გარანტირებული ისეთი უფლებანი, რომლებიც შინაარსობრივად იურიდიულ პირებზე შეიძლება გავრცელდეს, არის, მაგალითად, საკუთრების უფლება, ინტელექტუალური შემოქმედების უფლება, ინფორმაციის, პრესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება და ა.შ.

იურიდიული პირები, როგორც ცნობილია, თავის მხრივ, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად იყოფიან. ზოგადად, ძირითად უფლებათა სამართალსუბიექტები, როგორც წესი, მხოლოდ კერძო და არა საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან<sup>754</sup>, რადგან საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფოს წარმოადგენს, მის უკან სახელმწიფო დგას. სახელმწიფო კი ძირითადი უფლების ადრესატად განიხილება. ამიტომაც შეუძლებელია იგი ერთდროულად უფლების მფლობელიც იყოს და გარანტორიც. თუმცა ასეთ განმარტებას გამოხაკლისიც აქვს. მეცნიერებაში გაბატონებული აზრით აღიარებულია, რომ საჯარო

---

<sup>753</sup> საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლით: „კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე“.

<sup>754</sup> მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლში საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების სამართალსუბიექტები ერთმანეთისაგან გამიჯნულნი არ არიან, მაგრამ ნორმის მეცნიერული განმარტება (იხ., Krebs P., Art.19, Rn.47 ff, Münchener Kommentar; Grundgesetz-Kommentar, H. Dreier (Hrsg.) Bd. 1, 2. Aufl., 2004, Art. 19 III, Rn. 23; Pieroth B., Schlink B., Grundrechte, Staatsrecht II, 28., neubearbeitete Auflage, Heidelberg, 2012, S.43, Rn.177; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 607) და სასამართლოს პრაქტიკა (BVerfGE 21, 362/369) ამგვარ დასკვნამდე მიდის.

**სამართლის იურიდიული პირები უნდა სარგებლობდნენ სუბიექტური საჯაროსამართლებრივი უფლებებით.**<sup>755</sup> სხვა სიტყვებით, ისინი ისეთი კონსტიტუციური უფლების სამართალსუბიექტები შეიძლება იყვნენ, რომელთა სრულყოფილ განხორციელებასაც კონსტიტუცია მათ ანდობს. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა სარგებლობდეს პრესისა და მასმედიის თავისუფლებით. ხელოვნების სფეროში შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები კი – კონსტიტუციით გარანტირებული ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლებით, სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საჯარო დაწესებულებები – განათლების ძირითადი უფლებით, შემოქმედების თავისუფლებით, ხოლო რელიგიური და „მსოფლმხედველობით“ გაერთიანებები – რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებით. აქედან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ძირითადი უფლების სუბიექტებად მხოლოდ გამონაკლის, სპეციფიკურ შემთხვევებში განიხილებიან.

### 3.2. ადამიანის ძირითად უფლებათა ადრესატი

ადამიანის ძირითადი უფლებანი უშუალოდ მოქმედი სამართალია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი პირდაპირ ბოჭავს და ავალდებულებს სახელმწიფოს. ძირითადი უფლებები მიმართულია სახელმწიფოსადმი. შესაბამისად, სახელმწიფო არის ადამიანის ძირითად უფლებათა ადრესატი. სახელმწიფოდ კი მოიაზრება ხელისუფლების ყველა შტო, ყველა სახელმწიფო ინსტიტუცია, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირები. არ არსებობს არცერთი სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელშიც ადამიანის კონსტიტუციური უფლებები ვერ აღწევს<sup>756</sup>.

---

<sup>755</sup> Krebs P., in von Münch/Kunig (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, 5. Auf., C. H. Beck, München, 2000, Art. 19, Rn. 40. იხ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 608; იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 403-404.

<sup>756</sup> Maurer H., Staatsrecht, München, 1999, 274, 29.

ადამიანის უფლებათა მოქმედების ძალა ვრცელდება არა მარტო ვერტიკალურად, ადამიანსა და სახელმწიფოს შორის, არამედ, ასევე, ჰორიზონტალურად, კერძო პირებს შორის. მეცნიერები თანხმდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ **ძირითად უფლებებს ვერტიკალურთან (სახელმწიფო-ადამიანი) ერთად აქვს ჰორიზონტალური (ადამიანებს შორის) მოქმედების ძალა**<sup>757</sup>. კამათი უფრო მეტად იმაზეა, თუ როგორია ეს მოქმედების ძალა მესამე პირებზე, ანუ არიან თუ არა კერძო პირები ადამიანის ძირითად უფლებათა უშუალო ადრესატები? სხვა სიტყვებით, არის თუ არა კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებები კერძო პირებს შორის მოქმედი სამართალი, ავალდებულებს თუ არა ძირითადი უფლებები კერძო პირებსაც, გაითვალისწინონ სხვა ადამიანების უფლებანი? უდავოა, რომ ძირითადი უფლების დარღვევის საფრთხე იმავე ინტენსივობით მოდის არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ მესამე პირების, უცხო სახელმწიფოების, ან ბუნებრივი მოვლენების (კატასტროფების) მხრიდანაც. უფლებათა გარანტიების ეფექტურად მისაღწევად სახელმწიფო ადამიანის ძირითადი უფლებით აღიარებულ სიკეთეს ყოველგვარი ჩარევისგან უნდა იცავდეს. მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, **ადამიანის კონსტიტუციური უფლებები მესამე პირებისკენაცაა მიმართული. თუმცა ძირითადი უფლებები ამ შემთხვევაში (სახელმწიფოსთან მიმართების მსაგავსად), პირდაპირ, უშუალოდ მოქმედი სამართალი არაა. ისინი, მართალია, უზრუნველყოფენ ძირითადი უფლების დაცვას, მაგრამ მხოლოდ არაპირდაპირ, სამართლებრივი მოწესრიგების გავლით.**<sup>758</sup> მაგალითად, საკუთრების

<sup>757</sup> Von Münch I., Staatsrecht, 5. Aufl., 1993, S.181; Nipperdey H.C., in: Die Grundrechte, K.A. Bettermann, H.C. Nipperdey (Hrsg.), Bd. IV/2, 1972, S.747 ff; Stern K., Das Staatsrecht der BRD, Bd. III/1, 1988, S.1560, 1572, იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 12-13; Phirtskhalashvili A., Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung. Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010, 24.

<sup>758</sup> იბ., Streuer W., Die positiven Verpflichtungen des Staates, Nomos Verlag, 2003, პ.52; იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 12; Müller G., Zur Problematik der Drittwirkung von Kantonalen Grundrechtsgarantien, ZBJV 1993, 153-158; Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band IV/1: Die einzelnen

უფლება, მის მფლობელს იცავს სახელმწიფოსაგან, რომ ამ უკანასკნელმა უსამართლოდ არ მიიტაცოს პირის ქონება, მაგრამ იგი იმავე ქონებას იცავს კერძო პირებისაგან, რათა მათ მოტყუებით, ან სხვაგვარი უკანონო ქმედებით არ მიიტაცონ მესაკუთრის ქონება. პირველ შემთხვევაში, სახელმწიფო არღვევს საკუთრების უფლებას, მეორეში კი, – კერძო პირი. საკუთრება ორივე ჩარევისაგან არის ძირითადი უფლებით დაცული. თუმცა პირველ შემთხვევაში სახელმწიფო პირდაპირ, ძირითადი უფლებითაა ვალდებული, არამართლზომიერად არ ჩაერიოს პირის საკუთრების უფლებაში. მეორე შემთხვევაში მესაკუთრეების კონსტიტუციური უფლება კერძო პირების მიმართ მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი მონესრიგების, კანონის გავლით მოქმედებს. კანონი კი, თავის მხრივ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. თუკი სახელმწიფომ არ ან არასაკმარისად უზრუნველყო საკუთრების უფლების დაცვა სხვა პირებისაგან, ძირითადი უფლების მფლობელს სახელმწიფოს წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში შეუძლია იდავოს. შესაბამისად, ძირითადი უფლებები უშუალოდ მოქმედებს სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ მესამე პირების მიმართ მათ მხოლოდ არაპირდაპირი (სახელმწიფოს გავლით) მოქმედების ძალა აქვთ.

## თავი XII. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები

### 1. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

ადამიანები, სახელმწიფოები და მათი მთავრობები, მსოფლიო მასშტაბით, თანხმდებიან ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელობაზე. ამ მიზნით, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე შექმნილია კონკრეტული ინსტიტუტები, რომლებიც სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგს აწარმოებენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებიდან ყველაზე გლობალურ ფორუმს წარმოადგენს გაერო, რომელიც თავისივე წესდებაში განერილ არაერთ სხვა საკითხთან ერთად, სახელმწიფოთა მიერ ინდივიდების უფლებების დაცვაზეც ზრუნავს.<sup>759</sup> ამ მიზნით, გაეროში წარმოდგენილია შიდა მექანიზმი ადამიანის უფლებათა საბჭოს სახით.

ადამიანის უფლებათა საბჭო დაარსდა გაეროს გენერალური ასამბლეის 2006 წლის 15 მარტის №60/251 რეზოლუციით.<sup>760</sup> მან ჩაა-ნაცვლა 1946 წელს დაარსებული ადამიანის უფლებათა კომისია. **ადამიანის უფლებათა საბჭო მთავრობათაშორისი ორგანოა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებათა დაცვასა და მხარდაჭერაზეა პასუხისმგებელი.** ამ მიზნით, საბჭო სწავლობს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს. ფართო მანდატის წყალობით, საბჭოს შეუძლია შეეხოს ნებისმიერი შინაარსისა და თემატიკის ადამიანის უფლების დარღვევას და რეაგირება მოახდინოს მასზე. იგი შედგება 47 წევრი-სახელმწიფოსგან, რომლებსაც გენერალური ასამბლეა ირჩევს.<sup>761</sup> საბჭო იკრიბება ყენევაში განთავსებულ გაეროს ერთ-ერთ ოფისში.

**საბჭომ, თავისი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისთვის, შემდეგი მექანიზმები შეიმუშავა: საყოველთაო პერიოდული ან-**

---

<sup>759</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, 1 UNTS XVI მუხლი 1(3).

<sup>760</sup> იბ., <[http://www2.ohchr.org/english/bodies/hrcouncil/docs/a.res.60.251\\_en.pdf](http://www2.ohchr.org/english/bodies/hrcouncil/docs/a.res.60.251_en.pdf)> [01.08.2015].

<sup>761</sup> ადამიანის უფლებათა საბჭოს 2007 წლის 18 ივნისის რეზოლუცია 5/1, მე-18 მუხლი.

**გარიშები, ინდივიდუალური გასაჩივრების მექანიზმი, სპეციალური მომხსენებლის ინსტიტუტი.**

საყოველთაო პერიოდული ანგარიშები<sup>762</sup> უნიკალური მეთოდი, რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს, პერიოდულად მი-  
ანოდონ საბჭოს განახლებული ინფორმაცია ადამიანის უფლებათა  
სფეროში მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ეს,  
ასევე, არაპირდაპირი გზაა, დაავალდებულო სახელმწიფოები,  
იზრუნონ ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე „სუფთა“ საერ-  
თაშორისო რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით. ანგარიშის  
წარდგენის შემდეგ, თითოეული სახელმწიფოს დელეგაცია  
წარსდგება ადამიანის უფლებათა საბჭოს წინაშე, რომლის 47 წევრი  
პირდაპირი კითხვა-პასუხის რეჟიმში აფასებს წარდგენილ ან-  
გარიშს. გარდა არჩეული წევრებისა, თითოეულ სახელმწიფოს  
მიეჩინება 3 მომხსენებლისგან შემდგარი პანელი, რომელიც  
კოორდინაციას უწევს შეხვედრას. ანგარიშის განხილვისას სახ-  
ელმწიფოებს უწევთ, პასუხი გასცენ მწვავე შეკითხვებს ადამიანის  
უფლებების მდგომარეობაზე, შეკითხვები კი მომდინარეობს  
როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ  
წარდგენილი ჩრდილოვანი ანგარიშებიდან. როგორც წესი, სახ-  
ელმწიფოები ცდილობენ, შესაბამის კომიტეტს დროულად მი-  
ანოდონ ანგარიშები, თუმცა ხშირია დაგვიანებები, სამოქალაქო  
ომის თუ შიდა არეულობის გამო. ასეთ დროს, საბჭო ცდილობს,  
გაითვალისწინოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და  
ნება დართოს სახელმწიფოს, მოხსენებათა დაჯგუფების გზით  
დაფაროს რამდენიმეწლიანი ჩავარდნა და მოამზადოს გაერ-  
თიანებული ანგარიში. მაგალითად, 2006 წელს გაიანამ წარადგინა  
14 პერიოდული მოხსენება მანამდე არწარდგენილი ანგარიშების  
გამო.<sup>763</sup>

**ინდივიდუალური გასაჩივრება ადამიანის უფლებათა საბჭოს  
კიდევ ერთი მექანიზმია, რომელიც საშუალებას აძლევს ინდი-  
ვიდებსა და ორგანიზაციებს, გაასაჩივრონ წევრი-სახელმწიფოს  
მიერ ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტი. იმისათვის, რომ საჩი-  
ვარმა დასაშვებობის სტადია გადალახოს, საბჭო უნდა დარწმუნდეს,**

---

<sup>762</sup> იქვე, პირველი მუხლი.

<sup>763</sup> CERD/C/GUY/CO/14, 2006 წლის 4 აპრილი,  
იხ., <<http://tb.ohchr.org/default.aspx?country=gy>> [01.08.2015].

რომ საჩივარი: ა) არ არის პოლიტიკურად მოტივირებული და მისი არსი შეესაბამება გაეროს ქარტიას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და ადამიანის უფლებების სფეროში არსებულ სხვა სამართლებრივ ინსტრუმენტებს; ბ) წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებების აღწერას სავარაუდო დარღვევის დასამტკიცებლად; გ) არ შეიცავს შეურაცხყოფელ გამონათქვამებს; დ) წარდგენილია უშუალო მსხვერპლის ან მსხვერპლთა ჯგუფის, ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედებენ; ე) არ ეფუძნება მხოლოდ მედიის საშუალებით გავრცელებულ ფაქტებს; ვ) არ შეეხება იმ დარღვევას, რაზეც გაეროს ერთ-ერთმა მექანიზმმა უკვე იმსჯელა; ზ) ამონურულია ეროვნული მექანიზმები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ/როცა მსგავსი მექანიზმები არის არაეფექტიანი ან არაგონივრულად ხანგრძლივი.<sup>764</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდების მიერ გასაჩივრების ამგვარი მექანიზმის გამოყენების სტატისტიკა საკმაოდ დაბალია. მაგალითად, გაეროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, 2012 წელს შესული ახალი საჩივრების რაოდენობა 159-ს არ აღემატებოდა, როდესაც გაეროს ეგიდით მიღებული კონვენციები 3 მილიარდზე მეტ ადამიანს ფარავს. შესაბამისად, თეორიულად, ამდენივე ადამიანს შეეძლო გაესაჩივრებინა სახელმწიფოს აქტი საბჭოში, თუმცა სტატისტიკა გაცილებით დაბალ მაჩვენებელს იძლევა.<sup>765</sup> ასევე, პარადოქსულია ის ფაქტი, რომ ყველაზე მეტი საჩივარი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის დარღვევისთვის შეტანილია ადამიანის უფლებათა კომისიაში კანადის (165), ავსტრალიის (133), ესპანეთის (119) წინააღმდეგ, როდესაც არცერთი საჩივარი არ ფიქსირდება ისეთი ქვეყნების წინააღმდეგ, როგორებიცაა, კონგო, ჩადი, ნიგერია, უგანდა, ელ სალვადორი. ამის მიზეზი, ბუნებრივია, მოსახლეობაში საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის

<sup>764</sup> ადამიანის უფლებათა საბჭოს 2007 წლის 18 ივნისის რეზოლუცია 5/1, 87-ე მუხლი.

<sup>765</sup> Individual Human Rights Complaints Handled by the UN: Few and Very Far Between,

ib., <[http://www.humanrightsvoces.org/EYEontheUN/un\\_101/facts/?p=54](http://www.humanrightsvoces.org/EYEontheUN/un_101/facts/?p=54)> [01.08.2015].

დაბალი დონეა, რაც, თავის მხრივ, ინდივიდების აქტიურობის დაბალ დონეს განაპირობებს.

მესამე მიმართულება, რომლითაც საბჭო ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი მექანიზმის ამუშავებას ცდილობს, სპეციალური მომხსენებლის ინსტიტუტია. მომხსენებლები პირადად სტუმრობენ რისკ-სახელმწიფოს, მანამდე კი ოფიციალური წერილით მიმართავენ შესაბამის მთავრობას, სადაც განუმარტავენ ვიზიტის მიზანსა და თემატურ არეალს, რაზეც სურთ დაკვირვება. ვიზიტის ბოლოს დგება ანგარიში კონკრეტულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის თაობაზე. 2006 წლიდან დღემდე, საბჭოში შემდეგი თემატური ჯგუფები მოქმედებს: მონობის თანამედროვე ფორმები; სუფთა წყლისა და სანიტარიის ხელმისაწვდომობა; კულტურული უფლებები; შეკრებებისა და მანიფესტაციის თავისუფლება; ქალთა მიმართ დისკრიმინაცია საკანონმდებლო დონესა და პრაქტიკაში; დემოკრატიული, თანასწორობაზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგი; ტრანსნაციონალური კომპანიები და სხვა ბიზნესერთეულები; ჯანსაღი გარემო; ხანდაზმული ადამიანების მიერ ადამიანის უფლებებით შეუზღუდავი სარგებლობა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.<sup>766</sup>

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო სახელმწიფოთა საყოველთაო ანგარიშების, ფიზიკურ პირთა ინდივიდუალური საჩივრებისა და სპეციალური მომხსენებლების მეშვეობით ცდილობს, ადამიანის უფლებათა დარღვევები თავიდან აირიდოს, ხოლო მათი არსებობის შემთხვევაში, სათანადო რეაგირება მოახდინოს.

უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს წესდებაზე დაფუძნებული მექანიზმები აღუსრულებელი დარჩებოდა, რომ არა კონკრეტული საერთაშორისო აქტების მონიტორინგის ორგანოები. **მონიტორინგის ორგანოების მიზანია, ფოკუსირება მოახდინონ კონკრეტულ აქტში აღწერილ უფლებებზე და მათი ეფექტიანი აღსრულება უზრუნველყონ.** მაგალითად, „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციას ჰყავს თავისივე მონიტორინგის ორგანო – ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, რომელიც წევრი სახელმწიფოების მიერ კონკრეტულად ამ კონვენციის

---

<sup>766</sup> ადამიანის უფლებათა საბჭოს 2007 წლის 18 ივნისის რეზოლუცია 5/1, მიღებულია, დანართი I; დამატებით იხ., <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/SP/Pages/Introduction.aspx> [01.08.2015].

შესრულებას ზედამხედველობს და მათ ანგარიშებს განიხილავს. სულ გაეროს სისტემაში მოქმედებს შემდეგი ათი, შესაბამის კონვენციებზე დაფუძნებული, მონიტორინგის ორგანო: 1. ადამიანის უფლებათა კომიტეტი (ზედამხედველობს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის აღსრულებას); 2. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი; 3. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი; 4. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი; 5. ნამების სანინალმდეგო კომიტეტი; 6. ნამების პრევენციის ქვეკომიტეტი; 7. ბავშვთა უფლებების კომიტეტი; 8. მიგრანტ მუშათა კომიტეტი; 9. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კომიტეტი; 10. იძულებით გაუჩინარებულ პირთა კომიტეტი.<sup>767</sup>

აღნიშნული კონვენციური ორგანოები დამოუკიდებელ ექსპერტთაგან შემდგარი კომიტეტებია. ექსპერტები ინიშნებიან 4 წლიანი ვადით ნევრი სახელმწიფოების მიერ. მათგან ექვსს (ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ნამების სანინალმდეგო, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და იძულებით გაუჩინარებულ პირთა კომიტეტები) ინდივიდუალური გასაჩივრების მექანიზმი აქვს. შესაბამისად, **ნებისმიერ ინდივიდს, რომელსაც მიაჩნია, რომ სახელმწიფომ მისი უფლება დაარღვია, შეუძლია საჩივრით მიმართოს შესაბამისი კონვენციის მონიტორინგ-კომიტეტს.** გარდა ამისა, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმი იცნობს სახელმწიფოთაშორისი დავების სისტემასაც, რომელიც მოქმედებს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, „რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“, „ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ნამების სანინალმდეგო და მიგრანტ მუშათა“ საერთაშორისო კონვენციებთან მიმართებით. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია, საკუთარი მოქალაქეების უფლებების მასობრივი დარღვევის ფონზე, შესაბამისი კონვენციის ზედამხედველ კომიტეტს მიმართოს და მეორე სახელმწიფოს მიერ არალეგიტიმური ქმედების შეწყვეტა მოითხოვოს, შესაბამისი კომპენსაციით. თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ სახელმწიფოები ერიდებიან საჯაროდ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ განაცხადის შეტანას და ცდილობენ, კონკრეტული ინ-

<sup>767</sup> <<http://www.ohchr.org/EN/HRBodies/Pages/TreatyBodies.aspx>> [01.08.2015].

დივიდის უფლებების დარღვევა ალტერნატიული, დიპლომატიური გზებით აღკვეთონ.

## 2. ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული მექანიზმები

გლობალური მექანიზმების პარალელურად, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ხელშესახები და ეფექტიანი მექანიზმები შეიმუშავეს რეგიონულ დონეზე ევროპაში, აზიაში, ამერიკისა და აფრიკის კონტინენტზე. ამ მხრივ, განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ევროპა, სადაც წამყვან ძალად მოიაზრება ევროსაბჭო, ევროკავშირი და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). სამივე ამ სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციას ადამიანის უფლებების დასაცავად საკუთარი მექანიზმი და ინსტრუმენტები აქვს. მათგან ყველაზე ძველია ევროპის საბჭოს 1950 წელს მიღებული „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ და „ევროპის სოციალური ქარტია“. ამჟამად ორგანიზაციის ეგიდით, დაარსდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და წამების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი რეგიონული მექანიზმი — ევროპული კომიტეტი წამებისა და არაადამიანური/დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის წინააღმდეგ. ევროპის საბჭოს დაფარვის არეალი, სხვა რეგიონულ მექანიზმებთან შედარებით, ყველაზე ფართოა (47 წევრი სახელმწიფოთი და დაახლოებით 800 მილიონიანი მოსახლეობით). სწორედ ამიტომ, **ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ორგანოს – სტრასბურგში განთავსებულ სასამართლოს, რომელიც განიხილავს როგორც ინდივიდუალურ, ისე სახელმწიფოთაშორის დავებს.** სასამართლო დაკომპლექტებულია თითოეული წევრი სახელმწიფოდან წარდგენილი მოსამართლეებისგან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევის ფაქტებს განიხილავს მას შემდეგ, რაც ინდივიდი ეროვნული გასაჩივრების მექანიზმებს ამონურავს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გარდა, ევროპის კონტინენტზე რეგიონულ მართლმსაჯულებას, ევროპის კავშირის მასშტაბით, ახორციელებს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო. სასამართლო ზედამხედველობს ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოების, კომისიისა და მინისტრთა საბჭოს, მიერ მიღებული აქტების კანონიერებას. როგორც წესი, სასა-

მართლო განიხილავს დავებს ისეთ თემებზე, როგორცაა: ვაჭრობა, ვალდებულებითი სამართალი, გარემოს დაცვა, ინტელექტუალური საკუთრებისა და მონოპოლიის საკითხები. სასამართლოს შეუძლია ევროკავშირის ქვეყნების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების გაუქმება იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტები ევროკავშირის სამართალს ეწინააღმდეგება. მართლმსაჯულების სასამართლო შედგება 28 მოსამართლისა (ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოდან ერთი მოსამართლე) და 9 გენერალური ადვოკატისაგან. მოსამართლეები ინიშნებიან 6 წლის ვადით და ვადის გასვლის შემდეგ ხელახლა დანიშნავს შესაძლებელია.<sup>768</sup> გენერალური ადვოკატები სასამართლოს სრულფასოვანი წევრები არიან და ისინი მოსამართლეების იდენტური სამართლებრივი სტატუსით სარგებლობენ. მათი ფუნქცია სასამართლოში განსახილველ საქმეზე წერილობითი ფორმით შეხედულების მომზადებაა.

ამერიკის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებები ორგანიზაცია „ამერიკულ სახელმწიფოთა გაერთიანების“ სახელით ხორციელდება.<sup>769</sup> მთავარი ინსტრუმენტებია: 1948 წლის ამერიკის დეკლარაცია „ადამიანთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“ და „ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენცია“.<sup>770</sup> პრაქტიკაში მათ იმპლემენტაციაზე კონტროლს კი ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია და ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო ახორციელებს.<sup>771</sup>

რაც შეეხება აფრიკულ სისტემას, აქ მოქმედებს რეგიონული ორგანიზაცია „აფრიკის კავშირი“<sup>772</sup>. აფრიკაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მთავარი დოკუმენტია „ადამიანთა და ხალხთა უფლებების შესახებ“ 1981 წლის აფრიკული ქარტია. მის იმპლემენტაციაზე მეთვალყურეობას კი ახორციელებს ადამიანთა და

<sup>768</sup> ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს წესდება, 2009 წლის 28 ივნისი, მე-13 მუხლი, დამატებითი ინფორმაციისთვის იხ., <[http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2\\_7024/](http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2_7024/)> [01.08.2015].

<sup>769</sup> იხ., <<http://www.oas.org/en/default.asp>> [01.08.2015].

<sup>770</sup> ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, No.17955, მიღებულია 1978 წლის 18 ივლისს.

<sup>771</sup> დამატებითი ინფორმაცია იხ., <<http://www.oas.org/en/iachr/>>, <<http://www.corteidh.or.cr/index.php/en>> [01.08.2015].

<sup>772</sup> აფრიკის კავშირზე დამატებითი ინფორმაცია იხ., <<http://www.au.int/en/>> [01.08.2015].

ხალხთა უფლებების თაობაზე აფრიკული კომისია და აფრიკის მართლმსაჯულების სასამართლო.

არაბულმა ქვეყნებმა, არაბული სამყაროს ღირებულებებისა და ერთიანობის დასაცავად, მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ არაბული ლიგა დააარსეს, თუმცა დაახლოებით 70 წლიანი არსებობის პერიოდში, ამ ლიგამ ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვის ფუნქცია ვერ შეასრულა. მთელი ამ ხნის მანძილზე, მსოფლიომ არაბულ სამყაროში არაერთი დიქტატორის აღზევება იხილა. ამას მოჰყვა ე.წ. „არაბული გაზაფხული“, როდესაც ხალხში აგორებულმა საპროტესტო ტალღის მასამ რიგ არაბულ ქვეყნებში პოლიტიკური რეფორმის პროცესი დააჩქარა. არაბული ლიგა აქტიურად თანამშრომლობდა გაეროს უშიშროების საბჭოსთან ლიბიის კრიზისისას დიქტატორ გადაფის რეჟიმისგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მიზნით.<sup>773</sup> იმავდროულად, არაბულ ლიგას ხშირად აკრიტიკებენ სირიაში, იემენსა და ბაჰრეინში მიმდინარე ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებზე რეაგირების არქონის გამო.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციაა. მისი წევრია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის 10 სახელმწიფო. ორგანიზაციამ 2009 წელს ადამიანის უფლებათა კომისია დააარსა, 2012 წლის ნოემბერს კი მიიღო „ადამიანის უფლებათა რეგიონული დეკლარაცია“. თუმცა დეკლარაციის მიღებას კრიტიკის გარეშე არ ჩაუვლია. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისარმა, *Amnesty International*-მა, *Human Rights Watch*-მა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ერთხმად გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ დეკლარაცია არ შეიცავს მთელ რიგ მუხლებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით (მაგალითად, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, იძულებითი გაუჩინარების აკრძალვა).<sup>774</sup> გარდა ამისა, გამოითქვა კრიტიკა დეკლარაციის მე-7 მუხ-

<sup>773</sup> გაეროს უშიშროების საბჭოს 2011 წლის 17 მარტის რეზოლუცია №1973 (2011).

<sup>774</sup> Amnesty International Public Statement, გამოქვეყნდა 2012 წლის 15 ნოემბერს, იხ.,

<[http://www.amnesty.org/en/library/asset/IOR64/005/2012/en/7eacdb53-76a6-49d8-9466\\_dc7fdaeccec7/ior640052012en.pdf](http://www.amnesty.org/en/library/asset/IOR64/005/2012/en/7eacdb53-76a6-49d8-9466_dc7fdaeccec7/ior640052012en.pdf)> [20.09.2015]; Civil Society Denounces Adoption of Flawed ASEAN Human Rights Declaration, გამოქვეყნებულია 2012

ლთან მიმართებით, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვას რეგიონულ და კულტურულ კონტექსტში განიხილავს. ამით დეკლარაცია რიგი ფუნდამენტური უფლებების (მაგალითად, ქალთა უფლებები) დაცვისას „ღია კარს“ ტოვებს იმ შემთხვევაში, თუ ეს რეგიონში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და კულტურულ დოგმებს ეწინააღმდეგება. ბუნებრივია, მსგავსი კულტურული რელატივიზმი ადამიანის უფლებების თანამედროვე დამცველებისთვის სრულიად მიუღებელია.

ზემოთ განხილულ სხვადასხვა მექანიზმს, მართალია, რეგიონული თავისებურებები ახასიათებთ, თუმცა სამივე სისტემისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: 1. **ეროვნულ მექანიზმებთან მიმართებით, სუბსიდიური ხასიათი; რეგიონული მექანიზმები განიხილება როგორც დამატებითი და არა ეროვნული მექანიზმის ჩამნაცვლებელი ორგანო;** 2. **წევრ სახელმწიფოთა მიერ ნომინირებული კადრებით დაკომპლექტებული სასამართლო ორგანო, მაღალი ობიექტურობისა და პროფესიონალიზმის სტანდარტებით;** 3. **როგორც პრევენციული, ისე დაცვის ღონისძიებების გატარება: ინდივიდუალური და სახელმწიფოთაშორისი დავების განხილვა; მბოჭავი ძალის მქონე გადაწყვეტილებებით ეროვნული ინსტიტუტების იძულება, დაიცვან ადამიანის უფლებები; ვიზიტები სახელმწიფოებში, სათანადო რეაგირების მოხდენის მიზნით; საჯარო სასამართლო განხილვები.**

### 3. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმები

სახელმწიფოები, უპირველეს ყოვლისა, თავად არიან პასუხისმგებლები, დაიცვან თავიანთ ტერიტორიაზე მყოფი ინდივიდების უფლებები. დაცვაში მოიაზრება როგორც უფლებების არდარღვევის, ისე მათი შელახვის პრევენციისა და აღკვეთის ვალდებულება. შესაბამისად, ნებისმიერი საერთაშორისო ინსტრუმენტი თუ სასამართლო ორგანო ეროვნული მექანიზმის სუბსიდიარა

---

წლის 19 ნოემბერს, იხ., <<http://www.hrw.org/news/2012/11/19/civil-society-denounces-adoption-flawed-asean-human-rights-declaration>> [20.09.2015]; <<http://www.fidh.org/en/asia/asean/Civil-society-rejects-flawed-ASEAN-12429>> [20.09.2015].

და არა ჩამნაცვლებელი. ამიტომაც პასუხისმგებლობა უნინარესად სწორედ ეროვნულ ინსტიტუტებზე მოდის. ისინი სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში განსხვავდება, თუმცა **უმეტესობას ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით შემდეგი ორგანოების გამოყოფა ახასიათებს: სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო და ა.შ.**

### 3.1. სახალხო დამცველი (ომბუდსმენი)

სახალხო დამცველის ინსტიტუტი საკმაოდ ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევა ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. სახალხო დამცველს, ხოლო როგორც რიგ შემთხვევაში მას უწოდებენ – ომბუდსმენს, ჩვეულებრივ საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლება ნიშნავს. გამონაკლისის სახით შესაძლებელია ომბუდსმენის პოსტზე რამდენიმე პირის არსებობაც. მაგალითად ახალ ზელანდიას ემსახურება 3 ომბუდსმენი, ბელგიას – 2, სამხრეთ კორეას კი – 10. *მათ ყველას აერთიანებთ მანდატი – რეაგირება მოახდინონ საჯარო უწყებების მიერ პირთა უფლებების დარღვევაზე. ასევე, ომბუდსმენის ოფისი რეაგირებს იმ შემთხვევაში, თუ უფლების დარღვევა კერძო პირისგან მომდინარეობდა, მაგრამ სახელმწიფომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული პრევენციისა და გამოძიების ფუნქცია, რითაც, ფაქტობრივად, უფლებადამრღვევს „შეუერთდა“. ომბუდსმენის ზოგადი მიზანია, საჯარო მმართველობის გაუმჯობესება და ხალხის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდა. როგორც კანადის უმაღლესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, „ომბუდსმენს, მინიჭებული ძალაუფლებით, ევალება კონტროლი განახორციელოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაჭრაშიც სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა“<sup>775</sup>.*

*სახალხო დამცველის ინსტიტუტი პირველად შვედეთში შეიქმნა 1809 წელს და 1960 წლამდე მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნებში არსებობდა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ, ეს ინსტიტუტი დღესაც ყველაზე ძლიერად შვედეთსა და ნორვეგიაშია განვითარებული.*

<sup>775</sup> B.C. Development Corp. v. Friedman, 1985, 193 (S.C.C.), 206.

ამას ხელს უწყობს ის ფართო მანდატი, რომლითაც ომბუდსმენები სარგებლობენ. მაგალითად, ომბუდსმენს შეუძლია, თვალი ადევნოს სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრაციულ საქმიანობას, დააკვირდეს საქმეთა გადატვირთულობის ხარისხს და შეისწავლოს საქმეთა განხილვის გაუმართლებლად გაჭიანურების მიზეზები.<sup>776</sup> უფრო მეტიც, სახალხო დამცველს უფლება აქვს, სასამართლო გადწყვეტილებების შინაარსზეც გამოთქვას პროტესტი, როდესაც საქმე ეხება უხეშ სამართლებრივ შეცდომას (მაგალითად, ისეთი სასჯელის გამოყენება, რომელიც კანონის მიხედვით უკვე გაუქმებულია ან შემცირებული).

**დღესდღეობით, სახალხო დამცველის ინსტიტუტის კლასიკურ და ჰიბრიდულ მოდელებს განასხვავებენ.** უნდა აღინიშნოს, რომ ჰიბრიდულსა და კლასიკურს შორის დიფერენციაცია პირობითია, მხოლოდ ჩამოყალიბების ფორმაზე აისახება, მიზანი კი ორივე შემთხვევაში ადამიანის უფლებების დაცვაა. **ჰიბრიდული ომბუდსმენის აპარატი ძირითადად ადამიანის უფლებათა კომისიების სახითაა გავრცელებული, რომლებიც ეროვნულ დონეზეა დაარსებული და როგორც გაერო განმარტავს, მათი მიზანი ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა და დაცვა.**<sup>777</sup> მსგავსი კომისიები არსებობს ესპანეთში, ფინეთში, არგენტინაში, დომინიკის რესპუბლიკაში და ა.შ. **უფრო ხშირად კი სახალხო დამცველის ინსტიტუტი კლასიკური ფორმითაა წარმოდგენილი.** ასეთი ტიპის სახალხო დამცველის ოფისი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას ამზადებს პერიოდულ ანგარიშს, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ნეგატიურ ასპექტებსა და სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით კვლავ არსებულ გამოწვევებზე. გარდა პერიოდული ანგარიშებისა, ომბუდსმენის ოფისი, როგორც წესი, იყენებს ინდივიდუალური საჩივრების მექანიზმსაც, ეხმარება რა უფლებაშელახულ ინდივიდს, მიანვდინოს ხმა შესაბამის საჯარო დაწესებულებას. სახალხო დამცველი დიდ როლს ასრულებს პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობის კონტროლის პროცესშიც. ამ სისტემის ბუნებივად ჩაკეტილი ხასიათიდან გამომდინარე, მარტივი გარემოა შექმნილი ძალაუფლების ბოროტად გამ-

<sup>776</sup> Eklundh C., *The Swedish Parliamentary Ombudsman System*, Leiden, 2004, 423.

<sup>777</sup> National Human Rights Institutions: History, Principles, Roles and Responsibilities, 2010; იხ., <[http://www.ohchr.org/Documents/Publications/PTS-4Rev1-NHRI\\_en.pdf](http://www.ohchr.org/Documents/Publications/PTS-4Rev1-NHRI_en.pdf)> [20.09.2015].

ოყენებისა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების შელახვისთვის. სწორედ ამიტომ, ომბუდსმენს, როგორც წესი, უფლება აქვს, ეწვიოს პენიტენციურ დაწესებულებებს წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველი რიგ შემთხვევებში ასრულებს გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის“ ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას.

სახალხო დამცველის შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო რეპუტაციაზე, ამიტომ მათ, დამოუკიდებელი ფუნქციონირების პირობებში, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ.

### 3.2. საერთო სასამართლოები

ნებისმიერ სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლება, პირველ ყოვლისა, სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის ფორუმად აღიქმება. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი გაგებით ძირითადი უფლების დარღვევაზე დავა ხშირად საერთო სასამართლოებში არ მიმდინარეობს, ნებისმიერი ტიპისა და კატეგორიის საქმის განხილვა სწორედ ძირითადი უფლებებით შეუზღუდავ დაცვას ეფუძნება.

ამასთან, საკმარისი როდია სასამართლოს, როგორც ფორმალური ინსტიტუტის, დაარსება. მნიშვნელოვანია თავად სასამართლოს ფუნქციონირების ხარისხიც. **ყოველი ადამიანის საყოველთაო და ძირითადი უფლებაა, განსჯილ იქნეს კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.** ამასთან, მნიშვნელოვანია ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმის არსებობა, რაც, როგორც წესი, სამსაფეხურიანი ინსტანციის სახით არსებობს. **სასამართლოსადმი მიმართვის უფლება იმას გულისხმობს, რომ დარღვეული უფლების**

აღდგენის მოთხოვნით სასამართლოსადმი ან ტრიბუნალისადმი მიმართვაში არავინ უნდა იყოს შეზღუდული კანონით, ადმინისტრაციული პროცედურებითა თუ მატერიალური რესურსებით. ამასი, ბუნებრივია, არ მოიაზრება ის გონივრული დასაშვებობის კრიტერიუმები, რასაც სამართლებრივი სისტემა აწესებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეს კრიტერიუმები უმეტესად ამოწმებს, რომ საჩივარი ნამდვილად დაზარალებულის ან მათი წარმომადგენლის მიერაა აღძრული, გონივრული ხანდაზმულობის ვადა არ გასულა და იგი არაა ანონიმური. მსგავსი ბარიერი გამართლებულია თავად სასამართლოს ეფექტიანი ფუნქციონირების მოტივით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უაღრესად გადაიტვირთებოდა, რის გამოც განხილვები წლობით გაჭიანურდებოდა. თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია დასაშვებობის კრიტერიუმები, რაც ნებისმიერ ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს ნებისმიერი ტიპის გადაწყვეტილება გაასაჩივროს. ერთადერთი შეზღუდვა, რასაც ფრანგული სისტემა საკასაციო ეტაპს უწესებს, არის მხოლოდ სამართლის და არა ფაქტების შეფასება.<sup>778</sup> თავისებურებით ხასიათდება შვედეთის,<sup>779</sup> ფინეთისა<sup>780</sup> და გაერთიანებული სამეფოს<sup>781</sup> საკასაციო სასამართლოები, სადაც საკასაციო გასაჩივრება საჭიროებს ე.წ. „ნებართვას“ სააპელაციო სასამართლოსგან. შესაბამისად, დასაშვებობას აფასებს არა თავად საკასაციო სასამართლო, როგორც, მაგალითად, საქართველოშია, არამედ ქვედა ინსტანცია – სააპელაციო სასამართლო. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ჩვეულებითი სამართლის ქვეყნებში. ჩვეულებითი სამართალი არის ე.წ. დაუნერვლი სამართალი, რომელიც იქმნება და ყალიბდება არა შესაბამისი საკანონმდებლო პროცესის, არამედ მუდმივი ჩვეულებების შედეგად.<sup>782</sup> ამის მაგალითია გაერთიანებული სამეფო, სადაც უმაღლესი სასამართლო არა მარტო სამართლის პრაქტიკის

<sup>778</sup> საფრანგეთის რესპუბლიკის საკასაციო კანონმდებლობასა და პროცედურაზე

იხ., <[http://www.courdecassation.fr/about\\_the\\_court\\_9256.html](http://www.courdecassation.fr/about_the_court_9256.html)> [25.09.2015].

<sup>779</sup> შვედეთის საფეოს სასამართლო საპროცესო კოდექსის 54-ე კარი.

<sup>780</sup> ფინეთის რესპუბლიკის სასამართლო საპროცესო კოდექსის 30-ე კარი.

<sup>781</sup> „უმაღლესი სასამართლოს აქტის“ მე-16 მუხლი.

<sup>782</sup> განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2012, 589.

ჩამოყალიბებაში, არამედ, ზოგ შემთხვევაში, მთლიანად სამართლებრივი საკითხის ახლებურად მონესრიგებში თამაშობს ცენტრალურ როლს.

*ეროვნულ დონეზე სასამართლოების მიერ უფლებების დაცვას თავისი უპირატესობები აქვს: მარტივია ადგილზე ჩაატარო შესაბამისი საგამოძიებო ღონისძიებები, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვო დამატებითი მასალები; ბ) ნაკლები დროა გასული სავარაუდო დარღვევიდან, რაც ფაქტების მეტი სიზუსტით შემოწმების საშუალებას იძლევა; გ) ეროვნულ დონეზე, შიდა სპეციფიკის გათვალისწინებით, ნორმის განმარტება უფრო ადეკვატურად ხდება.*

შესაბამისად, დემოკრატიულ სისტემაში ეროვნულ დონეზე ფუნქციონირებად სასამართლოს საერთაშორისო დონეზე არსებული ტრიბუნალები თუ სასამართლოები კონკურენციას ვერ უწევენ. ეს უკანასკნელნი ეროვნულ სასამართლოს მხოლოდ მაშინ ანაცვლებენ, როდესაც სამართლიანი სასამართლო შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არ არსებობს ან ვერ ფუნქციონირებს.

### 3.3. საკონსტიტუციო სასამართლო

გარდა საერთო სასამართლოებისა, ქვეყნების უმეტესობა იცნობს, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუტს, რომელიც კონსტიტუციიდან გამომდინარე დავებზე ფოკუსირდება. **საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ფუნქციაა, შეამოწმოს კონსტიტუციასთან შიდა კანონმდებლობის ნორმების შესაბამისობა.** როგორც წესი, მისი გადანყვეტილება ნორმის არაკონსტიტუციურად დადგენის შემთხვევაში, ნორმის ავტომატურად ძალადაკარგულად ცნობას იწვევს. იმის გამო, რომ ძირითად კანონში განერილი ზოგადი ნორმების საფუძველს სწორედ ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს, საკონსტიტუციო სასამართლოს ხშირად ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დარღვევის აღკვეთის კუთხით ყველაზე მძლავრ ბერკეტად მიიჩნევა. ამ სფეროში წამყვანი როლის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს რიგი სამართლებრივი სისტემები დამატებითი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმსაც ანიჭებენ. ასე, მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელია საერთო სასამართლოების ფარგლებში მიღებული

გადანყვეტილების გასაჩივრებაც, ანუ თუკი სასამართლოს გად-  
ანყვეტილება ადამიანის ძირითად უფლებებს არღვევს, იგი სა-  
კონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ხდება.<sup>783</sup> ამგვარი სისტემა  
დამახასიათებელია, აგრეთვე, ესპანეთის სამეფოსთვის, სადაც  
საერთო სასამართლოებზე საკონსტიტუციო კონტროლს სწორედ  
საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს.<sup>784</sup>

განსხვავებული სისტემა მოქმედებს აშშ-ში, სადაც სა-  
კონსტიტუციო სასამართლო ცალკე ინსტიტუტის სახით არ  
არსებობს. ნორმების კონსტიტუციურობასთან შესაბამისობის  
დადგენის უფლებამოსილება უმაღლესი სასამართლოს ხელშია. ამ  
გზით იგი ევროპული საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებსაც  
ითავსებს. უმაღლესი სასამართლოს საქმიანობა მეტწილად დის-  
კრეციულია, წელიწადში საშუალოდ 10 000 საკასაციო საჩივრის  
განხილვა შეუძლებელია, ამიტომ 1925 წლის „სასამართლო  
ხელისუფლების შესახებ“ აქტით დადგინდა, რომ იგი განიხილავს  
გადანყვეტილებებს *writ of certiorari*-ზე დაყრნობით. ეს იმას ნიშნავს,  
რომ გასაჩივრებაზე თანხმობა (*writ*) გაიცემა ქვედა ინსტანციის  
სასამართლოში. წლიურად საშუალოდ 9 ან 10 ათასი შემოსული საქ-  
მიდან უმაღლეს სასამართლოში განიხილება 200-ზე ნაკლები საქმე.  
მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კანონმდებლობით გან-  
საზღვრული კასაციის დასაშვებობის წესები, აშშ-ის უმაღლესი  
სასამართლოს მიერ საშუალოდ წლიურად პეტიციათა მხოლოდ 1%  
განიხილება.

### 3.4. ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ეროვნული მექანიზმები

ტრადიციული ინსტიტუტების გარდა, ადამიანის უფლებების  
დაცვა ეროვნულ დონეზე სხვა არაერთი შიდა მექანიზმით ხორ-  
ციელდება. ამაში ერთიანდება როგორც საკანონმდებლო ორგანოს

<sup>783</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მუხლი  
93(4)(ა): „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს საქმეებს  
კონსტიტუციური საჩივრების შესახებ, რომლის შეტანაც შეუძლია ნების-  
მიერ პირს, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი რომელიმე ძირითადი უფლება  
ან მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით, 33-ე, 38-ე, 101-ე, და 104-ე მუხლებით დად-  
გენილი უფლებები დარღვეულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ“.

<sup>784</sup> შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტ-  
კომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქ-  
ტორობით, თბილისი, 2003, 67.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე არსებული ფორუმი, რიგ შემთხვევაში, სწორედ ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ყოველწლიური სამოქმედო გეგმით. ასევე, ხშირია უწყებათაშორისი საბჭოების შექმნა, რომლებიც კონკრეტულ პრობლემურ უფლებაზე ფოკუსირდებიან, შეიმუშავენ დარღვევის აღმოფხვრის კონკრეტულ გეგმას და მას რელევანტური უწყებების ჩართულობით ახორციელებენ (მაგალითად, წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭო; ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭო, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭო და ა.შ). ეს უმეტესად აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე ხდება და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერითაც სარგებლობს.

#### 4. დოქტრინა „პასუხისმგებლობა, დაცვა“

ბოლო დროს საერთაშორისო თანამეგობრობამ აქტიურად დაიწყო ფიქრი იმ შემთხვევებზე, როდესაც სახელმწიფოს კონკრეტული მმართველი თუ მთლიანად პოლიტიკური რეჟიმი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ადამიანის უფლებების მასობრივ და უხეშ დარღვევებს ახორციელებს. ისმის კითხვა: საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა აიღოს თუ არა ვალდებულება კონკრეტულ სახელმწიფოში მცხოვრები ინდივიდების დასაცავად, ამავე სახელმწიფოს სუვერენიტეტის უგულებელყოფითა და მასში შეჭრით?

ეს შეკითხვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა XX და XXI საუკუნების მიჯნაზე რუანდაში, სრებრენიცაში, დარფურში, სუდანში, კონგოსა თუ კამბოჯაში განხორციელებული გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ფონზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო რეჟიმის მიზანმიმართულ პოლიტიკას კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის გასანადგურებლად ან სახელმწიფოს უუნარობას, აღეკვეთა ფართომასშტაბიანი შეტევა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ კონკრეტულ პირთა დაჯგუფებების წინააღმდეგ.

გაეროს წესდება, რომელიც გაეროს წევრი სახელმწიფოებისთვის ერთგვარ კონსტიტუციას წარმოადგენს, ძალის გამოყენების საფუძვლებს მკაცრად განსაზღვრავს. ამისთვის წესდება 2 შესაძლებლობას აწესებს: 1. 42-ე მუხლი – გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სამხედრო ძალების მობილიზებით სამხედრო ძალის

გამოყენება, თუ უფრო მშვიდობიანი ალტერნატიული საშუალებები ამონურულია და 2. თავდაცვის უფლება – 51-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერ სახელმწიფოს, მის წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული შეტაკების საპასუხოდ, აქვს იმნუთიერი და პროპორციული თავდაცვის უფლება, თუმცა შემდგომში კონტროლს კვლავ უშიშროების საბჭო იღებს. ძალის ლეგიტიმური გამოყენების უფლება გაეროს მეტნაკლებად „უზურპირებული“ აქვს. სამსახუროდ, უახლოეს წარსულში მომხდარმა კონფლიქტებმა ცხადყო ამ მექანიზმის ნაკლები ეფექტიანობა, განსაკუთრებით უშიშროების საბჭოს მუდმივი 5 წევრი სახელმწიფოს ვეტოს უფლების გამო. სწორედ ამან უბიძგა „პასუხისმგებლობა, დაიცვა“ დოქტრინის ჩამოყალიბებას.

2001 წლიდან მსოფლიო თანამეგობრობამ დაიწყო ფიქრი, როგორ დაებალანსებინა, ერთი მხრივ, სახელმწიფო სუვერენიტეტი, მეორე მხრივ კი, ადამიანის სიცოცხლის უფლება. „საერთაშორისო სამართლის კომისიამ ინტერვეციასა და სახელმწიფო სუვერენიტეტზე“ (ICISS) მოამზადა კვლევა-ანგარიში, რომელშიც სწორედ ამ დილემას შეეხო. ანგარიშმა ყურადღება გაამახვილა 2 ასპექტზე: 1. გაეროს წესდების მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო, როგორც დამოუკიდებელი სუვერენი, თავად არის პასუხისმგებელი მისსავე ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციასა და აღკვეთაზე და 2. იმ შემთხვევაში, თუ/როცა ადგილი აქვს ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიან და უხეშ დარღვევებს, ხოლო სახელმწიფოს არ სურს ან არ შეუძლია ისინი აღკვეთოს, პასუხისმგებლობა საერთაშორისო თანამეგობრობაზე გადადის.<sup>785</sup> შესაბამისად, ანგარიში უშვებს სხვა სახელმწიფოს საზღვრების დარღვევის შესაძლებლობას, როდესაც ამ უკანასკნელში ადამიანის უფლებები მასობრივად ირღვევა.

ამ კონცეფციამ თავიდანვე მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა იმის გამო, რომ იგი ცხადად ეწინააღმდეგება გაეროს წესდებას. თუმცა როგორც სხვა ყველა სამართლებრივი დოკუმენტი, გაეროს წესდებაც ე.წ. „ცოცხალი ხეა“. იმისათვის, რომ კონკრეტულმა სამართლებრივმა დანაწესმა შეასრულოს ეფექტიანი ნორმის ფუნქცია

---

<sup>785</sup> Implementing the responsibility to protect: Report of the Secretary-General, 2009 წლის 12 იანვარი; იხ.,

[http://www.un.org/en/ga/search/view\\_doc.asp?symbol=A/63/677](http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/63/677) [25.09.2015].

და რეალურად დაამყაროს წესრიგი, საჭიროა, იგი საზოგადოების განვითარების ახალ ტენდენციებზე იყოს მორგებული. ამ მხრივ კი, რუანდასა და დარფურში გაეროს უმოქმედობამ, სამშვიდობოების წარგზავნის მიუხედავად, ნათელი გახადა უფრო „ბასრი“ მექანიზმის არსებობის აუცილებლობა.

**ამ დოქტრინას დღეს ჰუმანიტარული ინტერვენციის სახელითაც მოიხსენიებენ, თუმცა სამართლებრივ დოქტრინაში ჯერ ვერ დამკვიდრდა. ამის მიზეზია ძალაუფლების მქონე სახელმწიფოთა მიერ ამ ძალაუფლებისვე ბოროტად გამოყენების საშიშროება, სხვა სახელმწიფოში მცხოვრებთა უფლებების დაცვის მოტივით. ამის მაგალითი იყო ნატოს მიერ იუგოსლავიის ტერიტორიაზე სამხედრო ინტერვენცია 1999 წელს, რასაც სამოქალაქო მსხვერპლიც ახლდა თან. ჰუმანიტარულ ინტერვენციას იყენებდა არგუმენტად, ასევე, რუსეთის ფედერაცია 2008 წელს საქართველოში შეჭრისას.**

ამ ეტაპზე, საერთაშორისო თანამეგობრობა კვლავ კრიტიკით ხვდება გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით გამოყენებულ ნებისმიერ სამხედრო ინტერვენციას. შესაბამისად, ჰუმანიტარული მიზნებისთვის გამოყენებული ძალაც არალეგიტიმურ ძალად კვალიფიცირდება. მსჯელობა, კრიტიკა ამ საკითხზე კვლავ გრძელდება.

## თავი XIII. მოქალაქეობა

### 1. მოქალაქეობის არსი და მისი ისტორიული განვითარება

მოქალაქეობა ეს არის ორმხრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და მის მოქალაქეს შორის, რომელიც ორივე სუბიექტს უფლებებითა და ვალდებულებებით ალჭურავს.<sup>786</sup> მოქალაქეობა მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, როდესაც ორმხრივ ნებას ეფუძნება და შესაბამისად, ძალდატანება სამართლებრივი სტატუსის ბათილობას იწვევს.<sup>787</sup> იგი არც სახელმწიფოს ტერიტორიით და არც დროით იზღუდება<sup>788</sup>, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეობიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები შენარჩუნებულია ინდივიდის საცხოვრებელი ადგილისა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სხვა ქვეყანაში ცხოვრების მიუხედავად. მოქალაქეობა შეიძლება განხილული იქნეს როგორც სახელმწიფოსგან მინიჭებული სამართლებრივი პრივილეგია, რომელიც მოქალაქეს სხვა ქვეყნის მოქალაქისგან ან მოქალაქეობის არმქონე პირისაგან განასხვავებს.<sup>789</sup> ლიბერალურ დემოკრატიებში მოქალაქეობა ინდივიდს ანიჭებს როგორც პასიურ, ისე აქტიურ საარჩევნო უფლებას, პოლიტიკურ აქტივობებში თავისუფლად მონაწილეობის შესაძლებლობას, თუმცა ავალდებულებს, გადაიხადოს გადასახადები და მოიხადოს სამხედრო ვალდებულება (მსგავსი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში).<sup>790</sup> სწორედ მოქალაქეები არიან ის პირები, რომლებიც სახელმწიფოში სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებს ფლობენ. ამავე

---

<sup>786</sup> გეგენავა გ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 405.

<sup>787</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 32.

<sup>788</sup> გეგენავა გ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 405.

<sup>789</sup> ლორია ა., ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში (მოქალაქეობის საკითხები), თბილისი, 2009, 36.

<sup>790</sup> Howard M.M., Comparative Citizenship: An Agenda for Cross-National Research, Perspectives on Politics, Vol.4, No.3, 2016, 444.

დროულად, სახელმწიფო იცავს მოქალაქეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ<sup>791</sup>.

ჯერ კიდევ რომის სამართლის მიხედვით, მოქალაქე იყო პირი, რომელსაც შეეძლო კანონის შესაბამისად ემოქმედა და კანონის მიერ ყოფილიყო დაცული.<sup>792</sup> თანამედროვე შეხედულებით კი, როგორც უკვე აღინიშნა, მოქალაქეობა ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაა, რომელიც ორმხრივი უფლებებისა და ვალდებულებების არსებობას ითვალისწინებს.<sup>793</sup> **მოქალაქეობა სამოქალაქო თანასწორობის მდგომარეობაა, რა დროსაც ერთნაირი უფლებებითა და ვალდებულებებით აღჭურვილი მოქალაქეები თანაბარ საწყისზე წყვეტენ სოციალური თანამშრომლობის პირობებს.**<sup>794</sup> შესაბამისად, მოქალაქეობის ინსტიტუტისთვის დამახასიათებელია სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი: 1. პოლიტიკური საზოგადოების წევრობა, 2. ასეთ წევრობასთან დაკავშირებული კოლექტიური უფლებები/ვალდებულებები და 3. საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობა<sup>795</sup>.

მოქალაქეობა უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ინსტიტუტია, რადგან იგი სახელმწიფოში კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა და თავისუფლებათა სრული პაკეტით სარგებლობის წინაპირობაა.<sup>796</sup> მის დიდ მნიშვნელობას ჯერ კიდევ არისტოტელე უსვამდა ხაზს, რომელიც აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო მოქალაქეებისგან შედგება და სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვის ეწოდება „მოქალაქე“.<sup>797</sup> გლობალიზაციის ერაშიც კი იმის დადგენა, თუ ვინაა კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქე ან როგორ უნდა მოხდეს მოქალაქეობის მოპოვება, კონკრეტული სახელმწიფოს სუ-

---

<sup>791</sup> ლორია ა., ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში (მოქალაქეობის საკითხები), თბილისი, 2009, 36.

<sup>792</sup> Shachar A., Citizenship, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfield and A. Sajó, Oxford, 2012, 1005.

<sup>793</sup> იქვე, 1004.

<sup>794</sup> Bellamy R., Citizenship: A Very Short Introduction, New York, 2008, 17.

<sup>795</sup> იქვე, 12.

<sup>796</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 32.

<sup>797</sup> Howard M.M., Comparative Citizenship: An Agenda for Cross-National Research, Perspectives on Politics, Vol.4., No.3, 2016.

ვერენულ უფლებამოსილებად მიიჩნევა.<sup>798</sup> თუმცა, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ძველად გავრცელებული და დღემდე დამკვიდრებული აზრი, საჯარო წესრიგის საბაზით ქვეყანაში მცხოვრებ პირებს შორის უფლებრივი საზღვრის დაწესებისა და აღნიშნულ პროცესში სახელმწიფოს სრული დისკრეციის შესახებ, დემოკრატიისა და სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ გაგებას ეწინააღმდეგება.<sup>799</sup>

ისტორიულად პოლიტიკური საზოგადოების წევრობისგან გარიყული იყო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც რასის, სქესის, განათლების, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო არაკვალიფიციურად ან მეორეხარისხოვნად მიიჩნეოდა.<sup>800</sup> მოქალაქეობა უკავშირდებოდა პოლიტიკური საზოგადოების წევრობის პრივილეგიას, რომლის მეშვეობითაც ინდივიდები საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად სოციალური ცხოვრების მომწესრიგებელი გადწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობდნენ.<sup>801</sup> ზოგიერთი ავტორის აზრით, მოქალაქეობა სათავეს ჯერ კიდევ შუმერებიდან იღებს, სადაც ერთ-ერთ ქალაქში მეფე საომარი მოქმედებების დაწყებაზე თანხმობას უხუცესთა საბჭოსა და ქალაქის მეომარ მამაკაცთა საბჭოსგან იღებდა.<sup>802</sup> უფრო დახვეწილ სახეს მოქალაქეობის ინსტიტუტი ათენსა და რომში იღებს. ანტიკურ საბერძნეთში პირის სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავდა ინდივიდის რასა, სქესი და სოციალური კუთვნილება: მოქალაქედ ითვლებოდა ათენის მოქალაქეების ოჯახში დაბადებული 20 წელზე მეტი ასაკის მამაკაცი, რომელიც იარაღს ფლობდა და იყო ბრძოლისუნარიანი მებრძოლი, ასევე სხვათა (უფრო კონკრეტულად კი მონების) ბატონი.<sup>803</sup> თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეობის მოპოვების წინაპირობებთან დაკავშირებით ერთიანი სისტემა მაშინაც კი არ

<sup>798</sup> Shachar A., *Citizenship*, *The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law*, Edited by M. Rosenfield and A. Sajó, Oxford, 2012, 1005.

<sup>799</sup> Böcker T., Thränhardt D., *The Institutional Setting of Naturalization and Multiple Citizenship: A Comparison of German and Dutch Policies*, in: *Of States, Rights and Social Closure, Governing Migration and Citizenship*, Edited by O. Schmidtke and S. Ozcurumez, New York, 2008, 135.

<sup>800</sup> Bellamy R., *Citizenship: A Very Short Introduction*, New York, 2008, 12.

<sup>801</sup> იქვე, 1.

<sup>802</sup> ლორია ა., *ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში (მოქალაქეობის საკითხები)*, თბილისი, 2009, 18.

<sup>803</sup> Bellamy R., *Citizenship: A Very Short Introduction*, New York, 2008, 31.

არსებობდა.<sup>804</sup> რაც შეეხება რომს, მოქალაქეობის მოპოვების მთავარ საფუძველს აქაც რომის მოქალაქეების ოჯახში დაბადება წარმოადგენდა, სრულწლოვანების მიღწევის წინაპირობით.<sup>805</sup> ქრ.შ.-დან III საუკუნეში, იმპერატორ კარაკალას ეპოქაში რომაელებმა მოქალაქის სტატუსის მქონე პირთა წრე გააფართოვეს და იმპერიის პერიოდში მას დაპყრობილ ხალხებსაც ანიჭებდნენ.<sup>806</sup> რომის მოქალაქის სტატუსის მიღების შესაძლებლობა გათავისუფლებულ მონასაც ჰქონდა, თუმცა მისი უფლებები, სხვა მოქალაქეებთან შედარებით, შეზღუდული იყო ტრიბის (ოლქის) კრებაში მონაწილეობით.<sup>807</sup> მოქალაქეობის ინსტიტუტის დამკვიდრება ევროპის დანარჩენ ქვეყნებში შუა საკუნეებში მოხდა<sup>808</sup> და ფეოდალური ქალაქ-რესპუბლიკების წარმოშობას უკავშირდება.<sup>809</sup>

## 2. მოქალაქეობის მიღების გზები

მოქალაქეობის სამართლებრივ ინსტიტუტს სახელმწიფო ანესირგებს და სწორედ ის განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა იყოს (ან გახდეს) ქვეყნის მოქალაქე. საკითხის მნიშვნელობიდან და მისი პოლიტიკურ რეჟიმთან კავშირიდან გამომდინარე, ცხადია, დროთა განმავლობაში სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ ინსტიტუტის მიმართ იცვლება, რასაც ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ვითარება განაპირობებს.<sup>810</sup>

**მოქალაქეობის მიღების ორი ძირითადი გზა არსებობს: დაბადება და ნატურალიზაცია.**<sup>811</sup> სამართლის არც ერთი ინსტიტუტისთვის დაბადების ადგილსა და წარმომავლობას ისეთი მნიშვნელობა არა

---

<sup>804</sup> Kostakopoulou D., *The Future Governance of Citizenship*, New York, 2008, 15.

<sup>805</sup> ლორია ა., ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში (მოქალაქეობის საკითხები), თბილისი, 2009, 20.

<sup>806</sup> Kostakopoulou D., *The Future Governance of Citizenship*, New York, 2008, 16.

<sup>807</sup> ლორია ა., ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში (მოქალაქეობის საკითხები), თბილისი, 2009, 21.

<sup>808</sup> Kostakopoulou D., *The Future Governance of Citizenship*, New York, 2008, 18.

<sup>809</sup> ლორია ა., ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში (მოქალაქეობის საკითხები), თბილისი, 2009, 22.

<sup>810</sup> იქვე, 10-11.

<sup>811</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 212.

აქვს, როგორც ეს მოქალაქეობის შემთხვევაშია.<sup>812</sup> მართალია, სახელმწიფოს მიერ დადგენილი წინაპირობების დაცვის შემთხვევაში სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც ეძლევათ შესაძლებლობა, მოქალაქეობა ნატურალიზაციის მეშვეობით შეიცვალონ, თუმცა სტატისტიკურად ასეთი ადამიანები მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს შეადგენენ.<sup>813</sup> დაბადებით მოქალაქეობის მიღების, ანუ ფილიაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მაღალი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება მხოლოდ დაბადებით მოქალაქეებს აქვთ (მაგალითად, აშშ-ში პრეზიდენტი მხოლოდ დაბადებით მოქალაქე შეიძლება გახდეს).<sup>814</sup>

**დაბადებით მოქალაქეობის მოპოვება ორი პრინციპით ხდება: ტერიტორიულობის პრინციპი (*jus soli*), რომელსაც სხვაგვარად ნიადაგის პრინციპი ეწოდება და სისხლის პრინციპი (*jus sanguinis*), რომელსაც ეროვნულ პრინციპადაც მოიხსენიებენ.<sup>815</sup>**

**ტერიტორიულობის, ანუ ნიადაგის პრინციპის (*jus soli*) მოქმედებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ ბავშვი იმ ტერიტორიაზე დაიბადოს, სადაც მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტი ვრცელდება,<sup>816</sup> არც დედის და არც მამის მოქალაქეობას ბავშვისთვის მოქალაქეობის მისანიჭებლად მნიშვნელობა არა აქვს.<sup>817</sup> ეს პრინციპი საერთო სამართლის ქვეყნებში (უფრო კონკრეტულად კი ინგლისში) იღებს დასაბამს და თუ ისტორიულად იგი მონარქიის ტერიტორიაზე დაბადებული ყველა პირის მონარქის მიმართ მორჩილებას უკავშირდებოდა,<sup>818</sup> თანამედროვე გაგებით, ნიადაგის პრინციპი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბადებულ**

<sup>812</sup> Shachar A., Citizenship, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfield, A. Sajo, Oxford, 2012, 1006.

<sup>813</sup> იქვე.

<sup>814</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 34.

<sup>815</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 213.

<sup>816</sup> Shachar A., Citizenship, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfield and A. Sajo, Oxford, 2012, 1006.

<sup>817</sup> Kostakopoulou D., The Future Governance of Citizenship, New York, 2008, 115.

<sup>818</sup> Shachar A., Citizenship, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfield and A. Sajo, Oxford, 2012, 1007.

ყველა პირს პოლიტიკური საზოგადოების (სახელმწიფოს) სრულ წევრობას ანიჭებს, მშობლების სამართლებრივი მდგომარეობის მიუხედავად.<sup>819</sup> ნიადაგის პრინციპის დადებითი მხარეა ის, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე რეზიდენტების შვილი იღებს მოცემული ქვეყნის მოქალაქეობას და ამით ახალი თაობისათვის სხვათა თანასწორი უფლებები, დაცვა და შესაძლებლობებია უზრუნველყოფილი.<sup>820</sup> აღნიშნული, ცხადია, ემიგრანტების ახალი თაობის საზოგადოებაში სრულყოფილ ინტეგრაციას უწყობს ხელს.

ნიადაგის პრინციპისგან განსხვავებით, სისხლის ანუ ნათესაობის პრინციპის (*jus sanguinis*) მოქმედებისას გადამწყვეტია მშობლების მოქალაქეობა, ბავშვის დაბადების ადგილის მიუხედავად.<sup>821</sup> როგორც უკვე აღინიშნა, ნიადაგის პრინციპი გავრცელებულია საერთო სამართლის ქვეყნებში, სისხლის პრინციპით კი მოქალაქეობას ძირითადად კონტინენტური სამართლის ოჯახის წევრი ქვეყნები ანიჭებენ.<sup>822</sup> მართალია, ქვეყნების უმეტესობამ შეცვალა დამკვიდრებული წესი მოქალაქეობის გადაცემის დროს მშობლის სქესის გათვალისწინებასთან დაკავშირებით, თუმცა დისკრიმინაციული გამოწვევები კვლავაც არსებობს. მაგალითად, მალაიზიის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაჩენილი მალაიზიის მოქალაქის შვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს მოქალაქეობას, თუ ბავშვის მამა მალაიზიის მოქალაქეა, დედებზე კი იგივე წესი არ ვრცელდება.<sup>823</sup>

სისხლის პრინციპი სათავეს პოსტრევოლუციური საფრანგეთიდან იღებს, საიდანაც ის ევროპის სხვა ქვეყნებმაც გადაიღეს (ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, პრუსია, იტალია, რუსეთი, ჰოლანდია, ნორვეგია), ხოლო შემდეგ მთელს მსოფლიოში გავრცელდა.<sup>824</sup> სისხლის პრინციპი უზრუნველყოფს ქვეყნის კავშირის შენარჩუნებას საზღვარგარეთ მცხოვრებ მის მოქალაქეებსა და მათ

---

<sup>819</sup> იქვე.

<sup>820</sup> იქვე.

<sup>821</sup> გეგენავა გ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 406.

<sup>822</sup> Shachar A., Citizenship, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfield and A. Sajó, Oxford, 2012, 1009.

<sup>823</sup> იქვე, 1008.

<sup>824</sup> იქვე, 1010.

**შთამომავლებთან (როგორც წესი, მესამე თაობის ჩათვლით).<sup>825</sup>**

ამგვარად იქმნება საზღვარგარეთ დაბადებული ნომინალური მოქალაქეების ერთობა, რომლებიც შეიძლება მოქალაქეობის ქვეყანაში მთელი ცხოვრების განმავლობაშიც კი არ იყვნენ ნამყოფი.<sup>826</sup>

მოქალაქეობის მოპოვების ზემოთხსენებული ორი პრინციპის შედარებით შეიძლება ითქვას, რომ ნიადაგის პრინციპი უფრო ინკლუზიური და მოქნილია.<sup>827</sup> თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის პრინციპი სახელმწიფოთა უმეტესობაში ნიადაგის პრინციპის ელემენტებითაა დაბალანსებული.<sup>828</sup> ამას გარდა, სულ უფრო და უფრო მატულობს იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებიც ე.წ. შერეულ მოდელს იყენებენ, რაც გლობალიზაციითა და შერეული ქორწინებების მატებითაა განპირობებული.<sup>829</sup>

**დაბადებით მოქალაქეობის მიღების გარდა, მოქალაქეობის მიღების კიდევ ერთი გზაა ნატურალიზაცია. ნატურალიზაციის პროცედურა მოიცავს პირის მიერ ნების გამოხატვას მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით და ამ უკანასკნელის მიერ მისთვის მოქალაქეობის მინიჭებას დაწესებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.<sup>830</sup>** სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილება აქვს, დაადგინოს ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ინდივიდი მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეობის ნატურალიზაციის გზით მიღებას შეიძლება.<sup>831</sup>

სხვადასხვა ქვეყანაში ნატურალიზაციასთან დაკავშირებული წესების განზოგადებით, შესაძლებელია შემდეგი წინაპირობები გამოიყოს: სახელმწიფოში უწყვეტად ცხოვრების რამდენიმე წელი; მოცემული ქვეყნის ენის, პოლიტიკური სისტემისა და მმართველო-

<sup>825</sup> იქვე.

<sup>826</sup> Kostakopoulou D., *The Future Governance of Citizenship*, New York, 2008, 116.

<sup>827</sup> იქვე.

<sup>828</sup> იქვე.

<sup>829</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 34.

<sup>830</sup> გეგენავა გ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 406.

<sup>831</sup> Shachar A., *Citizenship*, *The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law*, Edited by M. Rosenfield and A. Sajó, Oxford, 2012, 1013.

ბის ცოდნა; ნასამართლობის არქონა.<sup>832</sup> სხვა პირობებთან ერთად, სახელმწიფოთა უმრავლესობა ინდივიდისგან მოქალაქეობის ნატურალიზაციით მიღებისთვის მისგან ითხოვს, იზიარებდეს იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც მოცემულ სახელმწიფოშია.<sup>833</sup> გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყანის მოქალაქეობის მიღება შეუძლებელია შესაბამისი ეროვნებისა და აღმსარებლობის გარეშე.<sup>834</sup>

მოქალაქეობის მიღების ნაკლებად გავრცელებული და კონკრეტული შემთხვევაა ოპტაცია, რაც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხისთვის მოქალაქეობის არჩევანის შესაძლებლობას გულისხმობს, როდესაც აღნიშნული ტერიტორიები სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდება.<sup>835</sup>

### 3. მოქალაქეობის შეწყვეტა

მოქალაქეობის შეწყვეტის ორი საფუძველი არსებობს: მოქალაქეობიდან გასვლა და მოქალაქეობის დაკარგვა.<sup>836</sup> მოქალაქეობიდან გასვლა, ანუ ექსპატრიაცია დაკავშირებულია პირის სხვა ქვეყანაში ნებაყოფლობით ემიგრაციის უფლებასთან<sup>837</sup>, რა დროსაც იგი გადის ძველი მოქალაქეობიდან და იღებს ახალს. თუმცა, როდესაც ინდივიდს თავის სახელმწიფოსთან შეუსრულებელი ვალდებულებები აკავშირებს, შეიძლება მოქალაქეობიდან გასვლის შეზღუდვები დაწესდეს.<sup>838</sup>

რაც შეეხება მოქალაქეობის დაკარგვას, მოქალაქეობის დაკარგვის წინაპირობები ჯერ კიდევ ძველ რომში იყო გათვალისწინებული: სტატუსის დაკარგვას იწვევდა ვალების გადაუხდელობა ან დანაშაულის ჩადენა, სანქცია კი მონად გაყიდვა ან

---

<sup>832</sup> იქვე, 1014.

<sup>833</sup> იქვე.

<sup>834</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 214.

<sup>835</sup> იქვე, 215.

<sup>836</sup> იქვე.

<sup>837</sup> Kostakopoulou D., *The Future Governance of Citizenship*, New York, 2008, 133.

<sup>838</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 215.

რომიდან გასახლება იყო.<sup>839</sup> დღეისათვის მოქალაქეობის დაკარგვა ძირითადად შემდეგი გარემოებების დადგომისას ხდება: მოქალაქეობის უკანონო საშუალებებით მოპოვება (ნატურალიზაციისას დაირღვა კანონის მოთხოვნები), ლალატის ან სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა,<sup>840</sup> უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, როდესაც მშობლიურ სახელმწიფოში ორმაგი მოქალაქეობა დაშვებული არაა, ასევე, სხვა ქვეყნის საჯარო სამსახურში დასაქმება<sup>841</sup> და სხვ.

მოქალაქეობის საკუთარი ნების სანინააღმდეგოდ დაკარგვა წარმოშობს შეკითხვას, არსებობს თუ არა „უფლება გქონდეს უფლებები“,<sup>842</sup> რადგან პოლიტიკური ერთობის სრულფასოვანი წევრობა არის უფლებათა სრული პაკეტით სარგებლობის წინაპირობა, მოქალაქეობის შეწყვეტის შემთხვევაში კი პირი მთელი რიგი უფლებების გარეშე რჩება.<sup>843</sup> პირი, რომელსაც არც ერთი სახელმწიფო მიიჩნევს თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად, იწოდება მოქალაქეობის არმქონე პირად, იგივე აპატრიდად.

#### 4. ორმაგი მოქალაქეობა

ორმაგი მოქალაქეობა პირის მიერ ერთდროულად ორი სახელმწიფოს მოქალაქეობის კანონიერ ფლობაა და ასეთ ინდივიდს ბიპატრიდი ეწოდება.<sup>844</sup> ორმაგი მოქალაქეობა თავისი არსით ეწინააღმდეგება მოქალაქეობის კლასიკურ გაგებას ერთი სახელმწიფოს „ერთგულებასთან“ დაკავშირებით.<sup>845</sup> თუ თავდაპირველად ორმაგი

---

<sup>839</sup> ლორია ა., ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში (მოქალაქეობის საკითხები), თბილისი, 2009, 21.

<sup>840</sup> Kostakopoulou D., *The Future Governance of Citizenship*, New York, 2008, 136.

<sup>841</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 215.

<sup>842</sup> Shachar A., *Citizenship*, *The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law*, Edited by M. Rosenfield, A. Sajó, Oxford, 2012, 1012.

<sup>843</sup> Kesby A., *The Right to Have Rights: Citizenship, Humanity and International Law*, New York, 2012, 67.

<sup>844</sup> გეგენავა გ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 406.

<sup>845</sup> Lister M., Pia E., *Citizenship in Contemporary Europe*, Edinburgh, 2008, 62-63.

მოქალაქეობა გამონაკლისი და სახელმწიფოებისთვის მიუღებელი იყო, დღეისათვის ნატურალიზაციის, ექსპატრიაციისა და დაბადებით მოქალაქეობის მინიჭების წესების გამარტივებასთან ერთად, ორმაგი და მულტიმოქალაქეობა გავრცელებული ინსტიტუტია და დინამიკის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მეტად დამკვიდრდება.<sup>846</sup> სახელმწიფოთა მხრიდან ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუციონალიზაციის მაჩვენებლის ზრდის ძირითად მიზეზად გლობალიზაცია შეიძლება დასახელდეს.<sup>847</sup>

**ბიპატრიდები სარგებლობენ იმ პრივილეგიებით, რასაც კონკრეტული სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ანიჭებს, თუმცა, ამავე დროს, მათ ეკისრებათ მოქალაქის ვალდებულებებიც, რაც ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტს გარკვეულ სირთულეებს უქმნის.**<sup>848</sup> მაგალითად, პრაქტიკულად შეუძლებელია სამხედრო ვალდებულების ორ ქვეყანაში მოხდა, მით უმეტეს, თუ პირის საცხოვრებელი ადგილი სამხედრო ვალდებულების მოხდის ასაკში მხოლოდ ერთი სახელმწიფოა. ასევე, აქტუალურია საკითხი აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით.

**ორმაგ და მულტიმოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად, საერთაშორისო სამართალი ე.წ. „ეფექტური კავშირის“ პრინციპს იყენებს, რომლის მიხედვითაც, უპირატესობა იმ ქვეყნის მოქალაქეობას ენიჭება, რომელშიც ინდივიდი ფაქტობრივად ცხოვრობს და საქმიანობს, ასევე, რომელთანაც მას რეალური და არსებითი კავშირი აქვს.**<sup>849</sup> აღნიშნული პრინციპის გამოყენებით შეიძლება დადგინდეს ქვეყანა, სადაც ინდივიდი სამხედრო ვალდებულებას მოიხდის და რომელიც მის დიპლომატიურ დაცვას უზრუნველყოფს.<sup>850</sup> რაც შეეხება ხმის მიცემას, მოქალაქეობის ორივე ქვეყანაში არჩევნებში მონაწილეობის უფლება პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე რეალურ გზად მიიჩნევა.<sup>851</sup>

---

<sup>846</sup> იქვე, 63.

<sup>847</sup> გეგენავა გ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 406.

<sup>848</sup> გონაშვილი ვ., ერმაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 217.

<sup>849</sup> Kostakopoulou D., *The Future Governance of Citizenship*, New York, 2008, 132.

<sup>850</sup> იქვე.

<sup>851</sup> იქვე.

ზემოხსენებული პრინციპის გარდა, ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრაქტიკული სირთულეების თავიდან ასაცილებლად დამკვიდრებულია სახელმწიფოთა შორის ორმხრივი ხელშეკრულების მექანიზმი, რომლითაც განისაზღვრება ის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც ორივე სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირს თითოეულ სახელმწიფოში ექნება.<sup>852</sup>

## 5. სუპრანაციონალური მოქალაქეობა

მოქალაქეობის ინსტიტუტის ახალი და აქტუალური საკითხი **სუპრანაციონალური მოქალაქეობაა, რა დროსაც პირს როგორც წევრი სახელმწიფოს ისე სახელმწიფოთაშორისი კავშირის მოქალაქეობა აქვს,**<sup>853</sup> რის მაგალითსაც ევროკავშირის მოქალაქეობა წარმოადგენს.

მაშინ, როცა ნაციონალური მოქალაქეობა ნიშნავს პირის სრულ წევრობას პოლიტიკურ საზოგადოებაში (ქვეყანაში), ევროკავშირის მოქალაქეობა თავდაპირველად მხოლოდ სამუშაო ძალის ევროკავშირში გადაადგილებასა და საერთო ბაზრის შექმნას უკავშირდებოდა.<sup>854</sup> თუმცა ევროკავშირის ხელშეკრულებამ თავისუფალი მიმოსვლისა და ცხოვრების უფლება ევროკავშირის მოქალაქის პოლიტიკურ სტატუსს დაუკავშირა და შესაბამისად, კავშირის შიგნით მოქალაქეთა თანასწორობის განცდა გააჩინა, მათი ნაციონალური მოქალაქეობის მიუხედავად.<sup>855</sup> აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ *ევროკავშირის მოქალაქეობის მოსაპოვებლად თავდაპირველად სწორედ ერთ-ერთი წევრი ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებაა საჭირო*<sup>856</sup>.

გლობალიზაციის ზრდადი ტენდენციისა და გავლენიანი სუპრანაციონალური გაერთიანებების გაჩენის მიუხედავად, ნაციონალური მოქალაქეობა კვლავ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას შემდეგი გარემოებების გამო: მოქალაქეები ნაციონალურ

---

<sup>852</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 217-218.

<sup>853</sup> იქვე, 218-219.

<sup>854</sup> Kostakopoulou D., The Future Governance of Citizenship, New York, 2008, 36.

<sup>855</sup> იქვე.

<sup>856</sup> Lister M., Pia E., Citizenship in Contemporary Europe, Edinburg, 2008, 61.

არჩევნებში მონაწილეობის გზით წყვეტენ ქვეყნისა და იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეების ბედს, რომლებიც წლების განმავლობაში კონკრეტულ ქვეყანაში ცხოვრობენ; სოციალური გარანტიებით სრულად სარგებლობა, როგორც წესი, მხოლოდ მოქალაქეებს შეუძლიათ; კერძო სექტორისგან განსხვავებით, ხშირად მთელ რიგ საჯარო უწყებებში დასაქმება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის შეზღუდულია და ა.შ.<sup>857</sup>

---

<sup>857</sup> Howard M.M., *Comparative Citizenship: An Agenda for Cross-National Research, Perspectives on Politics*, Vol.4, No.3, 2016, 445.

## ნაწილი V. პოლიტიკური რაჟივები

### თავი XIV. დემოკრატია

#### 1. დემოკრატის განსაზღვრება და ისტორიული საფუძვლები

დემოკრატია, როგორც მმართველობის განხორციელებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციასთან დაკავშირებული სისტემა, საფუძველს უძველესი დროიდან იღებს. ცალკეულ მკვლევართა შეფასებით, აღნიშნული მოვლენა ჯერ კიდევ პირველი სახელმწიფოების გაჩენამდე არსებობდა, როდესაც პირველყოფილი საზოგადოების რიგი გვაროვნული და ტომობრივი კავშირები სწორედ დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს ეფუძნებოდა. თანამედროვე პოლიტიკურ და სამართლებრივ მეცნიერებაში დემოკრატია ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებადი ტერმინია და შეხედულებათა მრავალგვარობითა და რიგ შემთხვევაში, შეფასებათა არაერთგვაროვნებით ხასიათდება<sup>858</sup>.

სიტყვა „დემოკრატია“ ბერძნული სიტყვისაგან მომდინარეობს და ხალხის ძალაუფლებას, მმართველობას ნიშნავს<sup>859</sup>. შესაბამისად, დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების პროცესში ხალხის ფართო მონაწილეობით ხასიათდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „დემოკრატია“ რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება: იგი განიხილება, როგორც „ხალხის ძალაუფლება, მმართველობა; დემოკრატია – როგორც ნებისმიერი ორგანიზაციის წყობის ფორმა, რომელიც დაფუძნებულია მმართველობაში მისი წევრების თანასწორ მონაწილეობასა და უმრავლესობის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებაზე; დემოკრატია – როგორც ფასეულობათა განსაზღვრულ სისტემაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის იდეალი და მისი შესატყვისი მსოფლმხედველობა; დემოკრატია – როგორც სოციალური და

---

<sup>858</sup> იხ. მაგ., Cunningham F., Theories of Democracy, A Critical Introduction, London, 2002, 15-17.

<sup>859</sup> “Demos” ნიშნავს „ხალხს“, “Kratos” – „ძალაუფლებას“. იხ., The Encyclopedia of Political Science, Edited by G.T. Kurian, Washington, 2011, 387

*პოლიტიკური მოძრაობა ხალხის ძალაუფლების, დემოკრატიული მიზნებისა და იდეალების განსახორციელებლად*<sup>860</sup>.

დემოკრატიისა და დემოკრატიული მმართველობის შესახებ მოსაზრებები ჯერ კიდევ ძველი ანტიკური მოაზროვნეების (პლატონი<sup>861</sup>, არისტოტელე<sup>862</sup>, ჰეროდოტე, ესქილე და ა.შ.) შემოქმედებაშია მოცემული. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძველი საბერძნეთისა და რომის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ აქ, ქალაქ-სახელმწიფოების მართვის პროცესში მან მნიშვნელოვანი როლი შეიძინა, – მოქალაქეები უშუალოდ მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლისების მართვის საქმეში. მაგალითად, *ათენში დემოკრატია მოქალაქეთა პირდაპირი მმართველობის ფორმით (სახალხო კრების სახით) ვლინდებოდა, სადაც ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მოქალაქეთაგან შემდგარი სახალხო კრება იღებდა, რომელიც ნელ-ინადში რამდენჯერმე იმართებოდა. სახელმწიფო მოხელეებს მოქალაქეთა რიგებიდან ირჩევდნენ, გარკვეული ვადით და კენჭისყრით, თანამდებობაზე ყოფნა დროებითი იყო, რაც საშუალებას იძლეოდა რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიეღო მონაწილეობა მმართველობაში*<sup>863</sup>.

აღსანიშნავია, რომ ანტიკური ხანის მოაზროვნეებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ დემოკრატიის, როგორც მოქალაქეთა უშუალო მმართველობის სისტემის, მიმართ, რიგ შემთხვევებში ისინი სკეპტიკურად უყურებდნენ და უფრთხოდნენ მსგავს მმართველობას (რაც ბერძნებმა გამოხატეს ტერმინში „დემ-აგოგი“<sup>864</sup>), მიანიშნებდნენ დემოკრატიული მმართველობის ოხლოკრატიად (ბრბოს მმართველობად) გარდაქმნის საშიშროებაზე. ამასთან, დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელოვან პირობად

---

<sup>860</sup> იხ. ბერძენიშვილი ა., პოლიტიკური სოციოლოგია, თბილისი, 2011, 185.

<sup>861</sup> იხ. მაგ., პლატონი, სახელმწიფო, ბ. ბრეგვადის თარგმანი, თბილისი, 2003, 292-299.

<sup>862</sup> იხ. მაგ., არისტოტელე, პოლიტიკა, ნან. I, თ. კუკავას თარგმანი, თბილისი, 1995, 103-109.

<sup>863</sup> A Companion to Greek Democracy and the Roman Republic, Edited by D. Hammer, UK, 2015, 23-37.

<sup>864</sup> იხ. მაგ., არისტოტელე, პოლიტიკა, ნან. II, თ. კუკავას თარგმანი, თბილისი, 1996, 21-22.

მათ მმართველი ელიტის არსებობა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისთვის ფართო უფლებების მინიჭება მიაჩნდათ.

დემოკრატიის მეცნიერული, თეორიული კვლევის სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შუა საუკუნეების მოაზროვნეებმა (ლოკი, რუსო, მონტესკიე და ა.შ.). საინტერესოდ და მრავალმხრივ ვითარდებოდა და მდიდრდებოდა დემოკრატიის შინაარსი შემდგომი პერიოდის იურიდიულ და ფილოსოფიურ აზროვნებაში. ამასთან, მოაზროვნეთა შეფასებებში დემოკრატია სულ უფრო მეტად განიხილებოდა არა მხოლოდ მოქალაქეთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მექანიზმად, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ფორმად.

*დემოკრატიის თეორეტიკოსები დემოკრატიის დახასიათებისას მის სხვადასხვა არსებით თვისებაზე აკეთებდნენ აქცენტს, მაგალითად, მონაწილეობითი ხასიათი (რუსო), წარმომადგენლობითი ხასიათი (მილი), შეკავება და განონასწორება (მედისონი), ელიტების კონკურენცია (შუმპეტერი), შეჯიბრებითობა (დალი), დეცენტრალიზაცია (ტოკვილი), თანასწორობა (მარქსი), თავისუფლება (ჰაიეკი) და სხვ. ლიპსეტის შეფასებით, „დემოკრატია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელიც იძლევა რეგულარულ საკონსტიტუციო შესაძლებლობას, შეიცვალოს სამთავრობო მოხელეები და ისეთი სოციალური მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოსახლეობის დიდ ნაწილს, გავლენა მოახდინონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე, პოლიტიკურ თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევის გზით“<sup>865</sup>.*

დემოკრატიული მმართველობის მახასიათებელი ერთ-ერთი ყველაზე ლაკონური განმარტება აბრაამ ლინკოლნს ეკუთვნის, რომელიც მან სამოქალაქო ომის დროს, 1863 წელს წარმოთქვა, ცნობილი „გეთისბერგის მიმართვის“ დროს. მისი სიტყვებით, **დემოკრატია გულისხმობს „ხალხის მმართველობას, ხალხის ნებით და ხალხისათვის“**<sup>866</sup>. ანალოგიური პრინციპი მოგვიანებით აისახა საფ-

<sup>865</sup> იხ., Lipset S.M., Political Man, New York, 1960, 45.

<sup>866</sup> იხ., Lincoln A., The Gettysburg Address, in: Encyclopedia of American Historical Documents, Edited by S. Rosenfeld, New York, 2004, 880.

რანგეთის 1958 წლის კონსტიტუციაშიც, კერძოდ, მის მე-2 მუხ-  
ლში<sup>867</sup>.

დემოკრატიის, როგორც სახელმწიფო მმართველობასთან და-  
კავშირებული თანამედროვე სამართლებრივი სისტემის, ჩამოყალ-  
იბება უკავშირდება კონსტიტუციონალიზმის იდეის განვითარებასა  
და აღნიშნულის გათვალისწინებით XVIII-XIX საუკუნეებში მიღებულ  
პირველ კონსტიტუციებს, რომლებშიც დემოკრატიისთვის უმნიშ-  
ვნელოვანესი პრინციპები აისახა<sup>868</sup>. მაგალითად, თანასწორობა,  
მოქალაქეთა ფართო პოლიტიკური უფლებების აღიარება და რეალ-  
იზაცია, სახელმწიფო ორგანოთა ფორმირება ძალაუფლების გამ-  
იჯვნის პრინციპის საფუძველზე და სხვა.

**თანამედროვე რესპუბლიკებისა და კონსტიტუციური მონარქი-  
ების კონსტიტუციებში ინსტიტუციურად განმტკიცებულია ხალხის  
უმალღესი, სუვერენული ძალაუფლება და სახელმწიფო ხელისუ-  
ფლების ხალხისადმი მიკუთვნების საკითხი, რაც იმას გულისხმობს,  
რომ ხალხს ეკუთვნის დამფუძნებელი და საკონსტიტუციო ძალაუ-  
ფლება, ამასთან, ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს ხელისუ-  
ფლების ორგანოებში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში უფლება აქვს,  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღოს უშუალოდ რეფერენ-  
დუმის მეშვეობით ან სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის გამ-  
ოყენებით.** შესაბამისად, თანამედროვე დემოკრატიული პოლი-  
ტიკური რეჟიმისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების ფორმი-  
რებაში ხალხის რეალური მონაწილეობა, ხალხის მიერ ხელისუ-  
ფლების ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი, მოქალაქეთა ფართო სო-  
ციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუ-  
ფლებების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, მათი განხორ-  
ციელების რეალური საკონსტიტუციო გარანტიების არსებობა და  
პოლიტიკური პლურალიზმი.

## **2. პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატია**

თანამედროვე შეხედულების მიხედვით, დემოკრატიის განხორ-  
ციელების ფორმის მიხედვით, **ერთმანეთისგან განასხვავებენ პირ-**

---

<sup>867</sup> იხ., მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, შედგენილი ა. დემეტრაშვი-  
ლის მიერ, თბილისი, 1992, 132.

<sup>868</sup> პირველი ტალღის კონსტიტუციებთან დაკავშირებით იხ., გეგენავა დ.,  
ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია  
თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4  
გამოცემა, თბილისი, 2016, 4.

**დაპირ (უშუალო) და წარმომადგენლობით (შუალობით) დემოკრატია**<sup>869</sup>.

პირდაპირი დემოკრატია მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უფლების რეალიზება ხდება პირდაპირი წესით მოქალაქეთა ერთობლიობით, უმრავლესობის ნების გათვალისწინებით. თუმცა ასეთი წესით გადაწყვეტილებების მიღება პროცედურული სირთულეებით ხასიათდება და იგი შეიძლება განხორციელებადი იყოს მცირერიცხოვან, პატარა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში. შესაბამისად, თითქმის არცერთი თანამედროვე ქვეყნის დემოკრატიული სისტემა სრულად არ ეფუძნება პირდაპირი დემოკრატიის პრინციპებს, თუმცა გარკვეულწილად შეიცავს მის ცალკეულ ელემენტებს. პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტების მაგალითებია: არჩევნები, რეფერენდუმი, საერთო-სახალხო გამოკითხვა, პლებისციტი, სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა და ა.შ.

წარმომადგენლობითი დემოკრატია მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც ხალხის უფლება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე ხორციელდება არა უშუალოდ ხალხის, არამედ მის მიერ არჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული წარმომადგენლების მეშვეობით. შესაბამისად, დემოკრატიის მსგავსი ფორმა ხასიათდება არაპირდაპირი და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული წარმომადგენლობითი მმართველობით. თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობაში სწორედ წარმომადგენლობითი დემოკრატიაა სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების მთავარი ფორმა. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატია პოლიტიკური სისტემის რაციონალური ორგანიზაციით, პოლიტიკური სტაბილურობით, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ეფექტიანობითა და გადაწყვეტილების მიმღები პირების მაღალი ინსტიტუციური პასუხისმგებლობით ხასიათდება.

## **2. დემოკრატიის მახასიათებლები**

დემოკრატიის თაობაზე არსებული მრავალგვარი შეხედულებისა და მოსაზრების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოიყოს ის

---

<sup>869</sup> იხ. მაგ., The Oxford Handbooks of Political Science, Edited by R.E. Goodin, New York, 2006, 595-600; ლოვო ფ., თანამედროვე დიდი დემოკრატიები, მ. ბალავაძისა და ნ. ცქიტიშვილის თარგმანი, ვ. კეშელავას რედაქტორობით, თბილისი, 2002, 75-88.

ძირითადი, უნივერსალური ნიშნები, რაც მისი განხორციელების არსებით მახასიათებლებად შეიძლება იქნეს მიჩნეული<sup>870</sup>.

**დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტი პოლიტიკური თავისუფლების დოქტრინაა, რომლის მიხედვით, სახელმწიფო მოქალაქეთა ინდივიდუალური უფლებების ნებაყოფლობითი გადაცემის საფუძველზე ფუნქციონირებს. სახელმწიფო ხელისუფლების ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპი მთელი ხალხის თავისუფალ ნებას შეუსაბამოს.**

ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპი კი გამოხატულებას ჰპოვებს მოქალაქეთა უფლებებში, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მმართველობისა და საზოგადოების მშენებლობის პროცესში. იმისათვის, რომ მსგავსი მონაწილეობა რეალური იყოს, სახელმწიფო ადგენს და ქმნის რეალურ გარანტიებს მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისათვის, მათ შორის, ისეთი უფლებებისათვის, როგორცაა საარჩევნო უფლება, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება, აზრისა და სიტყვის გამოხატვის თავისუფლება, შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება და ა.შ. ამასთან, **დემოკრატიულ რეჟიმში უზრუნველყოფილია სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა ადამიანის ძირითადი უფლებებით.** „თანამედროვე დემოკრატიაში სახელმწიფო ხელისუფლება სამართლებრივი თვითშეზღუდვის გზით აღწევს ლეგიტიმაციას, რადგან ეს სამართალი თითოეულის ღირსეული არსებობის უფლებას, მისი პოლიტიკური არჩევანის თავისუფლებას, ხელისუფლების სამართლის საფუძველზე განხორციელების ვალდებულებებს და ა.შ. ითვალისწინებს“<sup>871</sup>.

*დემოკრატიული სახელმწიფო რეჟიმის არსებითი მახასიათებელია: სახელმწიფო მექანიზმის აგება და ფუნქციონირება ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, საყოველთაო არჩევნების შედეგად ფორმირებული წარმომადგენლობითი ორგანოების არსებობა, რომლებსაც ფართო და რეალური უფლებამოსილებები აქვთ სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების*

---

<sup>870</sup> Bernard C., Democracy, A Very Short Introduction, Oxford University Press, 2003, 93-99, 106-109; Даль Р., О Демократии, Москва, 2000, 41-43; Соловьев А.И., Политология: Политическая Теория, Политические Технологии, Москва, 2000, 190-194.

<sup>871</sup> იხ., იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, 81.

*პროცესში, სახელმწიფო აპარატის საქმიანობა კონსტიტუციონალიზმისა და კანონიერების პრინციპების საფუძველზე და მმართველობის პროცესში კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება.*

**დემოკრატიული სახელმწიფო რეჟიმის მნიშვნელოვანი ნიშანია მრავალპარტიული სისტემის არსებობა**, რეალური გარანტიების შექმნა სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური მსოფლმხედველობის პარტიების ფუნქციონირებისათვის, რომლებსაც ეძლევათ თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვებისა და მმართველობის საქმეში. მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის პირობებში მნიშვნელოვანია პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა და მისი საქმიანობა, რომლის მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა და არსებული სიტუაციის შეცვლაა. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ თვით პოლიტიკური ოპოზიცია იყოს კონსტრუქციული და მისი საქმიანობა, კრიტიკა და წარდგენილი წინადადებები (ინიციატივები) ქვეყნის სტაბილურ განვითარებას ემსახურებოდეს.

**დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის არსებითი მახასიათებელია პლურალიზმის პრინციპის არსებობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში**, მსგავს რეჟიმში უზრუნველყოფილია მრავალგვარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის, ჯგუფისა თუ მოძრაობის არსებობა და საქმიანობა, რითაც იქმნება შესაძლებლობა, რეალიზებული და დაკმაყოფილებული იქნეს ადამიანთა მოთხოვნები და ინტერესები. ამასთან, დემოკრატიულ მმართველობაში პლურალიზმის პრინციპი ინდივიდებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შესაძლებლობას აძლევს, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი ინტერესები და კონკურენტულ ბრძოლაში მოძებნონ კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობები.

მართალია, დემოკრატია თავისი არსით უმრავლესობის მმართველობას ნიშნავს, თუმცა დემოკრატიული რეჟიმის არსებობა, ასევე, გულისხმობს უმრავლესობის ვალდებულებას, პატივი სცეს უმცირესობათა უფლებებს და გაითვალისწინოს მათი გან-

**სხვაეგებელი მოთხოვნებიანი.**<sup>872</sup> მაჰათმა განდის სიტყვებით რომ ითქვას – **„დემოკრატიულ სისტემაში ყველაზე სუსტს ისეთივე შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს, როგორც ყველაზე ძლიერს“**<sup>873</sup>.

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პირობაა განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, სადაც უზრუნველყოფილია მოქალაქეთა მონაწილეობის მაღალი ხარისხი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, საზოგადოების მიერ ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების რეალური და ქმედითი შესაძლებლობები, სამართლის უზენაესობის პრინციპების დაცვით. ამასთან, **დემოკრატიის განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო განათლების უზრუნველყოფასა და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას, რათა თითოეული მოქალაქე მზად იყოს იმისათვის, რომ თავისი წილი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე.** *„დემოკრატია გულისხმობს განათლებასა და ინფორმაციას. არჩევანი ღირებულია მხოლოდ მაშინ, თუ მას აკეთებს შეგნებული მოქალაქე, რომელსაც უნარი აქვს შეადაროს ერთმანეთს პროგრამები და მსჯელობა, შესაბამისად აქვს კულტურული მომზადების დონე და საკმარისად ობიექტურად არის ინფორმირებული კომუნიკაციის ჩვეულებრივი საშუალებების წყალობით. რასაკვირველია, ყველა ამ პირობის ერთდროულად თავმოყრა იშვიათად ხდება“*<sup>874</sup>.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დემოკრატია შესაძლებელია განხილული იქნეს სახელმწიფო რეჟიმის ისეთ სახედ, რომელშიც გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

1. სახელმწიფო ძალაფლება ეკუთვნის ხალხს და მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, თანაბარი მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვის პროცესში;
2. ხელისუფლება ორგანიზებულია და ხორციელდება სახელმწიფო ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპზე დაყრდნობით;

---

<sup>872</sup> იხ., გეგენავა გ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., ჯავახიშვილი პ., მაჭარაძე ზ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 27.

<sup>873</sup> <<http://www.mkgandhi.org/articles/democracy.htm>> [17.10.2017]

<sup>874</sup> პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 128.

3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ფორმირდება პერიოდული და საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით;

4. გადწყვეტილებები მიიღება უმრავლესობის პრინციპის გათვალისწინებით და უმცირესობა უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ემორჩილება, ამასთან, უზრუნველყოფილია უმცირესობის უფლებები;

5. ქვეყნის ძირითადი კანონით აღიარებული და განმტკიცებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, უზრუნველყოფილია მისი რეალიზაცია და ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით;

6. უზრუნველყოფილია კანონის წინაშე ყველას თანასწორობა;

7. უზრუნველყოფილია რეალური პოლიტიკური პლურალიზმი, ტოლერანტობა, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმა კონსენსუსის საფუძველზე;

8. უზრუნველყოფილია ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობა და ამის თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტური მექანიზმების არსებობა (ცალკეული მკვლევარი დემოკრატიის მახასიათებელს შორის გამოყოფს ასევე ისეთ ნიშანს, როგორცაა სამოქალაქო კონსტროლის მექანიზმის არსებობა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე და ა.შ.<sup>875</sup>);

9. დინამიკური და აღმავალი ეკონომიკური განვითარება, თავისუფალი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემო.

### 3. დემოკრატიის მოდელები

თანამედროვე მეცნიერები და მკვლევრები დემოკრატიის მრავალ მოდელს გამოჰყოფენ, რომლებიც მმართველობის შესაბამის სისტემაში ხაზს უსვამს დემოკრატიის აღნიშნული მოდელისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. დემოკრატიულ სისტემაში „იმისდა მიხედვით, თუ ვის ენიჭება პრიორიტეტი – პიროვნებას, სოციალურ ჯგუფს ან ხალხს, გამოიყოფა დემოკრატიის ლიბერალური, ინდივიდუალისტური, კოლექტივისტური და პლურალ-

<sup>875</sup> იხ. მაგ., Мелвин И., Основополагающие Принципы Демократии, иб., [http://www.read.virmk.ru/d/demo-USA/g-01.htm] [12.10.2016]

ისტორი კონცეფციები<sup>876</sup>. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოიყოფა დემოკრატიის რიგი მოდელები, მათ შორის, კლასიკური, პროტექტუალური (დამცავი), სახალხო, ლიბერალური, პლურალ-ისტორი, ელიტური დემოკრატია და ა.შ.<sup>877</sup>

კლასიკური დემოკრატია დემოკრატიული მმართველობის პირველმნიშვნელობით ხასიათდება და სახალხო თვითმმართველობის პრინციპს ეფუძნება. იგი მომდინარეობს ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოების (განსაკუთრებით ათენის) მართვის პოლიტიკური სისტემიდან და ხასიათდება ხალხის მიერ ძალაუფლების პირდაპირი განხორციელების ნიშნით. *დემოკრატიის აღნიშნულ მოდელში გადაწყვეტილების მიღების პროცესში უშუალოდ მონაწილეობს „მთელი ხალხი“ და გადაწყვეტილებები უმრავლესობის პრინციპის საფუძველზე მიიღება.*

პროტექტუალური (დამცავი) დემოკრატია გამომდინარეობს თავისუფლების ინდივიდუალური გაგებისგან, ხასიათდება ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებისა და დაცვის ქმედითი გარანტიებით და აღნიშნული პრინციპებით სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვას ეფუძნება. შესაბამისად, დემოკრატიის მსგავსი მოდელი ხასიათდება არა მხოლოდ როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმით, არამედ როგორც საშუალება, რომლითაც ხალხს შეუძლია დაიცვას თავი მათ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევისაგან.

სახალხო დემოკრატიული რეჟიმი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე ფორმირებული საბჭოური (კომუნისტური) ტიპის მმართველობას მოიაზრებს, რომელიც საზოგადოების ცალკეული ფენის ფორმალურ კოლექტიურ მმართველობას ეფუძნება და საერთო საკუთრების გზით სოციალური თანასწორობის მიღწევას გულისხმობს.

ლიბერალური დემოკრატიის მოდელი ინდივიდის პიროვნულ თავისუფლებას, თანასწორობასა და მისი უფლებების ქმედითი რეალიზაციის შესაძლებლობებს მოიაზრებს. იგი სახელმწიფოსთან მიმართებით ინდივიდის უფლებების პრიმატით ხასიათდება. *ლიბ-*

---

<sup>876</sup> მაცაბერიძე მ., არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, 2003, 98.

<sup>877</sup> იხ. მაგ., ჰეივუდი ე., პოლიტიკა, გ. ჭუმბურიძისა და ზ. ჭელიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 199-124; Голосов Г.В., Сравнительная Политология, Санкт-Петербург, 2001, 92-99.

ერალური დემოკრატიული რეჟიმის ამოცანაა, შექმნას პირობები, რათა თითოეულმა ინდივიდმა სრულად მოახერხოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. ამასთან, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ინდივიდის კერძო ინტერესების სფეროში. დემოკრატიული მმართველობის პრინციპი ეფუძნება შეჯიბრებითობას, მასში ყველაფერი ამომრჩეველთა არჩევანით წყდება და ძალაუფლება ეკუთვნის მას, ვინც მოქალაქის ფორმალური პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვებს. დემოკრატიის აღნიშნული მოდელის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლება ხალხის საკეთილდღეოდ არსებობს და ქვეყნის მართვა მართულთა უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

**პლურალისტური დემოკრატიის მიხედვით, სახელმწიფო მმართველობის განხორციელების პროცესში მნიშვნელობა ენიჭება არა ხალხს, არამედ „დაინტერესებულ ჯგუფებს“ და სწორედ მსგავსი ჯგუფებია დემოკრატიულ სისტემებში პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა.** დემოკრატიის ამ მოდელის მიხედვით, ცალკეულ მოქალაქეს არ ძალუძს, გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადანყვეტილებათა მიღების პროცესზე და იგი ორიენტირებული ხდება ჯგუფში გაერთიანებაზე. შესაბამისად, ადამიანთა ჯგუფში მოღვაწეობის შედეგად ყალიბდება თითოეული მათგანის პოლიტიკური ინტერესები, ღირებულებები და პოლიტიკური საქმიანობის მოტივაცია. თავის მხრივ, დემოკრატიის დანიშნულებაა, სტიმული მისცეს მრავალსახეობასა და პლურალიზმს საზოგადოებაში, ხოლო მოქალაქეებს – გაერთიანების, თავისი ინტერესების ღიად გამოთქმის, ურთიერთმისაღები კომპრომისის გზით წონასწორობის მოპოვებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების შესაძლებლობა. სახელმწიფო ამ შემთხვევაში მოქმედებს, როგორც სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების შეთანხმების საშუალება, ნეიტრალური არბიტრი კონკურენტ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, რომელიც მოწოდებულია, არ დაუშვას ერთი ჯგუფის ბატონობა სხვებზე და დაიცვას თავისუფალი პოლიტიკური კონკურენციის პირობები.

**ელიტური დემოკრატიის მოდელის მიხედვით, ძალაუფლება ეკუთვნის პრივილეგირებულ უმცირესობას – ელიტას.** აღნიშნულ სისტემაში დემოკრატიულ ღირებულებათა მთავარი მატარებელი არის არა რიგითი მოქალაქე, არამედ ელიტა, რომელსაც აქვს უნარი, ეფექტურად მართოს საზოგადოება და დაიცვას დემოკრატიის ფა-

სეულობები; ხალხს კი მინიჭებული აქვს შესაძლებლობა, არჩევნების დახმარებით პერიოდულად გააკონტროლოს ელიტა და გავლენა მოახდინოს მის შემადგენლობაზე.

#### 4. დემოკრატიის შეფასების სისტემა

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნების დემოკრატიულობის შეფასების მიზნით კვლევის სხვადასხვა მეთოდს, ერთმანეთთან დაკავშირებულ ინდიკატორთა ერთობლიობას იყენებენ, რომელთა შედეგად განისაზღვრება დემოკრატიის ინდექსი<sup>878</sup> ამა თუ იმ ქვეყანაში. ამასთან, *თითოეული ინდექსის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდიკატორების ერთობა*. მაგალითად, თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიის შეფასებისას გამოიყენება: ვანჰეინის დემოკრატიის ინდექსი (რომლის მიხედვით, დემოკრატიის საზომი საზოგადოებაში რესურსების განაწილების შესაძლებლობაა); Freedom House-ის დემოკრატიის ინდექსი (დემოკრატიის საზომია საზოგადოების სხვადასხვა ინსტიტუტის (განსაკუთრებით, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების) თავისუფლების ხარისხი); ნიებაუერის დემოკრატიის ინდექსი (დემოკრატიის შეფასებისას აქცენტს აკეთებს ელექტორულ თანასწორობასა და კონკურენციაზე); კატრაიტის პოლიტიკური განვითარების ინდექსი (დემოკრატიის შეფასებისას ეფუძნება ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტებისა და მისი მახასიათებელი ცალკეული კომპონენტების ანალიზს); ბოლენის პოლიტიკური დემოკრატიის ინდექსი (დემოკრატიის შეფასებისას აქცენტი კეთდება ელიტებსა და არაელიტებს შორის პოლიტიკური ძალაუფლების ფლობის ხარისხზე); ბერტელსმანის ინდექსი (დემოკრატიის შეფასებისას ითვალისწინებს ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის მახასიათებლებს და ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარების დონეზე) და სხვ.

---

<sup>878</sup> The Encyclopedia of Political Science, Edited by G.T. Kurian, Washington, 2011, 389-390; Баранов, Н.А., Современная Демократия: Эволюционный Подход, Санкт-Петербург, 2008, 13-16.

## თავი XV. არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები 1. ავტორიტარიზმი

სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების ფორმებისა და მეთოდების სისტემური ერთიანობით, სახელმწიფოს მმართველობის პოლიტიკურ შინაარსს პოლიტიკური რეჟიმი განსაზღვრავს. პოლიტიკურ რეჟიმებში ნათლად იკვეთება სახელმწიფოს მართვის პროცესში ხელისუფლების ნების გამოვლენისა<sup>879</sup> და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და შინაარსი, ანუ იგი სახელმწიფოს პოლიტიკური შინაარსის მაჩვენებელია. ამ შინაარსში დემოკრატიის უარყოფის ფორმებია ავტორიტარიზმი და ტოტალიტარიზმი.

ავტორიტარიზმი შესაძლოა განვითარდეს კონსტიტუციურად სამართლებრივ და დემოკრატიულად გაცხადებულ სახელმწიფოებშიც. იგი, როგორც წესი, არ კანონდება (ტოტალიტარიზმისგან განსხვავებით, გაცხადებული არაა), ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით აღმოცენდება და ვითარდება. **ავტორიტარიზმის ნორმატიული დეკლარირება არასოდეს ხდება და არ ეფუძნება ერთი პოლიტიკური იდეოლოგიის დაკანონებას, პირიქით, დემოკრატიულ-ნორმატიულ ფასადს ეფარება.**

ავტორიტარიზმის აღმოცენებისა და განვითარების წინაპირობებია:

1. ქვეყნის განვითარების დაბალი სოციალურ-ეკონომიკური დონე;
2. სამოქალაქო განათლების დაბალი დონე;
3. დემოკრატიული მექანიზმებისა და ინსტიტუტების ტრადიციების არარსებობა;
4. სამოქალაქო-პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კონტროლის ტრადიციების დეფიციტი;
5. ადამიანის უფლებათა დაცვის დაბალი ხარისხი, სუსტი სასამართლო და სამართლებრივი სისტემა;
6. დამოუკიდებელ მედიასაშუალებათა არამყარი ბაზარი;
7. არამყარი პარტიული სისტემა;

---

<sup>879</sup> Сравнительное Конституционное Право, Под. Ред. В.Е. Чиркина, Москва, 2002, 287.

8. ამ პირობებში პოპულისტური აპელირება ქმედითი რეფორმების ოპერატიული განხორციელების გარდაუვალობაზე.

მეორე სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ-პოლიტიკურ გარემოში, სადაც დაბალი ყოფითი მდგომარეობა საზოგადოებისათვის ადვილად შეგრძნებადია, პროპორციულად იზრდება პოპულისტური პოლიტიკისადმი მხარდაჭერის მისწრაფებაც. ეს პოპულიზმი ხშირად ეფექტიანი და ოპერატიული რეფორმების აუცილებლობით დემოკრატიის, ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი განვითარებისა და სტაბილურობის მიღწევის დაპირებას ეფუძნება.

ავტორიტარიზმი ახალ, მეორე დემოკრატიებში (მათ შორის, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში) ადვილად აღმოცენებადი ინსტიტუტია, ვინაიდან მსგავს გარემოში არ არსებობს ძლიერი დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების ტრადიცია; შესაბამისად, საზოგადოებრივი განვითარების რაღაც ეტაპზე არა კლასიკური, არამედ ელექტორული დემოკრატიები ყალიბდება. მით უფრო, როდესაც დაბალია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე და ამ ფონზე, ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის, თუ ქარიზმატული ლიდერისათვის, ადვილია საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება. არამყარი სამოქალაქო ინსტიტუტების სისტემაში ადვილია ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის წარმოქმნა. **ავტორიტარიზმი ხშირად და ადვილად, სწორედ ისეთ სახელმწიფოებში მიიღწევა, სადაც სუსტი ეკონომიკური ფონი ნოციერ სასაბუღალტრო საფუძვლად გამოიყენება, რაც შიდაპოლიტიკური გარემოს არასტაბილურობას განაპირობებს ხოლმე.** ამ პირობებში, ავტოკრატისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მედიისა და ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის კონტროლი მისი პოლიტიკური ნების შესატყვისად, რაც ხშირად, გასატარებელი რეფორმების ოპერატიულობის უზრუნველსაყოფად საჭირო კონსოლიდაციას ემყარება. ამ პირობებში, ჩნდება სამართალზე აღმატებული პერსონალიზებული ძალაუფლება.<sup>880</sup> ასეთ სისტემებში, არჩევნების შედეგების მიხედვით გამარჯვებული პოლიტიკური ძალა ზღუდავს პოლიტიკურ თავისუფლებასა და შეჯიბრებითობას, მმართველობის

---

<sup>880</sup> დემოკრატია სწორედ მსგავსი ავტოკრატის სანინაღმდეგო მოვლენაა. იხ., Alder J., *General Principles of Constitutional and Administrative Law*, 4<sup>th</sup> Ed., Palgrave Macmillan, 2002, 108; Barnett H., *Constitutional and Administrative Law*, 4<sup>th</sup> Ed., Cavendish Publishing, 2002, 13.

შინაარსით ასუსტებს ოპოზიციურ ძალებს, რაც, თავის მხრივ, სრული პოლიტიკური სისტემის ქმედითობის, მათ შორის, სამოქალაქო-პოლიტიკური კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების არაეფექტიანობას იწვევს.

ავტორიტარიზმის გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ ხდება კანონმდებლობის ტრანსფორმაცია ყველა საზოგადოებრივ სფეროში სახელმწიფოს შეღწევადობის უზრუნველსაყოფად. *მმართველი პოლიტიკური ძალა ცდილობს და აღწევს ოპოზიციური პარტიების საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვას როგორც ფაქტობრივად, ასევე, საკანონმდებლო დონეზე. არჩევნებში იქმნება არათანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფილი და არაკონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემო, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მმართველი პოლიტიკური პარტიის გამარჯვება.*

ავტორიტარიზმის ფუნდამენტური მახასიათებელი პოლიტიკურ ურთიერთობებში დემოკრატიული მექანიზმებისა და პროცედურების გამოყენების უარყოფაა.<sup>881</sup> ლინცის შეფასებით, ავტორიტარულია „პოლიტიკური სისტემები, რომელთათვისაც, შესაძლოა არა ყოველთვის „ზემოდან“, მაგრამ მაინც დამახასიათებელია პოლიტიკური პლურალიზმის შეზღუდვა; დამუშავებული და წარმართველი იდეოლოგიის არარსებობის, თუმცა მენტალობის განსაზღვრული ტიპის პირობებში, ფართო და ინტენსიური პოლიტიკური მობილიზაციის დეფიციტი, გარდა განვითარების ცალკეული ეტაპებისა. ესაა სისტემები, რომელთა პირობებშიც, ლიდერი ან პირთა ვინრო წრე ძალაუფლებას ახორციელებენ არა მკაფიოდ განსაზღვრულ, მაგრამ სრულიად განჭვრეტად ფარგლებში“<sup>882</sup>.

სახელმწიფოთა პოლიტიკური რეჟიმების მართებული განსაზღვრა-იდენტიფიკაციისათვის არაერთი მეთოდოლოგია და ინდექსირების სისტემა გამოიყენება, თუმცა ამ რეჟიმებს საერთო მახასიათებლებიც აქვთ:

1. ოპოზიციის დასუსტება, მისი გარიყვა პოლიტიკური მოვლენებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან და შემდგომ

<sup>881</sup> Конституционное (Государственное) Право Зарубежных Стран, Тома 1-2. Часть общая, Под. Ред. Б.А. Страшуна, Москва, 1996, 214.

<sup>882</sup> Linz J.J., Totalitarian and Authoritarian Regimes, in: Handbook of Political Science, Vol. 3., Edited by F.I. Greenstein and N.W. Polsby, Addison-Wesley Educational Publishers Inc., 1975, 264; Цыганков А.П., Современные Политические Режимы: Структура, Типология, Динамика, Москва, 1995, 170.

სრული დაუძღურება. ოჯახის, ტრადიციების, საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ყველა სხვა პოტენციურად ოპოზიციური საზოგადოებრივი ინსტიტუტის საკუთარი კონტროლისადმი დაქვემდებარებისკენ მიწრაფება;

2. კონფლიქტების გადაწყვეტისას ძალის გამოყენებისაკენ მიწრაფება და ძალაუფლების განხორციელების პროცესში დემოკრატიული კონტროლის მექანიზმებზე უარის თქმა;

3. ხელისუფლების სუსტი კავშირი საზოგადოებასთან და ამავდროულად, სურვილი, საზოგადოება დაუქვემდებაროს ყოველსომცველ სახელმწიფო კონტროლს;

4. რეჟიმის მიერ ძალაუფლების ახალი წყაროების (ლიდერის ტრადიცია და ქარიზმა) პერმანენტული, მაგრამ უმეტესწილად საკმაოდ უშედეგო ძიება;

5. მმართველი ელიტის შედარებითი კარჩაკეტილობა, რომელიც ხელისუფლებისათვის მის წიაღში არსებულ ბრძოლას ერწყმის;<sup>883</sup>

6. ავტორიტარიზმში, მართალია, ფორმალურად შენარჩუნებულია ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი, ფაქტობრივი პოლიტიკური მდგომარეობით და ხშირად საკონსტიტუციო დონეზეც ქრება სახელმწიფო ხელისუფლების განშტოებებს შორის სადემარკაციო ხაზები, პარლამენტი და მთავრობა პოლიტიკური ლიდერის ნებაზე დამოკიდებული ხდება. ასევე, ავტოკრატი სრულად აკონტროლებს სასამართლო ხელისუფლებას;

7. სახელმწიფო ხელისუფლების განშტოებები თუ თვითმმართველობის ორგანოები, ფორმალურად არსებული გარკვეული უფლებების მიუხედავად, ვერ ინარჩუნებენ საკუთარი კომპეტენციის შესატყვის დამოუკიდებლობას, ისინი დამოკიდებულნი არიან ავტორიტარი მმართველის პოლიტიკურ ნებაზე. სახელმწიფო ძალაუფლების ფაქტობრივი კონცენტრაცია ხდება, რაც გარკვეულ ხარისხში, ნორმატიულ ასახვასაც ჰპოვებს, კონსტიტუცია მხოლოდ ფორმალურ სტატუსს ატარებს. ვინაიდან ავტორიტარი მმართველის ძალაუფლება მართლმსაჯულების სისტემასაც იქვემდებარებს, სამართალი არსებითად პოლიტიკური ძალმომრეობის გამამართლებელ იარაღადაა ქცეული. ამ ვითარებაში, სამართალი, როგორც

---

<sup>883</sup> დაწვრილებით იხ., Цыганков А.П., Современные Политические Режимы: Структура, Типология, Динамика, Москва, 1995, 170.

საზოგადოების თავისუფლებაზე დამყარებული ორგანიზაციის სამართლიანი საშუალება, არა მხოლოდ ფუნქციას, არამედ არსსაც კი კარგავს;

8. კანონმდებლობის ტრანსფორმაცია იმ მიმართულებით, რომ დადგინდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა იმგვარი წესები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოს არა რეალურად სამართლიანი, არამედ ძალმომრეობითი პოლიტიკის სამართლის საბურველში შეფუთვა და მისი დაცვა დემოკრატიული კომპონენტების შელწევადობისაგან. ეს არის ავტორიტარიზმის შენარჩუნების სამართლებრივი გარანტიების ერთგვარი სისტემა. კანონმდებლობა ადგენს აკრძალვებს, იძულებისა და რეპრესიების კვაზი კანონიერ საფუძვლებსა და ფორმებს.

ავტორიტარიზმი, მისი ძირითადი საერთო მახასიათებლების, განვითარების ეტაპებისა და ხასისხის მიუხადავად, თავისი შინაარსით ერთგვაროვანი და ერთსახოვანი მაინც არაა. იგი შესაძლოა იყოს **აბსოლუტურმონარქიული, ნოდებრივ-წარმომომადგენლობითი (არისტოკრატიული), თეოკრატიული, ერთპარტიული ან ერთი პირის მმართველობითი სისტემა, ბიუროკრატიულ-ოლიგარქიული, სამხედრო დიქტატურა და სხვა ინდივიდუალური ჰიბრიდული რეჟიმები.**<sup>884</sup>

**აბსოლუტურმონარქიული, ნოდებრივ-წარმომომადგენლობითი (არისტოკრატიული) ავტორიტარული რეჟიმები** უპირატესად მოძველებულია და შესაძლებლობის ფარგლებში ხდება მათი შედარებით ტრანსფორმაცია ლიბერალური დემოკრატიის მიმართულებით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აბსოლუტური მონარქიის რეჟიმები გაქრობის პირასაა. ისინი საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი აზიისა და აფრიკის მთელ რიგ სახელმწიფოებში<sup>885</sup>.

**ერთპარტიული სისტემების** მახასიათებელია დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდში დომინანტი პარტიის არსებობა, რომელსაც

<sup>884</sup> იხ., O'Neil P., Essentials of Comparative Politics, New York, London, 2013, 180-186; Diamond L.R., Thinking About Hybrid Regimes, Journal of Democracy, Vol.13, No.2, 2002, 21-35; Alvarez M., Cheibab J.A., Limongi F., Przeworski A., Studies in Comparative International Development, Vol.31, No.2, 1996, 3-36; Gilbers L., Mohseni P., Beyond Authoritarianism: The Conceptualization of Hybrid Regimes, Studies in Comparative International Development, Vol.46, 2011, 270-297.

<sup>885</sup> იხ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 80.

ერთიანობისათვის შესაძლოა ყოველთვის მყარი იდეოლოგიური საფუძველი არ ჰქონდეს და ერთი ქარიზმატული ლიდერის გარშემო იყოს კონცენტრირებული. ამ პირობებში სისტემა შეიძლება უფრო მობილურიც გახდეს და ერთი პირის რეჟიმის ნაირსახეობასთან ნაზავად გარდაისახოს. აქ სისტემურია პოლიტიკური იერიში ოპოზიციური პარტიების იდეოლოგიურ-მატერიალური რესურსების განადგურებაზე, მათი დაუძღვრების მიზნით. ამ რეჟიმებში ოპოზიცია ან პირდაპირ იკრძალება (თუმცა ნაკლებად, ასეთი უკიდურესი მიდგომა უმეტესწილად ტოტალიტარულ სისტემებშია გავრცელებული) ან იქმნება ისეთი პირობები, რომლებიც მას ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობას არ აძლევენ.<sup>886</sup> მაგალითად, ზამბიის 1973 წლის კონსტიტუცია კრძალავდა ნებისმიერი სხვა პარტიის არსებობას, გარდა მმართველი ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიისა<sup>887</sup>. საზოგადოდ, ნაციონალური აღტკინება ხშირადაა დომინანტი პარტიისა თუ ერთი ქარიზმატული პირის ავტორიტარული მმართველობის აღმოცენების წინაპირობა. ამის ერთ-ერთ ტიპიურ ნიმუშად გამოდგება ხორვატიაში ტუჯმანისა (1990-1999) და სერბეთსა და იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მილოშევიჩის (1989-2000) და მათი პარტიების მმართველობა. მსგავსი რეჟიმების აღმოცენების წინაპირობა ხშირად სამხედრო თუ მშვიდობიანი რევოლუციებიცაა.

**ერთი პირის რეჟიმი** ხშირად ერთპარტიული ავტორიტარული რეჟიმის მონათესავე ან მისგან წარმოქმნილი ნაირსახეობაა, რომელიც „საკუთარი“ პარტიით, მაგრამ მაინც მკვეთრად პერსონალიზებული მმართველობით ხასიათდება. ეს ზუსტად ისეთი რეჟიმებია, რომლებსაც საბოლოოდ ტუჯმანისა და მილოშევიჩის ფაშისტური აქცენტებისკენ მიდრეკილი და პუტინის თანამედროვე მმართველობები გარდაისახნენ. იგი შეიძლება განვითარდეს დომინანტი პარტიიდან პერსონალიზებული მმართველობისაკენ ან პირიქით – ერთი პირის რეჟიმში შეიქმნას პარტია, რომელიც ეფუძნება არა იდეოლოგიურ სისტემურ ერთობას, არამედ მხოლოდ მმართველი პირის ხელთ საჭირო ინსტრუმენტის როლით შემოიფარგლება.

---

<sup>886</sup> Конституционное (Государственное) Право Зарубежных Стран, Т. 1-2. Часть общая, Под. Ред. Б.А. Страшуна, Москва, 1996, 214.

<sup>887</sup> იხ., Constitution of Zambia, 1973, Art.6.

**სამხედრო ავტორიტარულ რეჟიმები** ძირითადად სამხედრო გადატრიალებებისა (სქართველო 1992 წელს) თუ სისხლიანი რევოლუციების (საბჭოთა რუსეთი 1917 წლის ოქტომბრის ამბოხების შემდეგ, კუბა 1959 წლიდან) თანმდევი შედეგია. ამ დროს სუსტადაა განვითარებული სამოქალაქო-პოლიტიკური ინსტიტუტები და არ არსებობს მათი კონტროლი სამხედრო ძალებზე. ამ პირობებში, ქმედითად მხოლოდ სამხედრო დისციპლინის ძალიდან წარმოშობილი მმართველობის ავტორიტეტი მიიჩნევა და არა სამართლის. შესაბამისად, საზოგადოებაში პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გადალახვის ყველაზე ეფექტიან მეთოდად სამხედრო ძალისადმი რწმენა მოიაზრება. **ასეთ პოლიტიკურ პირობებზე დამოკიდებული საზოგადოება კი „პრეტორულ საზოგადოებად“<sup>888</sup> იწოდება,** – დამოკიდებულება არა სამოქალაქო-პოლიტიკური ინსტიტუტების მმართველობით კულტურაზე, არამედ სამხედრო ავტორიტეტზე, დაბალი სამოქალაქო-პოლიტიკური განათლებისა და კულტურისგან წარმოქმნილი რწმენის შედეგია. ამგვარი ტიპის ავტორიტეტულ რეჟიმებში სამხედრო ძალაუფლება საჯარისო სისტემის მკაცრად ცენტრალიზებულ-ვერტიკალური ორგანიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, უდავოდ განიცდის პერსონალიზაციას და თავად სამხედრო ძალით გამყარებულ, ერთი პირის მმართველობას უახლოვდება. არსებითი კი ისაა, რომ ეს რეჟიმი დგას არა უპირატესად ეკონომიკურ თუ სხვა პოლიტიკურ ფაქტორებზე, არამედ სწორედ სამხედრო სისტემით განპირობებული სტაბილურობის ძალაზე.

**ბიუროკრატიულ-ოლიგარქიული (ელიტური) ავტორიტარული რეჟიმების** ფორმაც მყიფე დემოკრატიებში ადვილად აღმოცენებადია და ძირითადად სამხედრო ავტორიტარულ რეჟიმებთანაა ხოლმე შერწყმული ან მისგან წარმოქმნილი. ეს სისტემა ხასიათდება არა სამოქალაქო ინსტიტუტების დამოუკიდებლობით, არამედ სამხედრო ძალაუფლებაზე მკვეთრი დამოკიდებულებით ან მასთან არსებითად შერწყმით. სამხედრო ძალაუფლებისადმი საფინანსო-ეკონომიკური რესურსების დაქვემდებარება პოლიტიკურ სპექტრზე იმ ხარისხის ზეგავლენას ახდენს, რომ სრული პარტიული სისტემის დასუსტება და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის უნარის

---

<sup>888</sup> Цыганков А.П., Современные Политические Режимы: Структура, Типология, Динамика, Москва, 1995, 173.

დაკარგვა გამოიწვიოს. შესაბამისად, სამოქალაქო-პოლიტიკური ინსტიტუტები ვერ არიან კონკურენტუნარიანები სამხედრო ძალაუფლებასთან მიმართებით, ვერ ახერხებენ თავისი ფორმალური ფუნქციების რეალურად განხორციელებას, ფაქტობრივად არ არსებობს მათი პოლიტიკური ნების გამოვლენის შესაძლებლობა. სამხედრო ძალაუფლება ახდენს სამოქალაქო-პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირებას. ამ ტიპის რეჟიმები, როგორც წესი, არ ხასიათდებიან დროში განგრძობადი სიმყარით და ხდება მათი ეტაპობრივად სამოქალაქო ინსტიტუტებით ჩანაცვლება, რეჟიმის ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით. მსგავსი რეჟიმები მოქმედებდა 1990-იან წლების გარკვეულ ეტაპზე საქართველოსა და რუსეთში, სადაც წამყვანი ძალა იყო სამხედრო, რომელიც ქმნიდა, აკომპლექტდებდა და აკონტროლებდა სამოქალაქო ინსტიტუტებს.

**მკაფიოდ არგანსაზღვრული, ჰიბრიდული მოდელებიც,** როგორც წესი, არამყარი პარტიული სისტემებისა და არატრადიციული დემოკრატიების ნაყოფია. ამ ტიპის რეჟიმი შეიძლება აღმოცენდეს პოსტტოტალიტარულ, მყიფე დემოკრატიებში, სადაც დემოკრატია ცაზიბია ძირითადად ხელისუფლების ვადიან მონაცვლეობაზე, არჩევითობაზე დგას. მათ ხშირად არჩევით, ელექტორულ დემოკრატიებსაც კი ეძახიან ხოლმე. ეს რეჟიმები არ გამოირჩევიან არც მყარი დემოკრატიულობით და არც არადემოკრატიულობით. ისინი ძალზე ხანმოკლე მმართველობებია. ჰიბრიდული ავტორიტარიზმის ტიპური ნიმუშია სლოვაკეთში მეჩიარის ავტორიტარული მმართველობა (1993-1998 წწ.).

**ავტორიტარიზმი ტოტალიტარიზმისაგან განსხვავებით, თავისი მილიტარისტული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური რესურსების ნაკლებობით, დროში ხანგძლივად მოქმედი და მყარად დაცული რეჟიმი არაა, იგი დაცემის უფრო მაღალი რისკებით ხასიათდება და დემოკრატიზაციისაკენ ტრანსფორმაციისთვის უფრო ადრეა „განწირული“.** ავტორიტარიზმში, ტოტალიტარიზმისაგან განსხვავებით, სისტემის ასეთი დამცავი მექანიზმების შედარებითი ნაკლებობისა და სისუსტის გათვალისწინებით, უფრო ადვილად შეელწევადი ოპოზიციური აზრისა და ქმედებების ეფექტიანობა. ეს, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს ავტორიტარული სისტემის გაძლიერებისა და შესაბამისად, მისი ტოტალიტარიზმამდე განვითარების რისკებსაც.

## 2. ტოტალიტარიზმი

სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების ფორმებსა და მეთოდებში სამართლიანობის უარყოფის უკიდურესი ფორმაა ტოტალიტარიზმი, რომელიც მთლიანად უარყოფს კონსტიტუციონალიზმის უმთავრეს ღირებულებას – ადამიანის უფლებებით სახელმწიფო ხელისუფლების ბოჭვის ფილოსოფიას<sup>889</sup>. ის ზოგჯერ ავტორიტარიზმის კიდევ უფრო ნეგატიური განვითარების შედეგი და მომდევნო საფეხური შეიძლება იყოს. ტოტალიტარიზმი ტოტალურად განვრცობილი დემოკრატიის სანინალმდეგო კონკრეტული იდეოლოგიზებული მმართველობის პოლიტიკური რეჟიმიცაა. თუ ავტორიტარიზმი უპირატესად ლიბერალურ საზოგადოებაში აღმოცენებული მმართველობის ფაქტობრივი განხორციელების ფორმაა, ტოტალიტარიზმი ყოველთვის კონსტიტუციითვე დაკანონებული იდეოლოგიზებული ანტიდემოკრატიული მმართველობის ღონისძებათა სისტემაა. ტოტალიტარულ რეჟიმებს არ აქვთ თანამედროვე დემოკრატიულობის განაცხადი, პირიქით, თავისი შინაარსით, მისი ანტითეზაა. დემოკრატია უარყოფილია მასზე „უკეთესი“ სისტემით განპირობებული დომინირებული შიშით. ტოტალიტარიზმმა თავისი სრული განვითარება ნაციზმისა და კომუნისმის პირობებში ჰპოვა. დღესაც იგი დემოკრატიის მკვეთრად უარყოფელ და ჩამახშობელ მმართველობით კომუნისტურ რეჟიმში – ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში (მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდებაში სწორედ სახალხო დემოკრატიაზეა აქცენტი გაკეთებული) და შედარებით ლიბერალიზაციისაკენ დაძრულ კუბის რესპუბლიკაში არსებობს. ხშირად კომუნისტური და ნაციისტური ტიპის ტოტალიტარიზმის გვერდით, გამოყოფენ ასევე, აიათოლა ხომეინის ტოტალიტარულ ფუნდამენტურ თეოკრატიულ რეჟიმს ირანში.<sup>890</sup>

ტოტალიტარული ქვეყნების კონსტიტუციები არ სპეკულირებენ დემოკრატიით და ამ კონკრეტული იდეოლოგიის შესატყვისი რეჟიმის დიქტატურის კონსტიტუციონალიზაცია ხდება. ხშირად ეს

---

<sup>889</sup> იხ., Tushnet M., Fleiner Th., Saunders Ch., Handbook of Constitutional Law, Routledge, 2013, 33.

<sup>890</sup> Цыганков А.П., Современные Политические Режимы: Структура, Типология, Динамика, Москва, 1995, 193.

შენიღებულია „მუშათა“ თუ „მშრომელთა“ დემოკრატიის დიქტატურის საფარველით. ეს მდგომარეობა ერთი კონკრეტული პარტიის მიერაა განვრცობილი. შესაბამისად, სისტემა ხასიათდება ამ ერთი პარტიის დომინაციით, რაც სახელმწიფო მმართველობის სისტემის პიროვნების თავისუფლებაზე ორიენტირებას გამორიცხავს. ტოტალიტარიზმი დიქტატურის დაკანონებაა. სსრკ ოფიციალურად მხოლოდ ერთი, კომუნისტური პარტიის არსებობას ცნობდა და ნებისმიერი სხვა პოლიტიკური გაერთიანება იკრძალებოდა.<sup>891</sup> საბჭოეთის გავლენით, ანალოგიური მიდგომით ხასიათდებოდნენ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების კონსტიტუციებიც – იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა და ა.შ. დღესაც, ჩრდილოეთ კორეის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო თავის ძალაუფლებას კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებს.<sup>892</sup> მისი კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოს იდეოლოგიზაციაზე: „ქსდრ იმ კლასობრივი ხაზის ერთგულია, რომელიც სახალხო დემოკრატიის დიქტატურას ამყარებს და ამასთან, მყარად იცავს სახალხო ძალაუფლებას, სოციალისტურ წყობას შიდა და გარე მტრული ელემენტების საიდუმლო ქმედებებისაგან“<sup>893</sup>. **„ტოტალიტარიული მმართველობის შესაბამის საზოგადოებაში არ არსებობს სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობები, სადაც არ არის პარტიები და კონკურენტული ბრძოლა არჩევნებში გასამარჯვებლად, სადაც სახელმწიფოსათვის ყველა მშრომელი, შრომობს მისი ნაწილების გასამყარებლად და თანასწორნი არიან თავიანთ შემოსავლებსა და სოციალურ განაცხადებში.“**<sup>894</sup> ბუნებრივი პოლიტიკური შეჯიბრობითობა ხელოვნურადაა მოსპობილი, რადგანაც სხვაგვარად რეჟიმი ვერ შესძლებდა თავის შენარჩუნებას. ამისთვის

---

<sup>891</sup> იხ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 77.

<sup>892</sup> კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-11 მუხლი.

<sup>893</sup> იქვე, მე-12 მუხლი.

<sup>894</sup> Цыганков А.П., Современные Политические Режимы: Структура, Типология, Динамика, Москва, 1995, 190.

უამრავი პოლიტიკური, სოციალური და სხვა საშუალება გამოიყენება.

ტოტალიტარულ სახელმწიფოებში კონსტიტუციაც, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველი, იდეოლოგიზებულია. შესაბამისად, იგი სათავეს უდებს საზოგადოების ერთიან და ცენტრალიზებულ იდეოლოგიზებულ მართვას გაბატონებული პოლიტიკური ჯგუფის მიერ. ასეთ პოლიტიკურ გარემოში **ტოტალიტარიზმი თავისი არსით პიროვნებაში ინდივიდის ჩახშობასა და საზოგადოებაში სახელმწიფო ძალაუფლების ტოტალურ განვრცობაზე ორიენტირებული შინაარსის მმართველობაა.**

ტოტალიტარიზმი ხშირად პარლამენტარიზმისადმი სკეპტიციზმითაც აიხსნება, როდესაც პარლამენტარიზმის უუნარობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ფილოსოფიის გარშემო ფორმირებული ერთპარტიული ბოლშევიკური თუ ნაცისტური, ფაშისტური მმართველობები<sup>895</sup> ძალას იკრებენ და საკუთარი თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლეგიტიმაციას უზრუნველყოფენ. ამის ტიპური ნიმუში ნაცისტური გერმანიაა.

ტოტალიტარიზმი, ავტორიტარიზმისაგან განსხვავებით, კონსტიტუციურად „ლეგიტიმირებული“ რეჟიმია, რომლის კონსტიტუციური დებულებებიდანაც იღებს სათავეს დაკანონებული ტოტალიტარიზმის იდეოლოგიურ საფუძველი და მასზე დაშენებული კონკრეტული შინაარსი და სახე. ამიტომაც, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სოციალისტური ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიისაკენ ტრანსფორმაციის გზაზე, პირველი საეტაპო ღონისძიება კონსტიტუციათა ტექსტების დეიდეოლოგიზაცია იყო, რათა საზოგადოებაში თავისუფლების იდეა სამართლებრივად ყოფილიყო უზრუნველყოფილი, რაც სახელმწიფოთა ნაწილს ახალი საკონსტიტუციო სულისვეთებით მეტნაკლებად გამოუვიდა კიდეც<sup>896</sup>.

ნაცისტური და ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის განსხვავებების მიუხედავად, მათ საერთო გვაროვნული ნიშნები მაინც ახასიათებდათ:

---

<sup>895</sup> იხ., შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 150.

<sup>896</sup> Dupré C., *Importing the Law in Post-Communist Transitions*, Hart Publishing, 2003, 16.

1. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ორგანიზაცია დომინანტი იდეოლოგიის გარშემო, იდეოლოგიის საშუალებით ნებისმიერი ურთიერთობის საყოველთაო, ტოტალური კონტროლი<sup>897</sup>;

2. ამ იდეოლოგიის შესაბამისი ერთადერთი პარტიის წარმართველი როლი საზოგადოებაში;

3. ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის უარყოფა და სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების შერწყმა სახელმწიფო პარტიასთან;

4. ადამიანის უფლებათა ფორმალური დეკლარაცია, მათი პრაქტიკული განხორციელების მექანიზმებისა და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არარსებობა;

5. პიროვნული ინდივიდუალიზმის უარყოფა და მისი საერთო სახელმწიფოებრივი ნებისათვის დაქვემდებარება;

6. პოლიციური კონტროლის სისტემა;

7. დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების არარსებობა;

8. ცენტალიზებული კონტროლი სახელმწიფო ეკონომიკაზე.

**ტოტალიტარიზმის ფუნდამენტური საყრდენი საზოგადოების ერთი იდეოლოგიური მიმართულებით მართავაა.** იგი ყველა ინდივიდში შელწევადი და მათში პიროვნული ინდივიდუალიზმის ჩამხშობია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ რეჟიმის მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლეგიტიმაცია რევოლუციურ ფონზე ხდება, იგი მაინც არაა საყოველთაო საზოგადოებრივი თანხმობა; ეს უფრო შიშზე დაფუძნებული ყოვლისმომცველობაა, ძალაუფლების ტოტალიტარიზაცია ყველა საზოგადოებრივ სფეროში.

მმართველობის პროცესში მონაწილეობის აქტიური აკრძალვის მეთოდი აქტიურად გამიყენება სხვა პოლიტიკურ გაერთიანებათა აკრძალვის მიმართულებით. **„საზოგადოების ყოვლისმომცველი ფლობისათვის, გამოიყენება ისეთი ინსტიტუტი, როგორც არის სახელმწიფო „პარტია“, ყველა საზოგადოებრივი უჯრედის, მათ შორის, ოჯახის ფენომენის ჩამხშობი, რომლებსაც გარე პოლიტიკური რეჟიმის კონტროლს უქვემდებარებს.“<sup>898</sup>**

სახელმწიფო და პარტიული სტრუქტურების ერთმანეთში შერწყმის გამო, ტოტალიტარიზმში კონსტიტუციურადვე ქრება

<sup>897</sup> იბ., O'Neil P., Essentials of Comparative Politics, New York, London, 2013, 167.

<sup>898</sup> Конституционное (Государственное) Право Зарубежных Стран, Т. 1-2. Часть общая, Под. Ред. Б.А. Страшуна, Москва, 1996, 214.

სახელმწიფო და რეგიონული თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფორმალური დამოუკიდებლობაც და კონსტიტუციურ დონეზე ძალაუფლების ფაქტობრივი კონცენტრაციის ნორმატივიზაცია. თავად წარმმართველი სახელმწიფო პარტია კი ერთი ლიდერის სრულმასშტაბიან კონტროლქვეშაა.

პიროვნებაში ინდივიდის ჩახშობა სახელმწიფოს ხელისუფლების ყველაზე ქმედითი იარაღია, რათა საზოგადოებაზე ძალაუფლების ტოტალიტარიზაციის გზაზე საზოგადოებრივი ველი ყოველგვარი შესაძლო წინააღმდეგობისგან განმინდოს. ამავდროულად, უარყოფილია ინდივიდთა შინაარსობრივი თანასწორობა და სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი იდეოლოგიურად ერთი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბებაა. ფორმალურ-კონსტიტუციურად დეკლარირებულ უფლებათა პრაქტიკული რეალიზაცია ნომინალურია. ამავდროულად, ადამიანებისათვის თავად უფლებების ბოძებაც ლიმიტირებულია – ის შეზღუდულია უფრო „იდეალური“, უფრო „დიადი“ – ვთქვათ, სოციალიზმის მშენებლობის მიზნით. ამ მდგომარეობაში ადამიანი არის არა თავისუფალი ინდივიდი, არამედ საშუალება ამ „დიადი“ მიზნის მისაღწევად და შესაბამისად, ადამიანების უფლებები ვალდებულებებითაა დატვირთული. ტოტალიტარიზმი ადამიანის თავისუფლების ტოტალურად ჩახშობაზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც პიროვნებაში აღწევს მისი აზროვნების ჩახშობამდეც კი. საზოგადოებაში საწყისი არის არა თავისუფალი ინდივიდი, არამედ სახელმწიფო. ყველა ემსახურება სახელმწიფოს და არა სახელმწიფო ადამიანს. სახელმწიფო მოაზრებულია არა თავისუფალი ადამიანების საზოგადო თანხმობად, არამედ ძალის იარაღად. შესაბამისად, ხალხი არის სახელმწიფოსთვის და არა პირიქით.

ტოტალიტარიზმის მიზნებიდან მომდინარე სინამდვილის გათვალისწინებით, რომელშიც უარყოფილია ძალაუფლების გამიჯვნის ფილოსოფია, არ შეიძლება საუბარი სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობაზე, სამართლიანობასა და ეფექტიანობაზე. სასამართლო და ყველა სხვა საკონსტიტუციო ინსტიტუტი უძლურია ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებებში.

სამართალდაცვითი და უშიშროების ორგანოები სრულად აკონტროლებენ ადამიანის პირად ცხოვრებას, სიცოცხლის ნებისმიერ ეტაპს. ისინი თავისი საქმიანობით გარდაისახებიან პოლიტიკურ პოლიციად, რომლის ხელითაც ხოციელდება მასობრივი საზოგადოებრივი ტერორი, როგორც რეპრესიულად, ისე

დაშინებით, პრევენციის მიზნით. **ტოტალიტარულ რეჟიმში ტერორი, როგორც ხელისუფლების ძალის ავტორიტეტის წარმომჩენი, საზოგადოების დამორჩილების ერთ-ერთი ეფექტური იარაღია.** *სტალინურ ტოტალიტარიზმში ტერორი იყო არა მხოლოდ პოლიციურ, არამედ საყოფაცხოვრებო დონეზეც.<sup>899</sup>*

სახელმწიფო რეჟიმის მიერ საერთოდ უარყოფილია დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების არსებობა. სახელმწიფო პარტიას ესაჭიროება შესაბამისი იდეოლოგიით გაჯერებული მუდმივი და უწყვეტი საინფორმაციო კვება. ამის უზრუნველსაყოფად, იკრძალება მმართველი პოლიტიკური ნებისაგან დამოუკიდებელი მედია და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციული გაერთიანება; ქვეყანაში დამკვიდრებულია ცენზურა და სრული კონტროლი ინფორმაციის გავრცელების ნებისმიერ ფორმასა და შინაარსზე.

ტოტალიტარული რეჟიმის არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებასა და პოლიტიკურ რეჟიმს შორის კავშირი.<sup>900</sup> ეს, ერთი მხრივ, გულისხმობს ტოტალიტარიზმის აღმოცენებისათვის სათანადო ნიადაგის არსებობას ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში და მეორე მხრივ, სახელმწიფოს ეკონომიკაში სრულ ჩარევას, რეჟიმის შენაჩუნების უზრუნველსაყოფად. ისტორიამ აჩვენა, რომ დაბალი ნიშნულის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სათანადო ნიადაგია ტოტალიტარული რეჟიმების აღმოცენებისათვის. ასეთ ფონზე მოვიდნენ ხელისუფლებაში ბოლშევიკები და ვაიმარის რესპუბლიკაში – ნაცისტები.

ტოტალიტარიზმის შენარჩუნებას ესაჭიროება სახელმწიფოს მიერ მკაცრად ცენტრალიზებულ მართვას დაქვემდებარებული ეკონომიკური რესურსი და ასევე, ტოტალური ბიუჯეტის მქონე შეიარაღებული ძალების ძალზედ მილიტარიზებული სისტემა. ამიტომ ტოტალიტარული რეჟიმი უზრუნველყოფს ეკონომიკური რესურსის სრულ მობილიზაციასა და მონოპოლიას. ტოტალიტარიზმში დომინირებული პოლიტიკური იდეოლოგია ყოველთვის

---

<sup>899</sup> Цыганков А.П., Современные Политические Режимы: Структура, Типология, Динамика, Москва, 1995, 187.

<sup>900</sup> Конституционное (Государственное) Право Зарубежных Стран, Т. 1-2. Часть общая, Под. Ред. Б.А. Страшуна, Москва, 1996, 214.

ულტრამემარცხენეა, რადგანაც, მისი თავის შენარჩუნების ამოცანით განპირობებული ქვეყნის ეკონომიკის სრული კონტროლი აღარც კერძო საკუთრების არსებობის საშუალებას აღარ ტოვებს (ან შესაძლოა შენარჩუნებული იყოს საკუთრება ფორმალურ დონეზე, თუმცა მისი შინაარსის, სუბსტანციის დეგრადირებითა და მოსპობით, რაც, საბოლოო ჯამში, საკუთრების იდეას ასამარებს).

## ნაწილი VI. არჩევნები და პოლიტიკური პარტიები

### თავი XVI. უზუალ დემოკრატია

#### 1. არჩევნები

##### 1.1. არჩევნების იდეა და საარჩევნო უფლება

თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობა სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულ ფორმას აღიარებს. დემოკრატია კი დაკავშირებულია ხალხის მმართველობასთან.<sup>901</sup> სახელმწიფო ძალაუფლების წყაროდ და სუვერენიტეტის მატარებლად დემოკრატიულ ქვეყნებში სწორედ ხალხია მიჩნეული. *იმისათვის, რომ ხალხმა თავისი ძალაუფლება გარკვეულ პირთა ჯგუფს გადასცეს, აუცილებელია ადამიანებმა თავიანთი ნება გამოხატონ და აირჩიონ ის პირები ან გაერთიანებები, რომლებსაც გარკვეული დროით სახელმწიფოს ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მართვის უფლებას მიანიჭებენ.* სწორედ ამ პროცესს ემსახურება არჩევნები და შესაბამისად, იგი დემოკრატიის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი და ხელისუფლების ლეგიტიმაციის საშუალებაა. ძალაუფლების გადაცემის ასეთ მეთოდს წარმომადგენლობითი დემოკრატია ეწოდება. **წარმომადგენლობითი დემოკრატია ხორციელდება არა უშუალოდ ხალხის, არამედ მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების ხმების მეშვეობით, შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოში გადაწყვეტილებათა მიღების გზით.**<sup>902</sup> აღნიშნული მოიაზრებს როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებას. უშუალო დემოკრატია ითვალისწინებს სახელმწიფოს მმართველობაში მოქალაქეთა მიერ საკუთარი ნების პირდაპირი რეალიზაციის საშუალებებს, რასაც, ერთი მხრივ, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, მეორე მხრივ კი – საკონსულტაციო ხასიათი. უშუალო დემოკრატიის გადამწყვეტი მნიშვნელობა არჩევნებსა და რეფერენდუმს უკავშირდება, ხოლო უშუალო დემოკრატიის სა-

<sup>901</sup> პაკტე პ., სუკრამანიანი ფ.მ, კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 125, 128.

<sup>902</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012, 12.

კონსულტაციო ხასიათი გამოხატულებას ჰპოვებს პლებისციტის შედეგებში, რომლებიც შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა შეიძლება გაითვალისწინონ ან არა.<sup>903</sup>

კონსტიტუციონალიზმში საარჩევნო სამართალს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სწორედ მის მარეგლამენტირებელ ნორმებზეა დამოკიდებული, თუ როგორი წესით ხდება ამა-თუ იმ ქვეყანაში ხელისუფლების (როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი) ფორმირება. საარჩევნო სამართალი იურიდიულ ნორმათა სისტემაა, რომელიც ანესრიგებს არჩევითი თანამდებობის მონაცვლეობის, სახელმწიფო ორგანოების ფორმირების წესსა და პირობებს, აძლევს მას მონესრიგებული მექანიზმის სახეს.<sup>904</sup> **არჩევნები, წინასწარ დადგენილი წესებისა და სტრუქტურის შესაბამისად, ამომრჩევლის მიერ საკუთარი ნების გამოხატვაა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი ზეგავლენას ახდენს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების ფორმირებას, ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მათ მიერ არჩეული წარმომადგენლებით დაკომპლექტებას უზრუნველყოფს.**<sup>905</sup> *არჩევნები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ან თანამდებობების პირის უფლებამოსილებით აღჭურვის პროცედურაა, რომელიც უფლება-მოსილი პირების მიერ ხმის მიცემის მეშვეობით ხორციელდება. მისი მახასიათებლებია: ახდენს ხელისუფლების ლეგიტიმაციას; იგი პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარი ბარომეტრია; არჩევნები პოლიტიკური ხელმძღვანელობის სელექციის საშუალებაა.*<sup>906</sup> თანამედროვე გაგებით, არჩევნები არის სახალხო სუვერენიტეტის რეალიზაციის ძირითადი ფორმა, სახელმწიფო ორგანოთა ფორმირება საყოველთაო სახალხო კენჭისყრის გზით. იგი ხალხის ნების, მისი სუვერენულობის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა.<sup>907</sup>

<sup>903</sup> იქვე, 11-12.

<sup>904</sup> იქვე, 14.

<sup>905</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ. თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, 2013, 161.

<sup>906</sup> Шашкова А.В., Курс Лекций по Конституционному Праву Зарубежных Стран, Москва, 2008, 76.

<sup>907</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008, 136.

საარჩევნო უფლება ადამიანის ძირითადი საკონსტიტუციო უფლებაა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქის შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს არჩევითი ორგანოს ფორმირებაში. არსებობს აქტიური (მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში როგორც ამომრჩეველმა) და პასიური (მოქალაქის უფლება, თავად იქნეს არჩეული) საარჩევნო უფლებები. საარჩევნო უფლება, როგორც წესი, საკონსტიტუციო დონეზეა განმტკიცებული.

საარჩევნო უფლებას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ ან თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით;<sup>908</sup> ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველი უნდა იყოს: ეს ნება უნდა გამოხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში, ფარული კენჭისყრით ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც ხმის მიცემის თავისუფლებას უზრუნველყოფს.<sup>909</sup>

## 2. საარჩევნო სამართლის პრინციპები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გამოყოფს რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომელსაც საარჩევნო სისტემა უნდა ეფუძნებოდეს: საყოველთაობა, თანასწორობა, ფარულობა და თავისუფლება. აღნიშნული პრინციპები განმტკიცებულია დემოკრატიული ქვეყნების როგორც კონსტიტუციებში, ისე საარჩევნო საკითხების მომწესრიგებელ საკანონმდებლო აქტებში. ამ პრინციპების გარდა, ასევე, მნიშვნელოვანია არჩევნების პირდაპირობის პრინციპი. კონსტიტუციონალიზმის ევოლუციის პროცესში, საარჩევნო სამართალში მრავალი კლასიკური სტანდარტი დამკვიდრდა. ერთ-ერთი ასეთი სტანდარტის სახით, არჩევნების მარეგულირებელი პრინციპების კლასიკური ხუთეული მოქმედებს: არჩევნების საყოველთაობა, თანასწორობა, ფარულობა, თავისუფალი და პირდაპირი არჩევნები.<sup>910</sup> აქვე აღსანიშნავია არჩევნების პერიოდუ-

<sup>908</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>909</sup> იქვე, მე-3 პუნქტი.

<sup>910</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012, 27.

ლად ჩატარების საკითხი, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას არჩევნების პერიოდულობა ერთ-ერთი უმთავრესი საარჩევნო პრინციპია. იმისათვის, რომ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე ხელისუფლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს, მას აუცილებლად სჭირდება ამ მანდატის ხალხისგან განსაზღვრული პერიოდით მიღება. ამ ვადის გასვლის შემდგომ კი ხელისუფლება კვლავ უნდა აღიჭურვოს ხალხის ნდობით, სწორედ ამაშია დემოკრატიის არსი. არჩევითი ორგანოს თუ თანამდებობის უფლებამოსილების ვადა, როგორც ნესი, 4-5 წელიწადს არ უნდა აჭარბებდეს (თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც).<sup>911</sup>

## 2.1. საყოველთაობის პრინციპი

**არჩევნების საყოველთაობის პრინციპის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს.**<sup>912</sup> იგი თავის თავში მოიცავს არჩევნებში მონაწილეობის როგორც აქტიურ, ისე პასიურ საარჩევნო უფლებას. თუმცა „საყოველთაო“ ამ პრინციპს შეიძლება პირობითად ეწოდოს, ვინაიდან ეს უფლება საარჩევნო ცენზებით იზღუდება.<sup>913</sup>

## 2.2. თანასწორობის საარჩევნო პრინციპი

**თანასწორობის საარჩევნო პრინციპი უზრუნველყოფს, არჩევნებში მოქალაქეების მონაწილეობას თანაბარ საწყისებზე.** ეს მიიღწევა იმით, რომ ამომრჩეველი საარჩევნო სიაში შეყვანილი უნდა იქნეს მხოლოდ ერთ საარჩევნო უბანზე და მას უნდა მიეცეს მხოლოდ ერთი საარჩევნო ბიულეტენი. **თანასწორობის საარჩევნო პრინციპის თანახმად, თითოეულ ხმას ერთნაირი „წონა“ უნდა ჰქონდეს.** ამის მიღწევა კი შესაძლებელია, თუკი საარჩევნო ოლქები ჩამოყალიბებულია ამომრჩეველთა თანაბარი რიცხოვნობის პრინციპის გათვალისწინებით.<sup>914</sup> ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს აბსოლუტურ თანაბრობას, აქ საუბარია ისეთ მიდგომაზე, რომ ამომ-

<sup>911</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под . М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 414.

<sup>912</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012, 28.

<sup>913</sup> Катков Д.Б., Корчиги Е.В., Конституционное Право, Москва, 1999, §6.2.3.

<sup>914</sup> იქვე.

რჩეველთა რიცხოვნობა საარჩევნო ოლქებზე მაქსიმალურად თანაბრად გადანაწილდეს. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა უშვებს საარჩევნო ოლქებს შორის გარკვეულ თანაფარდობას, რომელიც, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, საშუალოდ 10-15%-ს არ უნდა აღემატებოდეს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.<sup>915</sup> ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩევლებით თანაბრად დაკომპლექტებული ოლქებიდან დეპუტატების თანაბარი რაოდენობა აირჩეს. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ყველა დეპუტატი ამომრჩეველთა ხმების თანაბარ რაოდენობას წარმოადგენდეს.<sup>916</sup>

პასიურ საარჩევნო უფლებასთან მიმართებით თანასწორობის პრინციპი კანდიდატებისათვის რეგისტრაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას, საარჩევნო ფონდების თანაბრობას, წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარებისას თანასწორობას გულისხმობს.<sup>917</sup> აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუციები ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს წარმომადგენლობით ორგანოებში მათ არჩევასთან დაკავშირებით გარკვეულ პრივილეგიებს აკუთვნებენ. მაგალითად, უნგრეთის კონსტიტუცია აღიარებს, რომ ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები სახალხო ხელისუფლების მონაწილენი არიან და მათ წარმომადგენლობას კანონმდებლობა იცავს: შედეგების მიუხედავად, მათ გარანტირებული აქვთ წარმომადგენლობა ქვეყნის პარლამენტში. ანალოგიური მექანიზმებია ჩადებული რუმინეთის, ვიეტნამისა და ჩინეთის საარჩევნო კანონმდებლობაში.<sup>918</sup>

### 2.3. პირდაპირი საარჩევნო პრინციპი და არჩევნების სახეები

არჩევნები პირდაპირია, თუ მოქალაქეები, შუამავლის გარეშე მონაწილეობენ თავიანთი წარმომადგენლის არჩევაში.<sup>919</sup> პირდაპირი

<sup>915</sup> Code of Good Practice in Electoral Matters, Guidelines and Explanatory Report, Adopted by the European Commission for Democracy through Law (Venice Commission) at Its 52<sup>nd</sup> Session, Venice, 18-19 October 2002, 2.2.iv

<sup>916</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 44.

<sup>917</sup> Катков Д.Б., Корчиго Е.В., Конституционное Право, Москва, 1999, §6.2.3.

<sup>918</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 47-48.

<sup>919</sup> პაკტე პ., სუკრამანიანი ფ.მ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი 2012, 140.

არჩევნები მოქალაქეებს უფლებას აძლევს, ყოველგვარი შუამავლების გარეშე გადასცენ მანდატი იმ პიროვნებებს, რომლებიც მათ იციან და რომელსაც კონკრეტულ თანამდებობას ანდობენ.<sup>920</sup> სწორედ ამიტომაც არჩევნების ასეთი ფორმა უშუალო დემოკრატიის უმთავრეს საკონსტიტუციო ინსტიტუტად მიჩნეული<sup>921</sup>. თუმცა დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში ამ პრინციპის საწინააღმდეგოდ, არსებობს არაპირდაპირი არჩევნების სახეობებიც – ირიბი და მრავალსაფეხურიანი.

ირიბია არჩევნები, როდესაც ამომრჩევნთა ნებას მათ მიერ არჩეული კოლეგია განასახიერებს, რომლის ერთადერთი ფუნქცია საჯარო ხელისუფლების ორგანოს ან თანამდებობის პირის არჩევაა. ამის მაგალითია აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნები: ყოველ ოთხ წელიწადში მოქალაქეები ირჩევენ დელეგატებს სპეციალურ კოლეგიაში და შემდეგ ეს დელეგატები ირჩევენ აშშ-ის პრეზიდენტს.<sup>922</sup> გერმანიის პრეზიდენტს ირჩევს ბუნდესტაგის წევრებისა და მიწების წარმომადგენლებისაგან ფორმირებული ფედერალური კრება.<sup>923</sup>

მრავალსაფეხურიანი არჩევნების დროს ამომრჩევლები პირდაპირ ირჩევენ მხოლოდ ქვედა დონის წარმომადგენლობით ორგანოს, რომლებიც შემდეგ სხვა ორგანოებს ან თანამდებობის პირებს ირჩევენ. როგორც წესი, ამგვარად აირჩევიან პრეზიდენტები საპარლამენტო რესპუბლიკებში. სამსაფეხურიანი საარჩევნო სისტემით ხდება საფრანგეთის ზედა პალატის — სენატის ფორმირება, რისთვისაც იქმნება ფართო წარმომადგენლობითი სპეციალური კოლეგია ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, ქვემდგომი მუნიციპალიტეტებისა და ეროვნული კრების დეპუტატების შემადგენლობით. სწორედ ამ ორგანოების ორი საფეხურის შედეგად ფორმირდება კოლეგია, რომლის ჩართვა სენატის არჩევნებში კრავს სამსაფეხუროვან საარჩევნო სისტემას.<sup>924</sup>

---

<sup>920</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 413.

<sup>921</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 49.

<sup>922</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под редакцией М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 413.

<sup>923</sup> იხ., Basic Law of the Federal Republic of Germany, 1949.

<sup>924</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 49.

არაპირდაპირი არჩევნები, პირდაპირთან შედარებით, რასაკვირველია, ლეგიტიმაციის შედარებით დაბალი ხარისხით ხასიათდება. ამის მიზეზები ერთდროულად სოციოლოგიური და პოლიტიკურია. შუამავლები თითქმის ყოველთვის ეკუთვნიან ცნობილ პირთა წრეს, რომელთა ხელშიც აღმოჩნდება ხოლმე მათ დაბალ რაოდენობრივ მაჩვენებელთან შეუსაბამო ზეგავლენა. ქვედა ფენების ნების დამახინჯებისა და არასწორი ინტერპრეტაციის საფრთხე საგრძნობლად მატულობს იმის კვალდაკვალ, რომ საფეხურების გაზრდით სულ უფრო მეტად ხდება ამ ფენებისაგან დაშორება.<sup>925</sup>

## 2.4. არჩევნების ფარულობის პრინციპი

ფარულობის პრინციპი არჩევნების დემოკრატიული სისტემის განუყოფელი ნაწილია. ამომრჩეველი თავის ნებას ავლენს მასზე ყოველგვარი კონტროლის, ზეგავლენისა და დაშინებისაგან. მისი გარანტირებული უფლებაა, არავის გაანდოს, თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა. საარჩევნო ბიულეტენი არ შეიძლება დაინომროს და არავის უნდა ჰქონდეს უფლება, სცადოს გამოყენებული ბიულეტენის იდენტიფიკაცია.<sup>926</sup> ფარული საარჩევნო უფლება უზრუნველყოფს, რომ ხმის მიცემის პროცესი, ისევე, როგორც მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც ხმის მიცემის პროცესისთვისაა აუცილებელი, ნებისმიერი მესამე პირისთვის უცნობი იყოს. მისი მიზანია, ამომრჩეველი ყოველგვარი ზენოლისა და ზემოქმედებისაგან დაიცვას. კენჭისყრამდე ან კენჭისყრის შემდეგ საკუთარი არჩევანის საჯაროდ გაცხადება თითოეული ამომრჩევლის სურვილზეა დამოკიდებული.<sup>927</sup>

ამჟამად იშვიათია ქვეყანა, რომლის კონსტიტუციით არ იყოს აღიარებული ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი. მხოლოდ

---

<sup>925</sup> პაკეტე პ., სუკრამანიანი ფ.მ, კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 141.

<sup>926</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 413.

<sup>927</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 341.

ფარული კენჭისყრის პირობებშია შესაძლებელი ჭეშმარიტად სახალხო ნების გამოვლენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საარჩევნო პროცესით დაინტერესებული პოლიტიკური ძალების ჩარევით ხშირად ამ ნების საპირისპირო შედეგი ფორმდება.

თანამედროვე სამყაროში ინერგება ხმის მიცემის ელექტრონული საშუალებები, რითაც უნდა გამარტივდეს ხმის მიცემის პროცესი, თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს ფარულობის დარღვევის რისკი, რაც ორგანიზატორთა კეთილსინდისიერებით უნდა ქარწყლდებოდეს.<sup>928</sup>

## 2.5. თავისუფალი არჩევნების პრინციპი

არჩევნების თავისუფლების პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, ამომრჩევლის ნების თავისუფალ რეალიზაციას გულისხმობს, რომელიც მისი ფარული ხასიათითაა დაცული. მოცემული პრინციპის საკონსტიტუციო დეკლარირება სწორედ ამ ფარგლებში უნდა მოიაზრებდეს მის არსს: ამომრჩეველს შეუძლია ისარგებლოს საარჩევნო უფლებით და ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, საკუთარი არჩევანით იხელმძღვანელოს.<sup>929</sup> თავისუფალი საარჩევნო უფლება როგორც საჯარო ხელისუფლების, ისე კერძო სუბიექტის მხრიდან ყოველგვარი ძალადობისა და ზეწოლის გარეშე ამომრჩევლის ნების თავისუფალ ჩამოყალიბებასა და მის თავისუფალ გამოვლენას უზრუნველყოფს. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის ზეწოლა. თავისუფალი არჩევნების პრინციპი მოქმედებს არა მარტო არჩევნების დღეს, არამედ იგი ვრცელდება მთელი საარჩევნო პროცესის, საარჩევნო კამპანიის მანძილზე.<sup>930</sup> ეს უფლება თავის თავში, ასევე, მოიცავს პირის უფლებას, არ მივიდეს არჩევნებზე. იკრძალება ამომრჩეველზე ზეგავლენა მის მიერ არჩევნებში მონაწილეობის ან მონაწილეობისგან თავის შეკავების მიზნით.<sup>931</sup>

<sup>928</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012, 51.

<sup>929</sup> იქვე, 52.

<sup>930</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 337.

<sup>931</sup> Катков Д.Б., Корчиго Е.В., Конституционное Право, Москва, 1999, §6.2.3.

თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებულია ტენდენცია, როდესაც აქტიური საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქეები თავს არიდებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. საარჩევნო სამართალში ამას აბსენტიზმი ეწოდება. აბსენტიზმი დიდ მასშტაბებს იძენს, არსებობს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, XX საუკუნის მეორე ნახევარში საპარლამენტო არჩევნებში აბსენტიზმმა საარჩევნო კორპუსის 30%-ს გადააჭარბა.<sup>932</sup> *თუკი მდგომარეობა არ შეიცვალა, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება შესაძლებელია სრულებითაც არ აღმოჩნდეს „სახალხო“, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეული და მათგან ნდობაგამოცხადებული.* სწორედ ამიტომ, ქვეყნებში, სადაც აბსენტიზმის პრობლემა მწვავედ დგას, სახელმწიფოები ხმის მიცემის სავალდებულო წესს ადგენენ. მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუციით დადგენილია არჩევნებში მონაწილეობის სავალდებულობა (ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, დანია, თურქეთი, იტალია, ნიდერლანდები, საბერძნეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნები). ამასთან, არჩევნებში მონაწილეობაზე თავის არიდების გამო დადგენილია მთელი რიგი სანქციები. ბელგიაში ფულადი ჯარიმის გარდა, ამომრჩეველს შეიძლება საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება ჩამოერთვას, ხოლო თურქეთსა და საბერძნეთში პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახედ თავისუფლების აღკვეთაც კია დადგენილი.

თავისუფალი საარჩევნო უფლების უზრუნველმყოფი საკონსტიტუციო დათქმები, ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია, რომელსაც საარჩევნო სამართლის სამართლიანობის უზრუნველყოფის საქმეში პოზიტიური ფუნქცია აკისრია.<sup>933</sup>

### 3. საარჩევნო ცენზები

საარჩევნო უფლების შეზღუდვას საარჩევნო ცენზი ეწოდება.<sup>934</sup> ისინი, თავისი დანიშნულებით, შეიძლება იყოს ტექნიკური, დამცავი და დისკრიმინაციული.<sup>935</sup>

---

<sup>932</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012, 42.

<sup>933</sup> იქვე, 53, 54.

<sup>934</sup> Катков Д.Б., Корчиго Е.В., Конституционное Право, Москва, 1999, §6.2.3.

<sup>935</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012, 28.

### 3.1. ტექნიკური ცენზები

**ტექნიკურ ცენზებს განეკუთვნება ნორმების მთელი კომპლექსი, ანუ შეზღუდვები, რომლებიც არჩევნების პროცედურისა და შედეგების შეჯამებაზეა მიმართული.** ისინი მიზნად ისახავენ არა ცალკეული სოციალური ფენების არჩევნებიდან გამიჯვნას, არამედ საარჩევნო პროცესში იმ მოქალაქეების ჩართვას, რომელთაც სათანადო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ამოძრავებთ. კონკრეტულ ამომრჩეველს შეუძლია ტექნიკური ცენზებისგან გათავისუფლება, თუკი მის მიმართ ზოგიერთი შეზღუდვის მოქმედების აუცილებლობას მოხსნიან.<sup>936</sup>

**ასაკობრივი ცენზი** ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ცენზია, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის საარჩევნო სამართლისთვისაა დამახასიათებელი. იგი მოქმედებს როგორც პასიური, ისე აქტიური საარჩევნო უფლების მიმართ, თუმცა ძირითადად მაინც პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისკენაა მიმართული. დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა საკმაოდ მაღალი ასაკობრივი ცენზი აქტიურ საარჩევნო უფლებასთან მიმართებით (როგორც წესი, 21-23 წელი). ამგვარი შეზღუდვა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ორივე სქესის მილიონობით წარმომადგენელს ართმევდა. ამ ცენზის არსებობის მიზეზად დასახელებული იყო ის, რომ თითქოსდა მხოლოდ მითითებული ასაკის მიღწევის შემდეგაა მოქალაქე იმ მდომარეობაში, რომ სწორად გაიგოს და ღირსეულად შეაფასოს საკუთარი მოქმედების მნიშვნელობა არა მხოლოდ მისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც. ამ მოცემულობით არჩევნებში მონაწილეობის მიღება ეზღუდებოდათ ახალგაზრდებს – საზოგადოების აქტიურ, მიზანდასახულ და კრიტიკულად განწყობილ ნაწილს. ახალგაზრდული და სტრუქტურული მოძრაობის მოთხოვნამ, აღნიშნული მიდგომები შეცვლილიყო, შედეგი გამოიღო და XX საუკუნის 80-იან წლებში აქტიური საარჩევნო უფლების ცენზმა 18 წლამდე დაიწია.<sup>937</sup>

**თანამედროვე ეპოქაში აქტიურ საარჩევნო უფლებასთან მიმართებით ასაკობრივი ცენზი ძირითადად სრულწლოვანებასთან**

<sup>936</sup> იქვე.

<sup>937</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под редакцией М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004, 194.

**ნაა დაკავშირებული და როგორ წესი, ის 18 წლიდან წარმოიშვება.** თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, კერძოდ, ხმის მიცემის უფლება ბრაზილიაში, კუბაში, ირანსა და ნიკარაგუაში 16 წლიდანაა შესაძლებელი, შვედეთში – 17-დან, ხოლო მაროკოში – 21 წლიდან. გერმანიაში აქტიური საარჩევნო უფლება ზოგიერთი მიწის მუნიციპალურ არჩევნებში 16 წლამდეა დაყვანილი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ იტალიის ზედა პალატის არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ამომრჩევლებს 25 წლის ასაკიდან ეძლევათ.<sup>938</sup>

**აქტიური საარჩევნო უფლებისგან განსხვავებით, პასიური საარჩევნო უფლების ზღვარი საკმაოდ მაღალია, ის დამოკიდებულია ასარჩევ თანამდებობაზეც. რაც უფრო მაღალია არჩევითი თანამდებობის კვალიფიციურობისა და მოთხოვნების, მით უფრო მაღალია ქვედა ასაკობრივი ზღვარი.** მუნიციპალურ დონეზე პასიური საარჩევნო უფლების ასაკობრივი ცენზი, როგორც წესი, სრულწლოვანების, მაშასადამე, აქტიური საარჩევნო უფლების ასაკობრივ ცენზს უტოლდება. საფრანგეთის ქვედა პალატაში შეიძლება არჩეულ იქნეს 23 წელს გადაცილებული კანდიდატი; იტალიის ზედა პალატაში დადგენილია არანაკლებ 40 წლიანი ცენზი, ხოლო პრეზიდენტისთვის მინიმალური ასაკობრივი მოთხოვნა 50 წელია.<sup>939</sup> საკმაოდ დაბალია პოლონეთის საკანონმდებლო ორგანოსათვის დადგენილი პასიური საარჩევნო უფლების ასაკობრივი ცენზი — სეიმის წევრად შეიძლება აირჩეს პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელმაც 21 წლის ასაკს მიაღწია. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში არჩევისათვის დადგენილია 25 წლიანი ცენზი, ხოლო სენატორად შეიძლება აირჩეს 30 წლის ასაკს მიღწეული პირი.<sup>940</sup>

**მოქალაქეობის ცენზი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებს ანიჭებს.** ეს ცალსახა პირობაა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე არჩევასთან და უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებასთან მიმართებით

---

<sup>938</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012, 29-30.

<sup>939</sup> იქვე, 30.

<sup>940</sup> საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის, თბილისი, 2014-2015, 111, 113.

აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელების კუთხით. **საარჩევნო უფლება პოლიტიკური უფლებაა.** მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობისა და მათი გამართული ფუნქციონირებისათვის.<sup>941</sup> ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია უცხოელსაც მიენიჭოს საარჩევნო უფლება და ეს ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემთხვევაში ხდება. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი ოლქის ადგილობრივი თვითმმართველოს ორგანოების არჩევნებში – მისცენ ხმა ან იყვნენ არჩეულნი იმავე პირობებით, როგორც რუსეთის მოქალაქეები.<sup>942</sup>

**ბინადრობის ცენზი – ეს არის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, საარჩევნო ხმის უფლება აქვს მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე განსაზღვრული დროის განმავლობაში ცხოვრობენ.** აშშ-ში დადგენილია 1 თვე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – 3 თვე, საფრანგეთში და ბელგიაში – 6 თვე, კანადასა და ფინეთში ერთი წელი, ხოლო ნორვეგიაში – არანაკლებ 10 წელი.<sup>943</sup> თვითმმართველ ერთეულში მუდმივი ბინადრობის მოთხოვნა, როგორც წესი, 3 თვით შემოიფარგლება, მაგრამ შეიძლება ეროვნული კანონმდებლობით შეიცვალოს. რიგ ქვეყნებში ნატურალიზებული მოქალაქეებისათვის აქტიური საარჩევნო ხმის უფლება შეიძლება გარკვეულ შეზღუდვებს უკავშირდებოდეს. მაგალითად, ნატურალიზებული მოქალაქე არგენტინაში 3 წლის, ხოლო ტუნისში 5 წლის შემდეგ მოიპოვებს საარჩევნო ხმის უფლებას.<sup>944</sup> გაცილებით დიდ პერიოდთანაა დაკავშირებული ბინადრობის ცენზი, როდესაც საქმე ეხება პასიური საარჩევნო უფლების გამოყენებას. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი სხვა მოთხოვნებთან ერთად შეიძლება იყო პირი, რომელსაც

<sup>941</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 333.

<sup>942</sup> Катков Д.Б., Корчиго Е.В., Конституционное Право, Москва, 1999, §6.2.3.

<sup>943</sup> Шашкова А.В., Курс Лекций по Конституционному Праву Зарубежных Стран, Москва, 2008, 77.

<sup>944</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012, 31-32.

აშშ-ში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 14 წლის განმავლობაში, ხოლო წარმომადგენელთა პალატის წევრობისთვის დადგენილია ცხოვრების 7 წლიანი ვალდებულება იმ შტატში, სადაც მისი საარჩევნო ოლქი მდებარეობს; ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატისათვის დაწესებულია არჩევნებამდე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ცხოვრების ვალდებულება, ხოლო წარმომადგენლობითი ორგანოს – სეიმის წევრობისთვის დადგენილია მხოლოდ მუდმივად ცხოვრების ცენზი.<sup>945</sup> **ბინადრობის ცენზის გამოვლინებაა ე.წ. მკვიდრობის ცენზი.** აღნიშნული გამოიყენება აშშ-ის საარჩევნო სამართალში: პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ დაბადებით ამ ქვეყნის მოქალაქე, ანუ არის მკვიდრი და არა ნატურალიზებული ამერიკელი.

განათლების ცენზი ძირითადად პასიურ საარჩევნო უფლებასთან გვხვდება. ეს ცენზი თავის თავში მოიცავს კანდიდატის უნარს, ფლობდეს სახელმწიფო ენას და შეეძლოს წერა-კითხვა. ზოგ შემთხვევებში კი კანდიდატებისათვის დადგენილია უმაღლესი განათლების ქონის ვალდებულება (თურქეთში პრეზიდენტობის კანდიდატს უმაღლესი განათლება მოეთხოვება).<sup>946</sup> განათლების ცენზი სხვადასხვა ფორმითა და განზოგადებით მოქმედებს ავსტრალიაში, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.<sup>947</sup>

ტექნიკური ცენზების კიდევ ერთი სახეობაა **ქონებრივი ცენზი, ანუ მოთხოვნა – ფლობდე გარკვეულ ქონებას ან იხდიდე განსაზღვრულ თანხას, რათა მოიპოვო საარჩევნო უფლება.** *ქონებრივი ცენზის თავისებურებაა ე.წ. „სარჩევნო სანინდარი“.* ის ამ დრომდე მოქმედებს განვითარებულ ქვეყნებში (ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ირლანდია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდები, საბერძნეთი, საფრანგეთი) გარკვეული გადასახადის სახით იმათთვის, ვინც პასიურ საარჩევნო უფლებას იყენებს და თავის კანდიდატურას უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად წა-

---

<sup>945</sup> საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის, თბილისი, 2014-2015, 103, 107, 109, 113.

<sup>946</sup> Шашкова А.В., Курс Лекций по Конституционному Праву Зарубежных Стран, Москва, 2008, 78.

<sup>947</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012, 34.

რადგენს. გადასახადის ფუნქცია ასარჩევ კანდიდატთა რიცხვის შემცირებაა. არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა უმრავლესობას ამ თანხის დაკარგვის უდიდესი შანსი აქვს და ამდენად, რისკის ფაქტორის დატვირთვას იძენს. ამასთან, არსებობს სანინდარის დაბრუნების შესაძლებლობაც იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატი, დამარცხების მიუხედავად, ხმათა გარკვეულ რაოდენობას დააგროვებს. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ეს ხმების საერთო რაოდენობის 5%-ია, კანადაში – 15%.

### 3.2. დისკრიმინაციული ცენზები

**დისკრიმინაციულ ცენზებს განეკუთვნება სხვადასხვა სახის ე.წ. მორალური ცენზი.** მაგალითად, იტალიის კონსტიტუციის 48-ე მუხლი კანონში მითითებული შეუფერებელი ქმედების ჩადენის შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობას ითვალისწინებს. აშშ-ის ზოგიერთ შტატში კანონმდებლობა მოქალაქეებისაგან მოითხოვს „კარგი ხასიათის“ ქონას, თუმცა ნორმის მოქმედება ძნელად წარმოსადგენია. ამასთან, მთელ რიგ ქვეყნებში მორალური ცენზები კონკრეტულ კრიტერიუმებშია გამოხატული. მაგალითად, დანიისა და შვედეთის ზოგიერთ ტერიტორიულ ერთეულში საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულნი არიან ისინი, ვინც საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობენ, ხოლო კამერუნსა და ლიბანში კი არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებად გადახდისუუნაროდ ცნობილ პირებს.<sup>948</sup>

**დისკრიმინაციულ ცენზებში საკმაოდ გავრცელებულია ე.წ. ნასამართლეობის ცენზი, რაც იმას გულისხმობს, რომ თუკი პირი წარსულში ნასამართლევია და მას ნასამართლეობა არ გაქარწყლებია, ეკრძალება არჩევნებში თავისი კანდიდატურის წარდგენა (პასიური საარჩევნო უფლება).<sup>949</sup>** აშშ-ში ყოფილ მსჯავრდებულებს სასჯელის მოხსნის შემდეგაც უგრძელდებათ შეზღუდვა და რამდენიმე წლით აქვთ ჩამორთმეული საარჩევნო ხმის უფლება. საკმაოდ ხშირია მსჯავრდებულებისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა (აზერბაიჯანი, საბერძნეთი). ეს შეზღუდვა ეხება როგორც პასიურ, ისე აქტიურ საარჩევნო უფლებას.

<sup>948</sup> იქვე, 37.

<sup>949</sup> Катков Д.Б., Корчиго Е.В., Конституционное Право, Москва, 1999, §6.2.3.

რიგ ქვეყნებში კიდევაც შემორჩენილი დისკრიმინაციული ცენზების ისეთი სახეობა, რომელიც დაკავშირებული რასობრივ შეზღუდვებთან. მაგალითად, კანადაში არჩევნებში არ მონაწილეობს ქვეყნის აბორიგენი – ინდიელი მოსახლეობა, ავსტრალიაში – აბორიგენებთან ერთად აზიიდან, აფრიკიდან და წყნარი ოკეანის კუნძულებიდან გადმოსახლებული პირები, ხოლო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 1994 წლამდე არჩევნებში მხოლოდ თეთრკანიანი მოსახლეობა მონაწილეობდა.<sup>950</sup>

### 3.3. დამცავი ცენზები

**ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, განსაკუთრებით კი საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის მიზნით, მოქმედებს აურჩევლობისა და შეუთავსებლობის ცენზები.**

აურჩევლობის ცენზი გულისხმობს განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებში მომუშავე თანამდებობის პირების მიერ პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვას. სახელმწიფოთა უმრავლესობაში ამ კატეგორიას მიეკუთვნება მოსამართლეთა კორპუსი, თავდაცვისა და უშიშროების ძალების ოფიცრები, სახელმწიფო მოხელეთა განსაზღვრული კატეგორია, ზოგიერთ ქვეყანაში — სამღვდლოების პირებიც. **განასხვავებენ აბსოლუტურ და შედარებით აურჩევლობას.** აბსოლუტური აურჩევლობის სახით ესპანეთის კონსტიტუცია კრძალავს სამეფო ოჯახის წევრების არჩევას ქვეყნის პარლამენტში, ხოლო ავსტრიის კონსტიტუცია კრძალავს პარლამენტის წევრებად არჩეულ იქნენ იმპერატორის სახლის ან მათი ოჯახის წევრები. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის არჩევა დაუშვებელია აზერბაიჯანისა და ისრაელის წარმომადგენლობით ორგანოებში. ზოგიერთი თანამდებობის მიმართ აურჩევლობა ტერიტორიულად შეზღუდულ ხასიათს ატარებს და ამიტომაც შედარებით აურჩევლობა ეწოდება. მაგალითად, მექსიკაში გუბერნატორებს და საბერძნეთში სახელმწიფო მოხელეებს ეკრძალებათ თავიანთი კანდიდატურის წამოყენება იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც მათმა

---

<sup>950</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012, 40.

სამსახურეობრივმა მდგომარეობამ შეიძლება არჩევნების შედეგებზე გავლენა იქონიოს. ამ თანამდებობის პირებმა არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის დაყენების მიზნით, სამიდან ექვს თვემდე ვადაში უნდა დატოვონ დაკავებული თანამდებობები.

**შეუთავსებლობა, როგორც წესი, შეუთავსებელი თანამდებობების ნუსხის დადგენით ხდება. ეს ცენზი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს, უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, უკრძალავს, ეკავოს გარკვეული თანამდებობა ან ენეოდეს გარკვეულ პროფესიულ საქმიანობას.** *თუმცა, როგორც წესი, შეთავსებად სფეროებად მიიჩნევა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო საქმიანობა.* ორპალატიანი პარლამენტების პირობებში, ერთი პირისთვის დაუშვებელია ორივე პალატის წევრობა (ავსტრია, ბელგია, რუსეთი, ხორვატია). ზოგიერთ ქვეყანაში წარმომადგენლობითი მანდატის შეთავსება დასაშვებია ადგილობრივ და რეგიონულ წარმომადგენლობით ორგანოებში (აშშ, გერმანია, ნორვეგია). მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა ადგენს დეპუტატისათვის სამენარმეო საქმიანობის შეუთავსებლობას. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში შემდეგნაირი სურათია: პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი (პოლონეთი რუმინეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი), პარლამენტისთვის დასაშვებია მთავრობის წევრობის შეთავსება (რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხეთი), მთავრობაში დანიშვნის პერიოდზე ჩერდება სადეპუტატო უფლებამოსილება (ბულგარეთი, სლოვაკეთი).<sup>951</sup>

#### 4. საარჩევნო სისტემები

**საარჩევნო სისტემა, ფართო გაგებით, სახელმწიფოს არჩევითი (წარმომადგენლობითი) ორგანოს ფორმირების წესია, ვინაშთ გაგებით – კენჭისყრის შედეგების საფუძველზე არჩევით ორგანოში ადგილების განაწილების წესი, საარჩევნო ფორმულა.**<sup>952</sup> სწორედ საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს არჩევნების შედეგად მოქალაქეების მიერ გამოხატული ნების ასახვას წარმომადგენლო-

<sup>951</sup> იქვე, 33-39.

<sup>952</sup> საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის, თბილისი, 2014-2015, 8.

ბით თუ სხვა არჩევით ორგანოებში. საარჩევნო სისტემის თავისებურებები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი პრინციპი უდევს საფუძვლად არჩევნების შედეგების შეჯამებას. საუკუნეების მანძილზე საარჩევნო სამართალში ორი ძირითადი – მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემა ჩამოყალიბდა. დროთა განმავლობაში, ორივე საარჩევნო სისტემამ დადებითთან ერთად უარყოფითი ნიშნებიც გამოავლინა, რომელთა აღმოფხვრის მიზნით, რიგი ქვეყნების კანონმდებლებმა გამოსავალი ამ ორი სისტემის დადებითი ნიშან-თვისებების ერთობლიობაში მოიძიეს და ამ გზით გაჩნდა მესამე — შერეული საარჩევნო სისტემა. დღეს კონსტიტუციონალიზმში სამივე საარჩევნო სისტემა რამდენიმე მოდიფიკაციითაა წარმოდგენილი, განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემა.<sup>953</sup>

#### 4.1. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა

**მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არჩევნების ყველაზე ძველი და გავრცელებული მოდელია. მას უმრავლესობის საარჩევნო სისტემასაც უწოდებენ, ვინაიდან ამ სისტემაში გამარჯვებულია ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას აიღებს. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მთავარი მახასიათებელია ის, რომ არჩევით თანამდებობაზე კანდიდატი პირადად წარდგება და გამარჯვებისათვის სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა უნდა მიიღოს.** ამასთან, ეს სისტემა გამოიყენება როგორც ერთმანდატიან (საარჩევნო ოლქი, სადაც მხოლოდ ერთი კანდიდატის არჩევაა შესაძლებელი), ისე მრავალმანდატიან (საარჩევნო ოლქი, სადაც ორი, ან მეტი კანდიდატის არჩევაა შესაძლებელი) საარჩევნო ოლქებში.

**ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა გამოიყენება როგორც ერთმანდატიან, ისე მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. ამ დროს, როგორც წესი, განსაზღვრული არაა არჩევნებში მონაწილეთა სავალდებულო მინიმუმი და არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება კანდიდატი, რომელიც სხვაზე მეტ ხმას მოიპოვებს.**<sup>954</sup>

<sup>953</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 57-58.

<sup>954</sup> იქვე, 59.

მაგალითად: ერთმანდატიან X საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2000-მა ამომრჩეველმა. მიღებული ხმები კი შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველი კანდიდატი – 200 ხმა, მეორე კანდიდატი – 400 ხმა, მესამე კანდიდატი – 800 ხმა, მეოთხე კანდიდატი – 600 ხმა. თუკი ეს არჩევნები ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით ჩატარდება არჩევნებში გამარჯვებული იქნება მესამე კანდიდატი, რომელმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღო. თუმცა, მესამე კანდიდატმა რეალურად არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევრის ხმაც ვერ აიღო. ფაქტობრივად ამომრჩეველთა უმრავლესობამ (2000-დან 1200-მა ამომრჩეველმა) ხმა მისცა ამ კანდიდატის წინააღმდეგ. შედეგად, არჩევნებში იმარჯვებს კანდიდატი, რომელმაც, მართალია, მიიღო ყველაზე მეტი ხმა, თუმცა იგი ამომრჩეველთა უმრავლესობას არ აურჩევია. აღნიშნული სისტემა იმით გამოირჩევა, რომ ამომრჩევლისთვის მარტივი გასაგებია, არის ეკონომიური, ვინაიდან არჩევნები ერთ ტურში სრულდება, გამარტივებულია კანდიდატებისთვის მიცემული ხმების დათვლა. თუმცა ამ სისტემას ერთი დიდი უარყოფითი თვისება გააჩნია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხმების უდიდესი ნაწილი იკარგება და ფაქტობრივად იმარჯვებს უმცირესობის რჩეული, არჩევნებში მიღწეული მცირე პროცენტული უპირატესობაც კი გამარჯვების დიდ შანსს ქმნის. გამარჯვების მისაღწევად საჭირო ხმების ფარდობითი უმრავლესობა მით უფრო მცირეა, რაც უფრო მეტი კანდიდატია დასახელებული ერთ საარჩევნო ოლქში, რაც ამომრჩევლის ე.წ. „დაკარგული ხმების“ ჯამს ზრდის. ამ საარჩევნო სისტემის უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ერთი ლიდერი პარტიის ფონზე მოქმედი მრავალპარტიული სისტემის ქვეყნებში.<sup>955</sup> ასეთი ხარვეზების მიუხედავად, ინგლისური სამართლის ქვეყნები მას მაინც დიდ უპირატესობას ანიჭებენ, ვინაიდან მიიჩნევა, რომ არჩევნების მიზანია არა ისეთი აკადემიის დაკომპლექტება, რომელიც ზუსტად ასახავს საზოგადოებრივი აზრის უმცირეს ნიუანსებსაც კი, არამედ ერთგვაროვანი საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბება, რომელიც სამოქმედოდ განწყობილი მთავრობის დასაყრდენი იქნება. ამ შემ-

---

<sup>955</sup> იქვე, 61.

თხვევაში საპარლამენტო მუშაობის ეფექტურობას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე საარჩევნო სამართლიანობას.<sup>956</sup>

**აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა** განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება პრეზიდენტებისა და რეგიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირდაპირი არჩევნებისას. ეს სისტემა ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემისაგან იმით განსხვავდება, რომ დადგენილია კვოტა, ხმების მინიმალური ოდენობა, რომელიც კანდიდატმა გამარჯვებისთვის აუცილებლად უნდა დააგროვოს. ეს ზღვარი, როგორც წესი, არ უნდა იყოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მეოთხედზე ნაკლები. რაც შეეხება ამომრჩეველთა უმრავლესობის განსაზღვრას, იგი ქვეყნების მიხედვით სახესხვაობს. ეს შეიძლება იყოს რეგისტრირებული ამომრჩევლების უმრავლესობა, არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობა, ან არჩევნებში მონაწილეთა ნამდვილი ხმების უმრავლესობა. ამ ორი საარჩევნო სისტემის საერთო მახასიათებელი ისაა, რომ, მართალია, უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატურის არჩევა არ გამოირიცხება, თუმცა აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის პირობებში ამის ალბათობა მეტია. რაც შეეხება განსხვავებას, აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის დროს მეორე ტურის ალბათობა საკმაოდ დიდია, ეს კი ამ ორ სისტემას ისევ ერთმანეთთან აკავშირებს, ვინაიდან მეორე ტური, როგორც წესი, ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე ტარდება.

**კვალიფიციური უმრავლესობის საარჩევნო სისტემის** დროს კანდიდატმა არჩევნებში გასამარჯვებლად აბსოლუტურ უმრავლესობაზე გაცილებით მეტი ხმა უნდა მოიპოვოს. ამ შემთხვევაში, საარჩევნო კანონმდებლობა ადგენს შესაბამისი ნორმის კვალიფიცირებას, ანუ კონკრეტულ საარჩევნო ზღვრულ მინიმუმს, რომლის დაძლევაც საჭიროა არჩევნებში გამარჯვებისთვის. კვალიფიციური უმრავლესობის საარჩევნო სისტემა ძირითადად საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოიყენება (აზერბაიჯანი, არგენტინა, კოსტა-რიკა) და ზღვრული მინიმუმი გაცილებით მაღალია, ვიდრე აბსოლუტური უმრავლესობის სისტემაში – არჩევნებში მონაწილე

---

<sup>956</sup> პაკტე პ., სუკრამანიანი ფ.მ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზოვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 149.

ამომრჩეველთა 3/5-ის ან 2/3-ის დონეზეა. იმის გამო, რომ ამ სისტემით გამარჯვება ძნელად მისაღწევია, იგი პრაქტიკულად იშვიათობაა, თუმცა ამ სისტემით გამართულ არჩევნებში გამარჯვება იმის მაჩვენებელია, რომ პრეზიდენტად არჩეულ კანდიდატს ჰქონდა მოსახლეობის მხრიდან სოლიდური მხარდაჭერა აქვს.

**ალტერნატიული კენჭისყრის მოდელში** ამომრჩეველი ხმას ერთ კანდიდატს აძლევს, მაგრამ სხვებსაც მიუთითებს (შეუძლია არც მიუთითოს), უპირატესობის რიგითობის მიხედვით მინიჭებით, გვარების გასწვრივ შესაბამისი ციფრების დაწერით: ამომრჩეველი მისთვის ყველაზე სასურველი კანდიდატის გვარის გასწვრივ წერს ციფრს – „1“, შემდეგი სასურველი კანდიდატის (ანუ ვის ისურვებდა იმ შემთხვევაში, თუ პირველი ვერ გავიდოდა) გასწვრივ წერს ციფრს – „2“ და ა.შ. (ხმათა დათვლის დროს საარჩევნო ბიულეტენები ამა თუ იმ კანდიდატის პირველი ხმების მიხედვით ლაგდება). თუ პირველი დათვლით ვერცერთმა კანდიდატმა დააგროვა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, ის კანდიდატი, რომელმაც ყველაზე ნაკლები ხმა მიიღო, სიიდან ამოიღება. ამასთან, მისი მეორე ხმები დარჩენილ კანდიდატებზე გადანაწილდება. ეს პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ ხმათა ასეთი გადანაწილებით რომელიმე კანდიდატი მათ აბსოლუტურ უმრავლესობას არ მიიღებს.<sup>957</sup>

**ერთი არგადაცემადი ხმის სისტემას** ნახევრადპროპორციულასაც უწოდებენ. იგი მრავალმანდატიან ოლქში გამოიყენება: იმის მიუხედავად, რომ მანდატები ბევრია, ამომრჩეველს მაინც მხოლოდ ერთი ხმა აქვს. ასეთი სისტემა მოქმედებს იაპონიაში. არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც ოლქში არსებული მანდატების საერთო რაოდენობის ფარგლებში, სხვებზე მეტ ხმას მოიპოვებენ. ამ დროს ხმების დათვლა ხდება ფარდობითი უმრავლესობის პრინციპით. ამ სისტემის დადებითი მხარეა ის, რომ არჩევნების შედეგებში ყველა ამომრჩევლის ნება აისახება და მანდატებს ყველაზე პოპულარული კანდიდატები მოიპოვებენ.

**კუმულაციური ვოტუმის სისტემა** მოქმედებს როგორც ერთმანდატიან, ისე მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. ამომრჩეველს

<sup>957</sup> საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის, თბილისი, 2014-2015, 10.

დავით მაკარიძე

აქვს რამდენიმე ხმა, რომელიც შეუძლია გადაანანილოს რამდენიმე კანდიდატს შორის ან ყველა ხმა ერთ კანდიდატს მისცეს. ერთმანდატიან ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს, ხოლო მრავალმანდატიანში – კანდიდატები, რომლებიც სხვებზე მეტ ხმათა რაოდენობას დააგროვებენ. ხმების დათვლა ამ შემთხვევაშიც ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის პრინციპით ხდება.<sup>958</sup>

## 4.2. პროპორციული საარჩევნო სისტემა

**პროპორციული საარჩევნო სისტემა გამოიყენება წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებზე და შესაძლებლობას აძლევს პოლიტიკურ პარტიებს, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, რისთვისაც ისინი ადგენენ საარჩევნო სიებს. პროპორციული საარჩევნო სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სადეკუტატო მანდატების გადანაწილება ხდება პარტიების მიერ, მათთვის მიცემული ხმების შესაბამისად. ეს მოდელი უზრუნველყოფს ე.წ. „დაკარგული ხმების“ მინიმუმამდე დაყვანასა და საკანონმდებლო ორგანოში შედარებით ნაკლები ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობას.<sup>959</sup> პროპორციული საარჩევნო სისტემის ძირითადი სახეობებია: სიითი პროპორციული წარმომადგენლობა და ერთი გადაცემადი ხმის სისტემა. პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს საარჩევნო ზღურბლის (ბარიერის) მნიშვნელობა. ამ მოდელის შეუზღუდავი გამოყენება ხშირად არჩევით ორგანოში მრავალი პატარა პარტიის ნაკლებად გავლენიანი, მაგრამ ამბიციური წარმომადგენლების მოხვედრას იწვევს. საარჩევნო ზღურბლი არის პარტიული სიის მიერ მიღებულ ხმათა მინიმალური პროცენტული რაოდენობა (არჩევნების ან კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობიდან), რომელიც პარტიას უფლებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს მანდატების განაწილებაში. მისი დანესება ხელს უშლის საკანონმდებლო ორგანოში ძალიან სუსტ პარტიათა წარმომადგენლების მოხვედრას, რომლებიც, ცხადაც, ამ ორგანოში ამინდს ვერ შექმნიან,**

<sup>958</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 64, 66, 67.

<sup>959</sup> Катков Д.Б., Корчиго Е.В., Конституционное Право, Москва, 1999, §6.2.1.

მაგრამ შეიძლება პრობლემები შეუქმნან არა მარტო უმრავლესობის ჩამოყალიბებას, მთავრობის შექმნას და შემდგომ საჭირო გად-ანწყვეტილებათა მიღებას, არამედ ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებასაც. თუმცა საარჩევნო ზღურბლის დაწესებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან მაღალი ზღურბლის შემთხვევაში შეიძლება ზღურბლგადალახულ პარტიათა მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა მათ მონინალმდეგეთა რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდეს და არჩეულ ორგანოში მხოლოდ ამომრჩეველთა უმცირესობის წარმომადგენლები მოხვდნენ, მით უმეტეს, რომ ზღურბლის მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებული ხმები გამარჯვებულ პარტიებზე ნაწილდება.<sup>960</sup> სწორად შერჩეული საარჩევნო ბარიერი უწყობს ხელს ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას. ბარიერის საზღვრები ძირითადად ერთიდან ათ პროცენტამდე მერყეობს. ისრაელში 1%-იანი საარჩევნო ზღურბლია, მექსიკაში იგი 1,5%-ია, დანიაში – 2%, ბულგარეთში, იტალიასა და შვედეთში – 4%; გერმანიაში, პოლონეთში, რუსეთსა და საფრანგეთში — 5% და ა.შ.<sup>961</sup>

**სიითი პროპორციული წარმომადგენლობის დროს იქმნება ერთი მრავალმანდატიანი ოლქი (ქვეყნის მასშტაბით). ამომრჩეველი ხმას აძლევს ერთ პარტიულ სიას (პარტიას). გამარჯვებულად მიიჩნევა ის ერთი ან რამდენიმე პარტია, რომლებიც საარჩევნო ბარიერს გადალახავენ. ბარიერგადალახული პარტიები მანდატებს მიღებული ხმების პროპორციულად მოიპოვებენ.<sup>962</sup>**

სადეპუტატო მანდატების პროპორციული გადანაწილებისათვის გამოიყენება კვოტირებისა და გამყოფთა მეთოდი. საარჩევნო კვოტა ამომრჩეველთა ხმების უმცირესი რიცხვია, რომლითაც პარტია ერთ მანდატს მაინც იღებს. არსებობს კვოტის გამოთვლის რამდენიმე მოდელი, ამასთან, მათი დიდი ნაწილი საკმაოდ რთულ მა-

<sup>960</sup> საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის, თბილისი, 2014-2015, 11, 12.

<sup>961</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 74.

<sup>962</sup> საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის, თბილისი, 2014-2015, 12.

თემატიკურ გათვლებთანაა დაკავშირებული. კვოტის გამოთვლის ყველაზე მარტივი და გავრცელებული მეთოდი ჰარეს კვოტაა. ჰარეს მიერ დადგენილი გამოთვლის წესის მიხედვით, ერთი კვოტის მისაღებად, მიღებული ხმების საერთო რაოდენობა უნდა გაიყოს ამ კონკრეტულ ოლქში არსებული მანდატების საერთო რაოდენობაზე, რის შემდეგაც არჩევნებში მონაწილე პარტიები მანდატებს იღებენ კვოტის შესაბამისად, მიღებული ხმების პროპორციულად.

მაგალითი: საარჩევნო ოლქში ხუთი მანდატის მოსაპოვებლად იბრძვის სამი პარტია A, B და C. პარტიებმა მიიღეს შემდეგი რაოდენობის ხმები: A – 72 000, B – 56 000, C – 23 000. სულ მიღებული ხმების რაოდენობამ შეადგინა – 151 000. ჰარეს ფორმულის მიხედვით, საარჩევნო კვოტის დასადგენად მიღებული ხმების საერთო რაოდენობა უნდა გაიყოს მანდატების საერთო რაოდენობაზე –  $151\,000:5=30\,200$ . ამდენად, საარჩევნო კვოტამ შეადგინა 30 200 ხმა. ამის შემდეგ არჩევნებში მონაწილე პარტიები მანდატებს იღებენ კვოტის შესაბამისად, მიღებული ხმების პროპორციულად: პარტიის მიერ მიღებული ხმების გაყოფით საარჩევნო კვოტაზე. პარტიების მიერ მიღებული მანდატები იქნება: A –  $72000/30200=2.4$  – 2 მანდატი (ნაშთი – 4), B –  $56000/30200=1.8$  – 1 მანდატი (ნაშთი – 8), C –  $23000/30200=0.7$  – 0 მანდატი (ნაშთი – 7). ჰარეს ფორმულის ნაკლი ისაა, რომ ყველა მანდატის განაწილება ერთბაშად ვერ ხდება. მაგალითში სულ განაწილდა 3 და გასანაწილებელი დარჩა 2 მანდატი. ამ ნაკლის აღმოფხვრის ორი მეთოდი არსებობს: უდიდესი ნარჩენის (ნაშთის) და უდიდესი საშუალოს მეთოდი.

**უდიდესი ნარჩენი (ნაშთის) მეთოდის მიხედვით, გაუნაწილებელი მანდატები გადაეცემათ იმ პარტიებს, რომელთაც აქვთ უდიდესი ნაშთი, რომელიც რჩება პარტიის მიერ მიღებული ხმების საარჩევნო კვოტაზე გაყოფით.** ჩვენს შემთხვევაში თითო-თითო მანდატი დამატებით ერგებათ B (ნაშთი – 8) და C (ნაშთი – 7) პარტიებს. შედეგად, ამ მეთოდის გამოყენებით საბოლოოდ შემდეგი სურათი მიიღება: A – 2 მანდატი, B – 2 მანდატი, C – 1 მანდატი.

უდიდესი საშუალოს მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ გაუნაწილებელი მანდატები გადაეცემათ პარტიებს, რომლებსაც აქვთ უდიდესი საშუალო რაოდენობა: პარტიების მიერ მიღებული ხმების

რაოდენობა უნდა გაიყოს უკვე მიღებული მანდატების რაოდენობას +1-ზე.  $A - 72000/(2 \text{ მანდატი}+1)=24000$ ,  $B - 56000/(1 \text{ მანდატი}+1)=28000$ ,  $C - 23000/(0 \text{ მანდატი}+1)=23000$ . ამდენად, უდიდესი საშუალო მაჩვენებელი აქვთ  $B - (28000)$ -ს და  $A - 72000 - (24000)$ -ს, შესაბამისად, გადასანაწილებელი 2 მანდატიდან თითო-თითო ერგებათ ამ ორ პარტიას, ხოლო  $C$ -ს ამ მეთოდით მანდატი საერთოდ არ შეხვდა. საბოლოო სურათი კი ასეთი იქნება:  $A - 3$  მანდატი,  $B - 2$  მანდატი,  $C - 0$  მანდატი.

ჰარეს კვოტის გარდა, არსებობს პროპორციული საარჩევნო სისტემაში კვოტის გამოთვლის გზა — ე.წ. გამყოფთა მეთოდი. გამყოფთა მეთოდმა სრულყოფილი სახე შეიძინა დონტის მიერ დადგენილი ფორმულის შემდეგ და იგი გულისხმობს შემდეგს: პარტიებისთვის ამომრჩევლების მიერ მიცემული ხმების რაოდენობა იყოფა გარკვეულ ნატურალურ ზრდად რიცხვებზე (1, 2, 3, და ა.შ), რის შემდეგაც მიღებული მთელი რიცხვები ჯგუფდებიან სიდიდის მიხედვით (უდიდესიდან უმცირესისკენ). ამის შემდეგ ის მთელი რიცხვი, რომელიც თავისი რიგითობის მიხედვით შეესაბამება მანდატების რაოდენობას, საარჩევნო კვოტაა.

**ნაბიჯი პირველი:** პარტიებისთვის ამომრჩევლების მიერ მიცემული ხმების რაოდენობა იყოფა გარკვეულ ნატურალურ ზრდად რიცხვებზე (1, 2, 3, და ა.შ);

| მიღებული ხმები |               |               |               |
|----------------|---------------|---------------|---------------|
| გამყოფები      | A – 72000 ხმა | B – 56000 ხმა | C – 23000 ხმა |
| 1              | 72000         | 56000         | 23000         |
| 2              | 36000         | 28000         | 11500         |
| 3              | 24000         | 18000         | 7000          |

**ნაბიჯი მეორე:** მიღებული მთელი რიცხვები ჯგუფდებიან სიდიდის მიხედვით (უდიდესიდან უმცირესისკენ);

| მიღებული ხმები |           |           |       |
|----------------|-----------|-----------|-------|
| გამყოფები      | A         | B         | C     |
| 1              | 72000 (1) | 56000 (2) | 23000 |
| 2              | 36000 (3) | 28000 (4) | 11500 |
| 3              | 24000 (5) | 18000     | 7000  |

**ნაბიჯი მესამე:** ის მთელი რიცხვი, რომელიც თავისი რიგითობის მიხედვით შეესაბამება მანდატების რაოდენობას (ამ შემთხვევაში გასანაწილებელია 5 მანდატი, შესაბამისად, რიგით მეხუთე რიცხვი), წარმოადგენს საარჩევნო კვოტას.

| მიღებული ხმები |           |           |       |
|----------------|-----------|-----------|-------|
| გამყოფები      | A         | B         | C     |
| 1              | 72000 (1) | 56000 (2) | 23000 |
| 2              | 36000 (3) | 28000 (4) | 11500 |
| 3              | 24000 (5) | 18000     | 7000  |

ამდენად, საარჩევნო კვოტა არის 24 000 და პარტიები მანდატებს მიიღებენ შემდეგი ოდენობით: A – 3 მანდატი (ვინაიდან პარტიის მიერ მიღებულ ხმების რაოდენობაა 72 000 და ამ რიცხვში 24 000 (საარჩევნო კვოტა) თავსდება 3 ჯერ); B – 2 მანდატი (ვინაიდან პარტიის მიერ მიღებულ ხმების რაოდენობაა 56 000 და ამ რიცხვში 24 000 (საარჩევნო კვოტა) თავსდება 2 ჯერ); C – 0 მანდატი (ვინაიდან პარტიის მიერ მიღებულ ხმების რაოდენობა 23 000 და ამ რიცხვში 24 000 (საარჩევნო კვოტა) არ თავსდება).

პარტიებს შორის მანდატების გადანაწილების შემდეგ, საჭიროა ისინი კონკრეტულ პარტიულ კანდიდატებს გადაეცეთ. ამ შემთხვევაში გამოიყენება „მყარი“ და „დრეკადი“ სიების მეთოდი. პირველ შემთხვევაში პარტიები თვითონ ადგენენ კანდიდატების რიგითობას საარჩევნო სიებში და ისინი მანდატებს ამ რიგითობის პროპორციულად იღებენ. მაგალითისთვის, თუკი პარტიას მიღებული აქვს 7 მანდატი, პარტიული სიის პირველი 7 წევრი მიიღებს მან-

დატს. „დრეკადი“ სიების შემთხვევაში, ამომრჩეველს შესაძლებლობა ეძლევა, პარტიული სიის შიგნით შეცვალოს კანდიდატების რიგითობა. ეს არის ხმის მიცემის პრეფერენციული გზა, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ამომრჩეველი თავადვე ადგენს, რა თანმიმდევრობით უნდა გადანაწილდეს მანდატები კანდიდატებს შორის შიდა პარტიულ სიებში.<sup>963</sup>

პროპორციული საარჩევნო სისტემის კიდევ ერთ სახეობას წარმოადგენს ე.წ. „პანაშირება“. ამ დროს ამომრჩეველს უფლება აქვს, ხმა მისცეს სხვადასხვა კანდიდატს, სხვადასხვა პარტიული სიიდან, ამ საარჩევნო ოლქში არსებული მანდატების შესაბამისად. ამომრჩეველი ორიენტირებას აკეთებს კანდიდატის არა პარტიულ კუთვნილებაზე, არამედ პიროვნულად წარდგენილ კანდიდატზე, ან სიებში თავადვე წერს ახალ კანდიდატებს. ასეთი სისტემა მოქმედებს ბელგიაში.<sup>964</sup>

პროპორციული საარჩევნო სისტემის განხილვისას მნიშვნელოვანია ერთი გადასაცემი ხმის მოდელის მიმოხილვაც, რომელიც იშვიათი და რთულად ასამოქმედებელი სისტემაა. მოცემული სისტემის პირობებში, ამომრჩეველს ჩვეულებრივ სამი ხმა აქვს. ამ პრინციპის მიხედვით, კანდიდატების სიით წარდგენის შემთხვევაში, ამომრჩეველი ხმას აძლევს არა პარტიულ სიას, არამედ პრეფერენციული წესით, ნებისმიერი პარტიის ერთ-ერთ კანდიდატს და იმავედროულად, აღნიშნავს რომელიმე სხვა კანდიდატს ან კანდიდატებს, დადგენილი რაოდენობით, რომელთაც უპირატესობას ანიჭებს. როდესაც გარკვეული კანდიდატი საარჩევნო აუცილებელ ხმათა რაოდენობას დააგროვებს, იგი არჩეულად ცხადდება, ხოლო მის მიერ მიღებული „ზედმეტი“ ხმები გადაეცემა კანდიდატს, რომელმაც ყველაზე მეტი უპირატესობის მაჩვენებელი აღნიშვნები მოიპოვა.<sup>965</sup>

#### 4.3. შერეული საარჩევნო სისტემა

მთელ რიგ ქვეყნებში სხვადასხვა საარჩევნო სისტემის დადებით მხარეთა გაერთიანებისა და ნაკლოვანებათა შემცირების მიზნით

<sup>963</sup> Катков Д.Б., Корчиго Е.В., Конституционное Право, Москва, 1999, §6.2.1.

<sup>964</sup> Шашкова А.В., Курс Лекций по Конституционному Праву Зарубежных Стран, Москва, 2008, 87.

<sup>965</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 73.

გამოიყენება შერეული საარჩევნო სისტემა, რომელიც მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების უბრალო ან მათი ცალკეული ელემენტების გაერთიანებით მიიღება. შერეულ სისტემებში სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემების ელემენტები.<sup>96</sup> მასში პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების ამოქმედების თანადროულობის გათვალისწინებით, შეიძლება არსებობდეს პარალელური და თანმიმდევრული, ხოლო პარლამენტის ფორმირებაში მათი წვლილის გათვალისწინებით, სიმეტრიული და ასიმეტრიული მოდელები.

პარალელურია შერეული საარჩევნო სისტემა, როდესაც მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემები ცალცალკე გამოიყენება ორპალატიანი პარლამენტის ქვედა და ზედა პალატების ფორმირებისას. ზოგიერთ სახელმწიფოში ქვედა პალატის ფორმირება ხდება აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით, ხოლო ზედა პალატისა – პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით, ზოგან კი – ქვედა პალატა აირჩევა პროპორციული სისტემით, ხოლო ზედა პალატა – მაჟორიტარულით.

თანმიმდევრულია შერეული საარჩევნო სისტემა, როდესაც ერთპალატიან პარლამენტში ან ორპალატიანი პარლამენტის ერთ პალატაში დეპუტატები ერთდროულად აირჩევიან როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემებით (მოქმედებს გერმანიაში, იაპონიაში, საბერძნეთში, საქართველოში).

სიმეტრიული საარჩევნო სისტემის მაგალითია გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნები. ბუნდესტაგის ადგილებიდან ნახევარი აირჩევა ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, მეორე ნახევარი კი – პროპორციული საარჩევნო სისტემით ყოველი მიწის ოლქში პარტიული სიების საფუძველზე. ოლქში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც ხმების ფარდობით უმრავლესობას მიიღებს, ხოლო ადგილების განაწილება პარტიულ სიებს შორის პროპორციული სისტემის საფუძველზე შემდეგი წესით

---

<sup>96</sup> საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის, თბილისი, 2014-2015, 14.

ხდება: საარჩევნო კომისია განსაზღვრავს პარტიული სიისათვის მათთვის მიცემული ხმების რაოდენობიდან გამომდინარე, თუ რამდენ მანდატს მიიღებდნენ ისინი, პროპორციული სისტემით მანდატების ნახევარი კი არა, სრული რაოდენობა რომ განაწილებულიყო. შემდეგ ამ რიცხვს აკლდება იმ მანდატების ჯამი, რომელიც უკვე მოიპოვა პარტიამ მოცემული მინის საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული სისტემით. მიღებული ნაშთი კი არის პარტიის მიერ მიღებული მანდატი პროპორციული სისტემით.<sup>967</sup>

მაგალითი: გასანაწილებელია 100 მანდატი, მათ შორის, 50 მაჟორიტარული:<sup>968</sup>

| საარჩევნო სუბიექტი | მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მიღებული ხმები | პროპორციული საარჩევნო სისტემით მიღებული ხმების % | პროპორცია, გამოსახული მანდატებში | მანდატები პარტიული სიიდან | მიღებული მანდატების საერთო რაოდენობა |
|--------------------|--|--|----------------------------------|---------------------------|--------------------------------------|
| ა                  | 9  | 25   | 25                               | 16 (25-9)                 | 25                                   |
| ბ                  | 9  | 10   | 10                               | 1 (10-9)                  | 10                                   |
| გ                  | 19   | 23   | 23                               | 4 (23-19)                 | 23                                   |
| დ                  | 2  | 22   | 22                               | 20 (22-2)                 | 22                                   |
| ე                  | 5  | 13   | 13                               | 8 (13-5)                  | 13                                   |
| ვ                  | 6  | 7  | 7                                | 1 (7-6)                   | 7                                    |
| სულ                | 50   |  |                                  |                           | 100                                  |

ასიმეტრული საარჩევნო სისტემის მაგალითია უნგრეთი, სადაც პარლამენტის 386 დეპუტატიდან 176 აირჩევა ერთმანდატიან ოლქებში ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული საარჩევნო

<sup>967</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 85-86.

<sup>968</sup> საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის, თბილისი, 2014-2015, 14.

დავით მაკარიძე

სისტემით, დანარჩენი 210 — პროპორციული საარჩევნო სისტემით, ამათგან 152 — პარტიული სიებით ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში, ხოლო 58 — ასევე პარტიული სიებით საერთოეროვნულ საარჩევნო ოლქში.<sup>969</sup>

## 5. უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმები

უშუალო დემოკრატიის საკონსტიტუციო ინსტიტუტების კლასიფიკატორი, თავად არჩევნების გარდა, ისეთ ფორმებს მოიცავს, როგორცაა, რეფერენდუმი, პლებისციტი, სახალხო გამოკითხვა, არჩევითი თანამდებობის პირებისა და ორგანოების გამოწვევა, სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა.

### 5.1. რეფერენდუმი და პლებისციტი

რეფერენდუმი უშუალო დემოკრატიის გავრცელებული ფორმაა და გამოიყენება საიმისოდ, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ მიიღოს თანხმობა რომელიმე თავისი ქმედების ან აქტის მიმართ და მიაღწიოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების უმაღლეს ლეგიტიმაციას, იქნება ეს კონსტიტუციაში ცვლილება-დამატების შეტანის თუ სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი. **რეფერენდუმი პრინციპულად და ტექნოლოგიურად საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო პროცესის იდენტური ინსტიტუტია.** მის ჩატარებაზე სრულად ვრცელდება საარჩევნო სამართლის პრინციპები და დადგენილი პროცედურები. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ კენჭისყრის საგანი არა კანდიდატი ან პარტიული სია, არამედ რეფერენდუმზე დაყენებული საკითხის გადაწყვეტაა. სახელმწიფოებრივ დონეზე ჩატარებული რეფერენდუმის გადაწყვეტილება, ამომრჩეველთა ნების გამომხატველი აქტია და როგორც წესი, აქვს კანონთან გათანაბრებული ან მასზე მეტი ძალა.

რეფერენდუმის რამდენიმე სახე გამოიყოფა. **ტერიტორიული პრინციპიდან გამომდინარე, არსებობს საერთოეროვნული და ადგილობრივი რეფერენდუმები.** საერთოეროვნული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იმართება, ხოლო ადგილობრივი ძირითადად ადმინ-

---

<sup>969</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 87.

ისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დონეზე (აშშ, კანადა). იმის მიხედვით, თუ რომელ აქტში ხდება ცვლილების შეტანა, არსებობს: **საკონსტიტუციო** – როდესაც რეფერენდუმს დამფუძნებელი ხასიათი აქვს, ან **სარევიზიო** – კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის დროს და **საკანონმდებლო** – როდესაც სარეფერენდუმო საკითხი კანონთა პროექტების ან მოქმედი კანონების მიმართ ამომრჩეველთა დამოკიდებულებას ეხება.

ჩატარების საფუძვლის მიხედვით განასხვავებენ ფაკულტატურ და სავალდებულო რეფერენდუმებს. ფაკულტატური იმ შემთხვევაში ტარდება, თუკი მისი გამართვა ხდება ხელისუფლების ან ამომრჩეველების მოთხოვნით. სავალდებულო რეფერენდუმში, თუკი რაიმე საკითხზე გადაწყვეტილების მიღება სხვა გზით არ შეიძლება და მისი მიღება ან გადანყვეტა კონსტიტუციით რეფერენდუმის ფორმითაა დადგენილი. სამართლებრივი შედეგის მიხედვით გამოყოფენ საკონსულტაციო და დამდგენ რეფერენდუმებს. დამდგენი რეფერენდუმის შედეგები აუცილებლად ასახული უნდა იქნეს კანონმდებლობაში, ხოლო საკონსულტაციოს საზოგადოებრივი აზრის გამოვლენის ფუნქცია აქვს.

რეფერენდუმის დანიშვნის უფლება, როგორც წესი, სახელმწიფოს მეთაურს, წარმომადგენლობით ორგანოს ან ამომრჩეველთა განსაზღვრულ რაოდენობას აქვს. ის საკითხები, თუ რაზე არ შეიძლება რეფერენდუმის გამართვა, ეროვნულ კანონმდებლობაშია მოცემული. თუმცა რეფერენდუმის საგანი არ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი და იგი არ შეიძლება უკავშირდებოდეს ბიუჯეტს, გადასახადებს, ამნისტიას, შეწყალებას და ა.შ.<sup>970</sup>

მნიშვნელოვანია სარეფერენდუმო საკითხის ფორმულირებაც. პრაქტიკაში საკითხის ფორმულირების ორი ვარიანტი დამკვიდრდა: პირველი ვარიანტია საკითხის მარტივი ფორმულა, რომელზედაც პოზიციის დადასტურება ხდება თანხმობის („დიახ“) ან უარყოფის („არა“) ფორმით; მეორე ვარიანტია საკითხის რთული ფორმულა, როდესაც საკითხზე პოზიციის დადასტურება ხდება ე.წ. სახალხო არჩევანის ფორმით, ანუ ამომრჩეველი სარეფერენდუმო საკითხთან დაკავშირებით შემოთავაზებული ალტერნატიული პასუხების ჯგუფიდან ერთ-ერთს ირჩევს.

<sup>970</sup> იქვე, 168, 171, 173, 180.

**პლებისციტად მეტწილად იწოდება მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის გასარკვევად ჩატარებული გამოკითხვა იმ ტერიტორიის პოლიტიკური ბედის თაობაზე, სადაც იგი ცხოვრობს. პლებისციტის პროცედურული ორგანიზება რეფერენდუმისგან არ განსხვავდება.** ორივე შემთხვევაში მათ ასამოქმედებლად ქვეყანაში არსებული საარჩევნო სამართლის ნორმები და საარჩევნო სისტემა გამოიყენება.<sup>971</sup> პლებისციტი იმართება ისეთ საკითხებზე, რომელიც ეხება სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიის სტატუსის შეცვლას, საზღვრების შეცვლას და ა.შ. რეფერენდუმის მსგავსად, პლებისციტიც მაჟორიტარიზმის რომელიმე ფორმის გამოყენებით ტარდება (ძირითადად აბსოლუტური უმრავლესობის სისტემით).<sup>972</sup>

## 5.2. სახალხო გამოკითხვა და გამოწვევის ინსტიტუტი

რეფერენდუმისა და პლებისციტისაგან განსხვავებით, **სახალხო გამოკითხვა მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობის აზრის გამოვლენას ცალკეულ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა კენჭისყრა, როგორც წესი, არ ტარდება.** სახალხო გამოკითხვის ჩატარება შეუძლიათ არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სახელმწიფო ორგანოებს, პრესას. მასში მონაწილეობა შეუძლიათ არა მხოლოდ ამომრჩევლებს, არამედ ქვეყანაში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებსაც. ასეთი გამოკითხვა გადანწყვეტილების მიღებას არ ითვალისწინებს, ეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაა და მისი ჩატარება ტერიტორიულ და ადგილობრივ დონეზე შეიძლება. ეს ინსტიტუტი აქტიურად მოქმედებს ლატვიაში. იგი გამოიყენება პრეზიდენტსა და სეიმს შორის ურთიერთობის საპირინონედ. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი უფლებამოსილია, აღძრას სეიმის დათხოვნის საკითხი. ამ დროს ტარდება სახალხო კენჭისყრა და თუ უმრავლესობა პრეზიდენტის

---

<sup>971</sup> საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების სტუდენტებისათვის, თბილისი, 2014-2015, 99.

<sup>972</sup> მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი 2012, 181.

წინადადებას მხარს დაუჭერს, სეიმი დათხოვნილად ითვლება, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, – პრეზიდენტი გადაყენებულად, რის შემდეგაც სეიმი უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, ახალ პრეზიდენტს აირჩევს.

**გამონვევის ინსტიტუტი ძირითადად სოციალისტური ქვეყნების საკონსტიტუციო და საარჩევნო სამართლის აქტიური შემადგენელი ელემენტია.** ვიეტნამის კონსტიტუცია ადგენს ეროვნული კრებისა და სახალხო საბჭოს დეპუტატთა გამონვევის შესაძლებლობას იმ მოტივით, თუ მათ დაკარგეს ხალხის ნდობა. ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების სახალხო წარმომადგენელთა გამონვევა დადგენილია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საარჩევნო კანონით. დეპუტატი გამონვეულად ითვლება, თუ გამონვევას მხარს საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობა დაუჭერს. წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების გამონვევის ინსტიტუტი ადგილობრივ დონეზე მოქმედებს აშშ-ში, იაპონიაში, რუსეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. აშშ-ში ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრების გამონვევის დადგენილია შტატების თითქმის მესამედში, მაგრამ იმის გამო, რომ გამონვევის ინიციატივა შეიძლება ამოქმედდეს ამომრჩეველთა 25–40%-ის მიერ ხელმონერილი აქტით, გამონვევის პროცედურა ძალზე გართულებულია და იშვიათად გამოიყენება.<sup>973</sup>

### 5.3. სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა

კონსტიტუციონალიზმში უშუალო დემოკრატიის ფორმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სახალხო საკანონმდებლო ინიციატივას. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ამომრჩეველთა გარკვეული ჯგუფის ჩართვას ქვეყნის კანონმდებლობის სრულყოფის პროცესში. **სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა საშუალებას იძლევა, სახალხო განხილვას დაექვემდებაროს კანონპროექტი, რომელმაც მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმომადგენლობით ორგანოში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, მაგრამ ამომრჩეველთა დიდი ჯგუფის ინტერესს ითვალისწინებს.** ცალკეულ ქვეყნებში სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის ასამოქმედებლად, ამომრჩეველთა ხელმონერების

<sup>973</sup> იქვე, 182-184.

დავით მაკარიძე

განსხვავებული მაჩვენებლები და პირობებია დადგენილი. უნგრეთსა და შვეიცარიაში – 50 000, პოლონეთში – 100 000 და ესპანეთში – 500 000 ამომრჩევლის ხელმონერით ამოქმედდება ინიციატივა. ხელმონერების შემონმების და ნამდვილობის დადასტურების შემდეგ, კანონპროექტი პარლამენტს გადაეცემა, რომელიც მას დადგენილი პროცედურით განიხილავს.<sup>974</sup>

---

<sup>974</sup> იქვე, 185-186.

## თავი XVII. პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები

### 1. პოლიტიკური პარტია და მისი ფუნქციები

დღევანდელი სახით არსებული პოლიტიკური პარტიების წარმოშობა განმანათლებლობის ეპოქასა და ძალაუფლების წყაროდ ხალხის აღიარებისთვის ბრძოლის პერიოდს უკავშირდება. პოლიტიკური პარტიების მიერ დემოკრატიული მმართველობის განვითარებაში შეტანილი წვლილი მრავალმა ქვეყანამ აღიარა და მათი არსებობის გარანტია კონსტიტუციით განამტკიცა.<sup>975</sup> ეს პროცესი სახელმწიფოებრივ საზღვრებს გასცდა და პოლიტიკური პარტიების როლის ხაზგასმა საერთო ევროპული ცნობიერების ჩამოყალიბებისა და მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოხატვის საქმეში ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულებითაც მოხდა.<sup>976</sup>

პოლიტიკური პარტია საზოგადოებრივი განვითარებისა და პროგრესის შედეგია. იგი თანამედროვე დემოკრატიის ისეთი მულტიფუნქციური ელემენტია, რომელიც გარემოზე ზემოქმედებს და მისივე გავლენას ექვემდებარება.<sup>977</sup> ბუნებითი სამართლის წარმონაქმნი<sup>978</sup> დროთა განმავლობაში სახელმწიფოებრივი ცხოვრების გადამწყვეტ ფაქტორად<sup>979</sup> და წარმომადგენლობითი საპარლამენტო დემოკრატიის განუყოფელ ინსტიტუციად ჩამოყალიბდა.<sup>980</sup> **პარტიის**

---

<sup>975</sup> მაგ., Art. 6. Verfassung des Königreiches Spanien vom 29. Dezember 1978 geändert durch Gesetz vom 27. August 1992 (Art. 13 Abs. 2); Art. 35. Verfassung der Republik Litauen vom 25. Oktober 1992; Art. VIII. Grundgesetz Ungarns vom 25. April 2011; Art.11. Verfassung der Polnischen Republik vom 2. April 1997; Art. 5. Verfassung der Tschechischen Republik; Art. 36. Verfassung der Ukraine vom. 28. Juni 1996; Art. 5. Constitution of the Republic of Armenia (Adopted on 5. July 1995); Art. 21. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland vom 23.05.1949.

<sup>976</sup> Artikel 8a, Vertrag von Lissabon zur Änderung des Vertrags über die Europäische Union und des Vertrags zur Gründung der Europäischen Gemeinschaft.

<sup>977</sup> Trautmann H., Innerparteiliche Demokratie im Parteienstaat, Berlin, 1975, 22.

<sup>978</sup> Marcic R., Die Stellung der politischen Parteien in der Verfassung, Wien, 1965, 20.

<sup>979</sup> Preuß U., Kommentar zum Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Reihe Alternativkommentare Band 2, R. Wassermann (Hrsg.), Neuwied und Darmstadt, 1984, Art. 21, 11.

<sup>980</sup> Papadopoulou T., Parteiinterne Quotenregelungen, Mitteilungen des Instituts für Deutsches und Europäisches Parteienrecht und Parteienforschung, 1993, 53.

მეშვეობით ფორმირდება, ვლინდება და სახელმწიფოს გად-  
ანყვეტილებებში აისახება ხალხის პოლიტიკური ნება.<sup>981</sup> პარტიის  
ფუნქციებს ფუძემდებლური გადანყვეტილებების მიღებაში ხალხის  
მონაწილეობის (ტრანსმისიის ლევის ფუნქცია), პოლიტიკურ  
ლიდერთა შერჩევის (მმართველის ამორჩევის ფუნქცია), საერთო  
ნიშნით ინტერესთა განსხვავებული ჯგუფების შეხედულებების  
გაერთიანებისა და გათვალისწინების (ჯგუფების ინტეგრაციის  
ფუნქცია) უზრუნველყოფა განეკუთვნება.<sup>982</sup> პოლიტიკური პარტია  
გარკვეული იდეოლოგიის გამომხატველი, მიზნებისა და მოთხო-  
ვნების გამხმომვანებელი, ძალაუფლების განმახორციელებელი  
ინსტრუმენტი.<sup>983</sup>

## 2. პარტიული სისტემა

ადამიანთა გარკვეული ჯგუფების რწმენა და შეხედულებები,  
რელიგიიდან დაწყებული, ხელოვნებით დასრულებული, ერთმა-  
ნეთისაგან ხშირად განსხვავდება. გამონაკლისი არც პოლიტიკურ  
გემოვნებაზე ვრცელდება და თავისუფალ სახელმწიფოში, სადაც  
ძალაუფლება რეალურად ხალხს ეკუთვნის, ერთზე მეტი პარტიის  
არსებობა ბუნებრივი მოვლენაა. სიტყვა „პარტია“ (*pars*), რომელიც  
ლათინური წარმოშობისაა და „ნაწილს“ ნიშნავს, პოლიტიკურ ცაზე  
პარტიების თანავარსკვლავედების არსებობაზე მიუთითებს. პარ-  
ტიების სიდიდე, სიმრავლე, განლაგება, პოლიტიკური ხილვადობა,  
ურთიერთკავშირები და წინააღმდეგობები პარტიული სისტემის  
სახით ერთიან ორგანიზებულ სივრცეს ქმნის, რომლის განვითარე-  
ბის დონეც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კულტურის  
ანარეკლია.

პარტიული სისტემების ევოლუციაზე, სხვა ფაქტორებთან ერ-  
თად, არსებით გავლენას სახელმწიფოში არსებული სამართლე-  
ბრივი, სოციალური, ისტორიული, კულტურული და საერთაშორისო  
გარემო ახდენს. პარტიების განვითარების განმაპირობებელი

---

<sup>981</sup> Ehmke H., *Militärischer Oberbefehl und Parlamentarische Kontrolle*, Zeitschrift für Rechtspolitik, 1954, 346; Model O. (Begründer), Müller K. (Fortführer), *Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland*, Taschenkommentar für Studium und Praxis 11. Köln, Berlin, Bonn, München, 1996, 311.

<sup>982</sup> Zeuner B., *Innerparteiliche Demokratie*, Berlin, 1969, 13.

<sup>983</sup> Steffani W., *Zeitschrift für Parlamentsfragen*, 1988, 549.

ფაქტორები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, რაც პარტიული სისტემების მსოფლიო რუკას მრავალფეროვნებას სძენს.

პარტიულ სისტემათა კლასიფიკაციისათვის მრავალი განსხვავებული მეთოდი გამოიყენება.<sup>984</sup> **თანამედროვე პოლიტიკაში შესაძლებელია პარტიული სისტემის 4 ძირითადი ტიპის გამოყოფა: ერთპარტიული, ორპარტიული, ნამყვანი პარტიისა და მრავალპარტიული სისტემები.**<sup>985</sup>

**ერთპარტიული სისტემის მოდელისათვის**, რომელიც ძირითადად ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში მოქმედებს, დამახასიათებელია მმართველი პარტიის გაბატონებული მდგომარეობა. სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს არსებობის რეალური შესაძლებლობა არ გააჩნიათ. სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვარი მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და ფაქტობრივად, ისინი ერთმანეთშია შერწყმული. ამგვარი სისტემის ჩამოყალიბებას ნიადაგს ხშირად კომუნისტური, ფაშისტური და ნაციონალისტური იდეოლოგიები ქმნიან.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სახელმწიფო დემოკრატიასა და ხალხის მმართველობას მხარდაჭერას უცხადებს და ფორმალურად სხვა პარტიების არსებობაც დასაშვებია, თუმცა მას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და დომინანტი პარტიის პირობებში ოპოზიციის ფუნქციის შესრულება პარაქტიკულად შეუძლებელია. ამგვარი სისტემა მრავალპარტიულობის ილუზიის შექმნის მიუხედავად, თავისი ნიშნებით მაინც ერთპარტიულია.

**ორპარტიული სისტემის პირობებში**, რომელიც გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ია გავრცელებული, სხვა პარტიებიც არსებობენ, თუმცა ისინი პოლიტიკურ გარემოზე რეალურ გავლენას ვერ ახდენენ. საპარლამენტო მმართველობისას საკანონმდებლო და აღ-

---

<sup>984</sup> პარტიული სისტემების კლასიფიკაციის მეთოდებისთვის იხ., Lipset S., Rokkan S., *Cleavage Structures, Party Systems, and Voter Alignment: An Introduction*, in: *Party Systems and Voter Alignments: Cross-national Perspectives*, Edited by S. Lipset and S. Rokkan, New York, 1967; La Palombara J., Weiner M., *The Origin and Development of Political Parties*, in: *Political Parties and Political Development*, Edited by J. La Palombara and M. Weiner, Princeton, 1972; Sartori G., *Parties and Party Systems, A Framework for Analysis*, London, 1976; Almond G., and Powell G., *Comparative Politics: A Developmental Approach*, New Delhi, 1972; Von Alemann U., *Das Parteiensystem der BRD*, Bonn, 2000.

<sup>985</sup> ჰეივუდი ე., *პოლიტიკა*, გ. ჭუმბურიძისა და ზ. ჭელიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 360.

მასრულებელი ძალაუფლება ერთი პარტიის ხელშია, საპრეზიდენტო რესპუბლიკის შემთხვევაში კი პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლების მეთური და საკანონმდებლო ხელისუფლების უმრავლესობა სხვადასხვა პარტიას შეიძლება წარმოადგენდნენ.

**წამყვან პარტიათა სისტემაში**, სხვებთან ერთად არსებობს ერთი დომინანტი პარტია, რომელიც არჩევნების გზით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს ძალაუფლებას. ამგვარ პირობებში პოლიტიკური კურსი გარკვეულწილად სტაბილურია, თუმცა ე.წ. „დამარცხებულ პარტიულ სისტემად“<sup>986</sup> ტრანსფორმაციის მომეტებული საფრთხე არსებობს.

**მრავალპარტიული სისტემისათვისათვის** დამახასიათებელია ორზე მეტი პარტიის რეალური კონკურენცია. უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებული პარტია ხმათა უმრავლესობას ვერ აგროვებს და მთავრობის ჩამოყალიბების მიზნით, იძულებულია, ერთ ან მეტ კონკურენტთან კოალიცია შექმნას. პარტიები მეტწილად საარჩევნო ბარიერის გადალახვისა და ზოგიერთ შემთხვევაში უმრავლესობის მოპოვების მიზნით წინასაარჩევნოდ ბლოკებსაც ქმნიან. პარტიების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მატულობს ერთი და იმავე იდეოლოგიის მქონე პროგრამებიც, რაც ამომრჩევლის გარკვეულ დაბნეულობასაც იწვევს, რის გამოც პარტიათა ნაწილი გარკვეული ბლოკის, საარჩევნო გაერთიანების შექმნა თანხმდება.

### 3. პოლიტიკური პროგრამები

#### 3.1. პოლიტიკური პარტიის პროგრამა

პოლიტიკური პარტიის მისია და ინტერესები ასახულია პარტიის წერილობით პროგრამაში<sup>987</sup>, რაც წევრებისათვის ღირებულებებათა და განზრახულობათა შესახებ შეთანხმების დოკუმენტს, მოქალაქეებისა და ამომრჩევლისათვის კი იდეოლოგიისა და სამომავლო გეგმების შესახებ საინფორმაციო გზამკვლევს წარმოადგენს. *პროგრამის მეშვეობით პარტიამ ახალი წევრებისა და*

<sup>986</sup> ნოდია გ., სქოლტბახი ა., საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, თბილისი, 2006, 110.

<sup>987</sup> Augsberg S., Parteiengesetz (PartG) und Europäisches Parteienrecht. Kommentar, Kersten J., Rixen S (Hrsg.), Stuttgart, 2009, 182.

*მომხრეების შექმნა (ე.წ. „მიმხრობის ფუნქცია“) და სხვა პარტიებისაგან მკაფიოდ გამიჯვნა უნდა შეძლოს (ე.წ. „პროფილირების ფუნქცია“). აღნიშნული პარტიის საგარეო, ხოლო ინტეგრაციისა და ლეგიტიმაციის უზრუნველყოფა კი საშინაო ფუნქციას განეკუთვნება.<sup>988</sup>*

პარტიის პროგრამაში მოკლევადიანი მიზნების ჩამონათვალისა და „სათუო შორეულ უტოპიაში გადაშვების“ ნაცვლად, ადგილი გრძელვადიან მიზნებს უნდა ეთმობოდეს.<sup>989</sup> ე.წ. „ცარიელი პროგრამა“, რომელშიც კონკრეტუკა არ იკითხება, ყველას რალაცას სთავაზობს და მრავალ კითხვას უპასუხოდ ტოვებს, პარტიის ხელმძვანელობის მიერ ნებისმიერი თვითნებური მოქმედების გამართლების მექანიზმად შეიძლება იქნეს გამოყენებული,<sup>990</sup> რაც წევრებს სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს.

პოლიტიკური სამყარო დროდადრო სულ უფრო მეტად პლურალისტური და წინააღმდეგობრივი ხდება. მზარდი კონკურენციის პირობებში პარტიები კონკურენტებთან უპირატესობის მოსაპოვებლად იდეოლოგიური პალიტრის გაფართოებას ცდილობენ. ფუძემდებლური ხასიათის მიუხედავად, პროგრამას ვერ ექნება მუდმივი ხელშეუხებლობის განცდა და დროთა განმავლობაში მასში ახალი, გლობალური გამოწვევების შესაბამისი კორექტივების შეტანა პარტიული ცხოვრების თანამდევი მოვლენაა. გადწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენად ღირებულია პროგრამა, ბუნებრივად, ამომრჩევლებისა და პარტიაში განევრიანების მსურველ პირთა მიერ მიიღება.<sup>991</sup> შესაბამისად, გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის ცვლილებების განხორციელება განსაკუთრებულ სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს.

<sup>988</sup> Von Katte C., Die Mitgliedschaft von Fremden in politischen Parteien der Bundesrepublik Deutschland, Berlin, 1980, 33.

<sup>989</sup> Flohr H., Parteiprogramme in der Demokratie. Ein Beitrag zur Theorie der rationalen Politik, Göttingen, 1968, 61.

<sup>990</sup> Zeuner B., Innerparteiliche Demokratie, Berlin, 1969, 104.

<sup>991</sup> Hamann A., Lenz H., Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland vom 23. Mai 1949. Ein Kommentar für Wissenschaft und Praxis. Dritte völlig neubearbeitete und wesentlich erweiterte Auflage, Neuwied und Berlin, 1970, 356; Roellecke G., Grundgesetz Mitarbeiterkommentar und Handbuch, D. Umbach, T. Clemens (Hrsg.), Heidelberg, 2002, 1354.

### 3.2. პარტიის საარჩევნო პროგრამა

პარტიის პროგრამა, მისი ფუძემდებლური ხასიათიდან გამომდინარე, სტაბილურ გარემოს საჭიროებს. საარჩევნო პროგრამები პოლიტიკური სუბიექტების მიერ, მსოფლმხედველობითი დოკუმენტის მიერ განსაზღვრული გლობალური კურსის შესანარჩუნებლად, წარმომადგენლობითი ორგანოების ასარჩევი ვადით იქმნება. ისინი საზოგადოების წინაშე არსებულ აქტუალურ პრობლემებს აღწერს და მათი გადაჭრის გზებს ადგენს. პარტიის პროგრამა და საარჩევნო პროგრამები ერთმანეთისაგან ისევე განსხვავდება, როგორც მიზანი და ამოცანები.

**საარჩევნო პროგრამა ამომრჩეველს აცნობს იმ მოლოდინებს, რომლებიც მას, წესით, კონკრეტული სუბიექტის გამარჯვების შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს.** თავისუფალი მანდატის პირობებში, როდესაც არავის აქვს საკანონმდებლო ფუნქციის განმახორციელებელი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრისათვის კონკრეტული კანონპროექტისათვის ხმის მიცემის ან მისგან თავშეკავების მოთხოვნის სამართლებრივი უფლება, საარჩევნო პროგრამა სასურველი პარტიის გამარჯვების შემთხვევაშიც კი არ ან ვერ შესრულების რისკისგან სათანადოდ დაზღვეული ვერ იქნება. დაპირებების შესრულების საკითხი ე.წ. „რბილი სამართლის“ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს. სათანადო სამართლებრივი გარანტიების არარსებობის მიუხედავად, ანგარიშგასაწევია პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც პოლიტიკოსმა ამომრჩევლის ნდობის არ ან ვერ გამართლების პირობებში შეიძლება გაიზიაროს.

საპარლამენტო რესპუბლიკებში, მაღალგანვითარებული პოლიტიკური პარტიების პირობებში, ერთ პარტიას, როგორც წესი, უჭირს მთავრობის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი უმრავლესობის მოპოვება და ქვეყნის სამომავლო განვითარების ხედვის შესახებ კონსენსუსის მისაღწევად უწევს თანამშრომლობა იმ სუბიექტებთან, რომლებთანაც არჩევნების პერიოდში გაცხარებულ კონკურენციაში იმყოფებოდა.<sup>992</sup> კოალიციური შეთანხმების დასადებად მოლაპარაკებებში ჩართულ, განსხვავებული პოლიტიკური

<sup>992</sup> კოალიციურ მთავრობებთან დაკავშირებით იხ., ფონ მიუნხი ი., კოალიციური მთავრობების სამართლებრივი და პოლიტიკური პრობლემები, რ. ბრეგაძის თარგმანი, თბილისი, 2009.

გეგმების მქონე მხარეებს, მთელ რიგ შემთხვევებში პოზიციების დათმობა უხდებათ. შედეგად, საარჩევნო პროგრამები, რომელთა მიხედვითაც, ამომრჩეველი საკუთარი ფავორიტის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს, გარკვეულწილად იცვლება. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ამომრჩეველი პოლიტიკურ პარტიას კონკრეტული დაპირებისა და მისი შესრულების წარმოდგენილი მექანიზმის მოწონების გარდა, იმ საკითხშიც უცხადებს ნდობას, რომ დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ გააკეთოს არჩევანი და ძალაუფლების განხორციელებამდე წინასწარ განაცხადოს უარი იმ პირობის შესრულებაზე, რომელსაც მისი წარმომადგენლები პოლიტიკური ბრძოლისას უხვად არიგებენ.

#### 4. შიდაპარტიული დემოკრატია

*განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიების მიმდევართა ჯგუფების სიმრავლე ხელს უწყობს ახალი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას. სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე პოლიტიკურ ორგანიზაციათა მრავალფეროვანი არჩევანი კი არჩევნებში გამარჯვებისაკენ მიმავალ გზას სულ უფრო ავიწროებს და სახიფათოს ხდის. მზარდი კონკურენცია პოლიტიკურ პარტიებს სწრაფად ცვალებად გარემოსთან მისადაგების უნარების განვითარებისაკენ უბიძგებს. პარტიული იმუნიტეტის გაძლიერება მკაცრ გარემოში „გადარჩენის“ აუცილებელი პირობაა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ წევრთა აზრის იგნორირების ხარჯზე მხოლოდ ხელმძღვანელი პირების ნების განხორციელება პოლიტიკურ სისტემაში „პათოლოგიური“ უჯრედების წარმოშობის რეალურ საფრთხეს ქმნის.*

**პარტიას, როგორც „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში ფესვგადგმულ და ინსტიტუციონალიზებულ სახელმწიფოებრიობაში მოქმედ“<sup>993</sup> ინსტიტუციას, დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საზოგადოებაში მყარი საფუძველი ესაჭიროება. მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში ქმედითი მონაწილეობისათვის საზოგადოებაში მყარი საფუძვლის ქონა აუცილებელი წინაპირობაა, რაც, თავის მხრივ, მრავალი ინდივიდის განსხვავებული პოზიციის შეჯერების შედეგად საერთო შეხედულებათა განვითარებას საჭიროებს. აღნიშნულის არაფასა-**

<sup>993</sup> BVerfGE 20, 56 (101) 85, 264 (287).

დურად უზრუნველყოფა, დემოკრატიულად ორგანიზებული სტრუქტურის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია. საკონსტიტუციო სამართლის თეორია, პოლიტიკა და პუბლიცისტიკაც ერთსულოვნად აღიარებს, რომ შიდაპარტიული დემოკრატიის გარეშე სახელმწიფოში დემოკრატია არ არსებობს.<sup>994</sup>

შიდაპარტიული დემოკრატია გამორიცხავს ე.წ. „ფიურერის პრინციპს“<sup>995</sup> და დემოკრატიული სახელმწიფოსათვის არსებულ ფუნდამენტურ მოთხოვნებთან პარტიის შიდა მონყობის შესაბამისობას მოითხოვს.<sup>996</sup> პოლიტიკური პარტიის სტრუქტურა, ტერიტორიული თვალსაზრისით, იმგვარად უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ თითოეულ წევრს საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდეს. შიდაპარტიული დემოკრატიის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელი პირების ძალაუფლება მხოლოდ წევრებისგან წამოსულ ლეგიტიმაციის უწყვეტ ჯაჭვს უნდა ეფუძნებოდეს<sup>997</sup> და ნების ჩამოყალიბება ქვემოდან ზევით უნდა ხორციელდებოდეს.<sup>998</sup> პრინციპულ დონეზე წევრთა თანასწორობა<sup>999</sup> და გადანეყვებილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.<sup>1000</sup> შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისათვის აუცილებელია პარტიული თანამდებობების დასაკავებლად პერიოდული შიდაპარტიული არჩევნების არსებობა,<sup>1001</sup> რაც, თავის

---

<sup>994</sup> Von Alemann U., Das Parteiensystem der Bundesrepublik Deutschland, Bonn, 2010, 165.

<sup>995</sup> Silberkuhl P., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. 8. Auflage. Hömig D (Hrsg.), Baden-Baden, 2007, 252.

<sup>996</sup> Luthmann W., die innere Ordnung der Parteien nach dem Grundgesetz und ihre Ausführung durch Parteiengesetz, Köln, 1961, 42.

<sup>997</sup> Blank J-T., Die innerparteiliche Willensbildung nach dem Grundgesetz ihre Ausgestaltung im Parteiengesetz und ihre Berücksichtigung in den Parteistatuten, Deutsches Verwaltungsblatt, 1976, 566; Luthmann W., die innere Ordnung der Parteien nach dem Grundgesetz und ihre Ausführung durch Parteiengesetz, Köln, 1961, 40.

<sup>998</sup> Tsatsos D., Morlok M., Parteienrecht, Eine verfassungsrechtliche Einführung, Heidelberg, 1982, 37.

<sup>999</sup> Schmidt-Bleibtreu B., Klein F., Kommentar zum Grundgesetz, 9. Auflage, Neuwied und Kriftel, 1999, 562.

<sup>1000</sup> Grawert F., Parteiausschluss und innerparteiliche Demokratie, Heidelberg, 1987, 62.

<sup>1001</sup> Ipsen J., Grundgesetz Kommentar, M. Sachs (Hrsg.), München, 2007, 859.

მხრივ, „ბოზიციების მემკვიდრეობითობასთან“<sup>1002</sup> შეუთავსებელია. შიდაპარტიული ოპოზიციის არსებობა შესაძლებელი უნდა იყოს<sup>1003</sup> და უფრო მეტიც, მას დემოკრატიული არჩევნების გზით უმრავლესობის ჩანაცვლებაც კი უნდა შეეძლოს.<sup>1004</sup>

პოლიტიკური პარტიები წარმომადგენლობით ორგანოებში ასარჩევი კანდიდატების წარდგინების მონოპოლიას ფლობენ. შესაბამისად, ამომრჩეველთა ნამდვილი ნების გამოსავლენად წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევი კანდიდატების არჩევა და არა შერჩევაა აუცილებელი. **შიდაპარტიული არჩევნები „სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯებია“**<sup>1005</sup> და ხელისუფლების სრული დემოკრატიული ლეგიტიმაციისათვის მის თავისუფალ გარემოში დემოკრატიულად ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

პლურალიზმი ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს და დემოკრატიაც აზრთა ჭიდილის მომხრეა. **რაც უფრო მაღალია პარტიაში თავისუფლების ხარისხი, მით უფრო შეზღუდულია პარტიის ხელმძღვანელთა ძალაუფლება.** ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის არსებობა, რაც შიდაპარტიულ დემოკრატიასა და პარტიულ დისციპლინას შორის გონივრული ბალანსის გამოძებნას მოითხოვს.

## 5. პარტიის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

იდეოლოგიური და ორგანიზაციული საკითხების გამართულად ორგანიზებასთან ერთად, პოლიტიკურ პარტიას, ნებისმიერი

---

<sup>1002</sup> Kunig P., Parteien, Sonderdruck aus Handbuch des Staatsrechts Band III, J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg), Heidelberg, 2005, 116.

<sup>1003</sup> Morlok M., Grundgesetz Kommentar Band. II Art 20-82, H. Dreier (Hrsg.), Tübingen, 1998, 130; Zeuner Bodo., Innerparteiliche Demokratie, Berlin, 1969, 111.

<sup>1004</sup> Sontheimer K., Der demokratische Prozess in den Parteien, Parteien Wahlrecht Demokratie Vorträge und Diskussionen einer Arbeitstagung der Friedrich-Naumann-Stiftung und der Deutschen Gruppe der Liberalen Weltunion vom 17. Bis 19. März 1967 im Kulturhaus Baden-Baden. Schriftenreihe der Friedrich-Naumann-Stiftung zur Politik und Zeitgeschichte, Bd. 12, P. Luchtenberg, E. Walter (Hrsg.), Köln und Opladen 1967, 83.

<sup>1005</sup> Streinz R., Kommentar zum Grundgesetz. Fünfte, vollständig neubearbeitete Auflage Band 2: Artikel 20 bis 82, H. von Mangoldt, F. Klein, C. Starck, (Hrsg.), München, 2005, 299.

ფიზიკური თუ იურიდიული პირის მსგავსად, საკუთარი ფუნქციების განსახორციელებლად ფინანსური უზრუნველყოფა ესაჭიროება. პარტიის წევრის ბილეთის ბეჭდვიდან დაწყებული, საარჩევნო კამპანიით დასრულებული, პოლიტიკური ორგანიზაციის თითოეული ნაბიჯი მატერიალურ ხარჯს უკავშირდება. დემოკრატიულ გარემოში პარტიისათვის წარმატების მისაღწევად ღირსეული დაფინანსება არა ერთადერთი, მაგრამ ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია.

**პარტიის ქონების ერთ ნაწილს საწევრო შენატანები და შემოწირულობები ქმნის. პოლიტიკური პარტიის დემოკრატიულ სტანდარტებზე დაფუძნებული ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოზეა დამოკიდებული, რომელიც სამართლებრივი აქტების მიღების გარდა, პარტიის მიერ უმთავრესი ფუნქციის, მოქალაქეთა ნებისა და ინტერესების სახელმწიფოებრივ სფეროში გადატანის, განხორციელების ხელშესაწყობად პოლიტიკურ ორგანიზაციებს უშუალოდაც აფინანსებს.**

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი კონკრეტულ შემთხვევებში, როგორც თავად მათთვის, ისე სახელმწიფოსათვის, გარკვეულ რისკებს უკავშირდება. უკანონო შემოწირულობები, სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური პარტიებისათვის ფინანსურ რესურსებზე წვდომის კუთხით არათანაბარი პირობების შექმნა, ცალკეული პირების მიერ კანონსაწინააღმდეგო გავლენების მოპოვება, საბიუჯეტო სახსრების უკონტროლო ხარჯვა, პარტიის ხელმძღვანელობის მხრიდან მოზიდული თანხების არამიზნობრივი გამოყენება და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას შეიძლება უკავშირდებოდეს. შესაბამისად, ერთი მხრივ, პოლიტიკური პარტიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა და მეორე მხრივ, შიდა ავტორიტარული მმართველობის საფრთხის გამორიცხვა, კანონმდებლის, აღმასრულებლისა და მაკონტროლებლის ფუნქციებს მიეკუთვნება.

## **6. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის აკრძალვა**

პლურალიზმის პირობებში სახელმწიფოს პოლიტიკურ არენაზე სხვადასხვა მიზეზის გამო მრავალი ახალი პარტია ჩნდება და თავის დამკვიდრებას ცდილობს. პოლიტიკურ ლანდშაფტზე დაკვირვების შედეგად ადვილად შესამჩნევია დროთა განმავლობაში არსებულ

პოლიტიკურ პარტიათა შემადგენლობაში რაოდენობრივი და სახელობითი ცვლილებები. პარტიების ჩასვლა პოლიტიკური სცენიდან სხვადასხვა მიზეზით ხდება. ზოგი მხარდაჭერას, ფინანსებს ან წევრებს კარგავს, ზოგი ან სხვასთან ერთიანდება ან საკუთარ მისიას შესრულებულად თვლის და თავისივე გადაწყვეტილების საფუძველზე მოღვაწეობას ასრულებს. საკუთარი ნების გამოვლინება და პარტიის საქმიანობის შეწყვეტა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ფორმით, კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს განეკუთვნება. სხვა საკითხია, როდესაც პოლიტიკური პარტიის საქმიანობა სახელმწიფოს ჩარევის შედეგად იკრძალება.

**პოლიტიკური პარტია ერთადერთი იურიდიული პირია, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს არჩვენებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს.** გამარჯვებული პარტიების წარმომადგენლები იღებენ კანონებს და განსაზღვრავენ სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობებზე დასანიშნ პირთა ვინაობას. პარტიებს ლეგალურად აქვთ სახელმწიფოს მესაჭეობისა და მისი მომავალი კურსის განსაზღვრის სრული შესაძლებლობა. მსგავსი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები ისტორიას თუნდაც გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მაგალითზე ცუდად ახსოვს და მისი გაკვეთილების გათვალისწინებით, პარტიების მხრიდან კონსტიტუციებით დაცული ფუძემდებლური პრინციპების წინააღმდეგ გალაშქრებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების უგულვებლყოფის მცდელობის ალბათობა მხედველობიდან არ უნდა გაიპაროს. *მსგავსი რისკის ნეიტრალიზების მიზნით, სახელმწიფოები იტოვებენ დაცვის მექანიზმს და სამართლებრივად პოლიტიკური პარტიის საქმიანობის აკრძალვას, როგორც ultima ratio-ს, დასაშვებად მიიჩნევენ.*

პოლიტიკური პარტიის აკრძალვის სახელმწიფოებრივ ბერკეტს, რომელიც „თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის“<sup>1006</sup> გამოხატულებაა, ორი მხარე აქვს და იმის საფრთხე, რომ ავტორიტარიზმისაკენ მიდრეკილი ძალის მმართველობის პირობებში მმართველი პარტიის მიერ კონკურენტის ჩამოშორების მიზნითაც იქნეს გამოყენებული, მაინც არსებობს. მისი თავიდან აცილება მეტწილად

<sup>1006</sup> Pieroth H., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, H.D. Jarass, B. Pieroth (Hrsg), München, 2007, 530.

მაინც დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის განვითარების დონესა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიებზეა დამოკიდებული.

## 7. სამართლებრივი მონესრიგების აუცილებლობა

საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას პოლიტიკური პარტიები და მისი წევრები ახდენენ. ადამიანები, პოლიტიკოსები და დემოკრატიული გზით ლეგიტიმირებული პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პირებიც არ არიან „ანგელოზები“ და მათ მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია სამართლისა და პოლიტიკური კულტურის შესაბამისი ნორმების არსებობა.<sup>1007</sup> პოლიტიკური პარტია, რომელიც საზოგადოების ხელში „პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების, განხორციელებისა და შენარჩუნების აგრეგატია“<sup>1008</sup>, ანალოგიურ ფრთხილ მიდგომას საჭიროებს. საკონსტიტუციო ნესნყობილების დაცვისა და პოლიტიკური კულტურის განვითარებისათვის სასურველია, კანონმდებელმა უზრუნველყოს კონკურენციაში მყოფი პარტიებისათვის შანსების თანასწორობა, შექმნას რეალური პირობები პარტიული აქტივობების საჯაროობისათვის, განსაზღვროს დაფინანსების მექანიზმები, ჩამოაყალიბოს წევრთა უფლებების დაცვის რეალური გარანტიები, ხელი შეუწყოს პარტიაში შიდა დემოკრატიის განვითარებასა და მკაფიოდ განსაზღვროს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები და პროცესი.<sup>1009</sup>

---

<sup>1007</sup> Morlok M., Zur Heilsamkeit politischer Skandale, Mitteilungen des Instituts für Deutsches und Europäisches Parteienrecht und Parteienforschung, 1999, 48; Tsatsos D., Zur Funktion der politischen Parteien, Mitteilungen des Instituts für Deutsches und Europäisches Parteienrecht und Parteienforschung, 1993, 93.

<sup>1008</sup> Schieffauer P., Einige Überlegungen zu den Pärsppektiven des Rechts und der Institution der politischen Parteien, Mitteilungen des Instituts für Deutsches und Europäisches Parteienrecht und Parteienforschung, 1997, 13.

<sup>1009</sup> ასევე, იხ., Kobakhidze I., Die Funktionsfähigkeit der Parteien und ihre Freiheit Eine vergleichende rechtswissenschaftliche Untersuchung des deutschen und georgischen Parteiwesens, Nomos, 2007, 44.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ლიტერატურა

- არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თ. კუკავას თარგმანი, თბილისი, 1995
- არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. II, თ. კუკავას თარგმანი, თბილისი, 1996
- ბეროუსი გ., რუხაძე ზ., კვაჭაძე მ., გაფრინდაშვილი ლ., იზორია ლ., დემოკრატია და მოქალაქეობა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, თბილისი, 2011
- ბერძენიშვილი ა., პოლიტიკური სოციოლოგია, თბილისი, 2011
- განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2012
- გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო, სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბილისი, 2016
- გეგენავა დ., ზოგიერთი ცნების მართებულობის საკითხისათვის ქართულ საკონსტიტუციო სამართალში, ნიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80, ზ. ძლიერიშვილისა და ს. ქავთარაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013
- გეგენავა დ., „ძალაუფლება“ ვ. „ხელისუფლება“: შენიშვნები საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თაობაზე, ნიგნში: გურამ ნაჭყებია 75, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016
- გეგენავა დ., ძალაუფლების გამიჯვნის ქართული მოდელის პრობლემა, ნიგნში: სახელმწიფო მმართველობის მოდელები: საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილე და პერსპექტივა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016
- გეგენავა დ., Magna Carta Libertatum: კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან, ნიგნში: კონსტიტუციონალიზმის 800 წელი, დ. გეგენავას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2017
- გეგენავა დ., ქანთარია ზ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი., მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014
- გეგენავა დ., ქანთარია ზ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2015
- გეგენავა დ., ქანთარია ზ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016
- გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014
- გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016
- დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008

დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011

ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013

ზედელაშვილი დ., კონსტიტუციის გადასინჯვა საქართველოში: უმრავლესობის ვნებები და კონსტიტუციური ნესრიგი, წიგნში: სუპერსაპრეზიდენტოდან საპრეზიდენტომდე: საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, თბილისი, 2013

ზოიძე ბ., კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემონგების პრობლემები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VIII, 2015

იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009

იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005

ლოვო ფ., თანამედროვე დიდი დემოკრატიები, მ. ბალავაძისა და ნ. ცქიტიშვილის თარგმანი, ვ. კეშელავას რედაქტორობით, თბილისი, 2002

კანონის უზენაესობა სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისათვის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი და სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰააგის ინსტიტუტი, 2012

კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009

კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997

კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008

მაცაბერიძე მ., არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, 2003

მაჭარაშვილი ო., ადამიანის უფლებების განვითარება სამართლის ფილოსოფიაში, „ალმანახი“, №18, 2003

მედისონი ჯ., ფედერალისტი №51, ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიდის თარგმანი, თბილისი, 2008

მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008

მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თეორიის საკითხები, ბათუმი, 2003

მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, 2012

მელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1996

მელქაძე ო., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, რეფორმიდან-რეფორმამდე, თბილისი, 2011

მელქაძე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999

მენაბდე ვ., საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა – რა უზრუნველყოფს უზენაესი კანონის ლეგიტიმურობას, ნიგნში: სუპერსაპრეზიდენტოდან საპრეზიდენტომდე: საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, თბილისი, 2013

მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩაძის თარგმანი, თბილისი, 1994

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, ვ. გურგენიძის რედაქტორობით, თბილისი, 2004

მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, შედგენილი ა. დემეტრაშვილის მიერ, თბილისი, 1992

ნარინდოშვილი მ., ადამიანის უფლებები, თბილისი, 2005

ნერსესიანცი ვ., სამართლებრივი სახელმწიფო: ისტორია და თანამედროვეობა, ყურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, №4, 1996

ნოღია გ., ფედერალისტის ტრადიცია და ძალაუფლების დანაწილების სტატუსი ქართულ პოლიტიკურ სისტემაში, ნიგნში: ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიძის თარგმანი, თბილისი, 2008

ნოღია გ., სქოლტბახი ა., საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, თბილისი, 2006

პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, გ. კალატოზიშვილის თარგმანი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012

პაპაშვილი თ., გეგენავა დ., კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი – ნორმატიული მონესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2015

პლატონი, სახელმწიფო, ბ. ბრეგვაძის თარგმანი, თბილისი, 2003

პეგორარო ლ., ევროპასა და რეგიონებს შორის: იტალიის რთული მმართველობა, ზ. მაჭარაძის თარგმანი, ზ. მაჭარაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის, თბილისი, 2014-2015

სავანელი ბ., სამართლის თეორია, თბილისი, 1993

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013

ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013

ფირცხალაშვილი ა., ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, ყურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2'14, 2014

ფირცხალაშვილი ა., სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მისი ასახვა საქართველოს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1/12, 2012

ფონ იერინგი რ., ბრძოლა უფლებებისათვის, ზ. ნანობაშვილის თარგმანი, თბილისი, 2000

ფონ მიუნხი ი., კოალიციური მთავრობების სამართლებრივი და პოლიტიკური პრობლემები, რ. ბრეგადის თარგმანი, თბილისი, 2009

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1951

შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მანისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003

შუა საუკუნეების ისტორია, ნ.1, გ. კუტალიას რედაქტორობით, თბილისი, 2005

შვარცი ჰ., კონსტიტუციის მშენებლობის საფეხურები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №1, 2009

შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003

ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 2006

ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ.1, თბილისი, 2004

ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004

ჰეივუდი ე., პოლიტიკა, გ. ჭუმბურიძისა და ზ. ჭელიძის თარგმანი, თბილისი, 2007

A Companion to Greek Democracy and the Roman Republic, Edited by D. Hammer, UK, 2015

Albert R., Amendment and Revision in the Unmaking of Constitutions, Boston College Law School, Legal Studies Research Paper Series, Paper №420, 2016

Almond G., and Powell G., Comparative Politics: A Developmental Approach, New Delhi, 1972

Alvarez M., Cheibab J.A., Limongi F., Przeworski A., Studies in Comparative International Development, Vol.31, No.2, 1996

Alder J., General Principles of Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., Bristol, 2002

Anastaplo G., Reflections on Constitutional Law, University of Kentucky Press, 2006

Barak A., Unconstitutional Constitutional Amendments, Israel Law Review, Vol.44, 2011

Barnett H., Constitutional and Administrative Law, 4<sup>th</sup> Ed., London, 2002

Bartlett R., England Under the Norman and Angevin Kings, 1075-1225, Oxford, 2000

Baron de Montesquieu, Ch. de S., The Spirit of Laws, Translated by Th. Nugent, Ontario, 2001

Black's Dictionary, 9<sup>th</sup> Ed.

Blakwell A.H., *The Essential Law Dictionary*, Sphinx Publishing, 2008

Blount J., Elkins Z., Ginsburg T., *The Citizen as founder: Public Participation in Constitution approval*, *Temple Law Review*, Vol. 81, No.2, Summer 2008

Belton R.K., *Competing Definitions of the Rule of Law, Implications for Practitioners*, *Carnegie Papers*, 2005-01-21, No.55

Bernard C., *Democracy, A Very Short Introduction*, Oxford University Press, 2003

Bird C., *An Introduction to Political Philosophy*, New York, 2006

Bradley A., W., Ewing K.D., *Constitutional and Administrative Law*, 14<sup>th</sup> Ed., London, 2007

Carroll A., *Constitutional and Administrative Law*, 4<sup>th</sup> Edition, Pearson Longman, 2007

Code of Good Practice in Electoral Matters, Guidelines and Explanatory Report, Adopted by the European Commission for Democracy through Law (Venice Commission) at Its 52<sup>nd</sup> Session, Venice, 18-19 October 2002

Cohen M., *Political Philosophy, From Plato to Mao*, London, 2001

Collin P.H., *Dictionary of Politics and Government*, 3<sup>rd</sup> Ed., Bloomsbury Publishing, 2004

Colon-Rids J., *The Legitimacy of the Juridical: Constituent Power, Democracy and the Limits of Constitutional Reform*, *Osgood Hall Law Journal*, Vol.48, Issue 2, 2010

Cooper R., *The Postmodern State and the World Order*, *Demos*, 2000

Craig P., De Burca G., *EU Law*, 5<sup>th</sup> ed., OUP, 2011

Curzon L.B., Richards P.H., *The Longman Dictionary of Law*, 7<sup>th</sup> Ed., Pearson Longman, 2007

Cunningham F., *Theories of Democracy, A Critical Introduction*, London, 2002

Diamond L.R., *Thinking About Hybrid Regimes*, *Journal of Democracy*, Vol.13, No.2, 2002

Drew K.F., *Magna Carta*, Greenwood Press, 2004

Dupré C., *Importing the Law in Post-Communist Transitions*, Hart Publishing, 2003

Eklundh C., *The Swedish Parliamentary Ombudsman System*, Leiden, 2004

Friedman L.M., *A History of American Law*, 3<sup>rd</sup> Ed., New York, 2005

Friedrich C.J., *The Political Theory of the New Democratic Constitutions*, in: *Constitutions and Constitutional Trends since World War II*, Edited by A.J. Zurcher, 2<sup>nd</sup> Ed., New York, 1955

Frowein J. Abr., *The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe*, in: *Collected Courses of the Academy of European Law*, Vol. I(2) 1992

Gill G., *The Nature and Development of the Modern State*, New York

Gilbers L., Mohseni P., *Beyond Authoritarianism: The Conceptualization of Hybrid Regimes*, *Studies in Comparative International Development*, Vol.46, 2011

Gillingham J., *The Angevin Empire*, 2<sup>nd</sup> Ed., New York, 2001

Griffin S.M., *American Constitutionalism, From History to Politics*, Princeton University Press, 1996

Hackett J., *World Eras*, Vol.4, *Medieval Europe, 814-1350*, Gale Group, 2002

Held D., *Democracy and the Global Order*, Cambridge, 1995

Herling D., Lyon A., *Briefcase on Constitutional and Administrative Law*, 4<sup>th</sup> Edition, Cavendish Publishing, 2004

Hirschberg L., *Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit*. Goettinger Rechtswissenschaftliche Studien, 1984

Hooghe L., Marks G., *Multi-level Governance*, Lanham, 2001

Hornby S.A., *Oxford Advanced Learner's Dictionary*, 6<sup>th</sup> Ed., Oxford University Press, 2005

Jackson C.V., Tushnet M., *Comparative Constitutional Law*, 2<sup>nd</sup> Ed., Foundation Press, 2006

Kanovitz J.K., *Constitutional Law*, 12<sup>th</sup> Edition, New Providence, 2010

Kaye J.M., *Medieval English Conveyances*, Cambridge University Press, 2009

Keane J., *Global Civil Society*, Cambridge, 2003

Kelly A.H., Harbison W.A., *The American Constitution, Its Origins and Development*, New York, 1948

Kramer M.H., *Objectivity and the Rule of Law*, Cambridge, 2007

Laughlin M., *Foundations of Public Law*, London, 2012

Lehman J., Phelps Sh., *West's Encyclopedia of American Law*, Vol.13, 2<sup>nd</sup> Ed., Thomson Gale, 2005

Lipset S.M., *Political Man*, New York, 1960

Lipset S., Rokkan S., *Cleavage Structures, Party Systems, and Voter Alignment: An Introduction*, in: *Party Systems and Voter Alignments: Cross-national Perspectives*, Edited by S. Lipset and S. Rokkan, New York, 1967

La Palombara J. , Weiner M., *The Origin and Development of Political Parties*, in: *Political Parties and Political Development*, Edited by J. La Palombara and M. Weiner, Princeton, 1972

Longman Advanced American Dictionary, Barcelona, 2001

Lincoln A., *The Gettysburg Address*, in: *Encyclopedia of American Historical Documents*, Edited by S. Rosenfeld, New York, 2004

Linz J.J., *Totalitarian and Authoritarian Regimes*, in: *Handbook of Political Science*, Vol. 3., Edited by F.I. Greenstein and N.W. Polsby, Addison-Wesley Educational Publishers Inc., 1975

Lutz D. S., *Toward the Theory of Constitutional Amendment*, *The American Political Science Review*, Vol.88, №2, 1994

Maitland F.W., *The Constitutional History of England*, Cambridge, 1919

Medley D.J., *English Constitutional History*, 5<sup>th</sup> Ed., Oxford, 1913

Morris C., *An Essay on the Modern State*, Cambridge, 2002

*National Human Rights Institutions: History, Principles, Roles and Responsibilities*, 2010

Onida V., Balboni E., Cartabia M., Cavaleri P., D'Adabbo F., D'Amico M., D'Andrea A., Guiglia G., Nicolhini M., Corlero M.D., *Constitutional Law in Italy*, Kluwer Law International, 2013

Oran D., Tosti M., *Oran's Dictionary of the Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Delmar Publisher, 2000

*Oxford Dictionary of Law*, 5<sup>th</sup> Ed., Edited by E.A. Martin, Oxford, 2003

O'Neil P., *Essentials of Comparative Politics*, New York, London, 2013

Partlett W., *The Dangers of Popular Constitution-Making*, *Brooklyn Journal of International Law*, 2012

Pierson C., *The Modern State*, 2<sup>nd</sup> Ed., Routledge, 2004

Pollack Sh.D., *Constitutional Interpretation and Political Choice*, *University of Pittsburgh Law Review*, Vol.48, 1987

Pollard A.F., *The History of England: A Study in Political Evolution*, Dodo Press, 2007

Rasch B.E., Congleton R.D., Amendment Procedures and Constitutional Stability, in: Democratic Constitutional Design and Public Policy, Edited by R.D. Congleton and B. Swedenborg, Cambridge, 2006

Robertson D., The Routledge Dictionary of Politics, 3<sup>rd</sup> Ed., Routledge, 2004

Sandefur T., The Conscience of the Constitution, The Declaration of Independence and the Right to Liberty, Cato Institute, 2014

Sartori G., Parties and Party Systems, A Framework for Analysis, London, 1976

Saunders Ch., Judicial Engagement with Comparative Law, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Camberley, 2011

Schmitt C., Constitutional Theory, Edited by J. Seitzer, London, 2008

Schmitt C., The Concept of the Political, Translation, Introduction and Notes by G. Schwab, Translated by M. Konzen and J. P. McCormick, Chicago, 2007

Sheldon Ch.H., Essentials of the American Constitution, The Supreme Court and the Fundamental Law, Westview Press, 2002

Shaw M, International Law, 6<sup>th</sup> Ed., Cambridge, 2008

Sir Creasy D., The Rise and Progress of the English Constitution, 17<sup>th</sup> Ed., Macmillan and Co., London, 1907

Sir Phillips F., Commonwealth Constitutional Law, Cavendish Publishing, 2002

Spruyt H., The Sovereign State and Its Competitors, Princeton, 1994

Stephens O.H.Jr., Scheb J.M.II, American Constitutional Law, Vol.2, Civil Rights and Liberties, 4<sup>th</sup> Ed., Thomson Wadsworth, 2008

Stern K., Übermassverbot und Abwägungsgebot, in: Staatsrecht III, Munich, 1994

Stewart W.J., Burgess R., Collins Dictionary of Law, 2<sup>nd</sup> Ed., Collins, 2001

Strayer J., On the Mediaeval Origins of the Modern State, Princeton, 1970

Strong C.F., A History of Modern Political Constitutions, New York, 1963

Swisher C.B., American Constitutional Development, Houghton Mifflin Company, 1943

The Blackwell Guide to Social and Political Philosophy, Edited by R.L. Simon, Padstow, 2002

The Legal Doctrines of the Rule of Law and the Legal State (Rechtsstaat), Edited by J.R. Silkenat, J.E. Hickey Jr., P.D. Barenboim, Springer, 2014

Taylor Chr., Constitutional and Administrative Law, Pearson Longman, 2008

The Encyclopedia of Political Science, Edited by G.T. Kurian, Washington, 2011

The New Oxford American Dictionary, 2<sup>nd</sup> Ed., Edited E. McKean, Oxford University Press, 2005

The Oxford Handbooks of Political Science, Edited by R.E. Goodin, New York, 2006

Thordnike L., The History of Medieval Europe, The University Press Cambridge, 1917

Thornhill Ch., A Sociology of Constitutions, Constitution and State Legitimacy in Historical-Sociological Perspective, Cambridge University Press, 2011

Tilly C., Coercion, capital and European states AD 990-1990, Oxford, 1990

Tushnet M., The Constitution of the United States of America, A Contextual Analysis, Hart Publishing, 2009

Tushnet M., Fleiner Th., Saunders Ch., Routledge Handbook of Constitutional Law, Abingdon, 2013

Van Caenegem R.C., *An Historical Introduction to Western Constitutional Law*, Cambridge University Press, 1995

Villa D.R., *Politics, Philosophy, Terror, Essays on the Thought of Hannah Arendt*, Princeton, 1999

Vinogradoff P., *Magna Carta, C.39*, in: *Magna Carta, Commemoration Essays*, Edited by H.E. Malden, Royal Historical Society, 1917

Waters T., *Max Weber in Weber's Rationalism and Modern Society*, Translated and Edited by T. Waters and D. Waters, Palgrave Books, 2015

White R.J., *A Short History of England*, Cambridge, 1967

Wild S.E., *Law Dictionary*, Willey Publishing, 2006

Zurcher A.J., Introduction, in: *Constitutions and Constitutional Trends since World War II*, Edited by A.J. Zurcher, 2<sup>nd</sup> Ed., New York, 1955

Adamovich L.K., Funk B.C., Holzinger G., *Österreichisches Staatsrecht, Band 1*, Wien, New York, 1997

Andreas K., *Verfassungsgechichte der Neuzeit, Dritte Auflage*, Bern, 2013

Augsberg S., *Parteiengesetz (PartG) und Europäisches Parteienrecht. Kommentar*, Kersten J., Rixen S (Hrsg.), Stuttgart, 2009

Bachof O., *Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates. Der soziale Rechtsstaat in verwaltungsrechtlicher Sicht*, in: E. Forsthoﬀ (Hrsg.): *Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays*, Darmstadt, 1968

Benda E., *Menschenwürde und Persönlichkeitsrecht*, in: E. Benda, W. Maihofer, H.J. Blank J-T., *Die innerparteiliche Willensbildung nach dem Grundgesetz ihre Ausgestaltung im Parteiengesetz und ihre Berücksichtigung in den Parteistatuten*, Deutsches Verwaltungsblatt, 1976

Bleckmann A., *Allgemeine Grundrechtslehren*, Köln/Berlin, 1979

Vogel, (Hrsg.): *Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland*, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York, 1995

Bogs W., *Das Problem der Freiheit im sozialen Rechtsstaat*, in: E. Forsthoﬀ (Hrsg.): *Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays*, Darmstadt, 1968

Böckenförde E.W., *Die deutsche verfassungsgeschichtliche Forschung im. 19. Jahrhundert*, 1961

Brauneder W., *Was ist die Verfassung*, in: *Demokratie und sozialer Rechtsstaat in Europa*, Festschrift für Theo Öhlinger, S. Hammer, A. Somek, M. Stelzer, B. Weichselbaum (Hrsg.), Wien, 2004

Brodocz A., *Die symbolische Dimension der Verfassung*, 2003

Dreier H. (Bearb.), *Kommentar zum Art. 20 GG (Einführung)*, in: H. Dreier (Hrsg.), *Grundgesetz Kommentar*, 2. Auflage, Tübingen, 2006

Depenheuer O., *Funktionen der Verfassung*, in: *Verfassungstheori*, O. Depenheuer, C. Grabenwarter (Hrsg.), Tübingen, 2010

*Einführung in das Recht, Aufgaben, Methoden, Wirkungen*, D. Grimm (Hrg.), Heidelberg, 1991

Ehmke H., *Militärischer Oberbefehl und Parlamentarische Kontrolle*, *Zeitschrift für Rechtspolitik*, 1954

Epiney A., Waldmann B., Soziale Grundrechte und soziale Zielsetzungen, in: D. Merten, H.J. Papier (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band VII/2, Grundrechte in der Schweiz und in Lichtenstein, §224, Heidelberg/Zürich/St. Gallen, 2007

Ehrenzeller B., „Im Bestreben, den Bund zu erneuern, Einige Gedanken über „Gott“ und die „Welt“ in der Präambel des Bundesbeschlusses über eine neue Bundesverfassung“, in: Der Verfassungsstaat vor neuen Herausforderungen, Festschrift für Yvo Hangarter, B. Ehrenzeller, P. Mastronardi, R. Schaffhauser, R. J. Schweizer, K. A. Vallender (Hrsg.), St. Gallen, 1998

Erich Z., Staatslehre und verfassungstheorie im Licht der Soziologie, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg), Stuttgart, 2006

Europäische Verfassungsrecht, A. von Bogdandy (Hrsg.), Berlin-Heidelberg, 2003

Europäische Verfassungsrecht, U. Hufeld (Hrsg.), 3., Auflage, Baden-Baden, 2013

Fallbezogenheit der Rechtsprechung - Schröder M., Gesetzesbindung des Richters und Rechtsweggarantie im Mehrebenensystem, Tübingen, 2010

Fechner E., Freiheit und Zwang im sozialen Rechtsstaat, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt, 1968

Floh H., Parteiprogramme in der Demokratie. Ein Beitrag zur Theorie der rationalen Politik, Göttingen, 1968

Frotscher W., Pieoth B., Verfassungsgeschichte, 12., Auflage, München, 2013

Gauchet M., Menschenrechte, in: Kritisches Wörterbuch der Französischen Revolution, Bd. 2, (Hrsg.) F. von Furet und M. Ozouf, Frankfurt am Main, 1996

Gebhardt J., Die Idee der Verfassung: Symbol und Instrument, in: Verfassungen als Fundament und Instrument der Politik, A. Kimmel (Hrsg.), Baden-Baden, 1995

Gerber H., Die Sozialstaatsklausel des Grundgesetzes, in: E. Forsthoff (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt, 1968

Gewaltenteilung heute, Symposium aus Anlass der Vollendung des 65. Lebensjahres von Fritz Ossenbühl, Josef Isensee (Hrsg.), Heidelberg, Bd. 112, 2000

Gärditz K.F., Kommentar zum Art. 20 GG, in: K.H. Friauf, W. Höfling (Hrsg.): Berliner Kommentar zum Grundgesetz, Band 2, Berlin, seit 2000

Grabenwarter C., Verfassungsgeschichte und Theorie der Verfassung, in: Verfassungstheori, O. Depenueher, C. Grabenwarter (Hrsg.), Tübingen, 2010

Grawert F., Parteiausschluss und innerparteiliche Demokratie, Heidelberg, 1987

Grimm D., Gesellschaftlicher Konstitutionalismus – Eine Kompensation für den Bedeutungsschwund der Staatsverfassung? In: Staatsrecht und Politik, Festschrift für Roman Herzog zum 75. Geburtstag, M. Herdegen, H.H. Klein, H.J. Papier, R. Scholz (Hrsg.), München, 2009

Grimm D., Verfahrensfehler als Grundrechtsverstöße:in: NVwZ, 1985

Grote R., Der Verfassungsorganstreit, Tübingen, 2010

Gröschner, R. (Bearb.): Kommentar zum Art. 20 GG (Sozialstaat), in: H. Dreier (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Tübingen, 2006

Gusy C., Vergleichende Verfassungsgeschichte als Desiderat und Aufgabe, in: Grundrecht demokratische und Verfassungsgeschichte, Jörg-Detlef Kühne zum 65. Geburtstag, K. Wächter (Hrsg.), 2009

Hamann A., Lenz H., Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland vom 23. Mai 1949. Ein Kommentar für Wissenschaft und Praxis. Dritte völlig neubearbeitete und wesentlich erweiterte Auflage, Neuweid und Berlin, 1970

Häberle P., Europäische Verfassungslehre, 7., Auflage, Baden-Baden, 2011

Häberle P., Gemeineuropäisches Verfassungsrecht, in: Der europäische Verfassungsraum, R. Bieber, P. Widmer (Hrsg.), Zürich, 1997

Häberle P., Präambeln im Text und Kontext von Verfassungen, in: Demokratie in Anfechtung und Bewährung, Festschrift für J. Broermann, Joseph Listl, Herbert Schambeck (Hrsg.), Berlin, 1982

Häberle P., Verfassung als Kultur, in: Jahrbuch des öffentlichen Rechts der Gegenwart, Neue Folge/Band 49, P. Häberle (Hrsg.), Tübingen, 2001

Häberle P., Verfassung als öffentlicher Prozess, Berlin, 1996

Häberle P., Zeit und Verfassung, in: Die Verfassung als öffentlicher Prozess, 1978

Häberle P., Kotzur M., Europäische Verfassungslehre, 8., Auflage, 2015

Hegel G.W.F., Über die Reichsverfassung, H. Meier (Hrsg.), München, 2002

Hennis W., Verfassung und Verfassungswirklichkeit, Ein deutsches Problem, Tübingen, 1968

Hermens F.A., Verfassungslehre, Köln, 1968

Herzog R. (Bearb.), Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit, in: T. Maunz, G. Dürig (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München, seit 1958

Hesse K., Der Rechtsstaat im Verfassungssystem des Grundgesetzes, in: Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, E. Forstthoff (Hrsg.), Darmstadt, 1968

Hesse K., Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20. Auflage, Heidelberg, 1995

Hesse K., Verfassung und Verfassungsrecht, in: Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 2., Auflage, E. benda, W. Maihofer, H.J. Vogel (Hrsg.), Berlin – New York, 1994

Heum W., Verfassung und Verfassungsgerichtbarkeit im Vergleich, Tübingen, 2014

Hofmann H., Verfassungsgeschichte als Phänomenologie des Rechts, München, 2007

Hofmann H., Zur Idee des Staatsgrundgesetz, in: H. Hofmann, Recht – Politik – Verfassung. Studien zur Geschichte der politischen Philosophie, Frankfurt am Main, 1986

Huber E.R., Rechtsstaat und Sozialstaat in der modernen Industriegesellschaft, in: E. Forstthoff (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt, 1968

Jellinek G., Allgemeine Staatslehre, Berlin, 1922

Jellinek G., System der subjektiven öffentlichen Rechte, 2. Aufl., 1905

Jesse E., Die Demokratie in der Bundesrepublik Deutschland, Ein Einführung in das Politische System, Berlin, 1986

Jestaedt M., Verfassungstheorie und verfassungsgebung, A. Scherzberg (Hrsg.), Berlin, 2012

Jestaedt M., Verfassungstheorie, O. Depenheuer, C. Grabenwarter (Hrsg.), Tübingen, 2010

Ipsen J., Grundgesetz Kommentar, M. Sachs (Hrsg.), München, 2007

Isensee J., Verfassungsrecht, als "politisches Recht", in: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.), Band XII, Heidelberg, 2014.

Karpen U., Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, Mainz, 1985

Katz A., Staatsrecht, Grundkurs im öffentlichen Recht, 14., neubearbeitete Auflage, Heidelberg, 1999

Kägi W., Die Verfassung als rechtliche Grundordnung des Staates, Untersuchungen über die Entwicklungstendenzen im modernen Verfassungsrecht, Zürich, 1956

Kägi W., Zur Entwicklung des schweizerischen Rechtsstaates seit 1848, in: Hundert Jahre schweizerisches Recht, Jubiläumsgabe der Zeitschrift für schweizerisches Recht, Centenarium 1852-1952, Basel, 1952

Kälin W., Künzli J., Universeller Menschenrechtsschutz

Kirchgässner G., Ökonomische Theorie der Verfassung, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg.), Stuttgart, 2006

Kelsen H., Allgemeine Staatslehre, Berlin, 1925

Klein E., Grundrechtliche Schutzpflicht des Staates, in: NJW 1989

Kley A., Verfassungsgeschichte der Neuzeit, Dritte Auflage, Bern, 2013

Kobakhidze I., Die Funktionsfähigkeit der Parteien und ihre Freiheit Eine vergleichende rechtswissenschaftliche Untersuchung des deutschen und georgischen Parteiwesens, Nomos, 2007

Koja F., Allgemeine Staatslehre, Wien, 1993

Komentar zum Grundgesetz, Sechste Auflage, C. Starck (Hrsg.), München, 2010

Koselleck R., Begriffsgeschichtliche Probleme der Verfassungs-geschichtsschreibung, in: Der Staat, Zeitschrift für Staatslehre öffentliches Recht und Verfassungsgeschichte, Beiheft 6, Gegenstand und Begriffe der Verfassungsgeschichtsschreibung, E.W. Böckenförde, R. Grawert, F. Ossenbühl, H. Quaritsch, E. Weis, B. Willms (Hrsg.), Berlin, 1983

Köbler G., Von der Geschichte der Verfassung zur Verfassungsgeschichte, in: Festschrift für Wilhelm Brauneder zum 65. Geburtstag, Rechtsgeschichte mit internationaler Perspektive, G. Kohl, C. Neschwara, T. Simon (Hrsg.), Wien, 2008

König M., Menschenrechte, Campus Verlag, 2005

Kunig P., Parteien, Sonderdruck aus Handbuch des Staatsrechts Band III, J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg), Heidelberg, 2005

Krebs P., Art.19, Rn.47 ff, Münchener Kommentar; Dreier H., in: Dreier (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Bd. 1, 2. Aufl., 2004

Lang H., Funktionen der Verfassungs, in: Handbuch des Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.), Band XII, 2014

Lassalle F., Über Verfassungswesen, Rede am 16. April 1862 in Berlin, Hamburg, 1993

Lehmann-Brauns U., Die staatsrechtliche Bedeutung der Präambeln des Grundgesetzes, Berlin, 1964; Häberle P., Europäische Verfassungslehre, 7. Auflage, Baden-baden, 2011

Loewenstein K., Verfassungslehre, 4. Auflage. Nachdruck der 3., unveränderten Auflage, Tübingen, 2000

Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2015

Luchtenberg, E. Walter (Hrsg.), Köln und Opladen, 1967

Luhmann N., Verfassung als evolutionäre Errungenschaft, in: Rechtshistorisches Journal 9, 1990

Luthmann W., die innere Ordnung der Parteien nach dem Grundgesetz und ihre Ausführung durch Parteiengesetz, Köln, 1961

Marcelo N., Verfassung und Positivität des Rechts in der peripheren Moderne, eine theoretische Betrachtung und eine Interpretation des Falls Brasilien, Berlin, 1992

Marcic R., Die Stellung der politischen Parteien in der Verfassung, Wien, 1965

Marti U., Konstitution als Zustand und als Akt, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg.), Stuttgart, 2006

Martin M., Soziologie der Verfassung, Tübingen, 2014

Maurer H., Staatsrecht, München, 1999

Maunz Th., Zippelius R., Deutsches Staatsrecht, 30. Auflage, München, 1998

Michael M., Staatsorganisationsrecht, Auflage 2., Baden-Baden, 2015

Model O. (Begründer), Müller K. (Fortführer), Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Taschenkommentar für Studium und Praxis 11. Köln, Berlin, Bonn, München, 1996

Morlok M., Grundgesetz Kommentar Band. II Art 20-82, H. Dreier (Hrsg.), Tübingen, 1998

Morlok M., Was heisst und zu welchem Ende studiert man Verfassungstheorie, Berlin, 1988

Morlok M., Staatsorganisationsrecht, 2. Auflage, Baden-Baden, 2015

Müller G., Zur Problematik der Drittwirkung von Kantonalen Grundrechtsgarantien, ZBJV 1993

Müßig U., Die europäische Verfassungsdiskussion des 18. Jahrhunderts, Tübingen, 2008

Müssig U., Forschungsaufgaben, Probleme und Methoden einer europäischen Verfassungsgeschichte, in: Verfassungsgeschichte in Europa, Tagung der Vereinigung für Verfassungsgeschichte in Hofgeismar vom 27. Bis 29. März 2006, Für die Vereinigung herausgegeben von Helmut Neuhaus, Berlin, 2010

Neschke-Hentschke A., Fünf Thesen zu einer Philosophie der Verfassung, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg.), Stuttgart, 2006

Nipperdey H.C., in: Die Grundrechte, (Hrsg.) K.A. Bettermann, H.C. Nipperdey, Bd. IV/2, 1972

Otto N., Die Normative Wirkung von Präambeln im europäischen Primärrecht, Berlin, 2013

Pace A., Starre und flexible Verfassungen, in: Jahrbuch des öffentlichen Rechts der Gegenwart, Neue Folge/Band 49, P. Häberle (Hrsg.), Tübingen, 2001

Papadopoulou T., Parteiinterne Quotenregelungen, Mitteilungen des Instituts für Deutsches und Europäisches Parteienrecht und Parteienforschung, 1993

Pauly W., Sielinger M., der deutsche Verfassungsstaat, in: 50 Jahre Bundesrepublik Deutschland, Rahmenbedingungen – Entwicklungen – Perspektiven, I. Ellwein, E. Holtman (Hrsg.), Springer, 1999

Pernthaler P., Allgemeine Staatslehre und Verfassungslehre, 2. Auflage, Wien, New York, 1996

Peters A., Elemente einer Theorie der Verfassung Europas, Berlin, 2001

Phirtskhalashvili A., Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung, Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010

Pieroth B., Schlink B., Grundrechte, Staatsrecht II, 28., neubearbeitete Auflage, Heidelberg, 2012

Pieroth H., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, H.D. Jarass, B. Pieroth (Hrsg.), München, 2007

Poier K., Verfassungsrecht und Allgemeine Staatslehre, Prüfungsfälle und Lösungsvorschläge in systematischer Bearbeitung, 4., aktualisierte und erweiterte Auflage, Wien, 2011

Preuß U., Kommentar zum Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Reihe Alternativkommentare Band 2, R. Wassermann (Hrsg.), Neuwied und Darmstadt, 1984

Radbruch G., Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht, SJZ 1946

Reimer F., Verfassungsprinzipien, Berlin, 2001

Robbers G., Die Präambel der Verfassung für Europa – Ein Entwurf, in: Verfassung im Diskurs der Welt, Lieber Amicorum für Peter Häberle zum siebzigsten Geburtstag, A. Blankenagel, I. Pernice, H. Schulze-Fieletz (Hrsg.), Tübingen, 2004

Roellecke G., Grundgesetz Mitarbeiterkommentar und Handbuch, D. Umbach, T. Clemens (Hrsg.), Heidelberg, 2002

Roellecke G., Kommentar zum Art. 20 GG (Identität der Bundesrepublik), in: D.C. Umbach, T. Clemens (Hrsg.): Grundgesetz, Mitarbeiterkommentar und Handbuch, Band I, Heidelberg, 2002

Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, M. Sachs (Hrsg.), München, 2011

Saladin P., Die Kunst der Verfassungserneuerung, Schriften zur Verfassungsreform (1968-1996), Basel und Frankfurt am Mein, 1998

Schachtschneider K.A., Prinzipien des Rechtsstaates, Berlin, 2006

Scheuner U., Die Funktion der Verfassung für den Bestand der politischen Ordnung, W. Hennis, P. G. Kielmannsegg, U. Matz (Hg.), Bd.2, Stuttgart, 1979

Scheuner U., Die neuere Entwicklung des Rechtsstaats in Deutschland, in: E. Forstthoff (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt, 1968

Schnapp F.E. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: I. von Münch (Begr.)/ Ph. Kunig (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012

Schmidt-Bleibtreu B., Klein F., Kommentar zum Grundgesetz, 9. Auflage, Neuwied und Kriftel, 1999

Schneider H.P., Die Funktion der Verfassung, in: Einführung in das öffentliche Recht – Verfassung und Verwaltung, D. Grimm (Hrsg.), Heidelberg, 1985

Schieffauer P., Einige Überlegungen zu den Perspektiven des Rechts und der Institution der politischen Parteien, Mitteilungen des Instituts für Deutsches und Europäisches Parteienrecht und Parteienforschung, 1997

Schindler D., Der Weg vom „geschlossenen“ zum „offenen“ Verfassungsstaat, in: Der Verfassungsstaat vor neuen Herausforderungen, Festschrift für Yvo Hangarter, Hrsg. B. Ehrenzeller, P. Mastronardi, R. Schaffhauser, R.J. Schweizer, K.A. Vallender, St. Gallen, 1998

Schuppert G.F., Verfassung und Verfassungsstaatlichkeit in multidisziplinärer Perspektive, der Staat des Grundgesetzes – Kontinuität und Wandel, M. Brenner, P. M. Huber und M. Möstl (Hrsg.), Tübingen, 2004

Schmidt R., Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen, 2007

Schmitt C., Verfassungslehre, Berlin, 1928

Schmitt C., Verfassungslehre, Berlin, 1970

Schuppert G.F., Verfassung und Verfassungsstaatlichkeit in multidisziplinärer Perspektive, der Staat des Grundgesetzes – Kontinuität und Wandel, M. Brenner, P. M. Huber und M. Möstl (Hrsg.), Tübingen, 2004

Sieyes E.J., Politische Schriften 1788-1790, E. Schmitt (Hrsg.), Darmstadt u. Neuwied, 197

Silberkuhl P., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. 8. Auflage. Hömig D (Hrsg.), Baden-Baden, 2007

Sontheimer K., Der demokratische Prozess in den Parteien, Parteien Wahlrecht Demokratie Vorträge und Diskussionen einer Arbeitstagung der Friedrich-Naumann-Stiftung und der Deutschen Gruppe der Liberalen Weltunion vom 17. Bis 19. März 1967 im Kulturhaus Baden-Baden. Schriftenreihe der Friedrich-Naumann-Stiftung zur Politik und Zeitgeschichte, Bd. 12

Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, P. Mastronardi, D. Taubert (Hrsg.), Stuttgart, 2006

Steffani W., Zeitschrift für Parlamentsfragen, 1988

Streinz R., Kommentar zum Grundgesetz. Fünfte, vollständig neubearbeitete Auflage Band 2: Artikel 20 bis 82, H. von Mangoldt, F. Klein, C. Starck, (Hrsg.), München, 2005

Stern K., Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, in: K. Stern, H. Siekmann (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München, 1992

Stern K., Das Staatsrecht der BRD, Bd. III/1, 1988

Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band IV/1: Die einzelnen Grundrechte, 2006

Stern K., Die Schutzpflichtfunktion der Grundrechte: Eine juristische Entdeckung, in: DOEV 2010

Sommermann K.P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, H. von Mangoldt, F. Klein, C. Starck (Hrsg.), München

Streuer W., Die positiven Verpflichtungen des Staates, Nomos Verlag, 2003

Teubner G., Verfassungsfragmente, Berlin, 2012

Tiefke N., Das Prinzip Menschenwürde, Zur Abwägungsfähigkeit des Föchstrangigen, Tübingen, 2010

Trautmann H., Innerparteiliche Demokratie im Parteienstaat, Berlin, 1975

Tsatsos D., Morlok M., Parteienrecht, Eine verfassungsrechtliche Einführung, Heidelberg, 1982

Verfassung des Landes Baden-Württemberg, Kommentar, P. Fauchte (Hrsg.), 1987

Verfassung und politische Kultur, J. Gebhardt (Hrsg.), Baden-Baden, 1999, 7;

Buschfort W., Geheime Hüter der Verfassung, München, 2004

Volkman U., Grundzüge einer Verfassungslehre der Bundesrepublik Deutschland, Tübingen, 2013

Von Alemann U., Das Parteiensystem der Bundesrepublik Deutschland, Bonn, 2010

Von Katte C., Die Mitgliedschaft von Fremden in politischen Parteien der Bundesrepublik Deutschland, Berlin, 1980

Von Münch I., Staatsrecht, 5. Aufl., 1993

Von Münch I., Mager U., Staatsrecht II, Grundrechte, 6. Kohlhammer, 2014

Vorländer H., Die Verfassung – Idee und Geschichte, 2 überarbeitete Auflage 2, München, 2004

Walz G.A., Der Begriff der Verfassung, Berlin, 1942

Weber A., Europäische Verfassungsvergleichung, München, 2010

Wagner C., Bonner Grundgesetz und Verfassungsgewohnheitsrecht, München, 1963

Werner K., Die Verfassung als rechtliche Grundordnung des Staates, Untersuchungen über die Entwicklungstendenzen im modernen Verfassungsrecht, Zürich, 1956

Wieser B., Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005

Winterhof C., Verfassung – Verfassungsgebung – Verfassungsänderung, Tübingen, 2007

Wyduckel D., Verfassung und Konstitutionalisierung, in: Organisation und Verfahren im sozialen Rechtsstaat, Festschrift für Friedrich E. Schanpp zum 70. Geburtstag, H. Butzer, M. Kaltenborn, W. Meyer (Hrsg.), Berlin, 2008

Zacher H.F., Das soziale Staatsziel, in: J. Isensee, P. Kirchhof (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3. völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg, 2004

Zeuner B., Innerparteiliche Demokratie, Berlin, 1969

Zippelius R., Das wesen des Rechts, 1997

Zippelius R., Juristische Methodenlehre, 6. Auflage, 1994

Zippelius R., Kleine deutsche Verfassungsgeschichte, München, 1999

Zippelius R., Würtenberger T., Deutsches Staatsrecht, 32., Auflage, München, 2008

Pactet P., Melin-Soucramanien F., Droit Constitutionnel, 29e Ed., Paris, 2010

Rousseau J.J., Du contrat social, Livre 2, Amsterdam, 1964

Баглай, М., В., Конституционное Право Российской Федерации, Москва, 2007

Баранов, Н.А., Современная Демократия: Эволюционный Подход, Санкт-Петербург, 2008  
 Глотов С.А., Фомиченко М.П., Конституционное Право, Москва, 2011  
 Голосов Г.В., Сравнительная Политология, Санкт-Петербург, 2001  
 Даль Р., О Демократии, Москва, 2000  
 Конституционное (Государственное Право) Зарубежных Стран, Под ред. Б.А. Страшуна, Москва, 2000  
 Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. А.В. Малько, Москва, 2004  
 Конституционное Право Зарубежных Стран, Под ред. М.В. Баглая., Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, 2004  
 Немецкая Класическая Философия, Право и Свобода, Т.1., Москва, 2000  
 Проблемы Общей Теории Права и Государство, Под ред. В.С. Нерсесянца, Москва, 1999  
 Сенькова Т.В., Грахоцкий А.П., Конституционное Право Зарубежных Стран, Гомель, 2013  
 Сизько И.А., Чепурнова Н.М., Конституционное Право Зарубежных Стран, Москва, 2007  
 Соколов И.А., Конституционное право Российской Федерации, Москва, 2010  
 Соловьев А.И., Политология: Политическая Теория, Политические Технологии, Москва, 2000  
 Сравнительное Конституционное Право, Под. Ред. В.Е. Чиркина, Москва, 2002  
 Шашкова А.В., Курс Лекций по Конституционному Праву Зарубежных Стран, Москва, 2008  
 Шувалов Е.В., Конституционное Право Российской Федерации, Москва, 2006  
 Цыганков А.П., Современные Политические Режимы: Структура, Типология, Динамика, Москва, 1995

### სამართლებრივი აქტები

ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სტრას-ბურგი, 1985 წლის 15 ოქტომბერი  
 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია  
 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება  
 ადამიანის უფლებათა საბჭოს 2007 წლის 18 ივნისის რეზოლუცია 5/1  
 ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს წესდება, 2009 წლის 28 ივნისი  
 ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, No.17955, მიღებულია 1978 წლის 18 ივლისს  
 გაეროს უშიშროების საბჭოს 2011 წლის 17 მარტის რეზოლუცია №1973 (2011)  
 კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია  
 ფინეთის რესპუბლიკის სასამართლო საპროცესო კოდექსი  
 შვედეთის სამეფოს სასამართლო საპროცესო კოდექსი  
 გაერთიანებული სამეფოს „უმაღლესი სასამართლოს აქტი“  
 Great Charter of Liberties, English Translation, Edited by W. Blackstone

Constitution of the United States of America  
Declaration of the Rights of Man and of the Citizen, 26 August 1789.  
Constitution of the French Republic, 1958  
Constitution of Spain, 1978  
Federal Constitution of the Swiss Confederation, 1999  
Constitution of the Russian Federation, 1993  
Constitution of the United States of America, 1787  
Basic Law of the Federal Republic of Germany, 1949  
Constitution of the French Republic, 1958  
Constitution of the Italian Republic, 1947  
Constitution of the Azerbaijan Republic, 1995  
Constitution of Zambia, 1973  
Vertrag von Lissabon zur Änderung des Vertrags über die Europäische Union und des Vertrags zur Gründung der Europäischen Gemeinschaft  
Basic Law of the Federal Republic of Germany, 1949  
Constitution of the Republic of Armenia (Adopted on 5. July 1995);  
Verfassung des Königreiches Spanien vom 29. Dezember 1978  
Verfassung der Republik Litauen vom 25. Oktober 1992  
Verfassung der Polnischen Republik vom 2. April 1997  
Verfassung der Tschechischen Republik  
Verfassung der Ukraine vom. 28. Juni 1996  
Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland vom 23.05.1949

## სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე — ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები — უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის №1/1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე „ბაჭუა გაჩეჩილაძე, ვლადიმერ დობორჯგინიძე, გივი დონაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის №1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 25 მარტის №2/31-5 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლევან ფურცხვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 25 მარტის №2/59-8 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლუცეტა თაფლიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

Sunday Times v. the United Kingdom, [ECtHR] App. No. 6538/74, 26 April 1979

Leander v. Sweden, [ECtHR], App. no. 9248/81, 26 March 1987

Kruslin v. France, [ECtHR], App. no. 11801/85, 24 April 1990

Huvig v. France, [ECtHR]. App. No 11105/84, 24 April 1990

Kopp v. Switzerland, [ECtHR], App. no. 23224/94, 25 March 1998

Malone v. The United Kingdom, [ECtHR], App. no. 8691/79, 2 August 1984

Barthold v. Germany, [ECtHR], App. no. 8734/79, 25 March 1985

Grigoriades v. Greece, [ECtHR], App. no. 121/1996/740/939, 25 November 1997

Barron v. Baltimore, 32 U.S. 243 (1833)

West Virginia Board of Education v. Barnette, 319 U.S. 624 (1943)

Myers v. United States, 272 US 293 (1926) (J. Branders, Dissenting)

M v. Home Office (1993), Per Simon Brown J

B.C. Development Corp. v. Friedman, 1985, 193 (S.C.C.), 206

BVerfGE 3, 383, 399 (1954)

BVerfGE 5, 85 (198); 22, 180 (204); 94, 241 (263); 100, 271 (284)

BVerfGE 82, 60 (85 f.)

BVerfGE 33, 303 (331 ff.)

BVerfGE 68, 193 (220)

BVerfGE 96, 100 (115)

BVerfGE 20, 56 (101) 85, 264 (287)

## დასკვნები, მოხსენებები, რეკომენდაციები

გაერთიანებული ერების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა, ICJ Reports, 1975, par. 43–4; 59 ILR, par. 60–1.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო დასკვნა №10, სტრას-ბურგი, 2007 წლის 23 ნოემბერი.

Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2010)001, Strasbourg, 19.01.2010

Implementing the Responsibility to Protect: Report of the Secretary-General, 12 January, 2009

## ელექტრონული წყაროები

<<http://www.interpressnews.ge/ge/thvalsazrisi/340147-contra-legem-saqarthvelos-sakhelith.html?ar=A>> [18.08.2017]

<[http://www.ohchr.org/Documents/Publications/PTS-4Rev1-NHRI\\_en.pdf](http://www.ohchr.org/Documents/Publications/PTS-4Rev1-NHRI_en.pdf)> [20.09.2015].

<[http://www.courdecassation.fr/about\\_the\\_court\\_9256.html](http://www.courdecassation.fr/about_the_court_9256.html)> [25.09.2015].

<[http://www.un.org/en/ga/search/view\\_doc.asp?symbol=A/63/677](http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/63/677)> [25.09.2015].

<<http://www.mkgandhi.org/articles/democracy.htm>> [17.10.2017]

<<http://www.read.virmk.ru/d/demo-USA/g-01.htm>> [12.10.2016]

<[http://www2.ohchr.org/english/bodies/hrcouncil/docs/a.res.60.251\\_en.pdf](http://www2.ohchr.org/english/bodies/hrcouncil/docs/a.res.60.251_en.pdf)> [01.08.2015]

<<http://tb.ohchr.org/default.aspx?country=gy>> [01.08.2015]

<<http://www.amnesty.org/en/library/asset/IOR64/005/2012/en/7eacdb53-76a6-49d8-9466-dc7fdaeccec7/ior640052012en.pdf>> [20.09.2015]

<[http://www.humanrightsvoices.org/EYEontheUN/un\\_101/facts/?p=54](http://www.humanrightsvoices.org/EYEontheUN/un_101/facts/?p=54)> [01.08.2015].

<[http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2\\_7024/](http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2_7024/)> [01.08.2015]

<<http://www.oas.org/en/default.asp>> [01.08.2015]

<<http://www.hrw.org/news/2012/11/19/civil-society-denounces-adoption-flawed-asean-human-rights-declaration>> [20.09.2015]

<<http://www.fidh.org/en/asia/asean/Civil-society-rejects-flawed-ASEAN-12429>> [20.09.2015]

<<http://www.oas.org/en/iachr/>> [01.08.2015]

<<http://www.corteidh.or.cr/index.php/en>> [01.08.2015]

<<http://www.au.int/en/>> [01.08.2015]

<<http://www.ohchr.org/EN/HRBodies/SP/Pages/Introduction.aspx>> [01.08.2015]

<<http://www.ohchr.org/EN/HRBodies/Pages/TreatyBodies.aspx>> [01.08.2015]